ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

გელა (გიორგი) საითიძე

პეტრე სურგულაძის საგამომცემლო-პუბლიცისტური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2009

წიგნი ეძღვნება ჩვენი საზოგადოებისათვის დღემდე თითქმის უცნობი პიროვნების და გულმხურვალე მამულიშვილის, ნამდვილი ნაციონალისტის (ამ სიტყვის კეთილშობილური გაგებით) პეტრე როსტომის ძე სურგულაძის ნაღვაწ-ნაამაგარის რამდენადმე სრულყოფილად წარმოჩენის საქმეს...

მისმა თანამედროვეებმა და თანამოაზრეებმა შესანიშნავად იცოდნენ, თუ რა ცეცხლი ენთო გულში კაცს, რომელმაც გაბედა და რუსული თვითმპყრობელური რეჟიმის დროს საქართველოს სრული დამოუკიდებლობა მოითხოვა, რაც ლეგალურად იყო განფენილი მისი რედაქტორობით გამომავალი პერიოდული ორგანოების — ჟურნალების „ერისა" (1909-1910) და „თავისუფალი საქართველოს" (1913-1914) ფურცლებზე.

პ. სურგულაძეს თავისი წვლილი მიუძღვის საზღვარგარეთ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" შექმნის, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციულად ჩამოყალიბების, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევის, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებასა და საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს — ჯერ პარლამენტის, ხოლო შემდეგ დამფუძნებელი კრების საქმიანობაში; სხვადასხვა წლებში დაწერილ მის გამოკვლევებს — ქართული ენის თუ საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარებისათვის, დღემდე არ დაუკარგავთ თავისი ცხოველმყოფელობა...

წიგნი განკუთვნილია საქართველოს უახლესი ისტორიით დაინტერესებულ მკითხველებისა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტთათვის.

რედაქტორი — **ავთანდილ სონღულაშვილი**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი.

რეცენზენტები — **ლელა სარალიძე**
ისტორიის დოქტორი

ხათუნა ქოქრაშვილი
ისტორიის დოქტორი

პეტრე სურგულაძე (1877-1931)

***

სამშობლოს წინაშე პ. სურგულაძის ნაღვაწ-ნამოქმედარს დღევანდელი ფართო საზოგადოება ნაკლებად იცნობს. არადა, მას იმოდენა დამსახურება მიუძღვის მშობელი ხალხისა და ქვეყნის წინაშე, რომ ნამდვილად იმსახურებს ღირსეულ ადგილს სახელოვან მამულიშვილთა გალერეაში. სწორედ მის მსგავს ადამიანებს სავსებით მიესადაგება დიდი ილიას სიტყვები: „ხსენება ღვაწლით-მოსილ მამულიშვილისა, მეფეა, თუ უბრალო სიკვდილის შვილი, სესხი და ვალია შთამომავლობისა“[1].

ნიკო ნიკოლაძე კი, რომელსაც პირადი ნაცნობობა აკავშირებდა პ. სურგულაძესთან, ასე ახასიათებდა მას: „იგი სიმპატიური ადამიანია, ბლომათ ნაკითხი, საკუთარი შეხედულებების მქონე ქვეყნიერებაზე, დაკვირვებული და გონიერი, გამოცდილი და მოაზრე, იცნობს ქვეყანას, ორიგინალური აზრი აქვს შედგენილი ყველაზე და ყველაფერზე“[2].

პ. სურგულაძის პიროვნულ თვისებებზე და მამულის წინაშე მის დამსახურებაზე მაღალი აზრისანი იყვნენ ის ქართველი მოღვაწენი, რომელთა გვერდით წლების მანძილზე უხდებოდა მას ჭაპანის წევა (მიხ. წერეთელი, გ. გვაზავა, ლ. კერესელიძე, კალ. სალია, სპ. კედია და სხვ.).

პ. სურგულაძემ რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა გაიარა ვიდრე მოაზროვნე ქართულ საზოგადოებაში გამორჩეულ ადგილს დაიმკვიდრებდა. იგი დაიბადა 1877 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ჩიბათში, გლეხის როსტომ სურგულაძის ოჯახში. 1894 წლის ივნისში მან თბილისის ალექსანდრეს სახელობის საოსტატო ინსტიტუტი დაამთავრა. ამ ფაქტთან დაკავშირებით იმ დღეებში ილიას „ივერია“ წერდა: „წრეულს ტფილისის ალექსანდრეს საოსტატო ინსტიტუტში თვრამეტმა კაცმა დაამთავრა სწავლა, რომელთა შორის თორმეტი რუსია, ექვსი ქართველი: გ. ბეროზაშვილი, ი. ბუქურაული, ანთ. ჯუღელი, ტ. კლიმიაშვილი, პ. სურგულაძე და ი. ჭეიშვილი“[3].

აღსანიშნავია, რომ 1860 წელს თბილისში დაარსებულ იქნა „კავკასიის მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“, რომლის ინიციატივით 1866 წელს გაიხსნა ალექსანდრეს სახელობის სამასწავლებლო სკოლა, რომელსაც პედა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად ტ, IV, თბ., 1987გვ. 266
[2] დ. ჩიკვილაძე. დროსგასწრებული მამულიშვილი; თბ., 2003, გვ. 129
[3] გაზ. „ივერია“ 1894 წლის 14 ივნისი

გოგთა კადრებით სახელმწიფო სასწავლებლების უზრუნველ-ყოფა ევალებოდა. იგი იმავე საზოგადოების ხარჯით არსებობ-და და 1871 წლიდან კავკასიის სასწავლო ოლქს ექვემდებარე-ბოდა, მალე იგი ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტად გადაკეთდა. სწავლის ვადა სამი წელი იყო. საზოგადოების სამ-რევლო სკოლებში საგნების სწავლება ადგილობრივი მოსახლე-ობის ენებზე მიმდინარეობდა; ინსტიტუტის თითოეულმა კურ-სდამთავრებულმა რუსული ენაც სათანადოდ იცოდა. სწორედ ამ ინსტიტუტის მერვე გამოშვება იყო პ. სურგულაძე.

თავის თანაკურსელთა მსგავსად, პ. სურგულაძეც პედაგო-გიურ მოღვაწეობას შეუდგა. იგი ჯერ ქუთაისის სათავადაზნაუ-რო პრო-გიმნაზიის გამგე-მასწავლებელია, ხოლო შემდეგ თბი-ლისის სათავადაზნაურო კერძო გიმნაზიაში ისტორიას ასწავ-ლის ახალგაზრდობას.

აღსანიშნავია, რომ პ. სურგულაძეს ინსტიტუტში სწავლის პერიოდიდანვე ახლო ურთიერთობა ჰქონდა თერგდალეულთა ერთ-ერთ სახელმოხვეჭილ წარმომადგენელთან იაკობ გოგე-ბაშვილთან, იზიარებდა მის პედაგოგიურ შეხედულებებს, მოს-წონდა მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები და აქტიუ-რად იყენებდა მათ ქუთაისში თავისი პრაქტიკული საქმიანობის დასაწყისიდანვე. დროდადრო წერილებით ესაუბრებოდა დიდ იაკობს ქუთაისში საზოგადოებრივ სფეროში შექმნილ სიტუა-ციებზე და ა.შ.

ერთ-ერთ პირად წერილში პ. სურგულაძე ი. გოგებაშვილს წერდა:

„ბ. იაკობ! უკაცრავად ვარ, რომ პირველი ჩემი წერილი ისე-თი უშნო გამოვიდა. წარმოიდგინეთ, 15-ოდე დღე აქ, ქუთაისში, უბინაოთ ვიყავი და ადგილიც ისეთი არ მქონდა, რომ დანვრი-ლებით რამე მომეწერა. ვგონებ, თქვენ პირფერობით გინდ სხვა რაიმე ეგოისტური განზრახვით არ ახსნით ჩემ ინტერესს და მი-მართულებას ამ ჩვენ დღიურ პედაგოგიურ კითხვებში. რაც შე-მიძლია გაფაციცებით თვალს ვადევნებ, ვცდილობ ყოველი მას-წავლებელი გავიცნო, მისი აზრი გავიგო და ჩემიც გაუზიარო. ჯერ-ჯერობით არც ერთი მასწავლებელი ისეთი არ შემხვედ-რია, რომ თქვენი სახელმძღვანელოების ღირსებაზე ეჭვი რამ დაბადებოდეს. გარდა ამისა, არც ერთი მასწავლებელი არ მინა-ხავს, რომ ეთქვას ნათაძის წიგნი პატიოსან კაცს შეუძლია სა-ხელმძღვანელოთ შემოიღოსო. ორიოდე ეკზემპლარი, რაღაც შემთხვევით თუ გაიყიდა სექტემბრის დამდეგს, თვარა მერე აღარაფერი ისმის. არც არავის დაუბარებია და არც სურვილი

გამოუცხადებია. რამდენ-ჯერაც მიკითხავს წიგნების მაღაზიაში, სულ იმას მეუბნებიან აღარაფერი გაგვიყიდია, არავის მოუთხოვიაო. არ ვიცი, სწორეთ, ტფილისის გუბერნიაში საქმე როგორაა, აქ კი არაფერი საშიში არ უნდა იყოს. ის კი არა, მე იმედი მაქვს ლევიცკი დაეხმარა მისი ადგილიდან და მის მაღაზიას ცოტა მაინც შეუმცირა მუშტართ რიცხვი. საუკეთესო იარაღი, ვგონებ, საგარეო (?) გაზეთებია. მეც ვცდი და მერე შეგატყობინებ შედეგს. გუშინ ოლქის სასამართლომ გაარჩია ყიფიანის საქმე და კიდეც გაამართლა. მე გადავიკითხე სულ საქმის წარმოება და მართლა რომ უკანონობაა რაც ჩაიდინეს. სხვა რომ არ იყოს, ერთი მეტად შავი ჩირქი მიეცხო ამ საქმის გარჩევას. მსაჯულთა შორის იყო, როგორც საპატიო მსაჯული, ლოლუა, რომლის წინააღმდეგ, როგორც მთელმა ქუთაისმა კარგად იცის, ბევრი დასწერა გელეიშვილმა. მართლაც, მე დაწვრილებით გავიგე, თუ რა ბაასი ჰქონდათ მსაჯულებს, მსჯავრს რომ სდებდნენ. ლოლუა გაცხარებით იცავდა ყიფიანს, როგორ თუ მაშენიკი დაუძახაო. მე მირჩევნია ხუთჯერ სილა გამარტყან ყბაში ვინემ ერთხელ მაშენიკი დამიძახონო. მე კი მართალი გითხრათ, ძალიან გამიხარდა ყიფიანის გამართლება. მე თავიდან იმ აზრის ვიყავი, წინააღმდეგობას მაშინ ექნება ფასი, როცა ის დაფუძნებულია სკოლის საქმეების ვითარებაზე. თუ ყიფიანი სკოლაში მართალია, მაშინ მისი წინააღმდეგნი უსინდისო გინდ უმეცარი რაღაც გამოვდივართ. მაგრამ საქმეც ისაა, რომ სწორედ ამ სკოლაშია ყიფიანის ცუდი საქმეები დამარხული, თუ კი აქედან მის საქმეს ქუთაისის ბულვარზე გამოვიტანთ, ქუჩის საქმეთ გავხდით და მის ზნეობას გელეიშვილთან მომხდარ უკმაყოფილებასთან შეკავშირებით, მაშინ სანახევროდ საქმე საზოგადოებრივ ინტერესს კარგავს, ეკარგება მას ის ზნეობრივი ძალა, რომელიც ამოძრავებდა ყ.(იფიანის) მონინააღმდეგეთ. ერთი საინტერესო ეპიზოდი იყო საქმეში. მოწმეების ჩვენება ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ერთი მხარითაა სტუდენტები და მეორე მხრით სტოროჟები. ფაღავამ ეს იმით ახსნა, რომ სტუდენტები გელეიშვილთან ერთათ რაღაც პარტიას შეადგენენ, ერთმანეთს იცავენ და სტყუიან, სტოროჟები კი სიმართლის დამცველები არიანო. მაინც ჯგუფი, პარტია — სულ გაიძახოდა ფაღავა. სწორედ ბედნიერი კაცია ეს ყიფიანი. ღმერთმა ნუ ქნას, თვარა ცეცხლი რომ მოეკიდოს ყველა მოხრუკავს თავისს სინდისს და პატიოსნებას და იმას კი დაიცავს. მოგიკითხათ თომამ. ქუთაისში დიდი მოწყენილობაა. აქ გონებრივ მუშაობას ადგილი არ აქვს.

თქვენი ერთგული პეტრე სურგულაძე"[4].

პ. სურგულაძისა და ი. გოგებაშვილის სულიერი სიახლოვე და ეროვნული იდეალებისადმი ერთგულება მათი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე არ შეწყვეტილა. როცა თბილისში XX საუკუნის 10-იან წლებში ქართველ „სეპარატისტთა ნახევრად საიდუმლო ჯგუფი" (კ. სალია) დაარსდა, ი. გოგებაშვილი ერთ-ერთი პირველი შევიდა მასში და დიდად გაისარჯა, რათა პ. სურგულაძის რედაქტორობით ნაციონალისტური მიმართულების ჟურნალი „ერი" მიეღო ქართველ მკითხველ საზოგადოებას, ხოლო, როცა იძულებით ემიგრაციაში გახიზნულმა პ. სურგულაძემ, დიდი იაკობის გარდაცვალების ამბავი შეიტყო (1912 წლის 1(14) ივნისი), ამით გულდამძიმებულმა სანდრო შანშიაშვილს მისწერა: „ამ წუთში გავიგე გოგებაშვილის სიკვდილი და საოცრად დავღონდი. მეტად კარგი მამულიშვილი იყო, დიდი დარაჯი ჩვენი ეროვნული არსებობისა. ისეთი ადამიანი, რომლის აჩრდილი ყოველთვის თან დაგდევს და გამხნევებს"[5].

გაზეთ „სამშობლოს" (პარიზი) თქმით: „პეტრე სურგულაძე პატრიოტული იდეების შეუპოვარი მქადაგებლის როლში მოევლინა ახალგაზრდობას და ამის გამო ის ნამდვილი მისი კერპი გახდა, ამის შედეგი იყო ის, რომ პეტრე სურგულაძე იძულებული გახადეს სრულიად მიეტოვებინა პედაგოგიური ასპარეზი..."[6].

***

ახალგაზრდა პედაგოგი ფარ-ხმალს არ ყრის და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას იწყებს. იგი, როგორც პუბლიცისტი, აქტიური მონაწილე და დამცველი ხდება ყველა ქართული საქმისა. პირველი პერიოდული გამოცემა, რომლის ფურცლებზეც ფეხი აიდგა, გ. წერეთლის რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „კვალი" იყო. აქ დასტამბულმა მისმა წერილებმა, ბიბლიოგრაფიულმა მიმოხილვებმა და სხვა ჟანრის ნაწერებმა მკითხველის მოწონება დაიმსახურა.

---

[4] საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. 462; 224. ფურც. 1 და 2

[5] გ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი (სლმ), სანდრო შანშიაშვილის ფონდი 6586-ხ, ფურც. 1

[6] გაზ. „სამშობლო" (პარიზი), 1932 წლის აპრილი; გ. შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. V, თბ., 2004, გვ. 339

პ. სურგულაძის პირველი წერილი, რომელიც „პ.ს-ძის“ ინიციალებით არის დაბეჭდილი, იმ დროისთვის საკმაოდ აქტუალურ თემას ეხება. წერილის სათაურია „ერობა ჩვენში“. ავტორი გასაგები ენით ასაბუთებს მის სარგებლიანობას, თუ იგი სწორედ იქნებოდა განხორციელებული. მით უმეტეს, თვითმპყრობელური ხელისუფლების მიერ 1865 წლიდან იყო შემოღებული და მისი სიკეთით სარგებლობის შესაძლებლობა იმპერიის განაპირა მხარეებში მცხოვრებ ხალხებს, მათ შორის ქართველებს, 1897 წელსაც კი სანატრელად ჰქონდათ გამხდარი. პ. სურგულაძეს მიაჩნდა, რომ მისი შემოღება ზოგიერთ სიკეთეს მაინც მოუტანდა ჩვენს ხალხსაც. მაგალითისთვის მას ფინეთის სათავადო მოჰყავდა და აღნიშნავდა: „აი, თუნდ ფინლანდიის პატარა სათავადო, რომელსაც აქვს თავისი სენატი, თავის სახელზე მოჭრილი ფული, საკუთარი სკოლები, რომელთა შემწეობითაც სწავლა-განათლება ისე გავრცელდა ხალხში, რომ დღეს სოფლის მკვიდრიც უბრალო სკოლური განათლებით არ კმაყოფილდება: იმასაც უნდა სახალხო უნივერსიტეტის ლექციების ყურისგდებით დატკბეს...“, „ამგვარად რუსეთის იმპერიის ზოგი ნაწილი წინ წავიდა, ზოგი კი დღესაც დაქვეითებულია. საუბედუროთ უკანასკნელთა რიცხვში ჩვენცა ვართ. ჩვენ არამც თუ ფინლანდიას ვერ შევედრებით, არამედ მოკლებულნი ვართ იმისთანა ადგილობრივ დანესებულებებსაც, რომელთა ნაყოფიერი მოქმედებით ტკბება შიდა-რუსეთი...“[7]. და ა.შ.

წერილი გაგრძელებებით დაიბეჭდა გაზეთის რამდენიმე ნომერში. მის დასკვნით ნაწილში პ. სურგულაძე მიუთითებს: „თუ არ გვექნება ერობა არ გვეყოლება ჩვენ ინტერესებზე მზრუნველი, არ გვექნება რიგიან ნიადაგზე დაყენებული სწავლა-განათლება, სკოლები, არ გვეყოლება ექიმები, არ გვექნება საავადმყოფოები, ბანკები, გზები...“[8].

აქვე, აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდა ავტორის წერილები დაბეჭდილია გიორგი წერეთლის, ნოე ჟორდანიას, ისიდორე რამიშვილის, პეტრე ჭარიას, ეროდიონ ევდოშვილის და სხვა ცნობილ პუბლიცისტთა ნააზრევის გვერდით.

ასე გრძელდებოდა მანამ, ვიდრე გაზეთი „კვალი“ ქართველ სოციალ-დემოკრატების, მესამედასელების ხელში გადავიდოდა. ახალმა რედაქტორმა და მისმა უახლოესმა თანამოაზრეებმა უპირველეს მიზნად მარქსისტული იდეების დამკვიდრების-

---

[7] გაზ. „კვალი“, 1897 წლის 16 მარტი

[8] იქვე, 1897 წლის 13 აპრილი

თვის ბრძოლა გაიხადეს. მიუხედავად იმისა, რომ პ. სურგულაძე თავის სიმპათიას სოციალური პრობლემებისადმი დაუფარავად ამჟღავნებდა თავის ნაწერებში, საასპარეზო თანდათანობით დაუვიწროვეს, რამაც განაპირობა მისი წასვლა „კვალის" რედაქციიდან და 900-იანი წლების დასაწყისიდან გაზეთ „ივერიასთან" დაკავშირება, რომელსაც ჯერ კიდევ ი. ჭავჭავაძე რედაქტორობდა. ამ გაზეთთან მისი ურთიერთობა კიდევ უფრო ინტენსიური გახდა გ. ყიფშიძისა და ფ. გოგიჩაიშვილის რედაქტორობის წლებში. 1905-1907 წლებში პ. სურგულაძე ხალხის რევოლუციური გამოსვლების შუაგულში ტრიალებს. „ივერიაში" დასტამბული წერილების სერიაში — „ვითარება გურიაში", მთელი სიმწვავით არის წარმოჩენილი ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიც ამ კუთხის მოსახლეობა აღმოჩნდა იმ ხანად.

***

ახალგაზრდა პედაგოგი სისტემატურად ღებულობს მონაწილეობას ქართველთა შორის წ.კ.გ.-ლი საზოგადოების, როგორც საერთო კრებების, ისე მისი გამგეობის სხდომებში. თამამად გამოთქვამს თავის ანგარიშგასაწევ მოსაზრებებს აღნიშნული ორგანიზაციის საქმიანობის კიდევ უფრო გაუმჯობესების მიზნით... არცთუ იშვიათად, მისი გამოსვლები ბოლომდე არ მოსწონთ, კამათისას თუ პრესის ფურცლებიდან საყვედურობენ კიდეც, მაგრამ იგი უკან არ იხევს და პასუხის გარეშეც არავის სტოვებს. მაგალითად, 1901 წლის 28 ოქტომბერს თბილისში გამართულ ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა წლიურ შეკრებაზე, რომელსაც გარეშე ხალხიც მრავლად ესწრებოდა, ყურადღების ცენტრში იდგა წინა წელს გაწეული მუშაობის ანგარიში. კრება გახსნა და ბოლომდე უძღვებოდა გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ნიკო ცხვედაძე. სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით პატივი მიაგეს საზოგადოების გარდაცვლილი წევრების გ. ქართველიშვილისა და გ. ღოღობერიძის ხსოვნას.

ანგარიშის განხილვაში მონაწილეობა მიიღო პ. სურგულაძემაც, რომელმაც საკითხი დააყენა, რათა კავკასიის სკოლის გამგედ ისეთი მასწავლებელი დაენიშნათ, რომელიც შიგვე, სკოლაში იცხოვრებდა და არა გარეშე, რადგან უამისოდ სკოლის საქმე კარგად ვერ ნარიმართებაო. მისი წინადადება უყურადღებოდ არ დარჩენილა სხდომის თავმჯდომარის მხრიდან, რომელმაც

განუმარტა პ. სურგულაძეს და დამსწრე საზოგადოებასაც, რომ სკოლას განაგებდა პედაგოგიური საბჭო გვათუას თავმჯდომარეობით, ხოლო ზედამხედველად გარეშე პირი, ვინაიდან „იქაური სკოლა სულ სხვა პირობებშია და გარემოება მოითხოვს ამგვარ მონყობასო“[9].

შემდეგ გაიმართა კამათი მომდევნო წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების თაობაზე. პ. სურგულაძე აქაც გამოთქვამს თავის მოსაზრებას ნ. ცხვედაძის განცხადების გამო იმის შესახებ, რომ ჯამაგირი სოფლად მცხოვრებელ მასწავლებელს უფრო ნაკლები უნდა ჰქონდეს ვიდრე სამინისტროს სკოლების პედაგოგებს, ვინაიდან სოფელში ცხოვრება უფრო იაფია და მასწავლებელს დიდი ხარჯი არ მოსდისო. პ. სურგულაძის აზრით: „ხარჯის მიხედვით კი არ უნდა ინიშნებოდეს საზოგადოდ ჯამაგირი ან საჩუქარი, არამედ შრომის მიხედვით... სამინისტროს სასნავლებლის მასნავლებელნი უფრო კარგ მდგომარეობაში არიან ვიდრე ჩვენებიო“[10].

როგორც ჩანს, პ. სურგულაძის გამოთქმული აზრები ყოველთვის მისაღები არ იყო და ზოგჯერ ისეთ რამეს მიაწერდნენ რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა და რამდენადმე მაკომპრომეტირებელნი იყვნენ მისი, რისთვისაც თავის გამამართლებელი განცხადებების საჯარო გაკეთებაც უწევდა... „ივერიაში“ დაბეჭდილ ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების კრების ანგარიშში განმარტებული იყო ერთ-ერთი ვალდებულების, კერძოდ, მუზეუმის შენობის აგების შეუსრულებლობის მიზეზი... გაზეთის მიხედვით, თითქოს პ. სურგულაძეს ეთქვას: რად გვინდა იმისთანა მუზეუმი, თუ ხარჯი ბევრი იქნება, შემოსავალი კი ცოტაო. სულ ყველას სჯობია, აღარ შევინახოთ მუზეუმი და ის ფული, რომელიც მასზე იხარჯება, სხვა რამეს მოვახმაროთ, რომელიც უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებასო...“[11].

ამის პასუხად პ. სურგულაძე რედაქციის მიმართ გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „თქვენი გაზეთის 106 ნომერში, წერაკითხვის საზოგადოების წლიური კრების ანგარიშში, სხვათაშორის, სწერია: (და მოჰყავს ზემოთ აღნიშნული მისდამი მიწერილი სიტყვები) და მიუთითებს: „არ ვიცი, საიდან მოიგონა თქვენმა თანამშრომელმა ეს სიტყვები? მე ერთი სიტყვაც არ მით-

---

[9] გაზ. „ივერია“, 1901 წლის 30 ოქტომბერი
[10] იქვე, 1902 წლის 28 მაისი
[11] იქვე, 1902 წლის 22 მაისი

ქვამს მუზეუმის შესახებ; რამდენადაც მახსოვს, არც არავის არ დაუყენებია ასე კითხვა. მე ვერც წარმომიდგენია, რომ კაცმა მუზეუმს შემოსავლის თვალით უცქიროს"-ო.[12]

გაზეთ „კვალის" იმდროინდელი ნომრების გულდასმით გაცნობის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ პ. სურგულაძეს მინდობილი ჰქონდა ბიბლიოგრაფიის განყოფილების გაძღოლა, სადაც დროდადრო ახალი წიგნების მიმოხილვა-შეფასებებია მოთავსებული. ასეთ მიმოხილვებს იმ დროინდელი საზოგადოების დროული ინფორმირებისთვის, როცა პრესის გარდა ინფორმაციის გავრცელების სხვა მასობრივი საშუალებები (რადიო და ა.შ.) არ არსებობდა, დიდი როლი და მნიშვნელობა ეკისრებოდა. სხვისი ნააზრევის შემფასებელს კი, პირველ რიგში, თვითონ უნდა ჰქონოდა სათანადო კომპეტენცია და პროფესიული დონე. მაგალითად, „კვალში" დაბეჭდილ საკმაოდ ვრცელ წერილში პ. სურგულაძე მართლაც რომ პროფესიონალურად აფასებს ალ. ნათაძის მიერ შედგენილ სასკოლო სახელმძღვანელოს „ბავშვების მოკეთე, ანუ ანბანი და პირველი წიგნი სკოლებში სახმარებელი". ეს არის პედაგოგიური ხასიათის მშვენიერი ნარკვევი, რომელშიც კარგად ირეკლება კრიტიკოსის, გნებავთ, მიმომხილველის სწორი პედაგოგიური თვალთახედვა, რომ ასეთი წიგნები საჭირო იყო, მაგრამ დამხმარე სახელმძღვანელოს ავტორს მეტი ძალისხმევა უნდა გამოეჩინა მისი ენობრივი გაფორმებისა და სწორმეტყველებისათვის...[13].

ქართველი მკითხველის გაცნობიერებისათვის საინტერესოა პ. სურგულაძის დამოკიდებულება დ. კუდრიავცევის წიგნის „როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად" ისიდორე კვიცარიძისეული თარგმანისადმი[14], ასევე ნ. რუბაკინის წიგნების — „ქალაქის მაძიებელნი" და „პირისპირ" მიმართ, რომელთა თარგმანიც იმ ხანებში გამოჩენილა წიგნების მაღაზიებში. პ. სურგულაძის შეფასებით, დასახელებული ნაწარმოებების სულისკვეთება სავსებით შეესაბამებოდა მის მიზანს... „ეს წიგნები საინტერესოა ყველა იმათთვის, ვისაც ოდნავ მაინც შეუძლია თავის მოძმის გაჭირვება გაიგოს, ანდა სურს საკუთარი მდგომარეობა შეიგნოს"[15]-ო, დაასკვნიდა მიმოხილვის ავტორი.

---

[12] გაზ. „ივერია", 1902 წლის 23 მაისი
[13] გაზ. „კვალი", 1897 წლის 12 ოქტომბერი
[14] იქვე, 1897 წლის 29 ივნისი
[15] იქვე, 1897 წლის 10 აგვისტო

***

მას შემდეგ, რაც გაზეთი „კვალი“ მესამედასელთა ხელში გადავიდა და გიორგი წერეთლის მაგივრად მისი რედაქტორი ნოე ჟორდანია გახდა, ყველასათვის თვალშისაცემი შეიქნა გაზეთის პოლიტიკური ფიზიონომიის შეცვლა. 1898 წლის დასაწყისიდანვე მასში ვეღარ ვხვდებით პ. სურგულაძის (იგივე „პ.ს-ძის“, „X“-ის) ხელმოწერით დაბეჭდილ მასალებს. იგი ტოვებს თუ ატოვებინებენ ამ პერიოდულ გამოცემას, რის შემდეგაც მის ნაწერებს ეხვდებით გაზეთ „ივერიის“ და სხვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

პ. სურგულაძის თქმით, გურიის მშრომელი მოსახლეობა ყოველგვარ პიროვნულ ღირსებაშელახული იყო. მათ მიმართ შეუზღუდავად მოქმედებდნენ მაზრის უფროსი, ბოქაული თუ მამასახლისი... ხოლო მათი ქმედებები კანონიერი იყო თუ არა, ამას არავინ კითხულობდა. მაგრამ პუბლიცისტს სჯეროდა, რომ მიმდინარე პროცესები იმის მომასწავებელი იყო, რომ „ძველი ირყეოდა და სუსტდებოდა, ფრთაშესხმული ახალი კი წინ მიდიოდა“, ანუ დგებოდა „დრო, როცა საზოგადოებრივი წინააღმდეგობა, ახალი წყობილების, ახალი კულტურის წინასწარმეტყველი შეიქმნებოდა...“[16].

გარდა გურიის ამბებისა, პ. სურგულაძე „ივერიის“ მკითხველებს ესაუბრებოდა პიროვნების უფლების დაცვის, თბილისის ქალაქის საბჭოს საქმიანობის, უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართლის სოფლების, ცენზურის სისასტიკის, თბილისში მოქმედ სასულიერო პირთა ხულიგნური ორგანიზაციის თავაშვებულობაზე, რომლის სათავეში ქართველთმოძულე მღვდელი გოროდცევი იდგა და ა.შ.[17].

* * *

ჟურნალისტური საქმიანობის პარალელურად პ. სურგულაძე საზოგადოების ყურადღებას იქცევდა თავისი მამულიშვილური გულშემატკივრული გამოსვლებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომებზე,

---

[16] გაზ. „ივერია“, 1905 წლის 25 მარტი

[17] გაზ. „ივერია“ №№178, 179, 182, 205, 206, 211 და ა.შ. 1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერი

მასწავლებელთა ნლიურ კრებებზე და სხვ. თუ საქმე ეროვნული ინტერესების შელახვას ეხებოდა, მაშინ მისთვის ხელშეუხებელი ავტორიტეტები არ არსებობდნენ... ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტია დაფიქსირებული საქართველოს არქივსაცავების, მუზეუმების ფონდებში დაცულ მასალებსა და იმდროინდელი პრესის ფურცლებზე.

მაგალითად, პ. სურგულაძე გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნებულ ნერილში „ვინ გაშავდა", ეხებოდა რა სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხს, დაუნდობლად აკრიტიკებდა ქართველი ინტელიგენციის იმ ნარმომადგენლებს, რომლებიც ამ საჭირბოროტო საკითხზე საუბრისას ერთ სიტყვასაც არ ნარმოთქვამდნენ ქართულად... „არავისთვის საეჭვო არაა, რომ გარეშე ძალას, რამდენადაც ძლიერი უნდა იყოს იგი, არ შეუძლია ხალხის დამონება, გულში ჩაძრომა, ხელის ფათური თუ თვით ამ ხალხის ერთი ნაწილი თავის პირადი ინტერესების ძებნაში ამ გარეშე ძალას ხელს არ გაუწვდის და მის იარაღად არ იქცევა... ეს „სახელოვანი" ნაწილი საზოგადოებისა იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ მუდამ ცდილობს ხალხს დაუმალოს თავის მოქმედების ნამდვილი ფიზიონომია... ასეთი ხალხი ენის დაცვის ნმინდათა-ნმინდაობაზე ხმამაღლა გაჰყვირის, მაგრამ საქმით კი სულ საწინააღმდეგოდ იქცევიან"-[18]ო, დასძენდა იგი და თვალსაჩინოებისთვის კონკრეტულ ფაქტებს მოუხმობდა. კერძოდ, თბილისის სათავადაზნაურო სკოლაში ერთ სიტყვასაც ვერ გაიგონებთ ქართულად... ეს კიდევ არაფერი, — აღნიშნავდა იგი და განაგრძობდა: როცა ამ კრებაზე ქართულად საუბარი დავაპირე, ერთი ცნობილი ექიმი და მასთან ერთად მთელი საზოგადოება ყელში მწვდა: „რუსულად, რუსულადო!" ესაა „ერის სიყვარული", ეროვნული „ინტერესების" დაცვა?" კითხულობს პ. სურგულაძე და პასუხს არ ელოდება და მეორე მაგალითი მოჰყავს: „როცა ერთმა ცნობილმა პირმა განაცხადა: ვეძებთ, ვეძებთ და მთელს საქართველოში მოსამზადებლის კლასისთვის მასწავლებელი ვერ ვიშოვეთო", მთელი კრებული პირდაღებული შესცქეროდა". მერე იცით ვისგან შესდგებოდა ეს კრებული? იმ პირებისგან, რომელნიც ამბობენ: ჩვენს ხალხს ავტონომია უნდა მოვუპოვოთო... ბრძენო ხალხო! როგორ ვერ ამჩნევთ თქვენს ულოგიკობას! მოსამზადებელ კლასისათვის თუ მასწავლებელს ვერ პოულობთ, როგორღა გსურთ მთელის ხალხის მართვა-გამგეობას გაუძღვეთ?!" წერილს კი დაუნდობელი

---

[18] გაზ. „ივერია", 1905 ნლის 13 ივლისი

ირონიით აღსავსე სიტყვებით ამთავრებს: „ოი, სირცხვილო! ერთი ამათს ეზოშიაც ჩამოიარე, ეგების შენი არსებობა გაახსენდეთ"-ო[19].

აღსანიშნავია, რომ პ. სურგულაძეს რევოლუციის წლებში შესაძლებლობა მისცემია პეტერბურგში ჩასულიყო და იქ მოღვაწე ქართველ მამულიშვილებთან არაერთ საკითხზე ჰქონოდა აზრთა გაზიარება. ამას მოწმობს პეტერბურგიდან ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოგზავნილი წერილი კიტა აბაშიძისადმი, რომელშიც ნათქვამია: პეტრე სურგულაძემ მითხრა, რომ ქართული რომანტიზმის შესახებ ლექციებს ვამზადებო.[20]

* * *

1908 წლის დასაწყისიდან პ. სურგულაძეს, როგორც საგანმანათლებლო საქმეებში კარგად ჩახედულსა და, ამასთან, კალმის მშვენიერ ოსტატს, ყოველთვიურ სამეცნიერო, პედაგოგიურ და სალიტერატურო ჟურნალ „განათლებაში" იწვევენ სათანამშრომლოდ. ამის თაობაზე, რედაქტორ-გამომცემელი ლუარსაბ ბოცვაძე ხაზგასმით აცნობებდა თავის ხელმომწერთ: „ჟურნალის სარედაქციო საქმეებში ახლო მონაწილეობას და თანამშრომლობას ენევიან **ალ. მდივანი** და **პეტრე სურგულაძე.** ჟურნალში თანამშრომლობა აღგვითქვეს: ი.ს. გოგებაშვილმა, პროფ. ალ. ხახანაშვილმა, პრივატ-დოცენტმა ივანე ჯავახიშვილმა, ლაბორანტმა ალ. ჯავახიშვილმა, იასონ მოსეშვილმა, ილია ალხაზიშვილმა, ექიმმა ალ. ბალარჯიშვილმა, ვახტანგ ღამბაშიძემ, ვას. ჯაფარიძემ, ივანე გომელაურმა, ალ. მიქაბერიძემ, გ. ნათაძემ, ს. იაშვილმა, ს. გულისაშვილმა, ნ. ლორთქიფანიძემ, ქ-მა ეკ. გაბაშვილისამ, ნინო ნაკაშიძემ, ანასტასია ერისთავი-ხოშტარიამ, ვაჟა-ფშაველამ, შიო არაგვისპირებლმა, დუტუ მეგრელმა, სოფრ. მგალობლიშვილმა, გ. ყიფშიძემ, Baton-მა (მიხ. წერეთელმა – გ.ს.); სტუდენტებში სამსონ დადიანმა, ს. ცომაიამ, გ. ჟორდანიამ და სხვებმა[21].

მართლაც რომ შთამბეჭდავია ჟურნალის მომავალ თანამშრომელთა სია და მის სათავეში, ალ. მდივანთან ერთად, პ. სურგულაძის საგანგებოდ დასახელება.

---

[19] გაზ. „ივერია", 1905 წლის 13 ივლისი

[20] ალმანახი „ქართული უნივერსიტეტი" თბ., 2000, №1, გვ. 16

[21] ჟ. „განათლება" №1, 1908 წლის თებერვალი, გვ. 2

„განათლების“ პირველსავე ნომერში, „შინაური მიმოხილვის“ განყოფილებაში დაბეჭდილია წერილი — „ილია ჭავჭავაძის ფონდი“, რომელშიც პ. სურგულაძე თავის პოზიციას გამოხატავს „ერის მამის“ ტრაგიკულ აღსასრულთან დაკავშირებით: „ჩვენს უბედურ ცხოვრებაში ძნელად თუ ოდესმე მომხდარიყოს ისეთი ტრაღიკული, შემაძრწუნებელი და შემარცხვენელი ამბავი, როგორიც თავს დაგვატყდა 30 აგვისტოს. ვერაგულად გამოასალმეს წუთისოფელს ის მოხუცი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე, ნიჭი და ძალა თავის ერს შესწირა...“[22].

პუბლიცისტი მოურიდებლად ააშკარავებდა იმ ვითარებას, რომელიც იმჟამად საქართველოში იყო შექმნილი და იმ ძალას, ვინც ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა ჩვენი ერი...

„ასი წლის განმავლობაში დავკარგეთ დამოუკიდებლობა. მასთანვე ნახევარი საქართველო დაცარიელდა, რადგან გამაჰმადიანებული ქართველობა უმეტესად ოსმალეთს გადაიხვეწა და თავისი მამა-პაპეული მიწა-წყალი ნაოხრათ დასტოვა; დესპოტურმა რეჟიმმა ხალხი დაამონავა, გარყვნა, შებოჭა მისი თავისუფლება, შეაჩერა ნორმალური ზრდა, სდევნა ყოველი თავისუფლების გამომჟღავნება... ამას მოჰყვა ჩვენი საოცარი კულტურული დაქუცმაცება. ერი, რომლის საბუთი მისი კულტურის სიძლიერის საბუთს იძლეოდა დამარცხდა, შესუსტდა და დღეს მისი არსებობაც კი მეტად საშიშ მდგომარეობაშია...“. ამიტომ, ავტორის აზრით, საჭირო იყო ერის კულტურული აღორძინება, რისთვისაც ყველა კლასისა და წოდების წარმომადგენელს ერთობლივი ძალისხმევა უნდა გამოეჩინა. ამ საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო „ყოველ ქართველს, რომელსაც თავის ქართველობა არ რცხვენოდა“ იქვე პ. სურგულაძე იმედს გამოთქვამდა, რომ „ქართველობა ხელიდან არ გაუშვებდა თავის კულტურის დროშას, გაუძლებდა ყოველ განსაცდელს და ნიადაგს მოუმზადებდა ერის კულტურულ აღყვავებას“ მაგრამ ეს არ მოხდებოდა მხოლოდ სურვილებით. საჭირო იყო შესაფერი ზომების მიღება, უპირველეს ყოვლისა კი, საკუთარი თავის დაცვაზე უნდა გვეზრუნა... „ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავიხსომოთ, რომ ჩვენი საქმის გაკეთებაში არავისი იმედი არ უნდა გვქონდეს; სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება მეტისმეტად ანგარიშზეა აგებული. ამიტომ ვინმე სხვისთვის თავს არ გადადებს. მითუმეტეს ნათლად უნდა გვესმოდეს დღევანდელი რეჟიმის (გულისხმობს რუსეთის ხელისუფლებას – გ.ს.) მის-

---

[22] იქვეე. „განათლება“ №1, გვ. 125

წრაფებანი... დღეს ჩვენს ხელთ არ არის არცერთი სახელმწიფოებრივი დაწესებულება. ამიტომ, სადაც კი ხმა და ხელი მიგვიწვდება განვაცხადოთ პროტესტი, განვაცხადოთ ჩვენი სამართლიანი მისწრაფებანი, რათა ჩვენი მოწინააღმდეგენი მეტისმეტად თავს არ გავიდნენ და კისერზე არ დაგვასხდნენ...“[23].

ამ საქმეში მეტი აქტიურობის გამოჩენა მართებდა ეროვნულ ინტელიგენციას... „ასის წლის განმავლობაში გარუსების პოლიტიკამ, ყოველივე ეროვნულის დევნამ, მიგვიყვანა იქამდე, როცა ინტელიგენციასა და ხალხს შორის გონებრივი ძაფი გაწყდა... ნიჭი ეროვნული განძია, მთელი ხალხის განძი და როცა ეს ნიჭი ვერ ნიჭობს, მაშინ ეროვნული განძი იფლანგება, ეროვნული გონებრივი ძალა უაზროთ იღუპება... მოვალე ვართ ყველანი, მთელი ქართველობა, ისეთი გარემოება შევქმნათ, რომ ვინც ნიჭიერია, დავეხმაროთ თავისი ნიჭის გამოვლენაში... სწორედ ამ საქმის განხორციელებაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეეძლო ილია ჭავჭავაძის ახლადდაარსებულ ფონდს, რომელიც გამიზნული იყო ნიჭიერი მამულიშვილების მატერიალური დახმარებისათვის“[24].

ჟურნალის სპეციფიკიდან გამომდინარე, პ. სურგულაძე ფართოდ მიმოიხილავდა სწავლა-აღზრდის სფეროში არსებულ ვითარებას. მისი აზრით, სკოლები გონებრივი წვრთნის ყაზარმებად იყო ქცეული; რომ ასი წლის განმავლობაში ჩვენში არსებული სკოლები ერთ მიზანს – ხალხის გარუსებას ემსახურებოდნენ; რომ ჩვენში აბსოლუტური პოლიტიკური რეჟიმის გამო, სახელმწიფოს სურვილების განხორციელება მინდობილი ჰქონდათ მოხელეებს, რომელთაც გარდა თავისი პირადი ინტერესებისა, ქვეყანაზე სხვა არაფერი სწამდათ; ამიტომაც გარუსების პოლიტიკის სისასტიკე ჩვენში აუტანელი იყო... ასეთ მოხელეებს არამც თუ ჩვენი კულტურა და ენა ეზიზღებოდათ, არამედ ჩვენ ფიზიონომიასაც გულდამშვიდებით ვერ უყურებდნენ... „ზიზღი და დაჯაბვნა, ეროვნული გრძნობების შელახვა იყო არსებული რეჟიმის მიზანი და ამ საქმეში სახელმწიფო სკოლების მაქსიმალური გამოყენება... ასეთივე ვითარება იყო სასულიერო სემინარიაშიც, რომელსაც უძველესი ივერიის ეკლესიისათვის მღვდლები უნდა მოემზადებინა. აქ ქართული ენის სწავლებისათვის სულ ორიოდე საათი ჰქონდათ დათმობილი და იმასაც რუსულად ასწავლიდნენო,“ — დაასკვნის ავტორი და

---

[23] ჟ. „განათლება“ №1, გვ. 128-129

[24] იქვე, გვ. 132

მეტი დამაჯერებლობისათვის ვრცელი ამონანერი მოაქვს მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათიდან: „სახალხო სკოლის მოწყობა კავკასიაში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ. სასწავლო ენად დაწყებით სკოლებში რუსული იხმარება, რომელიც მონაფეებს სრულებით არ ესმით... სახალხო სკოლა მოწაფეებს არ აძლევს არც რუსული ენის შესაფერის ცოდნას, არც სამშობლო ენაზე წერა-კითხვის ცოდნას..“ და ა.შ.[25].

რუსი მოხელის მოხსენებითი ბარათიდან გაკეთებულ ამ ამონარიდს პ. სურგულაძის ასეთი კომენტარი ერთვის: „ახირებულია, თქვენმა მზემ, ხალხს კულტურული განვითარების გზას თავად უხშობენ და მერე აღსარებას ამბობენ: თუმცა მიზანს ვერ მივაღწევთ, მაგრამ თქვენ მაინც შესაფერად განვალებთო.“

„განათლებაში“ დასტამბული პ. სურგულაძის პუბლიცისტური მასალები თემატურადაც და შინაარსობრივადაც მრავალფეროვანია. ისინი ქართველი ხალხის არაერთ საჭირბოროტო საკითხს ეხება. მაგალითად, იგი ჟურნალის გაერთიანებულ მესამე და მეოთხე ნომერში ქართველი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს ქართველი მაჰმადიანების მესხეთ-ჯავახეთიდან გასახლების საკითხს და იმ რეალობას წარმოაჩენს, თუ როგორ დაეუფლენ ქართულ მინა-ნყალს რუსების საარაკო ხელშეწყობით ოსმალეთის ვილაიეთებიდან გადმოსახლებული სომხები... რომ „ჩვენისთანა სუსტი ერისათვის ასეთი მოვლენა მეტად შემაძრწუნებელი და დამაფიქრებული იყო.“ ამიტომ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა სარწმუნოების საკითხის პროპაგანდას, ვინაიდან „სარწმუნოებრივი ფანატიზმი მდაბიო ხალხში ისევე ძლიერი იყო და ეროვნება და სარწმუნოება ჯერ კიდევ ვერ გაერჩიათ...“[26].

ჟურნალის მომდევნო ნომრის „საშინაო მიმოხილვაში“ პ. სურგულაძე მამულიშვილური გულშემატკივრობით ეხმაურება ფერეიდანში მცხოვრები ქართველების საჭიროებებს, რომლებიც სამშობლოს ძალით მოწყვეტილ თანამოძმეთა მიერ გამოგზავნილ წერილებში იყო გამოთქმული... „ჩვენ ყველანი ვალდებულნი ვართ ხელი გავუწოდოთ სპარსეთში მცხოვრებ ქართველობას,“ — წერდა იგი. — „ისინი ათასგვარი ტანჯვა-ვაების მიუხედავად სამასი წლის განმავლობაში მაინც ინარჩუნებენ სამშობლო ენას და ქართულ ზნე-ჩვეულებებს...; რომ ფერეიდანში

---

[25] ჟ. „განათლება“ №1, გვ. 136

[26] იქვე, 3-4, 1908 წლის მარტი, გვ. 128

მცხოვრები 40.00-ზე მეტი ქართველისათვის დახმარების ხელის განოდება იყო საჭირო და აუცილებელი. სპარსეთის ქართველები გარეშენი არ არიან, ისინი ჩვენი ღვიძლი ძმებია და ვინაიდან მათი დღევანდელი ცხოვრება განათლების მხრივ ფრიად უნუგეშოა, დახმარება აღმოვუჩინოთ მათ ამ საქმეში. დღეს ფერეიდნის ქართველობას ჩვენი დიდი იმედი აქვთ და მოუთმენლად მოელიან სკოლას, რაშიც ჩვენგან მოელიან დახმარებას და ჩვენც საქმით უნდა დავუმტკიცოთ მათ ჩვენი თანადგომა, თუნდ ერთი სკოლის გამართვით მაინც ფერეიდანში... დიახ, ეს საზოგადოთ ყველა ჩვენთაგანის ზნეობრივი მოვალეობაა და ღალატად უნდა ჩაეთვალოს ყველას ვინც ამ ცოცხალ საქმეს რეალურ მიმართულებას არ მისცემს და მის განხორციელებას საქმით არ შეუწყობს ხელსო",[27] — დაასკვნიდა პ. სურგულაძე.

* * *

ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე „განათლების" მუდმივი თანამშრომელი გახდებოდა, პ. სურგულაძე, როგორც ილიას მიერ დასახული გზის მიმდევარი, თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა იმ უმნიშვნელოვანესი ფენომენის მიმართ, როგორიც მშობლიური ენაა ყველა ადამიანის ცხოვრებაში. ვალ. გუნიას „საქართველოს კალენდარში" დასტამბული სტატია „ენა და ერი" „კვალის" მიმომხილველის მაღალ შეფასებას იმსახურებდა. მიმომხილველის აზრით, 1905 წლის „საქართველოს კალენდარში" დაბეჭდილ „ყველა წერილებში სასიამოვნოთ განირჩევა „ენა და ერი", რომელიც სერიოზული შრომაა და კარგადაც აყენებს კითხვას"[28].

ასეთი შეფასებით გამხნევებული პ. სურგულაძე უფრო ჩაღრმავებია თემას, სათანადო დამატებები და შესწორებები შეუტანია ხსენებულ ნაშრომში და შეცვლილი სათაურით, იმავე წელს, ცალკე ბროშურის სახით მიუნოდებია ფართო მკითხველისათვის[29].

ნაშრომის შესავალში პ. სურგულაძე ყურადღებას ამახვილებს სამშობლო ენის მნიშვნელობის გარკვევაზე. მან კარგად იცოდა, რომ ეს მეტად რთული საქმე იყო და გადამწყვეტი სიტ-

---

[27] ჟ. „განათლება" №5-6, გვ. 127-128

[28] გაზ. „კვალი", 1904 წლის 1 თებერვალი.

[29] პეტრე სურგულაძე. ეროვნული ენა. ტფ. 1905, გვ.3

ყვის თქმის პრეტენზიასაც არ აცხადებდა, მაგრამ გულნრფელად კი აღნიშნავდა: რამდენადაც ღონე შეგვწევს, პასუხს გავცემთ ისეთ კითხვებზე, როგორებიცაა: რა მნიშვნელობა აქვს ენას, ერის კულტურულ ცხოვრებაში? როგორ უნდა ვუყუროთ სამშობლო ენას? რა ზომებია საჭირო მის დასაცავად და გასაძლიერებლად?

პ სურგულაძის აზრით, ზემოხსენებულ კითხვებზე დასაბუთებული პასუხის გაცემისთვის საჭირო იყო იმაში გარკვევა. თუ რა არის საზოგადოდ ენა და რა კავშირი აქვს მას ადამიანის სულიერ არსებობასთან. ჩვენს სინამდვილეში ეს კიდევ უფრო რთულდებოდა იმითაც, რომ ქართულ ენაზე იმ დროისთვის იაკობ გოგებაშვილის წიგნის „ბურჯი ეროვნებისა" და რამდენიმე წერილის გარდა სხვა ლიტერატურა არ მოიპოვებოდა.

ავტორი ცდილობს ცნობილ მეცნიერთა – შელინგის, ვუნდტის, მილიოკოვის, მინჩონის, რიხარდ ბეკის, ვირხოვის. ანტ. ლაბრიოლას, კარლ კაუცკის, კარნაცა ამარის, ალ. როზენშტეინის და სხვათა მოსაზრებებზე დაყრდნობით ქართველ მკითხველს გააგებინოს, რომ „ენა არის ადამიანთა შინაგანი ფსიქოლოგური მდგომარეობის გარეგანი ნიშნებით გამოხატვა"; რომ „ენა არის ის კულტურული ძაფი, რომელიც გაბმულია ურიცხვ თაობათა შორის, და რომელიც შეუწყვეტლივ გვაწვდენს წინა თაობების ნამუშევარს" და ა.შ.[30].

პ. სურგულაძის განმარტებით, თუმცა ხდებოდა ისედაც, რომ ენის ბუნებრივი განვითარების პროცესს სახელმწიფო ზღუდავდა, მით უმეტეს მაშინ, თუ ეს სახელმწიფო მრავალენოვანი იყო... ხელისუფლების სათავეში მყოფი მრავალრიცხოვანი ერის წარმომადგენლები გამუდმებით ცდილობდნენ ყოველი სხვა ერი თავიანთ ეროვნებაში გაეთქვიფათ. ამგვარად დაჩაგრული ერები თავგამოდებით იბრძოდნენ თავიანთი ნორმალური განვითარების დასაცავად. აქაც ბრძოლის უმთავრესი საგანი ენაა. ორივე მხარეს კარგად ესმის, რომ ერი ენას თუ დაკარგავს, ამით უარყოფს თავის კულტურულ ინტერესს და გაბატონებულ ერს შეუერთდება, მოხდება მისი სრული დენაციონალიზაცია..."[31].

მართალია, ავტორი რუსეთის ცარისტულ ხელისუფლებას პირდაპირ არ ასახელებდა, მაგრამ აშკარაა ვის გულისხმობდა.

---

[30] პეტრე სურგულაძე. ეროვნული ენა, ტფ., 1905, გვ 3-4

[31] იქვე, გვ. 43

პ. სურგულაძე, როგორც პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგი, იზიარებდა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მშობლიური ენა ყველა ბავშვს, პირველ ყოვლისა, ოჯახში უნდა შეესწავლა; რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა პატარისათვის ორი ენის ერთდროულად სწავლება, ვინაიდან ეს გამოიწვევდა პიროვნების გონებრივ დაძაბუნებას და მისი შემოქმედებითი ძალების შესუსტებას; რომ ვინც ბავშვს ორ ენაზე ატიტინებს, ის დედის ძუძუსთან ერთად შეასისხლხორცებინებს მას გონებრივ სიჩლუნგეს და ა.შ. მისი აზრით, არათუ სკოლამდელ, არამედ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებშიც სწავლების საფუძველი მხოლოდ მშობლიური ენა უნდა ყოფილიყო. პ. სურგულაძეს მიაჩნდა, რომ ენის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო სიტყვისა და პრესის თავისუფლება, ვინაიდან სადაც პრესა თავისუფალია, იქ აზრი აზრს ხვდება და გულახდილი ბრძოლა იმართება... ამიტომ აზრები არ იმალება... კულტურულ ქვეყნებში პრესის თავისუფლება ისეთივე აუცილებელი მოთხოვნილებაა, როგორც ჰაერი. ეროვნული პრესისა და ლიტერატურის განვითარებასთან უშუალო კავშირშია ეროვნული ენის განვითარება... რომ ლიტერატურული ენა, როგორც უფრო უნაკლულო და შემუშავებული, ხდება მთელი ერის საერთო ენა... ლიტერატურა აბამს ერთიანობის ქსელს ერის წევრთა შორის, ამიტომაც იგი ერის გაერთიანების უძლიერესი იარაღია...

ამავე ნაშრომში პ. სურგულაძე გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას ავტონომიის საკითხთან დაკავშირებით: „გაბატონებული ერის მთავრობას უნდა ჩამოერთვას ერის კულტურული საქმეების გაძღოლა და იგი სავსებით დაჩაგრულ ერს გადაეცეს, ანუ კულტურის საქმეებში ყოველ ერს სრული ავტონომია უნდა ჰქონდეს... კულტურული ავტონომიის მოპოვება ყოველი ერისათვის ნიშნავს მისი განვითარების ნორმალური პირობების შექმნას... ასეთ პირობებში კი დედა ენაც მთელი თავისი სიძლიერით განვითარდება...“

ასეთია ძირითადი მოსაზრებანი, რომლებიც პ. სურგულაძის ხსენებულ ნაშრომში გვხვდება.

იმავე ხანებში პ. სურგულაძე ახალ ნარკვევს ბეჭდავს, რომლის სათაურია „დაწყებითი განათლება“. მასში ხაზგასმითაა მითითებული, რომ „დაწყებითი განათლება დამყარებული უნდა იყოს ეროვნულ ნიადაგზე. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ეგოიზმისა და შოვინიზმის დანერგვას ვუწყობთ ხელს. არა! ჩვენ ამით ვაღიარებთ მართალ პედაგოგიურ პრინციპს. შეუძლებელია გონი-

ერი სნავლება, გონიერი აღზრდა, თუ მას საფუძვლად არ უდევს სამშობლო ენა და მშობლიური კულტურა... სკოლა უნდა იყოს თავისუფალი განვითარების ტაძარი... ამიტომ ჩვენი მიზანი უნდა იყოს მოვუპოვოთ სკოლას ნორმალური, კანონიერი ხასიათი და დავამკვიდროთ მასში ეროვნული, სამშობლო ენა...“[32].

მშობლიური ენის დაცვის, განვითარების და სასკოლო განათლების შესახებ მართებული და პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი აზრების საჯაროდ გამოთქმამ დიდი აღიარება მოუპოვა ახალგაზრდა მოღვაწეს და იგი ერისათვის მოამაგე მამულიშვილთა წინა რიგებში ჩააყენა.

* * *

ამ დროისათვის პ. სურგულაძე უკვე გადაჭრით დგება ეროვნულ-დემოკრატთა პოზიციაზე და ძალ-ღონის დაუშურებლად თავისი წვლილი შეაქვს ყველა იმ საქმეში, რითაც მაშინ ამ მიმართულების სხვა მიმდევრები იყვნენ დაკავებულნი.

ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მკვლელობამ, მიხ წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თვალი აუხილათ“ სამშობლოს ბედზე მოფიქრალ მამულიშვილებს და მათი გონება გამოსავალი გზების საძიებლად მომართა. პირველ რიგში საჭირო იყო, გამძვინვარებული რეაქციის პირობებში ქართველი ხალხი აპათიასა და უიმედობაში არ ჩავარდნილიყო და ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებისათვის ზურგი არ შეექცია; ავტონომიის მოპოვებისათვის დაწყებული ბრძოლა დღის წესრიგიდან არ მოეხსნა... უარი არ ეთქვა სამომავლო მიზანზე; ... რომ საქართველო არ შერიგებია და არც შეურიგდება ვერაგულად დამყარებულს რუსეთის ბატონობას. (გ.გვაზავა)[33].

კალ. სალიას თქმით, იმავე ხანებში თბილისში დაუარსებიათ „სეპარატისტთა ნახევრად საიდუმლო ჯგუფი“, რომლის შემადგენლობაშიც გაერთიანებულან – იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ვალერიან გუნია, სვიმონ ყიფიანი, მიხაკო წერეთელი, პეტრე სურგულაძე, გიორგი გვაზავა, ფილიპე გოგიჩაიშვილი და სხვები, რომელთაც უპირველეს მიზნად ეროვნული მიმარ-

---

[32] პეტრე სურგულაძე. დაწყებითი განათლება. ტფ., 1905, გვ. 44

[33] გ. გვაზავა. საქართველო და ეროვნულ-დემოკრატული პარტია. პარიზი, 1928; აგრეთვე გაზ. „კომუნისტი“ 1989 წლის 16 სექტემბერი.

თულების ორგანოს გამოცემა დაუსახავთ. რედაქტორობა კი პეტრე სურგულაძისთვის მიუნდვიათ[34].

1909 წლის დასაწყისში თბილისის სათავადაზნაურო კერძო გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელი პ. სურგულაძე თავის განცხადებაში თბილისის გენერალ-გუბერნატორს ნებართვას სთხოვს ყოველკვირეული, ილუსტრირებული, საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო-ისტორიული ჟურნალის გამოცემაზე. იქვე მითითებული იყო ისიც, თუ რა პროგრამით გამოვიდოდა იგი. ეს იქნებოდა: 1. საზოგადოებრივი, ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვა; 2. ფელეტონები დღის საჭირბოროტო თემებზე; 3. ყოველკვირეული ფაქტებისა და მოვლენების ქრონიკა; 4. ლექსები, მოთხრობები, სცენები, პიესები; 5. ისტორია, მოგონებები, მემუარები; 6. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია; 7. ხელოვნება, თეატრი, მუსიკა; 8. წერილები და კორესპონდენციები; 9. სასარგებლო ცნობები ცოდნისა და მეცნიერების ყველა სფეროდან; 10. განცხადებები.

იმავე წლის 17 მარტს პ. სურგულაძის თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. იქვე დამტკიცებული იყო წარდგენილი პროგრამაც და ჟურნალის სახელწოდებაც. სარედაქციო-საორგანიზაციო საკითხების მოგვარებისა (სტამბის შერჩევა და სხვ.) და ჟურნალში სათანამშრომლოდ პიროვნებების შერჩევის შემდეგ, შესაძლებელი გახდა 1909 წლის 13 სექტემბერს ქართველ მკითხველს ჟურნალ „ერის" პირველი ნომერი მიეღო. მართალია, რედაქციას მუდმივი ადგილსამყოფელი არ ჰქონდა, მაგრამ შეკრებებს მაინც ახერხებდნენ და დიდი გულმოდგინებით არჩევდნენ ყოველ ნომერში გასაშვებ მასალებს. აღსანიშნავია, რომ რედაქტორ პ. სურგულაძეს სარედაქციო საქმეების გაძღოლაში მხარში ედგა ახალგაზრდა მწერალი და პუბლიცისტი მიხ. ადამაშვილი (მიხ. ჯავახიშვილი), ხოლო საორგანიზაციო საქმეების მოგვარება მინდობილი ჰქონდა ასევე ახალგაზრდა პოეტს, იოსებ გრიშაშვილს[35].

მისი დამსახურების შესახებ მოგვიანებით მიხ. წერეთელი აღნიშნავდა: „იგი რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ჟურნალი მხოლოდ რამდენიმე დღე თუ იბოგინებდა... სოსო იყო მისი ტექნიკური

---

[34] ე. „ბედი ქართლისა" (პარიზი), №39-40, 1962, გვ. 73

[35] ოთ. ჯანელიძე. ჟურნალ „ერის" ისტორიისთვის. სამეცნ. შრომების კრებული. II, თბ., 1999, გვ. 170

გამკეთებელი; წაიღებდა, ააწყობდა, დაბეჭდავდა, გაავრცელებდა"[36].

ზემოთ ჩამოთვლილ „სეპარატისტთა ჯგუფის" წევრებთან ერთად, ჟურნალში თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადეს: აკაკიმ, ალ. ფრონელმა, კიტა აბაშიძემ, ს. შანშიაშვილმა, ბაჩანამ (ნიკო რაზიკაშვილმა), ნ. ლორთქიფანიძემ, გრ. რობაქიძემ, ივ. ჯავახიშვილმა, ია ეკალაძემ (ცინცაძემ), ვალ. შალიკაშვილმა, რ. გაბაშვილმა, ზ. ედილმა (ედილაშვილმა), ია კარგარეთელმა, ვახტ. ღამბაშიძემ, ივ. ბუქურაულმა, ს. მგალობლიშვილმა. შ. ამირეჯიბმა, მარიამ გარიყულმა (თათიკიშვილმა), იპ. ვართაგავამ, ლ. მეტრეველმა, ნ. შიუკაშვილმა და სხვებმა.

ჟურნალის პირველი ნომრის სარედაქციო წერილში ფართოდ იყო განმარტებული საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. უპირველეს ყოვლისა, ეს იქნებოდა ბრძოლა იმ უხეში ძალის წინააღმდეგ, რომელიც ასი წლის განმავლობაში სრესდა და ქელავდა პატარა საქართველოს, მის ისტორიას და კულტურას; გამუდმებით ცდილობდა ქართველ ხალხში ეროვნული სულის ჩაკვლას. ეს ძალა რუსეთი იყო... და „რამდენადაც ეს გაბატონებული ძალა უკულტურო და უხეშია, იმდენად მისი ბატონობა გამანადგურებელი, დამცემი და შემავიწროებელია დაჩაგრულთათვის," — აღნიშნული იყო სარედაქციო წერილში. შემდეგ კი მუხლობრივად იყო ჩამოთვლილი ის საკითხები, რომლებზედაც სამომავლოდ იქნებოდა ყურადღება გამახვილებული. კერძოდ, ეს იქნებოდა:

1. ჩვენი ეკონომიური დაცემის სისტემის მავნებლობისა და აუტანლობის გამოაშკარავება;

2. ეკონომიკური და სულიერი კულტურის დაცვა. ვინაიდან რუსეთის მოძალადე ხელისუფლება მთელი ასი წელიწადი იმის ცდაში იყო, რათა ქართველი ხალხი მოეწყვიტა თავის წარსულისათვის და თანდათანობით მიეღწია მისი გადაგვარებისათვის;

3. რედაქცია თავის უპირველეს ამოცანად სახავდა ყურადღების ცენტრში ჰქონოდა სარწმუნოების საკითხი. „ქრისტიანობის გაჩენიდანვე ქართველ ხალხს ერთ ხელში ჯვარი ეჭირა, ხოლო მეორეში ხმალი და განუწყვეტლივის ბრძოლით იცავდა თავის არსებობას და მასთან ერთად თავის გამამხნევებელ და აღმაფრთოვანებელ სარწმუნოებას"; მაგრამ „რუსეთის წყალო-

---

[36] ოთ. ჯანელიძე. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 1917-1923ნ.ნ. სადოქტორო დისერტაცია.თბ., 1999. (ხელნაწერის უფლებით), გვ 91

ბით ხალხს მოესპო საშუალება მამა-პაპათა ჩვეულებრისამებრ ლოცვისა...". ამიტომ რედაქცია მკითხველებს ჰპირდებოდა, რომ დაუშურებლად იზრუნებდა არა მარტო მართლმადიდებელ ქართველთა სულიერების განსამტკიცებლად, არამედ ძალით გამუსლიმანებულ თანამოძმეებთან კავშირების დასამყარებლადაც. „მას შემდეგ, რაც რუსმა საქართველოს ტერიტორიაზე ფეხი შემოდგა, ნახევარი საქართველო დაცარიელდა. ამიტომ ქართველმა ერმა უნდა იცოდეს იმ გამანადგურებელი შედეგების შესახებ, რასაც სამშობლოდან ამ აურაცხელი ხალხის აბარგებას მოჰყვა...". ამის გათვალისწინებით, რედაქცია თავის მოვალეობად მიიჩნევდა მაჰმადიან მოძმეთა შორის მეტი ინტენსიურობით მუშაობას, რათა „მათ თავიანთ ქრისტიან ძმებთან ერთად გაეწიათ გაჭირვების ჭაპანი, რომელიც ჩვენთვისაც არანაკლებ სამძიმო იყო ვიდრე მათთვის..."[37].

4. რედაქციას კარგად ესმოდა, რომ ქართული მიწა-წყლისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლა საშვილიშვილო საქმეს წარმოადგენდა. სხვა პირველხარისხოვან საკითხთა შორის, ჟურნალის ძალისხმევა სწორედ მის დაცვაზე იქნებოდა აქცენტირებული. პირველ რიგში, ჟურნალი ქართველი თავადაზნაურობის იმ წარმომადგენლებს ამხელდა, რომლებიც ჩალის ფასად ყიდდნენ, ან დაუფიქრებლად ეწეოდნენ ადგილ-მამულების დაგირავება-გასხვისებას სხვა ტომელთა სასარგებლოდ (რუსების, სომხების, გერმანელების, ოსების და ა.შ.), ხოლო აღებულ თანხას ქეიფსა და დროსტარებაში ფლანგავდნენ. ასეთ ვაი-მამულიშვილთა მხილებას რედაქცია „ზნეობრივ მოვალეობად" მიიჩნევდა, რადგან სავსებით სწორად თვლიდა, რომ საქართველოს მომავალი არსებობისათვის მიწა — ეკონომიკურ, ხოლო ტერიტორია — პოლიტიკურ საფუძველს წარმოადგენდა. მათი დაკარგვა კი ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლას ყოველგვარ პერსპექტივას უსპობდა.

5. იქვე იმაზეც იყო მითითებული, რომ რედაქციის ყურადღების ცენტრში იქნებოდა მოქცეული „წვრილ მესაკუთრეთა მატერიალური წარმატება, ფეხზე დადგომა და შეკავშირება, მათი გონებრივი ზრდის საკითხები, ვინაიდან სადაც წარმოება განვითარებული არ არის ის ქვეყანა დაღუპულია..." ამის გათვალისწინებით, მუშებიც შეგნებით უნდა მიდგომოდნენ წარმოების განვითარების საქმეს და ძირი არ უნდა გამოეთხარათ მის-

[37] ჟ. „ერი" №1, 1909 წლის 13 სექტემბერი

თვის, რადგან ასეთი ქმედება მუშასაც დაღუპავდა და ქვეყანასაც...[38].

6. ჟურნალი თავისი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად სახავდა ქართული კულტურის, ლიტერატურისა და განათლების პრობლემების გაშუქებას. რუსეთის თვითმპყრობელური ხელისუფლების მიერ ქართული კულტურული მონაპოვრების ნგრევა ქართველი ერის, პირველ რიგში კი მისი მომავალი თაობის, გადაგვარებისკენ იყო მიმართული;

7. დასასრულს, ჟურნალის სარედაქციო წერილში ხაზგასმით იყო მითითებული იმაზეც, რომ ოფიციალური ხელისუფლების ნებართვით შექმნილი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები იმის მაგივრად, რომ საერთო საქმის წინ წასანევად გაერთიანებულიყვნენ, ერთმანეთთან კინკლაობაში კარგავდნენ დროს... ამის გამო „ჩვენი ერი მიმგვანებოდა იმ დაობლებულ ოჯახს, სადაც კერა ნახევრად ჩამქრალი იყო და ობლად დარჩენილი უსუსური ძმები უფრო ერთმანეთის კინკლაობაში ატარებდნენ დროს, ვიდრე შერყეული ოჯახის აღდგენასა და აღორძინების ცდაში"-ო[39], მწარე ირონიით შენიშნავდა ჟურნალი.

ამ მძიმე, მაგრამ რეალური სურათის დახატვის შემდეგ, რედაქცია თავის მკითხველებს სიმხნევის შენარჩუნებისაკენ მოუწოდებდა და თავის მხრივ პირობას დებდა, რომ პოზიტიურად, უფრო პრაქტიკულად, რეალური ვითარების შესაბამისად იმუშავებდა, რათა შეძლებისდაგვარად თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოეხადა ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

მოგვიანებით, მიხ. წერეთელი, ჟურნალ „ერისა" და მის ირგვლივ შემოკრებილი ჯგუფის საპროგრამო მიზანდასახულობაზე საუბრისას, აღნიშნავდა: მათ სურდათ არა მარტო დაცვა საქართველოს ღირსებისა და მის კანონიერ უფლებათა, რომელიც რუსეთის მიერ იყვნენ დათრგუნვილი, არამედ აღძვრა დამოუკიდებლობის საკითხისა და მისი პროპაგანდა ქართველ ერში. ლეგალური ჟურნალის საშუალებით უნდა გვემცნო საზოგადოებისათვის ეს აზრი ფრთხილად და მოხერხებულად[40].

---

[38] ჟ. „ერი" №1, 1909 წლის 13 სექტემბერი

[39] იქვე, გვ. 2

[40] ოთ. ჯანელიძე. სადოქტორო დისერტაცია... გვ. 92

მისსავე თქმით: ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე სურგულაძე, სიმონ ყიფიანი — იყვნენ ნამდვილნი წევრნი ჯგუფისა, რომელმაც იცოდა ყველა საიდუმლოება...[41].

ჟურნალის ნომრების შინაარსის უბრალო გაცნობაც კი გვარწმუნებს, რომ მიუხედავად დიდი სირთულეებისა, რედაქცია მაინც ახერხებდა ყველა ზემოთჩამოთვლილ პრობლემაზე ესაუბრა თავის მკითხველთან.

პირველ ნომერში დასტამბული მასალები კარგად მიანიშნებენ იმაზე, რომ რედაქციას ნამდვილად შესწევდა „ძალი ქადილისა" და მათი სიტყვა საქმიანი იქნებოდა. ის შვიდიოდე მასალა, რომელიც იქ იყო დაბეჭდილი, გამიზნული იყო მკითხველთა დაკვალიანების, მათი ყურადღების მობილიზებისა და საეროვნო საკითხებზე დაფიქრებისაკენ. ზემოთ განხილული სარედაქციო წერილის გვერდით იწყება ბეჭდვა სტატიისა „ერის უფლება", რომლის ავტორია „Baton"-ი (მიხ. წერეთელი); მას მოსდევს ვაჟა-ფშაველას ლექსი „სიმღერა", ილია ელეფთერიძის (ი ზურაბიშვილის) მოთხრობა „გაროზგვილი", იოსებ გრიშაშვილის ლექსი „სონეტი", ნიკო ლორთქიფანიძის „მინიატურები", ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევა „ქართული სამართლის ისტორია" (დასაწყისი) და პეტრე სურგულაძის „შინაური მიმოხილვა".

ჟურნალ „ერის" რედაქციის სათქმელი ყველაზე ნათლად მიხ. წერეთლის, ივ. ჯავახიშვილის და ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში ირეკლება. პირველი ორის მეცნიერული გამოკვლევების მხოლოდ დასაწყისია წარმოდგენილი და მათი ერთად მოთავსებაც არ იყო შემთხვევითი... ამასთან დაკავშირებით სრულებით ვიზიარებთ ისტორიკოს ოთარ ჯანელიძის მართებულ შენიშვნას: „პირველი ნომრიდანვე ჟურნალი იწყებს მიხ. წერეთლის „ერის უფლების" და ივანე ჯავახიშვილის „ქართული სამართლის ისტორიის" პუბლიკაციას, რედაქცია მკითხველს საშუალებას აძლევდა პარალელურად გაცნობოდა წარსულში საკუთარი სამშობლოს ხანგრძლივად სახელმწიფოებრივი არსებობის ამსახველ დოკუმენტურ გამოკვლევას... ეროვნული სამართლის ისტორიას და აწმყოში დამონებული, პატივაყრილი ერის უუფლებო მდგომარეობას. ჩანაფიქრი ასეთი იყო: ღირსეული წარსულის ფონზე უსახური აწმყოს წარმოჩენას ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნება უნდა გაემძაფრებინა, ხოლო ერის ისტორიულ უფლებათა გაცნობიერებას მათი მოპოვებისათვის ბრძოლის სულისკვეთება უნდა გაეღვიძებინა...". მისივე

---

[41] ოთ. ჯანელიძე. სადოქტორო დისერტაცია...

აზრით: „ასეთი ხასიათის პუბლიკაციების მნიშვნელობა უდავო იყო. ისინი მოწოდებულნი იყვნენ ანმყოსა და წარსულს შორის გაწყვეტილი მეხსიერების ძაფის აღსადგენად; საზოგადოებაში „საქართველოს ღირსეული და თავისუფალი ცხოვრების" ღრმა რწმენის ჩასანერგად; ფართოდ ფეხმოკიდებული კოსმოპოლიტური სოციალ-დემოკრატიული შეხედულებების საპირისპიროდ ეროვნული იდეალების დასამკვიდრებლად"...[42].

რაც შეეხება ვაჟა-ფშაველას ლექსს — „სიმღერა", მას საათაურის ქვეშ გაკეთებული აქვს მინაწერი: „ვუძღვნი ძმა-მეგობარს", საიდანაც დაკვირვებული მკითხველი ძალდაუტანებლად მიხვდება თუ ვის გულისხმობს პოეტი მოკავშირედ და მფარველად მოწვეულ „ფიცის გამტეხ" და „ორპირ ძმა-მეგობარში"... იგი გაუმაძღარი და დაუნდობელი რუსეთია.

აი, ის ლექსიც, რომლის მნიშვნელობაზე აქცენტების გაკეთება არც მეფის თვითმპყრობელობის დროს და არც კომუნისტური რეჟიმის წლებში არავის უცდია... დღეს შესაძლებლობა გვაქვს მთლიანად შევახსენოთ იგი მკითხველ საზოგადოებას, რათა თავად წაიკითხოს და თავისი გემოვნების შესაბამისად შეიმეცნოს და შეიტკბოს გენიოსის ნახელავი. გაიაზროს ისიც, თუ რამდენად თანადროულია ყოველ სტრიქონში ჩადებული აზრი:

„მოგენდო ისიც მაშინებს, —
და არ მოგენდო, ისიცა.
რაღა ვქნა, რით მოგიარო,
შენ, გამტეხელო ფიცისა?
უერთმანეთოდ არ ვვარგვართ,
ეს ქვამ და ხემაც იცისა.
ვფრთხილობ, ათასჯერ ნაწვნევი
შენის ხრიკის და ქლინძისა.
თქმულია: არ შაჰრჩენია
ცას ვალი დედამიწისა...

არც შენ შაგრჩება: გავიგე,
როგორი ძმაცა მყოლიხარ!
ნარსა ჰგლეჯ ჩემის ხელითა,
შენ კი გვერდზედა სწოლილხარ...
ვსპობ შენთან ძმობის კავშირსა,
ვითომ სულ არა მყოლიხარ!..

---

[42] ოთ. ჯანელიძე სადოქტორო დისერტაცია... გვ. 92

ტანით პერანგი გამხადე
და ფეხებიდან ქალმები.
მე თუ გულს მილბობ „ძმობითა“
ღმერთს საიდ დაემალები?..
ვინაც ჩვენგანი ორპირობს
ჰრისხავდეს ცათა ძალები!
ვაჰ, რომ არ მოვლენ მოწმადა
მამა-პაპათა ძვალები!

თორემ იტყოდნენ, შენს ხელში
რამდნად ვარ შესაბრალები.
ვინ მისცა თათრებს ფეშქაშად
ჩემი დროშა და ალმები?
დამიბრუნებს-ღა დანაკარგს
შენი ლაქუცი, სალმები?“[43]

ერთი კვირის თავზე მკითხველებმა ჟურნალის მორიგი ნომერი მიიღეს. მასში მიხ. წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ი. ელეფთერიძის, ივ. ჯავახიშვილის და ი. გრიშაშვილის ნაწარმოებებთან ერთად, ახალი ავტორებიც არიან წარმოდგენილნი, კერძოდ, ია ეკალაძისა და ი. მჭედლიშვილის სახით. იქვე ყურადღებას იქცევს ხელმოუწერელი სარედაქციო წერილი — „საერთო ხელშეკრულება გლეხებსა და მემამულეებს შორის“, რომელიც ჟურნალის რედაქტორს პ. სურგულაძეს უნდა ეკუთვნოდეს.

დღიდან დაარსებისა ჟურნალი „ერი“ სათანადო ყურადღებას უთმობდა ქართული თეატრის საკითხებს. საგანგებო წერილებს, მათ შორის სარედაქციო წერილებს, უძღვნიდა ხელოვნების ამ დარგს, როგორც ხალხის სულიერი აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას... მაგალითად, ჟურნალის მეორე ნომერში დაბეჭდილი კორესპონდენცია — თბილისში, სცენისმოყვარეთა მიერ დ. ერისთავის პიესის „ღალატის“ დადგმას შეეხება. მასში, უწინარეს ყოვლისა, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ „ხელოვნება, განსაკუთრებით კი ის დარგი ხელოვნებისა, რომლის უმთავრესი იარაღი სიტყვაა, — ყოველთვის ნაკლოვანი და უფერული იქნება თუ იგი ეროვნულ სფეროში არ აღიზარდა და განვითარდა...“, ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ საქართვე-

---

[43] ჟ. „ერი“ №1, 1909 წლის 13 სექტემბერი, გვ 7; ვაჟა-ფშაველა. თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. II, თბ., 1964, გვ. 134.

ლოში ქართული მწერლობა არ ვითარდება,. ანდა როგორ შეიძ-ლება წარმატების მიღწევა, როდესაც „ქართული ენა დევნილია, როცა ქართულ ენაზე არ ვითარდება ბავშვის სული და გული...". ამიტომ საჭირო იყო ქართული ენის კულტად გახდომა და არა ვინმეს ქველმოქმედებაზე მისი განვითარების დამოკიდებულე-ბა... ამ კულტის ქურუმები კი ეროვნულმა ცხოვრებამ უნდა აღ-ზარდოს... ჟურნალის თქმით, ქართული ენა ჩვენთვის ის ერთა-დერთი იარაღი იყო, რომლითაც ჩვენს ფიქრსა და გრძნობებს გამოვხატავდით...[44] და ა.შ.

ქართული საზოგადოება და ლიბერალური მიმართულების პრესა მოწონებით შეხვდა ახლადდაარსებული ორგანოს პირ-ველ ნაბიჯებს. მაგალითად, გაზეთი „დროება" (რედაქტორ-გა-მომცემელი ი.ს. აგლაძე) აღნიშნავდა: 13 სექტემბერს გამოვიდა ახალი ჟურნალი „ერი". ჟურნალი ყოველკვირეულია. პირველი ნომერი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს. შინაარსიანია წერილები, მშვენიერია ენა. ნომერში მოთავსებულია პროფ. ი. ჯავახიშვი-ლის თხზულება — „ქართული სამართლის ისტორია", მოთხრო-ბა ი. ელეფთერიძისა, რომელსაც კარგა ხანია აღარაფერი დაუ-წერია, ან უკედ, არ დაუბეჭდია; ვაჟა-ფშაველას ლექსი, Baton-ის წერილი „ერის უფლება" (დასაწყისია ამ ნომერში), ნ. ლორ-თქიფანიძის „მინიატურები" და სხვა. არის აგრეთვე „შინაური მიმოხილვა". მოწინავე წერილში რედაქცია გამოთქვამს თავის მრწამს. იგი ეხება ჩვენი ერის აწინდელ ვითარებას...

ვუსურვებთ წარმატებას ახალ და ნორჩ ჟურნალს!"[45]

როგორც ჩანს, ასე არ ფიქრობდა ოფიციალური ხელისუფ-ლება. მისთვის განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა ჟურ-ნალში დასტამბული მასალების მამხილებელი ტონი და ეროვ-ნული დამოუკიდებლობისკენ ღია მოწოდებები; აგრეთვე ისიც, რომ „ერი" გამოსვლისთანავე საზოგადოების ყურადღების ცენ-ტრში მოექცა... ყოველივე ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მეორე ნომრის გამოსვლის შემდეგ მისი გამოცემაც აკრძა-ლულიყო.

ამ არასასიამოვნო ფაქტთან დაკავშირებით ლიბერალური მიმართულების გაზეთი „ივერია" (1909წ.), რომლის რედაქტორი პავლე თუმანიშვილი გახლდათ, მიუთითებდა:

„არა სასიამოვნო ამბავი მოხდა — ჟურნალი „ერი" დაკე-ტეს... ჯერ კიდევ ვერ გასცნობოდა ამ ჟურნალს როგორც რიგია

---

[44] ჟ. „ერი" №2, 1909 წლის 20 სექტემბერი, გვ. 10-11

[45] გაზ. „დროება", 1909 წლის 16 სექტემბერი

მკითხველი საზოგადოება, რადგან რედაქციამ მხოლოდ ორი ნომრის გამოცემა მოასწრო, — და უკვე დაკეტვის ამბავი ეცნობა ყველას... რატომ?რა მოხდა ისეთი? რა დაწერა ჟურნალმა? რა ბრალი ედება მას?

„ერი" სარევოლუციო ჟურნალი არ იყო. „ერი" სოციალიზმისთვის ბრძოლას არ მოითხოვდა. „ერი" ეროვნულ მიმართულებას ადგა და ქართველების ეროვნულ დაჩაგვრას იხსენიებდა.

ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ამ ეროვნულ მიმართულების გულისთვის დაკეტეს ჟურნალი. არ გვინდა დავიჯეროთ, თუმცა სხვა მიზეზს ვერ ვხედავთ, და თუმცა ამ მიზეზით ჟურნალის დაკეტვა მხოლოდ ერთხელ კიდევ ზედმეტად ასაბუთებს იმის სიმართლეს, რასაც არა ერთხელ ვამბობდით: მთავრობას ეროვნულ მიმართულებაზე მდგომი ქართველი უფრო საშიშად მიაჩნია და იგი მას უფრო ებრძვის, ვიდრე უკიდურეს სოციალისტებს..."[46].

* * *

როგორც აღვნიშნეთ, ჟურნალი „ერი" მეორე ნომრის გამოსვლის შემდეგ აკრძალეს, თუმცა ნაციონალისტური სულისკვეთებით შეკავშირებული ჯგუფი არ შედრკა და ერთი კვირის თავზე მკითხველმა იმავე ფორმატისა და ავტორთა იმავე შემადგენლობით მომზადებული ალმანახი „ჩვენი ერი" მიიღო, ნიკო ლორთქიფანიძის რედაქტორობით.

სარედაქციო წერილში — „სამშობლო ენას თავიდანვე პატრონობა უნდა", რომლის ავტორადაც პ. სურგულაძე მიგვაჩნია, ნათქვამია: „ადამიანის სულიერი სიმდიდრის სალარო ენა, არის მეტად სათუთი არსება, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას და შველას მოითხოვს... შეგნებულ ქართველს დღეს არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ამ საკითხს და ათასჯერ თქმული ათასმეერთედაც შეგვიძლია მოვაგონოთ საზოგადოებას თავისი მოვალეობა...", მით უმეტეს მაშინ, როცა ოფიციალური ხელისუფლება უყურადღებოდ და აგდებულად ექცეოდა ჩვენს ენას. ავტორი მიიჩნევდა, რომ ასეთ ვითარებაში მეტი დაინტერესება უნდა გამოეჩინა „კერძო თვითმოქმედებას და შეგნებული მუშაობა უნდა ეწარმოებინა ოფიციალურ დაწესებულებათა გარე-

---

[46] გაზ. „ივერია", 1909 წლის 28 სექტემბერი

შე." მან იცოდა, რომ ასეთი ნაბიჯის გადადგმა იძულებითი იქნებოდა, მაგრამ „ვისაც სიცოცხლის ძალა აქვს, მან უნდა შეძლოს, როცა ერთ გზას დაუხშავენ მეორე გაიკვლიოს..." გამომდინარე აქედან, ყოველ შეგნებულ მამულიშვილს თავდადებით უნდა ემუშავა „მშობლიური მწერლობისა და ლიტერატურის შესასწავლად"[47].

ალმანახის რედაქცია თავის მოვალეობად თვლიდა ეწერა იმაზე, თუ ვინ ასწავლიდა სკოლებში ქართულ ენას, საზოგადოდ ასწავლიდნენ თუ არა და თუ ასწავლიდნენ — როგორ. დასასრულს კიდევ ერთხელ შეაგონებდა ქართველობას, თუ რა ეროვნული უბედურება შეიძლებოდა მოჰყოლოდა მშობლიური ენისადმი აგდებულ დამოკიდებულებას: „სამშობლო ენის დაძაბუნება, დაძაბუნება იმ ენისა, რომელიც ორგანულად შეკავშირებულია ხალხის სულიერ ზრდა-განვითარებასთან, ნიშნავს თვით ამ ხალხის დაძაბუნებას, მის სულიერ დაქვეითებას"[48].

იმ ხანებში, ხელისუფლების ინიციატივით საუბარი მიმდინარეობდა საერთოდ კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში, ერობის შემოღების შესახებ. ეს სიტყვა ყველას პირზე ეკერა, მაგრამ ყველამ როდი იცოდა მისი არსი. ამ საკითხის თაობაზე საფუძვლიანი საუბარია გ. გვაზავას სტატიაში „ერობა". დასაწყისშივე დასმულ კითხვას: რა არის ერობა? – ავტორი თვითონვე პასუხობდა: „ერობა და ავტონომია ერთი და იგივე კი არ არის, არამედ შუა უდევს დიდი ზღვარი. ავტონომია სახელმწიფოებრივი წეს-წყობილებაა; იგი თვით შეიცავს ერობას, ვით თავის შინაგან განყოფილებას, თუმცა ორივე ცნება ერთი და იგივე რიგისაა. ორივე ნიშნავს თვით-მართველობას, მხოლოდ ავტონომიური თვით-მართველობა სახელმწიფოებრივია, საერობო თვით-მართველობა კი მხოლოდ ადგილობრივი.

მიანიჭეთ საქართველოს თვით-მართველობა და მაშინ თქვენ მიიღებთ ავტონომიას; თუკი თვით-მართველობა მიეცემათ მხოლოდ ადგილებს (მაზრებს, გუბერნიებს), მაშინ მიიღებს ერობას. ეს არის გარეგნული განსხვავება. მაგრამ განსხვავება უფრო ღრმაა: ავტონომიას ერის ყოველმხრივი აღორძინება აქვს მიზნად (ლიტერატურა, მეცნიერება, ფილოსოფია, ეკონომიკა...), ერობას კი მხოლოდ ადგილობრივი საჭიროების და დროებითი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა ევალება (ჯანმრთელობა, განათლება, გზა, ხიდი, წვრილი კრედიტი

---

[47] ალმანახი „ჩვენი ერი" №1, 1909 წლის 27 სექტემბერი, გვ. 1-2

[48] იქვე, გვ. 2

და ა.შ.) სახელმწიფო ყველა ამას ვერ წვდება და იძულებულია ეს უფლებები ადგილობრივ წარმომადგენლობას ან თვით საზოგადოებას გადასცეს"[49] და სხვ.

ამ კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ განხორციელდებოდა იგი სამეფისნაცვლოს ცენტრის – თბილისის მიმართ...

„ჩვენთვის ამ მხარეს პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, — წერდა გ. გვაზავა, — საქართველოს სატახტო ქალაქი თანდათან გადავიდა სომხების ხელში. რუსეთის უსამართლო კანონმა სომხებს დაუმკვიდრა მუნიციპალური მეთაურობაც. ღარიბი ქართველობა ჩამორჩა და არ აქვს ღონისძიება დაიბრუნოს შესაფერი ადგილი ქალაქის ცხოვრებაში. ასეთი არის ჩვენი მდგომარეობა. ეს გარემოება გვიბრძანებს, გვითვალისწინებს ერთადერთ პრაქტიკას: არ გავუშვათ თბილისი ხელიდან! ამიტომ საჭიროა მას გარს შემოვარტყათ ორი რგოლი: ერთი სამაზრო, მეორე – საგარეუბნო. ეს ნიშნავს – ქალაქი თბილისი უნდა იყოს ჩაკერებული თბილისის სამაზრო ერობაში და ეს უკანასკნელი – საგარეუბნო ერობაში... თბილისის დაკარგვა საქართველოს თავის მოწყვეტა იქნება, ე.ი. საუკუნოდ დამარხვა ჩვენი პოლიტიკური ბედისა"[50].

ალმანახის ამ ნომერში დაბეჭდილი Baton-ის წერილის გაგრძელებაში „ერის უფლება" — ყურადღებაა გამახვილებული იმაზე, თუ რა განსხვავება და ურთიერთკავშირია საერთაშორისო და სახელმწიფო სამართალს შორის. „ერთა ბრძოლის შემდეგ და ძალით გათავისუფლების შემდეგ, სახელმწიფოთაგან საერთაშიროსო სამართლის მიერ მათი მიღება და მათი თავისუფლების დაკანონება – პირველი მაჩვენებელია ამისა. უმთავრესი პირობა, რომ საერთაშორისო სამართალმა მიიღოს თავის სფეროში რომელიმე ერი, რომელიმე სახელმწიფო, რასაკვირველია, თვით ამ ერის მიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებაა. მხოლოდ ამ შემთხვევაში სცემს პატივს იგი ერს და სახელმწიფოთა საზოგადოების სრულუფლებიან წევრად აღიარებს"[51].

„ჩვენი ერის" ფურცლებზე დაისტამბა პირველად ახალგაზრდა პოეტის შ. ამირეჯიბის ლექსი — „ლოცვა ირაკლისა", რო-

---

[49] „ჩვენი ერი" №1, 1909 წლის 28 სექტემბერი. გვ. 1-2

[50] იქვე

[51] იქვე, გვ. 10

მელშიც თქმული ეს სტრიქონები ყოველი ქართველისათვის დღესაც ურუანტელის მომგვრელია:

„... დანგრეულ იყო ან ნარიყალა,
დანგრეულ იყო უკვე სიონი
და – საქართველოს სიმტკიცის ძალა
მთებში გარბოდა ბაგრატიონი!“[52].

ალმანახ „ჩვენი ერის“ მეორე ნომერში მიხ. წერეთლისა და ივ. ჯავახიშვილის ნაშრომთა გვერდით ყურადღებას იქცევს გრ. ყიფშიძის წერილი ცნობილ პუბლიცისტსა და იურისტ ნ. ხიზანიშვილზე, რომელიც ილიას ერთ-ერთი ერთგული თანამოაზრე და მხარში მდგომი იყო ტრაღიკული აღსასრულის ბოლო წუთებამდე...[53].

ურნალი „ერი“ დიდი პატივით მოიხსენებდა იმ მამულიშვილთ, ვისაც სამშობლოს ღირსების დაცვისა და განდიდების საქმეში რაიმე წვლილი ედო. მაგალითად, სარედაქციო წერილი ეძღვნება გრიგოლ ვოლსკის დამსახურებას, რომელშიც ვკითხულობთ: „ქართველ მოღვაწეთა მცირე გუნდს კიდევ ერთი წევრი მოაკლდა, — გარდაიცვალა გრიგოლ ვოლსკი... იგი მუდამ საზოგადო აზრებით მცხოვრები იყო. მუდამ საზოგადოებრივ მისწრაფებათა გამტარებელი, მუდამ აღგზნებული მოტრფიალე ჩვენი განვითარებისა, გატაცებული და მოხარული, როცა რაიმე სასიკეთოს დაინახავდა ჩვენში, გულნატკენი და შეწუხებული, როცა ჩვენს სიგლახეს ხედავდა. აუარებელ მელათა და ქვემძრომთა შორის მუდამ პირდაპირი და გულახდილი, უშიშარი და შეუპოვარი, სადაც სხვები სდუმდნენ; მტერთან მებრძოლი, მოყვარისათვის გულის გამთბობი, გამამხნევებელი და სულის ჩამდგმელი – აი ვინ იყო გრიგოლი. ის იყო პიროვნება, რომელიც ცდილობდა თანამოძმეებში გაეღვიძებინა თავისი ვინაობის პატივისცემა, სამშობლოს სიყვარული და ადამიანობა, ცდილობდა მათ გაერთიანებას, რადგან ესმოდა – ძალა ერთობაშია. ის იყო პიროვნება ძლიერი ხასიათით, ძლიერი საზოგადოებრივი აზრით, რომელთანაც იმედი გეძლეოდა და მუშაობა გენატრებოდა...“[54].

---

[52] „ჩვენი ერი“ 1, 1909 წლის 28 სექტემბერი. გვ. 10
[53] იქვე.
[54] იქვე ,11 ოქტომბერი, გვ. 2

მსგავსი დახასიათებებით არის წარმოდგენილი აგრეთვე ნატო გაბუნია-ცაგარელის, ი. ბახტაძის, ვასილ ჩერქეზიშვილის და სხვათა სახელებიც...

რა თქმა უნდა, არც ალმანახი „ჩვენი ერი“ შეიქმნა მისაღები და მოსაწონი ხელისუფლებისთვის და ისიც მისი წინამორბედის გზას გაუყენეს.

* * *

თუმცა, 4 ოქტომბერს სახელშეცვლილი პოლიტიკური, სამეცნიერო და სალიტერატურო ალმანახი, „ქართველი ერის“ სახელწოდებით ისევ მიეწოდა მკითხველებს. ამჯერად მისი გამომცემელი მიხ. ჯავახიშვილია, ხოლო ავტორების უმრავლესობა იგივე. ალმანახში ისევ იბეჭდება Baton-ის ნაშრომი „ერის უფლება“ (გაგრძელება), ალ. ფრონელის (ყიფშიძის) წერილი „მთის არწივი შამილი“, „ვ.წ-ს“ (ვასილ წერეთლის) – „გიმნაზია თუ სამეურნეო სასწავლებელი?“, ვაჟა-ფშაველას, დ. თომაშვილის, ი. გრიშაშვილის, მ.ა.-ს (მიხ. ადამაშვილის) ლექსები...

თვითმპყრობელური ხელისუფლების გაშიშვლებული სახეა წარმოჩენილი ალ. ფრონელის წერილში, რომელიც იმამ შამილისადმია მიძღვნილი. რა თქმა უნდა, შამილის დადებით კონტექსტში მოხსენიებაც კი აღმაშფოთებელი იქნებოდა, მით უმეტეს, იმაზე მოურიდებლად საუბარი, თუ რა მოუტანა რუსეთმა არა მარტო საქართველოსა და მის ხალხს, არამედ მთელი კავკასიის ხალხებს, რომლებიც არასდროს შერიგებიან რუსთა ბატონობას და ათეული წლების მანძილზე თავგანწირვით იბრძოდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ... სწორედ ამ მამაცი და დაუმორჩილებელი ხალხების ბრძოლას ედგა სათავეში „მთის არწივი“ შამილი და სხვა მისი მსგავსი პატრიოტები... მიუხედავად თავგანწირული წინააღმდეგობისა, ძალამ აღმართი დახნა და შამილი დამარცხდა... წერილის ავტორის ობიექტური შეფასებით, „ამაში ლომის წილი ედო ქართველ მხედრობას“. ამ გამარჯვების 50 წლისთავი 1909 წლის 26 აგვისტოს დიდი ზეიმით აღუნიშნავს თბილისში დაბანაკებულ რუსის მხედრობას... რუსის მხედრობა კი ზეიმობდა, მაგრამ ჩვენ, ქართველებს რა

გვქონდა საზეიმო და სადღესასწაულოო, — ასეთი აზრი გამოსჭვივის ალ. ფრონელის წერილიდან[55].

ზოგიერთ ამონარიდს ხსენებული წერილიდან მაინც შევახსენებთ დღევანდელ მკითხველს. „მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისს საქართველოს ისტორიამ პირი იბრუნა. პოლიტიკურად გასაძლიერებლად და მოსაღონიერებლად ჩვენმა წინაპრებმა ჩრდილოეთიდან რუსები მოიპატიჟეს... მათის აქ მოსვლით ენებათ გლახად წარმოებული საქმის შემოტრიალება და ძველებურად განმტკიცება... მოლოდინი არ გამართლდა და ბედის ჩარხი უკულმა დატრიალდა. რუსის მხედრობა მკვიდრად დაბინავდა საქართველოში, ვინც კი ხმა ამოიღო, თავი გაუგალეს, ან ციმბირის გზა ატკეპნიეს. და ბოლოს ამავე ქართველების შემწეობა-დახმარებით მთელი ამიერ-კავკასია დაიმორჩილეს შავი ზღვიდან მოკიდებული კასპიის ზღვამდე და დარიალის კარიდან, მდინარე არაზამდე. მხოლოდ კავკასიის მთა დიდხანს არ იხრიდა ქედს, მედგრად გადაეღობა წინ ბუმბერაზ ქვეყანას ერთი მუჭა მთიელობა. მთელი ნახევარი საუკუნე კოკისპირულად ჰღვრიდა სისხლს, ოღონდაც კი დამოუკიდებლობა შეენარჩუნებინათ. ნელ-ნელა იცლებოდა სისხლისგან ურჩი და ჯიუტი არისტოკრატიული ტომი ყაბარდოსი, შიმშილის პირზე იდგა საჩაჩნო, ოსმალეთში გადაიხვეწა საჩერქეზო, ბოლოს ავარიამაც თითი მოიგრიხა. ოცდაათი წელიწადი იბრძოდა საოცარის მხნეობით შამილი, იმამი საჩაჩნოსი და ავარიისა, ანუ დაღესტნისა... ბევრი შავი დღე აჩვენა შამილმა რუსის მხედრობას, ბევრ ვაჟკაცს აუტირა ცოლ-შვილი და დედ-მამა... ერთხელ თვით მთავარსარდალი რუსის მხედრობისა, თავადი ვორონცოვი, ცოტას გაწყდა და კინაღამ ტყვედ წაიყვანა.

...მეტის-მეტად სძულდა შამილს რუსობა. ისე არ ახსენებდა ამ ქრისტიან ერის სახელს, რომ ზედ არ დაეყოლებია „დონღუზი". – უპირო და გაუტანელია, კაცი ვერ ენდობა მაგათთ; მოგატყუებს, გიღალატებს და პირში ჩალაგამოვლებულს დაგტოვებსო... მაგათთან ომი ღვთისმოსაწონი საქმეაო, — ამბობდა შამილი..."[56].

ასეთი მამაცი და შეუპოვარი „მთის არწივი" ჩაიგდეს ტყვედ რუსებმა 1859 წლის 25 აგვისტოს, ღუნიბის კლდეზე...

---

[55] „ქართველი ერი" №1, 1909 წლის 4 ოქტომბერი

[56] იქვე, 11 ოქტომბერი.

ალ ფრონელის თქმით: „არწივი იმის არწივია, რომ ერთს განსაზღვრულ ადგილას არა სჩერდება და სადაც მოიპრიანებს, იქ დაიბუდებს. მისი სამეფო და სამშობლო ცის სივრცეა“[57].

გრ. ვოლსკისადმი მიძღვნილ სარედაქციო წერილში, რომელიც ჩვენი აზრით, ალმანახის გამომცემელს, მიხ.ჯავახიშვილს უნდა ეკუთვნოდეს, ნათქვამია: „წარსული სდუმს, როცა მას აწმყო პატივისცემით არ ეპყრობა, როცა მთელი საზოგადოებრივი ჯგუფიც კი განზე დგება. გრ. ვოლსკი კი ის პიროვნება იყო, რომელიც უშიშრად წინ აღუდგებოდა ხოლმე საქართველოს საძიძგნად გამზადებულ ყორნებს და შესძახებდა: შესდექით!.. ჩვენ ღირსეულად გვიცოცხლია, ვცოცხლობთ და ვიცოცხლებთო!“[58]

დ. თომაშვილი ლექსში — „ქუჯის ციხეზე“, ასე მიმართავს კავკასიონს, საქართველოს ბუნებრივ ზღუდეს ჩრდილოეთის მხრიდან:

„ჰოი, კავკასო, მადლი თუ ჰქენი,
რატომ მარილიც არ მოაყარე
რაღა ერთ ადგილს საბედისწეროთ
ჩემი მტარვალი გამოატარე?!

თუ შენ გეგონა საძმო-სამოყვროთ,
კავშირ-მაერთად გადევი ხიდი?
წაგიხდა, ვაჟო, ნაფიქრ-ნაზრახი
და ჩაიდინე შეცდომა დიდი!..“[59].

რა თქმა უნდა, იოლი მისახვედრია, თუ ვის გულისხმობს პოეტი „მტარვალში“ და იმაზეც სწორად მიანიშნებს, რომ „დიდი შეცდომა“ იყო თავის დროზე რუსეთთან კავშირის დამყარება.

„ქართველი ერი“ მიუღებელი აღმოჩნდა ცარისტული ხელისუფლებისთვის და ორი ნომრის გამოსვლის შემდეგ ისიც დახურეს.

---

[57] „ქართველი ერი“ №1, 1909 წლის 11 ოქტომბერი.
[58] იქვე
[59] იქვე

* * *

1909 წლის 1 ნოემბერს კი გამოსვლა დაიწყო ახალმა ალმანახმა „საქართველოს მოამბის" სახით. ამჯერად მის რედაქტორ-გამომცემლად სვ. ყიფიანი გვევლინება. მიმართულება, პერიოდულობა, ფორმატი და თანამშრომელთა უმრავლესობა იგივეა. ამ სახელწოდებით ალმანახის სულ 13 ნომერი გამოვიდა. იგი 1909 წლის 1 ნოემბრიდან 1910 წლის 24 იანვრამდე გამოდიოდა. იბეჭდებოდა გამომცემლობა „პროგრესში". ძველ თანამშრომელთა გვერდით ახალი სახელებიც გამოდიან საასპარეზოდ. მათ შორის არიან: კოტე მაყაშვილი, ვახტანგ ღამბაშიძე, ლევან მეტრეველი, სვ, ვახვახიშვილი, ივ. ციციშვილი, თედო რაზიკაშვილი, იაკობ გოგებაშვილი, ნინო ნაკაშიძე, ნინო ორბელიანი, იასე რაჭველი, გალაკტიონ ტაბიძე და სხვები.

ალმანახის თემატიკა უმთავრესად სოციალური საკითხების გაშუქებისადმია მიძღვნილი: ჯანმრთელობის დაცვა, საცხოვრებელი ბინის მოწყობა, ჰიგიენა, შიმშილი, ეთნოგრაფია, თეატრი, ლიტერატურა და ა.შ.

წერილში „საინგილოს შეერთება რუსეთთან" ზაქ. ედილი (ედილაშვილი) ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით, საინტერესო სურათს ხატავდა იმ ვითარების შესახებ, რომელიც რუსის ჯარის შემოსვლის პირველივე დღეებიდან შეიქმნა საქართველოს აღმოსავლეთ საზღვარზე, ისტორიულ ჭარ-ბელაქანში და იქ მათი დამკვიდრების გამო; იმაზე, თუ რა უსასტიკეს ზომებს მიმართავდა გარუსებული ქართველი გენერალი პავლე ციციანოვი იქ მცხოვრებთა, განსაკუთრებით კი ლეკთა და ბელაქნელთა მიმართ...[60].

ცენზურის შეშფოთებას იწვევდა ალმანახის ფურცლებზე „Baton"-ისა და „ალაროდიელის" ხელმოწერილი წერილები. პირველ რიგში, გაგრძელებებით დასტამბული „ერის უფლება". 29 ნოემბრის ნომერში მოთავსებულ Baton-ის წერილში ხაზგასმით იყო მითითებული ქართული ტერიტორიების დაცვა-შენარჩუნების აუცილებლობაზე, ვინაიდან „ტერიტორიის დაკარგვას უსათუოდ მოჰყვებოდა დაკარგვა კულტურისა, ეროვნული თავისებურობისა, რის გამოც არარად ვიქცეოდით, ხოლო არარაობა სამართლის საგნად არასოდეს იქცეოდა..."[61].

---

[60] „საქართველოს მოამბე" №2, 1909 წლის 8 ნოემბერი

[61] იქვე, №5, 1909 წლის 29 ნოემბერი.

მომდევნო ნომერში კიდევ უფრო მეტს სიმძაფრეს აძლევდა თავის მოსაზრებას ალაროდიელი, როცა წერდა: „ხალხს კიდევ არა უჭირს რა, თუ მას ორი რამ მაინც შერჩენია: — ტერიტორია, რომელზედაც მან ისევ უნდა ააშენოს თავისი ეროვნულ-კულტურული ცხოვრება და თვით ეროვნული ერთიანობის სული, ძლიერი სურვილი შეიცვალოს მდგომარეობა, სურვილი შეერთებული ეროვნული ძალებით განიკურნოს ძველი მძიმე ჭრილობანი და ხელახლავ შეუდგეს ახალ ცხოვრებას“[62].

წერილში — „საშინელი მდგომარეობა“ — Baton-ი ქართული საზოგადოების არც ერთი კლასისა თუ ფენის წარმომადგენელს არ ინდობდა და პირში მიახლიდა: „ტერიტორიის დაცვა, — აი რა უნდა იყოს დღეს ჩვენი ერთ-ერთი ლოზუნგი“, მაგრამ, როცა ხალხის ინდიფერენტულობასა და დაუინტერესებლობას ხედავდა, აღშფოთებას არ მალავდა: „რა დაგვმართნია! რამ გამოგვაიდიოტა ასე? თავი დავანებოთ უაზრო ფუსფუსსა და ფართი-ფურთს; მუზეუმი, სტიპენდიები, სკოლები, ქველმოქმედება, თეატრი, ყოველივე დავივიწყოთ დროებით. მთელი ჩვენი შეძლება, ენერგია, გონება: მთელი ჩვენი არსება ზედ დავანუროთ საქართველოს შენახვას. თორემ, როცა იგი ამოიშლება კავკასიის რუქიდან, მერე თუ გინდ ბრიტიშ-მუზეუმი და ოქსფორდის უნივერსიტეტი ააგე; თუ გინდ შესანიშნავი თეატრი ააშენე, თუ გინდ გენიოსები აღზარდე, — იგი შენი აღარ იქნება, იგი სხვის ქვეყანაში და სხვის სამშობლოში იქნება“[63].

ვინაიდან ამგვარი წერილების ავტორი ხელისუფლებისათვის გაუშიფრავი აღმოჩნდა, ალმანახის იმჟამინდელი რედაქტორი სვიმონ ყიფიანი თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით 500 მანეთით დააჯარიმეს, მაგრამ რადგან ამ თანხის გადახდა მისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა, „დამნაშავე“ ციხეში ჩასვეს; თუმცა, ცოტა მოგვიანებით, თბილისის სასამართლო პალატის განაჩენი უმაღლესმა სენატმა გააუქმა და სვ. ყიფიანი სასჯელისგან გაანთავისუფლეს.

25 დეკემბრის „საქართველოს მოამბეში“ დაბეჭდილ იასე რაჭველის წერილში — „ხელუხლებელი ტერიტორია და საოცარი ერთობა“, ძალზე საინტერესო და საყურადღებო ამბებზეა საუბარი, კერძოდ, ლაზებისა და ლაზისტანის შესახებ. ავტორის თქმით: ლაზისტანი „მხოლოდ მეგრულად მოლაპარაკე ხალხითაა დასახლებული“, რომ „ლაზისტანის მცხოვრებნი დიდათ

---

[62] „საქართველოს მოამბე“, 7, 1909 წლის 13 დეკემბერი.
[63] იქვე, № 9, 1909 წლის 25 დეკემბერი.

დახელოვნებულნი მეზღვაურნი არიან", რომ „სწავლა ყველა სასწავლებელში თათრულ ენაზე მიმდინარეობს, რადგან ლაზებს თავიანთი წერა-კითხვა არ აქვთ", რომ „ზნეობა უმაღლეს წერტილამდის არის დაცული და მთელს ლაზისტანში ვერც ერთს ცუდი ყოფაქცევის ქალს ვერ ნახავთ... (ხაზგასმა ჩემია – გ.ს.) ლაზი ძლიერ მუყაითი და გამრჯელია ყოველივე სამუშაო საქმეში... ლაზი, სადაც უნდა იყოს ყველგან თავის ელფერით არის და მას თავი მოსწონს თავისი ჩაცმულობით, თავის ლაზობით... ცოლ-ქმრული კავშირი წმინდა ხელუხლებელია... ლაზს უმაღლეს წერტილამდის უყვარს თავისი კლდე-ღრიანი სამშობლო... ის თავდაპირველად ლაზია, შემდეგ მუსულმანი და ბოლოს კი ოტომანის იმპერიის წევრი... ლაზისტანში იშვიათად იპოვნით სხვაგვარის მცხოვრებთ, მხოლოდ ლაზები არიან, რომლებიც იმდენად გასაგებად ლაპარაკობენ მათ ენაზე — მეგრულად, რომ ყველა მეგრელს შეუძლია მცირედის ყურადღებით მიხვდეს და ილაპარაკოს მათთან თავისუფლად. საკვირველი ის არის, როგორ შეინახა, ამ მწიგნობრობის უქონო ხალხმა ასე ხანგრძლივად ოსმალეთის ხელში თავისი ენა. მაგრამ კაცი კარგად რომ დაუკვირდეს მათს ცხოვრებას, არც ეს არის გასაკვირველი. ლაზი იშვიათად შეირთავს სხვა გვარის ქალს. ის არის მჭიდროდ დასახლებული ერთსა და იმავე ადგილას. არა მგონია, კავკასიის რომელიმე ეროვნებას ასე მტკიცედ ჰქონდეს შენახული თავისი „ტერიტორია", როგორც ლაზებს, ენაც სწორედ იმის გამო შერჩათ ასე გაურყვნელად, რომ ყოველთვის ოჯახში ლაზურ-მეგრულად ლაპარაკობენ... ბავშვებმა (სკოლაში წასვლამდე) და ქალებმა მხოლოდ ეს ენა იციან... ლაზები ყველგან და ყოველთვის ერთად არიან"[64].

ეხებოდა რა ქართველი ერის უფლებას, Baton-ი ერთ-ერთ წერილში მიუთითებდა: საქართველო ისტორიული ერია. მას ჰქონდა საკუთარი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, საკუთარი ენა და მდიდარი განვითარებული ლიტერატურა, საკუთარი ესთეტიკური კულტურა, საკუთარი სჯული, დამოუკიდებელი ეროვნული ეკლესია, რომელთათვისაც იგი იბრძოდა მრავალი მტრის წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, საქართველო იყო ერთი კონკრეტული საზოგადოება, ერთი ისტორიული ინდივიდუმი. საერთაშორისო ზნეობისა და სამართლის თვალთახედვით, იმასაც ჰქონდა არსებობისა და დამოუკიდებლობის უფლება, უფლება თავის დაცვისა და საერთაშორისო ცხოვრებაში მონაწი-

---

[64] „საქართველოს მოამბე", №9, 1909 წლის 25 დეკემბერი, გვ. 8-11.

ლეობის მიღებისა, როგორც წევრს საზოგადოებათა საზოგადოებისას... მაგრამ, როდესაც საქართველოს მოესპო არსებობის სახელმწიფოებრივი ფორმა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა, იგი გამოირიცხა კაცობრიობის შემადგენელ სოციალურ ინდივიდთა სიიდან, იგი გაქრა, როგორც ერი..."[65].

ასეთ ვითარებაში ჩავარდნილ საქართველოს ჰქონდა თუ არა უფლება ებრძოლა სრული დამოუკიდებლობის, თვითარსებობისა და სუვერენობისათვის?

ამ კითხვაზე Baton-ის პასუხი ასეთია: „უზენაესი საერთაშორისო სამართლისა და ზნეობის ძალით ყოველ ერს უფლება აქვს სუვერენობისა, განსაკუთრებით ისეთ ერს, რომელსაც აქვს განსაზღვრული ტერიტორია და ამ ტერიტორიაზე უმთავრესი ნაწილი ხალხისა, რომელიც უცხო ჩამოსახლებულთა რიცხვთან შედარებით უმეტესობას შეადგენს და რომელსაც განსაზღვრულ ტერიტორიაზედ თავისი ორიგინალური პოლიტიკური ისტორია ჰქონია"[66](ხაზგასმა Baton-ისაა — გ.ს.).

მისი აზრით, „ტერიტორია გვაქვს ქართველობას" და ზოგიერთ ადგილას სხვა ერის უმეტესი მოსახლეობა „არავის არავითარ უფლებას არ აძლევს წაგვართვას ტერიტორიული დამოუკიდებლობის უფლება. ნუ დაივიწყებს ნურავინ, რომ ეს ნაწილი ტერიტორიისა ათასის წლობით ჩვენი საკუთრება იყო, ზედ ქართული კულტურა ჰყვაოდა, სისხლით ვიცავდით მტერთაგან და დღესაც სრულად არ გამქრალა იქ ქართველობა. დღესაც იგი ნაწილია საქართველოსი"[67].

ივ. გომართელი „საქართველოს მოამბის" იმავე ნომერში წერდა: „ჩვენი ტერიტორია ჩვენი ეროვნების ბოძია, ჩვენი მიწაწყლის ყოველი გოჯი ჩვენთვის დაუფასებელია... კერძო პირებს შეუძლიათ ოცნებით დაკმაყოფილება, მაგრამ მთელი ხალხი ოცნებით ვერ დაკმაყოფილდება. კერძო პირებს შეუძლიათ მომავლის იმედით ცხოვრება, მაგრამ მთელი ხალხი მომავლის იმედით ვერ იცხოვრებს. იმან უნდა იცხოვროს აწმყოთი, აწმყოს ყოველი დღით, თუ ხალხს არ შეუძლია აწმყოს ყოველ წამს არსებობისთვის იბრძოლოს, ვერავითარი ოცნება, ვერავითარი იმედები მას ვერ უშველის და მისი მოსპობა გარდაუვალია"[68].

---

[65] „საქართველოს მოამბე"№4, 1909 წლის 22 ნოემბერი, გვ. 12
[66] იქვე
[67] იქვე
[68] იქვე, გვ. 8

„საქართველოს მოამბის“ რედაქცია, სხვადასხვა პრობლემათა შორის, რომლებიც ქართველი ხალხის წინაშე იდგა, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქართული, ეროვნული ეკონომიკის განვითარების საკითხებს... იგი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო „ახალი დროის რთულ სამეურნეო საქმიანობის აზრთან და მოთხოვნილებებთან“, ვინაიდან „ქართული ეკონომიკის განვითარება XXს-ის 10-იანი წლებისთვის შუასაუკუნეობრივს დონეზე იდგა.“ ამიტომ საჭირო იყო იმ დამაბრკოლებელ მიზეზთა წარმოჩენა, რომლებიც ქართული ეკონომიკის შემაფერხებლად ქცეულიყო.

ფილ. გოგიჩაიშვილის აზრით, ამ დაბრკოლებების ოთხი წყარო არსებობდა. ესენი იყო: 1. ქართველობის დროის ჩამორჩენილი საეკონომო აზროვნება; 2. აზნაურული ფსიხიკა; 3. პატრიარქალურ ჩვეულებათა გადმონაშთი და 4. სუსტი ინდივიდუალობა.

სადღეისოდ განსაკუთრებულად აქტუალურად ჟღერს გონიერი და განსწავლული წინაპრის ერთი შეგონება, რომლის შესახებაც იგი საუკუნის წინ მიგვანიშნებდა:

„მთელს ქართველობას ლოდად გვაწევს ერთი ისეთი ჩვეულება, რომელიც პირდაპირ დამაჩლუნგებელი და შემბოჭველია კერძო თაოსნობისა და გამქარწყლებელი მოქმედების აღმძვრელი სამერმისო ზრუნვისა. ეს ის ჩვეულებაა, რომ ყოველ ქართველს ცხოვრებაში ვიღაცის იმედი აქვს... თითოეული ქართველი, რომელიც თავის მერმისზე თვითონ არ ფიქრობს და არ ზრუნავს, იმედად ნათესავსა და მეზობელს იტოვებს... ამ ქართულ „იმედიანობას“ ჩვენ ერთ-ერთ მთავარ დამაბრკოლებელ მიზეზად ვთვლით ჩვენი ეკონომიურ წარმატებისათვის და ნურავის ნუ ეგონება, რომ ამას გადაჭარბებით ვამბობდეთ... ეს „სხვისი შემაცქერლობა“ დღეს ქართველობაში „უფლების“ ძალასაც კი იღებს. აუარებელი მაგალითია იმისი, რომ ჩვენი „მოიმედენი“ კი აღარ თხოულობენ დახმარებას, არამედ „მოითხოვენ“ თავიანთ უფლებას. ვინც დიდი ბრძოლის შემდეგ, თავის ქონებას „მიუსია“, „მოითხოვს“, რომ სხვამ სარჩო გაუჩინოს; ვინც შვილები გააჩინა, ხოლო მათთვის საღსრის მოპოვებაზე ზრუნვა სრულებით გადაივიწყა, „მოითხოვს“, რომ შვილები გაუზარდონ და ღირსეული კარიერისთვის მოუმზადონ; ვინც სასწავლებელში იყო და ცხოვრებაში გამოსადეგი არაფერი უსწავლია, „მოითხოვს“ სამსახური გაუჩინონ და დააბინაონ. მალე, ალბათ, იმასაც „მოითხოვს“, რომ სახლი აუშენონ და ქირა არ გამოართვან.

და როგორ ჰფიქრობთ?- ის ადამიანი, რომელსაც სხვისი იმედი აქვს და გაჭირვების დროს ხსნას სხვისგან მოელის, განა ეცდება, თავისი სურვილები ალაგმოს, მერმისზე იზრუნოს და გაჭირვება საკუთარი მუყაითობითა და მომჭირნეობით თვითონ აიშოროს? არა მგონია, რომ ამ კითხვაზე ორგვარი პასუხი შეიძლებოდეს..."[69].

* * *

1910 წლის 31 იანვარს „საქართველოს მოამბის" გაგრძელებად გამოდის ალმანახი „მოამბე", რომელსაც ხელს აწერს გამომცემელი პეტრე სურგულაძე. მასში პირველად იბეჭდება აკაკი წერეთლის წერილი „მამა და შვილები". დიდი პოეტი თავის თანამემამულეთა გასაგონად გულისტკივილით აღნიშნავდა:

„სამშობლო დედასავით უნდა უყვარდეს ყველას და რაგინდ სნეულ-დავარდნილი იყოს დედა, შვილს არა აქვს უფლება ზურგი უჩვენოს და მიატოვოს იგი.

დღეს საქართველო დაცემულია... ამ უკანასკნელმა საუკუნემ, რომელიც სულ სხვა პოლიტიკას დაადგა, სულიც შეუბორკა ქართველობას და ხორციც; ხორციელად ვითომ მშვიდობა მიანიჭა, მაგრამ ყოველგვარი მისი მოქმედება, ყოველი ბიჯის გადადგმა მიმართული იყო, რომ სული გაეხრწნა, მოეკლა და კიდევაც მიაღწია მიზანს..."[70].

„მონის სიყვარული" — ასეა დასათაურებული „ალაროდიელის" (მიხ. წერეთელი) ეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი წერილი, რომელშიც იგი მოურიდებლად მოაგონებს თავის თანამემამულეებს, რუსეთის ბატონობას შეჩვეულებს, როგორ ჩაკვლიათ ეროვნული სული და ეროვნული ღირსების გრძნობაც როგორ დაჰკარგვიათ... ჭირს შეჩვეულებს კი თავისუფლებაზე ფიქრიც დავიწყნიათ... „მონა შეიძლება იყოს კერძო ადამიანი, — წერს იგი, — შეიძლება იყოს ერი. მაგრამ ვინც არ უნდა იყოს მონა, მას თავისი მონური ფსიქოლოგია აქვს — გარყვნილი და გამრყვნელი...", რომ, თუმცა ბევრსა ჰგონია, რომ თავისუფალია... მონები ინტერნაციონალისტები არიან და ამიტომ მათ-

---

[69] „საქართველოს მოამბე" №6, 1909 წლის 6 დეკემბერი, გვ. 1-3

[70] „მოამბე", 1910 წლის 31 იანვარი, გვ. 10

თვის სულ ერთია ვინ დასახლდება მათ ტერიტორიაზე... და ეს მონური სიყვარული ახასიათებს ადამიანის სულს... ხორციელი მონა, მონა არ არის, სანამ სული აქვს თავისუფალი, მაგრამ როდესაც სულიერი ძალა იკარგება, მაშინ მონური სიყვარული იბადება..."

ახალ, 1910 წელს უპირველეს იდეალად საქართველოს გაბნეულ ნაწილთა შეერთებას უსურვებდა მიხ. წერეთელი თავის თანამემამულეებს

* * *

პ. სურგულაძე 1910 წლის 7 თებერვლიდან ისევ ახერხებს ჟურნალ „ერის" იმავე სახელით გამოცემას, რაც 19 სექტემბრამდე გრძელდება. ამ ხნის მანძილზე ქართველი მკითხველი შეუფერხებლად, ნომრის ჩაუგდებლად ღებულობს მას. თითოეული მათგანი შინაარსობრივადაც ადრე აღებულ გეზს პასუხობს. უფრო მრავალფეროვანია ჟურნალის თემატიკა, გამრავალრიცხოვნებულია ავტორთა შემადგენლობა. მათ მიერ რედაქციისათვის მიწოდებულ ყველა მასალაში – პოლიტიკურ თემაზე იქნება იგი დაწერილი, ეკონომიკურ, საეკლესიო, სოციალურ, ეთნოგრაფიულ, სამართლებრივ, ისტორიულ, ხელოვნებისა თუ ლიტერატურის საკითხებზე, ყველგან ეროვნულობაზეა აქცენტი გაკეთებული. ჟურნალის იდეური მიმართულება, საქართველოს იმჟამინდელი პოლიტიკურ-სამართლებლივი მდგომარეობა, უმეტესწილად მიხ. წერეთლის, გიორგი გვაზავას, ალ. ფრონელისა და თვით რედაქტორის პეტრე სურგულაძის ნაწერებშია გაცხადებული; სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ეძღვნება ფილიპე გოგიჩაიშვილის დასაბუთებული სტატიები; ეთნოგრაფიის, თეატრის, ლიტერატურის, მუსიკის, ენისა და ენათმეცნიერების საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული ზაქ. ედილის, ალ. სუმბათაშვილის, იპ. ვართაგავას, გრ. რობაქიძის, ალ. შანშიაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, სიმ. ავალიანის, რ. გაბაშვილის და სხვათა ნაწერებში.

აღსანიშნავია, რომ პ. სურგულაძის რედაქტორობით გამოსულ ნომრებში მისი ხელმოწერილი არც ერთი მასალა არ არის დასტამბული. თუმცა ვვარაუდობთ, რომ სარედაქციო წერილების უმეტესობა მის კალამს უნდა ეკუთვნოდეს. სწორედ მათი,

ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული წერილების, თემატური და სტილისტური ანალიზი იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას. თითოეული სარედაქციო წერილი რომელიმე კონკრეტული საეროვნო საკითხისადმია მიძღვნილი და ყველა მათგანი ქართველი ხალხის ნაციონალური თვითშეგნების ამაღლებისკენ არის მიმართული; მათში პროფესიულად არის შეფასებული იმპერიაში მიმდინარე პილიტიკური პროცესები და ასეთ კონტექსტშია წარმოჩენილი ხალხების, მათ შორის უპირველესად, ქართველი ხალხის ბედიც, მისი განვითარების და გადარჩენის პერსპექტივებიც.

ერთ-ერთ სარედაქციო წერილში ჟურნალი აღნიშნავდა: „რუსის მთავრობამ იმპერიაში მცხოვრებ ბევრ ერს ისე შეუხუთა სული, რომ მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა; ბევრ ერში ხელოვნურად გადააგვარა ეგრეთწოდებული ინტელიგენცია და მათით შექმნა მასალა თავისი პოლიტიკური იდეალების გასანაღდებლად, მოამზადა ნიადაგი, რომელზედაც საკმაოდ ძლიერად ბევრ ხალხში გაიფურჩქნა ეგრეთ წოდებული სოციალისტური ცენტრალიზმი, რომელიც იგივე ბიუროკრატიული დესპოტიზმის თეორიული შვილია. ამნაირად სახელმწიფოება და რუსობა ერთმნიშვნელოვან მცნებად იქმნა აღსარებული, რომელთაც სხვადასხვა საბელი ნაუჭირეს ყელში და ნელ-ნელა ახრჩობენ... სწორედ ამ მიზნების განსახორციელებლად იყენებდნენ სასამართლოს, სკოლას, ეკლესიას, საზოგადოებრივ დაწესებულებებს...“[71], აქედან გამომდინარე გაკეთებული იყო დასკვნა,: „სადაც თავისუფალი მოქმედება არ არსებობს, სადაც ყოველი გზით შეურაცხყოფენ ეროვნულ გრძნობას, იქ სახელმწიფოებრივობა ვერას გზით ვერ ამაღლდება“[72].

განახლებული ჟურნალი „ერი“ თავის პირველსავე ნომერში ბეჭდავს ბაჩანას (ნ. რაზიკაშვილის) ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს — „მთამა ჰთქვა“, რომელშიც ნათლად და აშკარად არის მითითებული იმაზე, თუ ვინ იყო ის მტერი, რომელიც „ჩვენს სახლ-კარზე ბატონობდა“ და მფარველობისა და ერთგულების ნაცვლად, „ჯერ დაგვაშიშვლა, დაგვცარცვა, ახლა გვიპირობს დაჭმასა“. სწორედ ამიტომ, შეუძლებელი იყო ისეთი ქვეყნისადმი რაიმე სიყვარული და პატივისცემა შერჩენოდა ქართველ კაცს.

---

[71] ჟ. „ერი“, №15, 1910 წლის 16 მაისი, გვ. 1

[72] იქვე

ლექსი იმდენად აქტუალურად ჟღერს და იმდენად მიესადაგება დღევანდელ რუსულ-ქართულ ურთიერთობას, რომ მთლიანად შევახსენებ თანამედროვე მკითხველ საზოგადოებას:

„ვდგევარ და თვალი მიხუჭავ,
თოვლ-ფიფქო თავზედ მედები,
ვეტრფი ჩემს ერს და სამშობლოს,
ოცნებით თავზედ ვევლები.
თვალი კი ვერ გამიხილავ,
მტერო, წინ ამეჩეხები!

ნეტავი ან მე დამთხია
და ან ეგ მოჰკლა წყეული,
ჩვენს სახლ-კარზედა ჰბატონობს
საით სად გადმოთრეული?
შურისძიებამ შემიპყრო,
ვარ თავ-გულ-გამორეული.

დახე, როგორა გვერთგულობს,
როგორ გვისრულებს აღთქმასა,
ჯერ დაგვაშიშვლა, დაგვცარცვა,
ახლა გვიპირობს დაჭმასა.
თუ კიდე რას გამოგვრჩება,
კი დაგვაჯერებს ამასა?

დღესნამდე სიყვარულისა
მისთვისაც მქონდა კუნჭული,
ეხლა კი გამომერეცხა,
ცოფით ამევსო სულ-გული.
ბნელეთის ზღვაში დამენთქა
საკაცთ-მოყვარო კუნძული!

წმინდა და სპეტაკს გულშია
ზღვევის ჩამისხდა გველები,
მგელი, სისხლ-ხორცით უძღები
და ვეფხვი შეუბრალები!
მწეწვენ და მღადვრენ... არ ვიცი,
როდის მოვთხოვო ვალები?

მიწყდება ბეწვი მოთმენის,

ნამ-ერთი ჭირად მიხდება,
ყოფადი – ნაადრევი სჯობს,
ქმნადი — რაც მალე იქნება,
თუ ისევ, მოკლედ, თორემა
მერე გვიანღა იქნება“[73].

ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის დიდმნიშვნელოვანია Baton-ის ვრცელი მიმოხილვა ივანე ჯავახიშვილის ლექციების შესახებ. იგი გაგრძელებებითაა დაბეჭდილი „ერის“ სამ ნომერში 1, 2, 3-ში. ავტორი არა მარტო ახალგაზრდა მეცნიერის, ივ. ჯავახიშვილის, საინტერესო ლექციებს აძლევს მაღალ შეფასებას, არამედ თავისი ორიგინალური კომენტარებითა და მისეული მოსაზრებებით დიდად ამდიდრებს მას. („ბერძნები ნინააღმდეგნი იყვნენ საქართველოს ავტოკეფალიისა. მწვალებლებადაც კი სთვლიდნენ ქართველთა და ამ ნიადაგზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სნარმოებდა ქართველთ და ბერძენთა შორის. ამ ნიადაგზედ აღმოცენდა ქართველთა საეკლესიო მწერლობა“; „გიორგი მთაწმინდელი შესანიშნავი ისტორიკოსი იყო...“; „მისმა მონაფემ გიორგი მცირემ პირველად იხმარა შედარებითი მეთოდი ისტორიული მოთხრობის დროს...“; „ეფრემ მცირე იყო შესანიშნავი მთარგმნელი – თარგმანება მაშინ მეცნიერებას ნიშნავდა“; „თამარ მეფის ისტორიკოსი პირველად ხმარობს სიტყვას „ისტორიას“...)[74].

Baton-ი ფარსადან გორგიჯანიძეს მიიჩნევს „საერთაშორისო ტიპად“, რომლისთვისაც სულ ერთი იყო ეროვნება, რჯული, ოღონდ კი თავისი პირადი ინტერესები დაეკმაყოფილებინა... იგი ნამდვილი ტიპია მაშინდელი ზნედაქვეითებული ქართველისა...“. მისივე თქმით: „ფარსადან გორგიჯანიძეს მხოლოდ ირანის ხელმწიფეთა ისტორიაში“ და „ლანგ-თემურის შემოსევების ისტორიაში მოეპოვება საუცხოო ცნობები, რადგან იგი სპარსული წყაროებით სარგებლობდა. კერძოდ, ისკანდერ მუნშის და შერეფ-ედდინ-იეზადის ნაშრომებით“[75].

მიხ. წერეთლის აზრით: „ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე იყო გულქვა, ქარაფშუტა და უდარდელი“, მაშინ, როცა ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი, სეხნია ჩხეიძისგან განსხვავებით, დიდი

---

[73] ე. „ერი“ №1, 1910 წლის 7 თებერვალი, ქართული პოეზია თხუთმეტ ტომად, ტ.10, თბ., 1978, გვ. 420-421.
[74] ე. „ერი“ №1, 1910 წლის 7 თებერვალი
[75] იქვე, №2, 1910 წლის 14 თებერვალი

გულისტკივილით აღწერდა მისდროინდელ საქართველოს მდგომარეობას; მან კარგად იცოდა საქართველოს გამოუთქმელი უბედურება მეჩვიდმეტე საუკუნის და მეთვრამეტის დასაწყისისა"[76].

მიხ. წერეთლის თქმით, პაპუნა ორბელიანს „განსაცდელში ჩავარდნილი მდგომარეობის აღწერით სურდა ახალგაზრდობასაც გაეთვალისწინებინა ასეთი უბედურება სამშობლოსი და გაერკვია, თუ რა იყო მიზეზი ამ უბედურებისა, ვისგან და როდის დაგვატყდა იგი თავზე ქართველებს. ამდენად, მამულიშვილურის გრძნობით და სიყვარულით არის განმსჭვალული მისი თხზულება. იგი საუკეთესო ნაწარმოებია XVIIIს-ის საისტორიო თხზულებათაგან, ამიტომ პაპუნა ორბელიანი იმ დროის საუკეთესო მეისტორიედ უნდა ჩაითვალოს"-ო[77], — დაასკვნიდა მიხ. წერეთელი.

მიხ. წერეთელი დაუნდობლად აკრიტიკებდა მარქსიზმის მიმდევრებსა და სოციალისტური იდეების მქადაგებელთ, რომლებიც გამუდმებით იმეორებდნენ თავიანთ ზეპირ თუ წერილობით გამოსვლებში კ. მარქსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" 49-ე პარაგრაფში ჩაწერილ სიტყვებს: „კომუნისტებს უსაყვედურებენ სამშობლოს, ეროვნების მოსპობის სურვილსა. <u>მუშებს არა აქვთ სამშობლო, არ შეიძლება მათ წაართვათ ის რაც არ აქვთ".</u> (ხაზგასმა მიხ. წერეთლისაა – გ.ს.). ავტორის აზრით, მარქსის ეს მიმდევრები ყოველთვის უმალავდნენ საზოგადოებას იმავე პარაგრაფში დაფიქსირებულ სიტყვებს, რომლებიც ასეა ჩამოყალიბებული: „რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, პროლეტარიატმა ხელში უნდა ჩაიგდოს პოლიტიკური ძალა, <u>უნდა გახდეს მმართველ ეროვნულ კლასად, თვით უნდა გახდეს ერად,</u> ამ აზრით იგი ჯერ კიდევ შეკავშირებულია ეროვნებასთან."

მიხ. წერეთელი ამასთან დაკავშირებით ირონიულად შენიშნავდა: „ვინ მოგახსენათ, რომ პროლეტარიატს სამშობლო არ აქვს? მაშ, რას ნიშნავს პროლეტარი გერმანიისა, საფრანგეთისა, ინგლისისა? რა ენაზე ლაპარაკობენ ისინი და ეწევიან სოციალისტურ პროპაგანდას? რა სოციალური ელფერი ადევს მის ოჯახს, მის ზნეობას, რომელი ხალხის სული გამოიხატება მის ტემპერამენტში, მის მოქმედებაში, მის იდეალებში? რომელი სიმღერები აღუძრავს ხოლმე მას კეთილშობილ გრძნობათა?..

---

[76] ჟ. „ერი", №3, 1910 წლის 22 თებერვალი

[77] იქვე, გვ. 6-7

სად იღებს იგი მონაწილეობას კანონმდებლობაში, სად იბრძვის იგი ქუჩაზედ იარაღით ხელში და სხვა? თვით ერის ორგანიზმი, რომლის გარდაქმნაც მისი იდეალია!... პროლეტარიატი ორგანული ნაწილია ერისა და ამიტომაც სწარმოებს ორგანულად, ბუნებრივად კლასთა ბრძოლა ერთისა და იმავე ერის სოციალურ ორგანიზმში. მაშასადამე, თუ სამშობლო სოციალური მხრით ერისადმი კუთვნილებაა, პროლეტარიატს ჰქონია სამშობლო..."[78].

მიხ. წერეთელი კრიტიკის გარეშე არ ტოვებს მარქსისტულ ფრაზას იმის შესახებ, რომ თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, მსოფლიო ბაზარი, მრეწველობის განვითარება და სხვა, ერთა შორის განსხვავებასა და ბრძოლას სპობსო, — არ არის ჭეშმარიტება არც ერთის მხრით, — შენიშნავს მ. წერეთელი და განაგრძობს, — იგი პირდაპირ წინააღმდეგია ფაქტებისა, მთელი თანამედროვე ცხოვრების ვითარებისა: — გაცვლა-გამოცვლა ნიშნავს ორ ან მეტ დამოუკიდებელ ერს, ან სახელმწიფოს შორის ეკონომიკურ ურთიერთობასა, მაშასადამე პირდაპირ გულისხმობს გამცვლელთა და გამომცვლელთა...", რომ „სოციალიზმის დროს ერი არ ისპობა, არამედ ისპობა მტრობა და ნაცვლად ამისა მყარდება საერთაშორისო ძმობა. და როდესაც მარქსი ამ მტრობის მოსპობასა და მსგავსებათა მოსპობას ერთმანეთში ურევს, თანაც ერთა სოლიდარობაზედ ლაპარაკობს, — თვითვე ებმება ისეთ წინააღმდეგობაში, რომელიც ძალზე თვალსაჩინოა ახლა...". ამიტომ, სადაც ეს შეცდომა პირველ ჭეშმარიტებას და დოგმად აღიარეს – იქ ახლა მას გასავალი აღარა აქვს, პრაქტიკულ ცხოვრებაში მაინც. ჩვენში კი „ხალხის წინამძღოლნი" ამ ძველი ამბებით უჭედავენ ხალხს ტვინს და ბედნიერების წყაროდ, უმაღლეს იდეალად აჩვენებენ მასა... ამ სამოთხის მიწად დამკვიდრებამდის კი სამშობლოს უარმყოფელნი ათასჯერ მოასწრებენ „აბრაამის წიაღთა შინა" გადასახლებას. იქ კი, ვგონებ, სოციალიზმს ვერა ნახავენ, რადგან სოციალიზმი ჩვენ ცოდვილ დედამიწაზედ უნდა განხორციელდეს თავისუფალი ერისათვის, მის საკუთარ <u>სამშობლოში</u> (ხაზგასმა მიხ. წერეთლისა - გ.ს.).

სოციალიზმი, მართლაც, ტუტუცთა სათრეველი და სამასხრო რამ ხომ არ არის, რომ მისი სახელით მთელს ერს ურჩევდეს რამდენიმე წერა-კითხვის არა მცოდნე ბიჭი სამშობლოს

---

[78] ჟ. „ერი", № 9, 1910 წლის 4 აპრილი, გვ. 7-8

დაკარგვასა, — თანაც მანიფესტის 49-ე პარაგრაფის ძალითა"[79], — დაასკვნიდა მიხ. წერეთელი.

მიხ. წერეთელი (ალაროდიელი) აშკარა უარყოფით დამოკიდებულებას იჩენდა ჩვენში რუსულენოვანი პრესის საჭიროებისადმი. მას მიაჩნდა, რომ უცხო ენაზე ქართველთა შესახებ ბეჭდური გამოცემის დაარსებას მაშინ ექნებოდა გამართლება, თუ იგი ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესზე მოუთხრობდა სხვა ხალხს. მაგრამ რეალობა სხვა იყო... თბილისში გამომავალი რუსულენოვანი პრესა ქართული საქმეების საზიანოდ მოქმედებდა. მისთვის დამახასიათებელი უპრინციპობით, მიმართულების უქონლობით, თანამშრომელთა არჩევაში სრული უვიცობითა და ინდიფერენტიზმით. „ასეთ პრესას კი, — ავტორის აზრით, — თავის დღეში არ მოუტანია არავითარი სარგებლობა არსად და იგი ჩვენშიც ვნების მეტს არას მოიტანდა..." ბევრს ჰგონია, რუსული პრესა ჩვენში საზოგადოებრივ აზრსა ჰქმნისო. უკაცრავად, — ეს დიდი შეცდომაა. საზოგადოებრივ აზრს ამიერკავკასიაში ჰქმნის ქართული, სომხური, თათრული პრესა... ამიერკავკასიის საზოგადოებრივი აზრი არ არსებობს, როგორც არ არსებობს ამიერკავკასიის ერი... მაგრამ, თუ რომელიმე რუსული გაზეთი მართლაც გამოხატავს რომელიმე ერის საზოგადოებრივ აზრს, იგი დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე ეროვნული გაზეთის რუსული განყოფილებაა." რა თქმა უნდა, მიხ. წერეთელი რუსული პრესის საჭიროებას როდი უარყოფს... იგი საჭიროა, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, პეტერბურგში... „საქართველოზე უნდა სწერონ საქართველოს მცოდნეებმა, მეგობარმა უცხო მწერლებმა. თუ პეტერბურგში არ შეუძლიათ ნამდვილი რუსული მწერლობა, — აქ იყვნენ, სწერონ რუსულად, ოღონდ გაზეთს მისცენ განსაზღვრული მიმართულება და დაუმორჩილონ ქართულ საზოგადოებრივ აზრსა"[80] — დაასკვნიდა ალაროდიელი (მიხ. წერეთელი).

საზღვარგარეთ ქართული საკითხების შესახებ სხვა ხალხის ინფორმირების საუკეთესო მაგალითად მიაჩნდა პარიზში არჩ. ჯორჯაძისა და მის თანამოაზრეთა მიერ ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოცემული გაზეთები — „საქართველო" და „La Georgie".

ალაროდიელი (მიხ. წერეთელი) თავის წერილში — „კავკასიის ახალი ჭირისუფალნი" საკადრის პასუხს სცემდა პეტერბურ-

---

[79] ე. „ერი" №9, 1910 წლის 4 აპრილი, გვ. 8

[80] იქვე, 2, 1910 წლის 14 თებერვალი, გვ. 15-16

გში გამომავალ მეცნიერულ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „Жизнь Кавказа“-ს თანამშრომლებს, რომლებსაც კავკასიის ხალხთა ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე წერა გაუხდიათ თავიანთ უპირველეს საქმედ. თუმცა მათი მეცნიერული მსჯელობა ღიმილისმომგვრელ შენიშვნებს იწვევს ალაროდიელში. პუბლიცისტის თქმით, ხსენებული ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებული ყოფილა ვინმე ტოტომიანცის კავკასიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებები, რომლის დაკვირვებულ თვალს „თბილისში უნახავს დიდი ინტელიგენცია და ხატისოვი და არლუთინსკი ყოფილან თურმე უშესანიშნავესნი ამ ინტელიგენტთა შორის.. აგრონომთა შორის სამიწათმოქმედო კრებაზე უშესანიშნავესნი ყოფილან: ფირალოვი, ქალანთარი, ტიმოფეევი და ეირანოვი... იმავე ტოტომიანცს „ბაქოში უნახავს ბევრი რამ, მაგრამ... ღირსშესანიშნავ კაცთა შორის – მარტო დოლუხანოვი შეუნიშნავს, „ურომლისოდაც თითქმის არც ერთი კეთილი საქმე არ კეთდება“ ამ ქალაქშიო და სხვ. იგივე ავტორის თქმით, გერმანელ ბორკჰარდტს შეუნიშნავს, რომ სომხები თურმე ძლიერ კარგად ეკიდებოდნენ მიწის მუშაობას, გაცილებით სჯობიან თათრებს, ხოლო ქართველები მშვენიერი ჰავის გამო დაზარმაცებულნი არიან, არა აქვთ დიდი მოთხოვნილება, არა აქვთ მისწრაფება გამდიდრებისადმი“ და სხვ.

ჟურნალის მეორე ავტორის, კოტელნიკოვის აზრით, „დემოკრატიზმი და ახალი ცხოვრების პრინციპები კავკასიაში სომხებს შეუტანიათ, მათ დაუცავთ ქართველებისა და თათრების ფეოდალიზმი, ამიტომაც შეუძულებიათ ისინი, რის გამო თათრებს პირდაპირ ომი გამოუცხადებია მათთვის ე.ი. სიმხებისათვის, ხოლო ქართველები უბრალო მტრობით დაკმაყოფილებულან და სხვ.

მიხ. წერეთელი ასეთ კომენტარს უკეთებს ბ-ონ კოტელნიკოვის ამ „ბრძნულ“ მოსაზრებებს: „დემოკრატიული მისწრაფება ხალხისა ისეთი ულეტითა და ომით თავდება, როგორიც იყო სომეხ-თათართა შეტაკება! რაღაც უცნაური დემოკრატიზმი ყოფილა ეს სომხის დემოკრატიზმი და კოტელნიკოვი სომხებს ამით არა გვგონია დათვურ სამსახურს არ უწევდეს“[81]“-ო.

ჟურნალ „ერის“ ფურცლებზე დასტამბული მასალები „Baton“-ისა და „ალაროდიელის“ ხელმოწერით დიდ აღშფოთე-

---

[81] უ. „ერი“ №6, 1910 წლის 14 მარტი, გვ. 2–4

ბას ინვევდა ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის. გაფაციცებით დაეძებდნენ მის ავტორს, მაგრამ კარგა ხანს ვერ მოახერხეს ამ ფსევდონიმებს ამოფარებული პუბლიცისტის გამოაშკარავება... თუმცა ეჭვის საფუძველზე პასუხისგებაში კი მისცეს, მაგრამ დაპატიმრებას გადაურჩა... 1910 წლის ბოლოს მიხ. ნერეთელი მაინც დასაჯეს და მიხ. ადამაშვილთან (მ. ჯავახიშვილთან) ერთად 5 წლით განდევნეს კავკასიიდან. მიხ. ნერეთელმა საზღვარგარეთს, ლონდონს შეაფარა თავი, ხოლო მ. ჯავახიშვილი როსტოვში იხდიდა სასჯელს... ცოტა მოგვიანებით, როცა ასევე დაპატიმრებას გადარჩენილი ჟურნალის რედაქტორი პ. სურგულაძე ევროპაში გააღწევს და იქ ახალი ბეჭდური ორგანოს „თავისუფალი საქართველოს" გამოცემას განიზრახავს, სხვებთან ერთად მისი უპირველესი მხარში მდგომი ისევ მიხ. წერეთელია... მაგრამ ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

პ. სურგულაძის და ჟურნალის გარშემო შემოკრებილ მამულიშვილთა ფიქრი რუსეთის ბატონობისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის გზების ძიება და ამ სანუკვარი მიზნის მისაღწევად ქართველი ხალხის დარაზმვა იყო... თუმცა არც ახლო მეზობლის გაუტანლობას ივიწყებენ და სომეხი ხალხის ზოგიერთ უმადურ წამომადგენლის უმადურ ქმედებაზეც შეახსენებენ მკითხველ საზოგადოებას. იმ წლებში თბილისში მცხოვრები სომეხი „პლუტოკრატიის" თავგასულობამ დიდი აკაკიც კი აღაშფოთა და იძულებული გახადა ვრცელი ლექსით დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. ლექსი თავისი პუბლიცისტური სიმძაფრით გამოირჩევა და იმათ გასაგონადაც გამოდგება, ვისაც დღესაც ჰგონია, რომ ჯავახეთი სომხეთის ტერიტორიაა და არაფერს ერიდებიან, რუსეთის მიერ წაქეზებულებმა თავიანთი შოვინისტი წინაპრების მიერ შეთხზული სიმღერები დააღიღინონ... აი, ეს ლექსიც:

<u>პასუხად სომხებს</u>

„... როცა დაემხო თქვენი სამეფო...
მტერმა დაიპყრო რა თქვენი მხარე,
ვინ იყო თქვენი თანამგრძნობელი
თუ არ ჩვენ? ვღვარეთ ცრემლები მწარე.

რაც კი შევძელით არ დაგვიკლია;
გეხმარებოდით ჭირში ძმურადა

და მეფეებიც ქართველი ჯარით
თავს სდებდნენ „ანში“ ვაჟკაცურადა.

ბოლოს მიგიღეთ სამშობლოშიაც,
გამოგიწოდეთ ძმებს ძმურად ხელი,
ტაძრები მოგცათ თვით ეკლესიამ...
ისე მიგიღეთ, ვით საყვარელი.

ჩვენ სისხლს ვანთხევდით თქვენი გულისთვის:
თქვენ იმ დროს მხოლოდ თქვენთვის ვაჭრობდით,
ჩვენ როს, როგორც ძმებს, თავს გევლებოდით,
თქვენ თურმე მაშინ სულ სხვას ნატრობდით.

აბა თუ რამე მიგიძღვით ღვაწლი
საქართველოს წინ წამოაყენეთ!
და თუ ჩვენ შრომა ვერ დაგიფასოთ,
უარი გვყავით და შეგვაჩვენეთ!

თითქმის მეტია ათას წელზედაც
საქართველოში მოსახლეთ რომ ხართ!
აბა თუ ჩვენგან თუ რამ გაკლიათ?
ღმერთმა ხომ იცის, ეხლაც გვიყვარხართ.

მაგრამ თქვენგან კი არა გვახსოვს რა,
გარდა მტრობისა და სიძულვილის,
ჩვენზე ისე ხართ შემოჩენილნი,
როგორც ნურბელა და მატლი კბილის.

როგორ არ გითხრათ, რომ მამა-პაპით
ჩვენში გაზრდილხართ, ჩვენში შობილხართ
და სასომხეთი, როგორც ქვეყანა
არც კი გინახავთ, არც კი ყოფილხართ.

დედა ენათაც ქართული ენა
ჰქონიათ თქვენთა მამა-პაპათა.
ეხლა კი ძმათაც აღარ გვკადრულობთ
აგვითვალწუნეთ, აგვიღეთ ყბათა.

და აღარ ამხელთ ქართულს... გრცხვენიათ!
თითქოს ის სომხურს უშლიდეს ხელსა...

და თქვენთან ერთად რომ მოსაქმობდეს,
გაურბით მტრულად დღეს თქვენ ქართველსა.

ამას ვჩიოდით, ამას ვსტიროდით!
ეს იყო ჩვენი მოთქმა და ზარი!
გვსურდა, რომ ჩვენსა და სომხებს შუა
არ დახშულიყო საერთო კარი.

ნუთუ ამდენ ხანს ვერ მიხვდით განა,
რომ მტრობა-შურით ვერას გავხდებით!
მხოლოდ ერთმანეთს კი გავაფუჭებთ,
დავგლახაკდებით ორივ... ნავხდებით!

და რაც საჯაროდ დღეს წარმოგითქვამთ,
თუ მართალია, ვერ გეტყვით „ვაშას",
ის არ შეჰფერის ძმობა-ერთობას,
კეთილ მოლვაწეს და ნამდვილ მუშას.

სომეხი, ფრანგი, თათარი, ოსი,
ყველა ძმა არის, ვინც კი მოგვცემს ხელს
და საზიარო ჭირსა და ლხინში
ინამებს მოძმეთ, მოკეთეთ ქართველს!..

აი რას ფიქრობს ყველა ქართველი
სომხისთვისაც რომ კარგი სწყურია,
და ამიტომაც გულს ისრად ხვდება
თქვენი სიმღერა: „ხაჩატურია..."[82].

ამ ლექსს უფრო დიდი პუბლიცისტურ-ისტორიული დატვირთვა აქვს, ვიდრე მხატვრული, მაგრამ იგი დიდი აკაკის კალამს ეკუთვნის და იმ სიკეთის დაუნახავი და უმადური სომხების მისამართით არის ნათქვამი, ვინც თბილისში მოკალათებულნი და რუსის ადმინისტრაციის ხელდასმულნი, გამუდმებით წყალს ამღვრევდნენ ორ მოძმე და მეზობელს ხალხს შორის რუსის გულის გასახარად. ასე იყო ასი წლის წინათ, სამწუხაროდ, ასეა დღესაც. მას, რისი დავიწყებაც შეუძლებელია, ვერც ივიწყებს ერის კოლექტიური მეხსიერება. მას მთავრობათა შორის

[82] ჟ. „ერი" №18, 1910 წლის 6 თიბათვე, გვ.3

დადებული დადგენილებები და ხელშეკრულებებიც ვერაფერს შველის.

ჟურნალ „ერის“ ფურცლებზე დასტამბულ სტატიაში — „სიმცირის გავლენა“, ფილიპე გოგიჩაიშვილი სასიამოვნო მოვლენად მიიჩნევდა იმხანად პრესაში გამოთქმულ თვითკრიტიკას ქართველი ერის დაძაბუნების, თვითმყოფადობის დაკარგვის საშიშროების გამო და სხვ. მიაჩნდა, რომ „ჩვენ ნაკლოვანებათა საჯაროდ გამოფენას, დაფარულ სულიერ იარების გახსნას და ზნეობრივ დაავადების ანალიზს, მხოლოდ და მხოლოდ სარგებლობის მოტანა შეეძლო საზოგადოებისათვის. ეს ისეთი მწარე, მაგრამ საღი წამალი იყო, რომელიც არასოდეს არ აწყენდა ხალხის ორგანიზმს...“. თუმცა, მისივე თქმით: კრიტიკა მაშინ იქნებოდა ნაყოფიერი, როცა იგი ფაქტებისა და მოვლენების ანალიზს დაეფუძნებოდა და მარტოოდენ გოდებად არ დარჩებოდა. ვინაიდან „გოდება გულის გამტეხი და ენერგიის დამჩლუნგებელია, ანალიზი კი ყოველთვის გზის მაჩვენებელი და იმედის მომცემი. ხოლო ის, რაც ახსნილი და გარკვეულია, დაუძლეველი აღარ ეჩვენება ადამიანს.“ იქვე, ავტორი ერთ ბრძნულ შეგონებას შეახსენებდა მკითხველს: „ადამიანისათვის ერთი და იგივე არ არის უთხრა: „არ ვარგიხარო“ და „ამიტომ და ამის გამო არ ვარგიხარო“. ვინაიდან, პირველ შემთხვევაში იგი დუნდება და ბოლოსდაბოლოს თავის სიმდარეს (უვარგისობას) კიდეც შეურიგდება, მეორე შემთხვევაში კი მას იმპულსი ეძლევა და მოქმედებისათვის სულიერი ძალა ემატება“. ამიტომ, — პუბლიცისტის აზრით, — „ყოველგვარი კრიტიკული გამოსვლა ამ სასწორით უნდა აწონილ-დაწონილიყო...“.

ფილ. გოგიჩაიშვილი ქართველი ხალხის „ზნეობრივი ნაკლის“ წარმომშობად „რაოდენობრივ სიმცირეს“ მიიჩნევდა... ამასთან, იგი ჩამოთვლიდა იმ თვისებებს, რომლებიც დამახასიათებელი იყო ქართველი ხალხისათვის. ესენი იყო: <u>მეჭორეობა</u> ანუ ერთმანეთის კერძო ცხოვრების დაურიდებელი ქექვა; <u>წამბაძველობა</u> – თითოეული ქართველი მუდამ თავის მეზობელსა და ნაცნობს ადარებს თავის თავს... იგი წყნარად და გულმშვიდად არის, თუ ირგვლივ სხვებიც მასავით „ჩათლახად“ ცხოვრობენ. სამაგიეროდ ვერ მოისვენებს, თუ მისმა მეზობელმა გაუსწრო.. ეს მას სასირცხვოდ მიაჩნია... ამიტომ იგი ნახევარჯერ საჭმელს მოიკლებს და დიდკაცურად გამოეწყობა. ანდა ვთქვათ და მისმა მეზობელმა სწავლა მიიღო და გაზეთში წერა დაიწყო. ისიც არ მოისვენებს, სანამ ერთ პატარა კორესპონდენციას არ „მოაქუჩებს“ და გაზეთში არ დააბეჭდვინებს...

ქართველში გამძაფრებულია შურიანობის გრძნობა... „დიაღ, შურიანობა ჩვენი სამარცხვინო თანდაყოლილი გახლავთ, — წერს ფ. გოგიჩაიშვილი და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი განსაკუთრებით ვლინდება „ახლობლის", „მეზობლის" „დაწევა"-„აწევაში", თორემ „უცხოს მიმართ ქართველმა სრულებით არ იცის შურიანობა." რატომ? იმიტომ, რომ უცხო მისთვის უცნობია. მასთან ქართველს არაფერი აკავშირებს... სულ სხვაა, რომ მისიანმა იგი ვერ უნდა დაჯაბნოს და ა.შ.

ავტორის თქმით, პატარა ხალხებში, მათ შორის ქართველებში, ნაყოფიერი ნიადაგი ჰქონდა გაზვიადებული თავმოყვარეობის აღმოცენებას... ყველას, ვისაც ოდესმე „საზოგადო საქმის" გულისათვის ორიოდე მუქთი სიტყვა დაუხარჯავს, სამშობლოს მხსნელად მოაქვს თავი და ხშირად გულწრფელად სჯერა, რომ ხალხის ბედიღბალი მის პიროვნებასთან არის განუშორებლივ დაკავშირებული...

ფ. გოგიჩაიშვილი კიდევ ერთ თვისებას – ნამდვილი ავტორიტეტის მოხვეჭის სიძნელეს თვლიდა. მისი თქმით, თუ ხალხის რაოდენობრივი სიმცირე კერძო თავმოყვარეობის გასაზვიადებლად შესაფერის საფუძველს იძლეოდა, სამაგიეროდ იგი ხელისშემშლელი იყო ავტორიტეტის მოსაპოვებლად.

„ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ ავტორიტეტს, — წერდა იგი, — რომელიც კერძო ადამიანის პირადი ღირსების განსაკუთრებულ უპირატესობაზეა დაფუძნებული... ასეთი ავტორიტეტის მოპოვება პატარა ხალხში განსაკუთრებით დამჯდარი და მტკიცე ხასიათის პატრონ იშვიათ ადამიანებს შეუძლიათ", — დასძენდა პუბლიცისტი... რომ ავტორიტეტისათვის აუცილებელია „შარავანდედით მოცული უცნობლობა", მაგრამ პატარა ხალხში ხომ ყველა ყველას სცნობს, ამიტომ აღარავინ რჩება „უცნობლობით მოცული" პიროვნება...; რომ რაოდენობრივად პატარა ხალხში ყველანი სულიერად გატიტვლებულნი არიან ერთმანეთის წინაშე და ეს არის ერთ-ერთი თვალსაჩინო მიზეზი, რომ აქ ავტორიტეტს იშვიათად სცნობენ... ხოლო ადამიანები თუ გავატიტვლეთ, ყველანი დაახლოებით ერთმანეთის მსგავსნი გამოჩნდებიან...", ყველაფერი ეს კი ხელს უშლის საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას. ამიტომ „ჩვენში იმდენივე აზრია, რამდენი ქართველიც მოიპოვება"-ო დაასკვნიდა ფ. გოგიჩაიშვილი და ერთხელ კიდევ მოუწოდებდა საზოგადოებას, გაეთვალისწინებინათ ეს ეროვნულ-პიროვნული თვისებები, აემაღლებინათ

პიროვნების შინაგანი კულტურა, რაც ადამიანის სულიერად გამაფაქიზებელ ფაქტორად იქცეოდა...[83].

„ერის" ფურცლებზე დაბეჭდილ ფ. გოგიჩაიშვილის პუბლიკაციებიდან საყურადღებოა მნიშვნელოვანი ღირებულების ნაშრომი „ჩვენ და ცხოვრება". მასში ჩვენი ეროვნული ცხოვრების სხვადასხვა მიმართულებებზეა საუბარი. ერთგან ავტორი ქართველ ქალთა განათლების საკითხზე მიაქცევს საზოგადოების ყურადღებას. აღნიშნავს, რომ ქართული ოჯახის სიმტკიცე მუდამ იყო ერის გადარჩენის უმნიშვნელოვანესი საშუალება... რუსმა ხელისუფლებამ კარგად გააცნობიერა ეს და დაიწყო ქალთა სასწავლებლების გახსნაზე დიდძალი ფულის ხარჯვა კავკასიაში, ვიდრე შუაგულ რუსეთის გუბერნიაში. მიზანი ერთი იყო, იქ სწავლამიღებულ ქალებში ჩაეკლათ ყოველივე ის, რაც მათ „სახლისა და ოჯახური ცხოვრების მოწყობაში" გამოადგებოდათ... ფ. გოგიჩაიშვილის თქმით, ხსენებული სკოლები, „რუსული კულტურის გამავრცელებლად" უნდა ქცეულიყვნენ ჩვენში. სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელთ კარგად ესმოდათ, რომ სხვა ტომის დამორჩილებულ ხალხში ოჯახური სიმტკიცის მოშლა, ქალის სულიერად გამოთიშვა მისივე ხალხისგან, „საუკეთესო იარაღი და საშუალება იყო მთელი ერის ზნეობრივი ძალის დასაშლელად და მისი ეროვნული თვისებების წარსახოცად..."[84].

ჟურნალში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში" (სარედაქციო, ხელმოუწერელი, რედაქტორს პ. სურგულაძეს უნდა ეკუთვნოდეს – გ.ს.) ყურადღება გამახვილებული იყო კერძო საკუთრების თაობაზეც. ავტორის აზრით: „კერძო საკუთრება მარტო უფლება არაა, ის მოვალეობაც არის. საკუთრებას პატრონობაც უნდა, უნდა ცდილობდეთ თქვენ მიწაწყალს უმეტესი ნაყოფი გამოაღებინოთ – დაამუშაოთ, შექმნათ მეურნეობა, ისარგებლოთ ყოველივე გაუმჯობესებით, რაც კაცობრიობას დღემდე შეუქმნია"[85].

მასში მოყვანილი იყო გულშემზარავი ფაქტები თავადების გიორგი ამილახვრისა და ზუბიკო აბდუშელიშვილის „საგმირო საქმეთა" შესახებ, რომლებსაც ინგუშების დაქირავებული რაზმის დახმარებით ქართლის სოფლების გლეხობის დარბევა-აწიოკებისთვის მიუყვიათ ხელი... სოფ. დუისისა და ჩრდილის, აგ-

---

[83] ე. „ერი" №20, 1910 წლის 20 აპრილი, გვ. 1-4

[84] იქვე, №9, 1910 წლის 4 აპრილი, გვ. 1-3

[85] იქვე, №12, 1910 წლის 25 აპრილი, გვ. 3

რეთვე ქსნის ხეობაში მომხდარი ფაქტები ამ „მამულიშვილეების" საგმირო საქმეებზე მიუთითებენ...

„შეიძლება კერძო პირები შეიარაღებულ ყაჩაღების ბრბოთი დათარეშობდნენ და იკლებდნენ ხალხს?.. ჩვენ მაინც გვსურს ერთი მხრით შევეხოთ ამ მოვლენას. როგორც ვიცით, თავადაზნაურობას აქვს თავისი ორგანიზაცია, რომელიც თავის მოვალეობად სთვლის დაიცვას ზნეობრივი ღირსება თავის წოდებისა. ფრიად საყურადღებოა ვიცოდეთ, როგორ უყურებს ასეთს მოვლენას თავად-აზნაურობა და მიაჩნია მას წოდებისათვის სასიკეთოდ თუ არა თავის წევრთა ასეთი მოქმედება, როგორიც ხალხს სულს უხუთავს, სასოწარკვეთილებაში აგდებს და ვინ იცის, რა ზომამდე მიიყვანს?!"[86]

იმავე მიმოხილვაში ყურადღებაა გამახვილებული ქვა-ხვრელას ეკლესიასა და კლდეში ნაკვეთი ქალაქის უფლის-ციხის მდგომარეობაზე, რომლებსაც იმჟამად დაუფლებულნი ყოფილან სომხები და ყოველმხრივ ცდილობდნენ მათ ნგრევას, ჯღაბნას, შესანიშნავი დარბაზებისას;.. ციხის ეზოში დარჩენილი ეკლესიის თვითნებურად გადაკეთებას, მიცვალებულთა საფლავების მოშლას, საფლავის ქვების ამოყრას და არემარის გასწორებას...

ჟურნალი ამ ფაქტების გამოქვეყნებით ქართული საზოგადოების ყურადღებას მიაქცევდა ეროვნული ღირსების დაცვისაკენ...

„საზოგადოებრივი დაცემა" — ასეა დასათაურებული „ერის" ერთ-ერთი სარედაქციო სტატია, რომელშიც ერთხელ კიდევ ხაზგასმით არის საუბარი ქართველი ერის უმდიდრეს ისტორულ ნარსულზე, მის მაღალ კულტურაზე, სახელმწიფოებრივ ტრადიციებზე და იმ აუარებელ ქარტეხილებზე, რომლებიც არაერთხელ დასტყდომია თავს ქართველ ხალხს, მაგრამ მას გადარჩენის რწმენა არასდროს დაუკარგავს. ამაში კი უპირველეს როლს ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და ღვთით კურთხეული ქართული ენა ასრულებდნენ. „იშვიათია ისეთი ერი ქვეყნიერებაზე, რომელიც მუდამ თავისუფალი ყოფილიყოს. თითქმის ყოველ ერს გაუვლია ხანგრძლივი თუ ხანმოკლე მონობა, მაგრამ ერი რომელიც თავის ვინაობას აფასებს, მონობაშიაც კი ქედს არ იხრის და ცდილობს თავისი უფლება და თავმოყვარეობა დაიცვას. არაფერი ისე საზიზღარი და შემაძრწუნებელი არ არის, როგორც ის როცა მონა თავის მონობას ქებას

---

[86] ჟ. „ერი", №12, 1910 წლის 25 აპრილი, გვ. 3.

ასხამს, ბედნიერების შარავანდედით მოსავს. ისტორია უცვლელი რამ არის. არავითარი გარეშე ძალა საშიში არ არის მანამ, სანამ თქვენს გულში ჭია არ დაიბუდებს, არ დაეცემით, თავმოყვარეობას და იმედს არ დაკარგავთ... ქართველი ერი დღევანდელი მოვლენა არ არის, მისი ისტორია ათას წლებს ითვლის. ამ ხანგრძლივ ისტორიულ არსებობაში მან შექმნა განსაზღვრული კულტურა, გამოიჩინა თავისი უნარი არსებობისათვის ბრძოლაში და, მაშინ, როცა არა ერთი ერი შთანთქმულ იქნა საერთაშორისო ბრძოლებში, ქართველობამ თავისი სახე, თავისი ვინაობა შეინარჩუნა. ამიტომ, ყოველი ქართველი, რომელსაც თავისი ქართველობა სხვადასხვა საპირადო საქმეზე არ დაუხურდავებია, ვალდებულია თავის წარსულს, ხანგრძლივი წვა-დაგვით გამოჭედილ უფლებას თავისი არსებობისას პატივი სცეს, დაიცვას უკეთესი მომავლის მოლოდინში"[87].

ავტორის აზრით, გულსაკლავი ის იყო, რომ იმდროინდელი საზოგადოების ერთი ნაწილი ისე იყო გახრწნილ-გადაგვარებული, რომ „ვაშას ძახილით" ხვდებოდა იმათ, ვინც ჩვენ არსებობას გზაზე გადაეღობა და სრულ მოსპობას გვიქადდა... მათ ვინც ჩვენში უწინარეს ყოვლისა დაარღვია სახელმწიფოებრივობა, მოსპო ძველი ადმინისტრაციული განწყობილება, მოსპო ჩვენს ისტორიულ არსებობაზე აღმოცენებული სასამართლო, მოსპო ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობა, იმ ეკლესიისა, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვოდა ჩვენს ისტორიულ არსებობაში... მაგრამ განსაკუთრებული სისტემატიურობით დევნიდა ჩვენი ეროვნული არსებობის დედა-ბოძს — ენას."

ქართული ენისთვის რუსთაგან პატივაყრისა და შეგინების კონკრეტული მაგალითების მოტანისგან ავტორი იმჟამად თავს იკავებდა, მაგრამ თავშეუკავებლად ამხელდა იმათ, ვინც აბუჩად იგდებდა თავის მშობლიურ ენას.

გადაგვარების გზაზე უფრო შორს წასვლა წარმოუდგენელია, — აღნიშნავს ავტორი და ერთი კონკრეტული ფაქტი მოაქვს: „ორი დღის წინად ტფილისის აზნაურთა კრებაზედ ერთმა მათგანმა ქართულად ლაპარაკი მოინდომა, თავმჯდომარემ, თავად-აზნაურთა წინამძღოლმა, რომელიც ყოველთვის აცხადებდა ჩვენი ტრადიციების დამცველი ვარო, მოლაპარაკე გააჩერა და წინადადება მისცა ქართულად არ ელაპარაკა..." ამით აღშფოთებას ვერ მალავს წერილის ავტორი და საქვეყნოდ ამხელს ამ ჩინოსან ქართველს: „ეს რაინდი გახლავთ ფრიად ენაწ-

---

[87] ე. „ერი" №19, 1910 წლის 13 ივნისი, გვ. 5

ყლიანი, გრძლად და ხშირად მოუბარი ბ-ნი მიხეილ მაჩაბელი"-ო[88].

ჟურნალ „ერის" ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი კორესპონდენცია თავის მკითხველს აუწყებდა ფაქტს, ქუთაისის ქართულ თეატრში, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ ალ. სუმბათაშვილის დრამის „ღალატის" გმირების – ზეინაბისა და ოთარ-ბეგის ლიტერატურული გასამართლების შესახებ. გასამართლებას დიდძალი ხალხი დასწრებია, რომელთაც დიდი ყურადღებით მოუსმენიათ როგორც ბრალმდებელთა, ისე დამცველთა სიტყვები. ნაფიც მოსამართლეებს ორივე გმირი დამნაშავედ უცვნიათ, რასაც დამსწრე საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოუწვევია...

შემდეგ სიტყვა წარმოუთქვამს ზეინაბის დამცველს, ახალგაზრდა პოეტს გრიგოლ რობაქიძეს. მისი სიტყვა: საოცრად ხატოვანი და ლოგიკური, ღრმა შინაარსიანი და დამაჯერებელი, მჭერმეტყველების უმშვენიერესი ნიმუში, აღფრთოვანებით მოუსმენია და მიუღია ქუთაისის დამსწრე საზოგადოებას... „ერში" გამოქვეყნებული ტექსტით, იგი მთელი ქართველი მკითხველისათვის გახდა საცნაური. ამასთან ერთად, გრ. რობაქიძის ნათქვამი სავსებით მიესადაგება ჟურნალის რედაქციის მიზან-მიმართულებას... ზოგიერთი ამონარიდის მოტანით, დღევანდელი ჩვენი მკითხველიც არ დარჩება გულგრილი.

„ქვეყანაზე არც კი არსებობს ისეთი ტანჯული ერი, როგორიც არის ქართველი ერი, — მიუთითებს გრ. რობაქიძე და განაგრძობს, — ისტორია მისი ერთი დიდი ტრაგედიაა, საშინელი და შემზარავი მერტიროლოგია. სიცოცხლე და სიკვდილი, სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა, თავისუფლება და დამონება, მორჩილება და განთავისუფლება, — აი სისხლით გასმული ხაზი იმა ტრაგედიისა..."[89].

ასეთი შესავლის შემდეგ იგი კიდევ უფრო ამძაფრებს სათქმელს დაკავშირებულს სამშობლოს განცდასთან... „ყოველი ჩვენთაგანი, მხოლოდ ორგანული ნაწილია სამშობლოს სხეულისა, რომლის გარეშე ჩვენ სიცოცხლე არ შეგვიძლია. ჩვენ ვიტანჯებით, — იგი ტანჯვა მშობლიურ სიტყვაში უნდა გამოვხსნათ, რომ გამოთქმაში ვაქარვოთ მისი სიმძაფრე. ჩვენ წყლული გვაქვს — მას მშობლის საყვარელი ხელი უნდა მიეფეროს,

---

[88] ჟ. „ერი", №19, 1910 წლის 13 ივლისი, გვ. 5–6

[89] იქვე, №11, 1910 წლის 18 აპრილი, გვ. 6

თორემ მისგან სისხლი ითქრიალებს. ჩვენ სისხლი მოგვხეთქავს წყლულისაგან, — იგი სისხლი მშობლის ცრემლმა უნდა ასველოს, რომ მისი დენა უტკივრად ხდებოდეს. მშობლის ძუძუ უფრო ტკბილია, ვიდრე ნექტარი უკვდავებისა; დედის ნანა უფრო გულში ჩამწვდომია, ვიდრე სიმფონია ბეტჰოვენისა. და განა მარტო ეს, სულიერი, გვიყვარს სამშობლოში? ჩვენ გვიყვარს თვითონ მისი სხეულიც, მშობელი მიწა. ჩვენ გვიტაცებს თავისუფლად გაშლილი ველი... ჩვენ შევფრინავთ ამაყად ამართულ კლდეს... ჩვენ გვიყვარს ყრუ ღელენი და მყუდრო ჭალები. ჩვენ ვეტრფით მოლით მოცულ კორდს დასასვენებლად და მწვანე მდელო გვიშლის ფარდას და ყვავილს... ასეთია სამშობლოს სიყვარული: ძლიერი, სტიქიური. ძნელი არის მის გარე-ყოფნა: გული ნაღვლით ივსება და სული კაეშნითა. რა აღტაცებას იგრძნობს გარდახვეწილი, თუ მას შორით უეცრივ მშობელი მუსიკა მოესმა: იგი უთუოდ ცრემლსაც დაღვრის აღტაცებითა. ძნელი არის სამშობლოს დაკარგვა, მთელი ერის დაობლება.

ვერავინ აღწერს იმ ნაღვლითა და ბოღმით სავსე ღიღინს ებრაელისას, რომელიც მზის ჩასვლისას და ბუნების მიყუჟების ჟამს გაისმის განმარტოებით: იგი ნაღვლობს აღთქმული ქვესათვის, იმა ღიღინში საუკუნოებია ჩამარხული და რა ვერ ნახულობს, ჰქრება ნელ-ნელა უდაბნოში დღისით ანთებული ალივითა.

ვერა რა სიმი ჩაიქსოვს სამშობლოს ტანჯვის ნარნარ გრძნობას; ვერა რომელი მელოდია გამოსთქვამს მისი სულის ობლობას. შეიძლება თარმა გვამცნოს იგი, მაგრამ ეს ხომ მუსიკა არაა: ეს ყელს მომდგარი ქვითინია, დაკარგული ჰანგი, რომელიც დედას დაეძებს და ვერ მოუნახავს...

აი, რა არის სამშობლო და რას შესწირა ზეინაბმა მთელი თავისი არსება," მოჭრით დაასკვნის გრ. რობაქიძე და განაჩენს არა კანონთა კოდექსის მუხლებით შეიარაღებულ მოსამართლეებს, არამედ საზოგადოებას ანდობს.

ერთ-ერთ სარედაქციო წერილში „აუცილებელი გზა", საუბარია მოსწავლე- ახალგაზრდობის აღზრდის სწორი ორიენტაციის საკითხზე. აქ წინა პლანზეა წამონეული იმ ახალგაზრდათა ბედი, „რომელთაც სწავლა ასე თუ ისე დაუსრულებიათ, მაგრამ ცხოვრებაში ფეხი ვერ მოუკიდიათ და სამოქმედო სარბიელი ვერ გამოუჩენიათ". ამის მიზეზად ავტორს ის მიაჩნდა, რომ ახალგაზრდა „თავიდანვე ყალბ გზაზე დაუყენებიათ და მისი ყურადღება და შრომა-მეცადინეობა იქითკენ არ მიუმართავთ,

საითკენაც უნდა ყოფილიყო მიმართული". ამიტომ რჩებოდნენ შემდეგ ისინი სამსახურის და დასაქმების გარეშე.

ამაში გარკვეული, თუ მთლიანად არა, ბრალი მიუძღოდათ მათ მშობლებს, რომლებიც შვილებს „სამსახურებისათვის, მოხელეობისათვის ამზადებდნენ და ამავე დროს სრულებით არ ფიქრობდნენ, ექნებოდათ თუ არა მომავალში საშუალება მათი ცოდნა და უნარი სწორად ყოფილიყო გამოყენებული..."[90].

„ჩვენ ყველანი ჩვენს შვილებს სამსახურებისათვის, მოხელეობისათვის ვამზადებთ და ამავე დროს სრულებით არ ვფიქრობთ, გვაქვს თუ არა საშუალება, შემდეგში მათ რამე საქმე მივუჩინოთ და მათი ცოდნა და უნარი გამოვიყენოთ. საუბედუროდ ამაზე ზრუნვა სულ გვავიწყდება, — ჩვენი ერთად-ერთი ფიქრი ის არის, რომ ჩვენმა შვილებმა „სწავლა დაასრულონ", ხოლო რა მოუვა მათ შემდეგში, გამოადგებათ ან ჩვენ გამოგვადგება თუ არა ეს მათი „სწავლა", ამაზე თავს არავინ იტეხს, ეს კითხვა მარტოოდენ ფიქრის ღირსადაც კი არავის მიაჩნია. აბა რას იტყოდით, მაგალითად, ნორვეგიელებზე, ისინი რომ ათასობით აგზავნიდნენ თავიანთ შვილებს იტალიაში ყაჭის მოვლის შესასწავლად? უეჭველად, მათ ამ შემთხვევაში ყველა გიჟად ჩასთვლიდა, რადგან ნორვეგიაში მეაბრეშუმეობა შეუძლებელია. ჩვენ კი სწორედ მსგავსი რამ მოგვდის: ახალგაზრდას ისეთი ხელობისა და საქმისთვის ვამზადებთ, რომელიც ჩვენ ხელთ არ გვაქვს და, მაშასადამე, ამისათვის არც კაცები გვესაჭიროება," — წერდა ჟურნალი „ერი" სავსებით სწორად და დიდი გულშემატკივრობით.

ნათელი იყო დასკვნაც: „ჩვენი ახალგაზრდობა მარტოოდენ სამსახურისათვის არის მომზადებული, სამსახური კი მას უნდა მისცეს ან სახელმწიფომ, ან და საზოგადოებამ, ან კერძო სამეურნეო ორგანიზაციამ... ჩვენ არც ერთი გაგვაჩნია (მაშინ დამოუკიდებელი სახელმწიფო არ გვქონდა – გ.ს.) და არც მეორე" (კერძო საკუთრების სფეროში სამსახურში მიღება გარეშესათვის შეუძლებელი იყო – გ.ს.). ამ მწარე სიმართლეს ასე უხსნიდა ჟურნალი თავის მკითხველებს: „დღეს ისეთი დრო დადგა, სახელმწიფო დანესებულებებში ქართველს უბრალო გადამწერელის ადგილსაც კი აღარ აძლევენ... ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ ქართველი ინტელიგენცია თავის სამშობლოს თან და თან შორდება ძალაუნებურად — იძულებული ხდება ლუკმა პურისათვის

---

[90] ჟ. „ერი", №7, 1910 წლის 21 მარტი, გვ. 1-3

შორეულ გუბერნიებში გადასახლდეს და იქ სავსებით გადარჯულდეს შთამომავლობითურთ...“

მაგრამ იქაც, იმ შორეულ ადგილებშიც ადგილის შოვნა რჩეულთა და ბედნიერთა ხვედრია... კერძო დაწესებულებებში სამსახურში შესვლა მიუწვდომელია, რადგან წარმოება იქ სხვა ხალხთა ხელშია და ქართველს მასში არავითარი წილი არ უდევს... „ყველა ეს დაწესებულებები სავსეა იმ ხალხის შვილებით, ვინც თვით დაწესებულებათა პატრონები და გამგენი არიან“... ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ „ქართველი ახალგაზრდობა არ იყო საქმიანი და ბარაქიანი“, ვინაიდან „საქმიანობას თვით საქმის წყალობით ეჩვევა ადამიანი. შრომას შეჩვეულმა ადამიანმაც რომ რამდენსამე თვეს „იუქმოს“ და არა გააკეთოს რა, — გარჯას ისე გადაეჩვევა, რო მერე შრომის უღელში ხელახლა შებმა გაუჭირდება...“

სარედაქციო სტატიის დასასრულს განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ერთ საკითხზე, რომელიც შეიძლებოდა ეროვნულ გათიშულობაში და დაპირისპირებაში გადაზრდილიყო. იგი მდგომარეობდა იმაში, რომ იმჟამად ქართველებს ისე ცოტა ეროვნული დაწესებულებანი გვქონდა, რომ „ისინი არა თუ მთელი ქართველი ახალგაზრდების მოთხოვნილებებს ვერ დააკმაყოფილებდა, არამედ მარტო გორიდან მოსულ საქმის მძებნელთაც კი ვერ მისცემდნენ საკმაო სამსახურს... და რახან ეს დაწესებულებები უფრო ტფილისში იყო თავმოყრილი, ამიტომაც აუარებელი მთხოვნელი და სამუშაოს მძებნელი საქართველოს ყველა კუთხიდან მას აწყდებოდა... ჩნდება საშინელი კონკურენცია ჩვენიანებშივე, რომელიც ასუსტებს ზნეობრივ სიფაქიზეს და ახდენს დემორალიზაციას. რახან შიმშილი ძნელი ასატანია, ამიტომ ერთი მეორეს აღარ ზოგავს, ხანდახან ისეთ საშუალებასაც არ ერიდება, რომელიც ადამიანობის დამამცირებელია. ოღონდ თავისი გაიტანოს და მარტოოდენ ხმელი პურის მომცემი ადგილი მეორეს ხელიდან გამოსტაცოს...“ ეს კი შეიძლებოდა შემარცხვენელ შუღლში გადაზრდილიყო, რომელიც ჩვენი ეროვნული დაცემის დასაწყისად ქცეულიყო... „პურის გულისთვის ხშირად ღვიძლი ძმები არ ინდობენ ერთმანეთს; მით უფრო არის მოსალოდნელი, ადგილებისა და სამსახურის მოცილეებმა ბოლოს და ბოლოს პროვინციალურ „შენ-ჩემიანობის“ არგუმენტსაც მიმართონ და თავიანთი პაწაწა კუჭის ბრძოლა ქართლ-კახეთისა და იმერეთის ბრძოლად გამოაცხადონ და მთელი ერი სირცხვილის კარამდის მიგვიყვანოს.“

„ერთი სიტყვით, რა მხრითაც უნდა შევხედოთ ახლანდელ ჩვენს მიმართულებას სწავლა-განათლების საქმეში, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ აუცილებლად საჭირო არის ამ მიმართულების შეცვლა და დამოუკიდებლად სამეურნეო მოქმედებისათვის მომზადება ჩვენი ახალგაზრდობისა. ამით ჩვენ შევამცირებთ განათლებულ (უმუშევართა) პროლეტართა რიცხვს და შესაფერ ძალას შევქმნით ჩვენი სამეურნეო წარმატებისთვის“[91].

სარედაქციო წერილში „პოლიტიკური ვითარება“ აღნიშნულია, რომ რუსეთის თვალუნვდენელ სივრცეზე მცხოვრები ხალხების თანდათანობით გარუსება მიმდინარეობდა. ეს მაშინ, როცა „დღევანდელ რუსში ბევრად სჩქეფს მონღოლის, ფინის და სხვა ხალხის სისხლი“. მართალია, რუსებმა შეძლეს იმპერიაში მცხოვრებ კულტურულად მცირედ განვითარებული ერების „დაძლევა, გათქვეფა და მოსპობა“, მაგრამ ვერაფერი დააკლეს პოლონელებს, ფინლანდიელებს, ლიტვებს, ესტონელებს და სხვებს, ვინაიდან „პოლონელი პოლონელია სანამ მას ფიზიკურად არ მოსპობთ“. ცარიზმის უხეშმა ძალმომრეობამ მთელი რუსეთის სივრცეზე თანდათან წარმოშვა ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლა... ეს იყო ლოგიკური გაგრძელება შექმნილი სიტუაციისა... „რუსი თავის სახლში მასიურად უვიცი და განუვითარებელი, სხვასაც უხშავს განვითარებისა და წინსვლის გზასა; გარუსების პოლიტიკა თანდათან ფეხს იკიდებს“... ამიტომ, იწყება წინააღმდეგობა, რადგან „რუსეთში მცხოვრები ყველა ხალხი სცდილობს იცოცხლოს. მაგრამ რადგან ისინი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე არიან, ბრძოლის სურათიც სხვადასხვანაირია: ერთნი თავის ხანგრძლივ ისტორიულ ცხოვრებაში შემუშავებული სახის შენარჩუნებას სცდილობენ, მეორენი კი იმის ცდაში არიან — გამოერკვნენ და შექმნან თავისი მწერლობითი ლიტერატურა და ამნაირად ფეხი შესდგან ისტორიულ ცხოვრებაში“[92].

ჟურნალი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ იმდროისათვის რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ ხალხთა შორის იყო ერთადერთი ხალხი, ერთი პატარა სამთავრო ფინლანდია, რომელსაც საუკუნის მანძილზე ჰქონდა შენარჩუნებული ავტონომია – შინაურ საქმეებში დამოუკიდებლობა, რამაც განაპირობა მისი დაწინაურება, კულტურული განვითარება ევროპის ერთა შორის...

---

[91] ჟ. „ერი“ №7, 1910 წლის 21 მარტი

[92] იქვე, №8, 1910 წლის 28 მარტი.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რათა რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ფინლანდიის სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობა მოესპო და უბრალო საერობო თვითმმართველობათ ექცია იგი... III სახელმწიფო სათათბიროში შეტანილი კანონ-პროექტი სწორედ აქეთკენ იყო მიმართული... მაგრამ ჟურნალის აზრით, — ეს „მცირედი ერი, მშვიდი და დინჯი, შეძლებს ყოველი დაბრკოლება გადალახოს და თავის მიმზიდველი სამაგალითო ვინაობა შეინახოს, რათა წინანდებურად განაგრძოს თავის კულტურული წინსვლა“-ო[93].

სარედაქციო წერილში „პოლიტიკური ვითარება“ ავტორი შეფასებას აძლევს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის არსებობის ფაქტს და მიიჩნევს, რომ „თუ წინად ჩვენ არ ვიცნობდით რუსეთის ხალხის პოლიტიკურ მიდრეკილებას, თუ ჩვენ მაშინ მხოლოდ ბიუროკრატიას ვხედავდით, ეხლა საშუალება მოგვეცა თვით ხალხის პოლიტიკური მოქმედებაც დაახლოებით წარმოვიდგინოთ...

ვერავინ ვერ უარყოფს, რომ რუსეთის ახალმა წყობილებამ რამდენადმე მაინც საშუალება მისცა, ხალხში დამალულ პოლიტიკურ ძალებს თავი ეჩინათ და აშკარად შესდგომოდნენ ჩამოყალიბების გზას...

დღევანდელი რუსეთის სათათბირო ისეთი წესითაა არჩეული, ისეთი შემადგენლობისაა, რომ თავისთავად ის თავიდგანვე რადიკალობას ვერ დაიჩემებდა.. რამდენი დრო გადის, იმდენად მემარჯვენე ელემენტები სახელმწიფო სათათბიროში უფრო ძლიერდებიან. საკანონმდებლო სასწორი თანდათან მარჯვნივ იხრება...“. რომ თანდათან ძლიერდება ნაციონალისტურ იდეოლოგიაზე დამყარებული სადეპუტატო ფრაქცია, რომელიც 90 დეპუტატს აერთიანებს... მათი დევიზია — „რუსეთი – რუსებისათვის“, აქედან მომდინარეობს მათი მოქმედების პროგრამაც. მათი მიზანია – რუსეთში მცხოვრები ერები ისეთ ჭახრაკში ჩააგდონ, რომ გასაქანი არ ჰქონდეთ, მოუსპონ ყოველგვარი საშუალება არსებობის დასაცავად, დაუხშონ კულტურული განვითარების გზა, არ მისცენ არავითარი უფლება და ამნაირად უჰაეროდ გამოახრჩონ თავის კლანჭებში... წინად უფრო მალული ეროვნული ბრძოლა აშკარავდება, თეორიულად ყალიბდება და პრაქტიკულად ღრმავდება... დევიზი — „რუსეთი – რუსებისათვის“ პრაქტიკულ პოლიტიკის მოძღვრებად იქცა“[94].

---

[93] ჟ. „ერი“, №8, 1910 წლის 28 მარტი, გვ. 1-2.

[94] იქვე, №2, 1910 წლის 14 თებერვალი.

ერთ-ერთი სარედაქციო წერილი, მოსწავლეთა ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში უდიდეს როლს აკუთვნებს ხალხურ სიმღერას... „ისე ღრმად, ისე მკაფიოდ და მასთან ერთად ნაზად, გრძნობიერად არა აკავშირებს რა ადამიანს თავის თვისტომსა, ხალხსა და სამშობლოსადმი, როგორც წყნარი, უვნებელი და არავისგან უმჩნევი ხალხური სიმღერა,"[95] — მიუთითებდა წერილის ავტორი „ი.კ-ლი" (ია კარგარეთელი). მისი აზრით, ჭკვიანი პოლიტიკოსები კარგად ხედავენ, რომ „საერო სიმღერა არამც თუ შეიძლება გარდაიქცეს ხალხის გათვითცნობიერების და გრძნობა-გონების ფრთაშემსხმელ დროშად, არამედ იმ ელემენტადაც, რომელიც უაღრეს დიპლომატურ მოსაზრებებზედ უფრო მტკიცედ აკავშირებს ადამიანთა საზოგადოების სხვადასხვაგვარ და ტომობრივად განსხვავებულ-დაქსაქსულ ელემენტებს"... ზემოთქმულიდან გამომდინარე, იგი ფართოდ მიმოიხილავდა ეროვნული სიმღერისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას – ჩეხიაში, ესტონეთში, ლიტვაში, კურლანდიაში და თვლიდა, რომ მათ ძალიან კარგად გამოიყენეს ეს ბასრი იარაღი, რათა თავი დაეღწიათ მათ ტერიტორიაზე გამეფებული „რუსთა მბრძანებლობისაგან..."[96].

აღნიშნავდა რა ამ ფაქტს, იგი გულისტკივილით წერდა ქართველი კაცის ინდიფერენტულ დამოკიდებულებაზე საკუთარი „უმდიდრესი და მრავალსაუკუნოვანი კულტურისადმი" და მშობელი ხალხისადმი ასეთი მოწოდებით ამთავრებდა თავის წერილს: „საბრალო ქართველო, დროა შეიცნო თავი შენი! კარზე მომდგარი გაჭირვება და საფრთხე დახანებას აღარა თხოულობს. თუ სურვილი გვაქვს ცხოვრებისა, თუ იმედია მომავლისა, თუ ხალხისა და სამშობლოს სიყვარული გაგვაჩნია, უნდა ყოველ საშუალებას წავატანოთ ხელი საფრთხისაგან თავის დასაღწევად. ერთ-ერთი ასეთი საშუალება საერო სიმღერაა... საერო სიმღერაც იმ დიადს იდეის განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს, რისთვისაც უცხოვრია ხალხს და რისთვისაც ღირს გულ-მკერდი სისხლში გაიფერო; თავისუფლებაა ჩვენი ერის ნავთსაყუდარი; იგია ყველა ჩაგრულის საფარი. აი, ამ თავისუფლების იდეას უნდა ჰღაღადებდეს თავისუფალი საერო სიმღერა"[97].

---

[95] ჟ. „ერი" №22, 1910 წლის 4 ივლისი, გვ. 14
[96] იქვე
[97] იქვე, გვ.15

ჟურნალის რედაქციას მიაჩნდა, რომ არსებობისათვის ბრძოლა მოითხოვდა, რათა საზოგადოების, ერის ყოველი წევრი საერთო საქმის სამსახურისათვის ყოფილიყო მომართული და ყველას იქ და იმ უბანზე გამოეჩინა თავი, სადაც მოღვაწეობა და საქმიანობა უწევდა – მეურნეს სოფლად, მეცნიერს – აზროვნების წინ წასაწევად, მასწავლებელს – ყმაწვილთა გონების გასანათლებლად და ა.შ. თუ ასე არ მოიქცეოდნენ ადამიანები, ისინი დაემსგავსებოდნენ ნიადაგგამოცლილ ხეს, რომელსაც გარდაუვალი წაქცევა მოელოდა. „ადამიანი განსაკუთრებით უნდა განიცდიდეს მისი ერის დაცემას, როცა მრავალი საუკუნოებით შექმნილ ერთობას, მის კულტურას განსაცდელი მოელის..", აქ თავისი სიტყვა ინტელიგენციას უნდა ეთქვა, მაგრამ ინტელიგენცია ხალხს იყო მოწყვეტილი და დაშორებული და თავისი ერისათვის ურგები და არაფრის მომტანი"[98].

წერილში „ტერმინების შემუშავების საჭიროება" (მართალია ხელმოუწერელია, მაგრამ უეჭველია იგი რედ.-გამომცემელს პ. სურგულაძეს უნდა ეკუთვნოდეს) გულისტკივილითაა საუბარი იმის თაობაზე, რომ ქართული ენა უბრალო საბაასო ენად (ძირითადად სოფლად) იყო ქცეული, ჩვენი „მხატვრული მწერლობისა და მეცნიერების" განუვითარებლობის გამო, სიმტკიცესა და მკაფიოობას მოკლებული იყო... ეს აშკარა ეტყობოდა ქართულ მეცნიერებას, ვინაიდან „მეცნიერულ აზრს დღეს ჩვენში მეტად ცუდი ნიადაგი აქვს და რაც ჩვენ მამა-პაპათ უშრომნიათ, იმას დღეს ვერ ვითვისებთ და ვერ ვანვითარებთ"[99].

მისი გაფურჩქვნა-განვითარების შეფერხება დაიწყო XIII საუკუნიდან მონგოლთა ურდოების შემოსევის შემდეგ... ეს ხელს უშლის „მეცნიერების შესაფერის ზრდას... ასე გადის თითქმის XIXს-ის დასაწყისამდე. შემდეგ ანტონ კათალიკოსის, ვახუშტი ბატონიშვილის, დავით ბატონიშვილის და სხვათა ძალისხმევით იქმნება სამეცნიერო და საპოლიტიკო თხზულებები და ქართული აზროვნება ხელმეორედ იწყებს „თავის გამოღვიძებას და აღყვავებას", მაგრამ რუსეთის შემოსვლამ და გაბატონებამ უკუღმა დაატრიალა „ჩვენი ცხოვრების ჩარხი, რომელიც უფრო სასტიკი და ულმობელი გამოდგა ჩვენთვის, ქართველთა გონებრივი ზრდისათვის..." პ. სურგულაძის თქმით, ეს იყო ძალა, რომელიც განსაკუთრებული სისასტიკით გვაშორებდა ჩვენს წარსულს, ცდილობდა მოესპო კავშირი წარსულსა და აწმყოს შო-

---

[98] ჟ. „ერი" №16, 1910 წლის 23 მაისი, გვ. 1-2

[99] იქვე, №18, 1910 წლის 6 თიბათვე, გვ 17-18

რის... ამით თითქმის მიაღწია კიდეც მიზანს. „თაობა თაობას მისდევს ჩვენში, რომელთაც თავისი სამშობლო ლიტერატურა და ისტორია სრულებით არ იციან, ამას ის შედეგი მოჰყვა, რომ შესუსტდა ქართველის პიროვნებაში, ერთეულში მთელის, საქართველოს პატივისცემა და სიყვარული. ამასთანავე შესუსტდა ამ ერთეულის გულისათვის თავდადება და შრომა...“ ორიოდე ქართველი მეცნიერი თავის გამოკვლევებს უცხო ენაზე წერენ და ქართული აზროვნების განვითარებას ხელს ვერ უწყობენ... მეტად ცუდ მდგომარეობაში აღმოვჩნდით ერთიანი ტერმინების უქონლობის გამო... „საჭიროა სერიოზულად მოვკიდოთ ხელი და ერთხელ და სამუდამოდ მკვიდრ ნიადაგზე დავაყენოთ იგი,“[100] — დაასკვნიდა ავტორი.

„ერის“ რედაქტორისათვის არ არსებობდა მნიშვნელოვანი და ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები თუ თემები. მთავარი იყო ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილ ყველა მასალას ქართველი მკითხველისათვის ეროვნული რეფლექსები გაეღიზიანებინა და სამშობლოს ჭირ-ვარამზე დაეფიქრებინა. მაგალითად, გ. გვაზავას ერთ-ერთ წერილში თბილისის ქუჩების სახელების დარქმევისა და, რაც მთავარია, მათი გაეროვნულობის დიდ მნიშვნელობაზე იყო საუბარი. ქალაქ პრაღის გამოცდილების გათვალისწინებით, იგი აღნიშნავდა: „ქუჩების სახელები, მაღაზიების ზედ-წარწერები და ამისთანა მოვლენები ცოტა რამე კი არ არის. ეს ვითომ-და წვრილმანობა, მხოლოდ უგუნურებს მოეჩვენება შოვინიზმის შედეგად. შოვინისტური აქ არაფერია. ეს მხოლოდ კანონიერი თავის დაცვაა შემოსეული ხალხებისაგან. ქალაქის გარეგნობა მის ეროვნულ შინაარსს უნდა შეესაბამებოდეს და ყოველ მოდგმას მისდაუნებლიედ უნდა ულვიძებდეს გულში სხვადასხვა ეროვნულ მოგონებას. ეს მოგონებანი არიან ის უხილავი ზნეობრივი ძაფები, რომლითაც ყოველი ადამიანი შექსოვილი უნდა იყოს ეროვნულ ორგანიზმთან...“[101].

ამის შემდეგ პირუთვნელად და ყველასათვის გასაგონად აყენებდა საკითხს: შეადარეთ ყველაფერი ეს ჩვენს მდგომარეობას და ქალაქ თბილისს. სად არის ჩვენი უნივერსიტეტი ან აკადემია?! ვის ხელშია ჩვენი ქალაქის მმართველობა?! ქალაქის გარეგნობა?! სურპ-კარაპეტსკაია, იზმაილოვსკაია, ევანგულოვსკაია, მნაცაკანოვსკაია, და რამდენიც გნებავთ ამისთანე-

---

[100] ჟ. „ერი“, №18, 1910 წლის 6 თიბათვე, გვ. 18.
[101] იქვე, №9, 1910 წლის 4 პარილი, გვ. 12

ბი. არსად არის ხსენება თამარ მეფის ან რუსთაველის სახელებისა. საქართველო სრულებით ამოშლილია მისი დედაქალაქისაგან...“[102].

სარედაქციო წერილში — „მწიგნობრობის საქმე ჩვენში“ პ. სურგულაძე საზოგადოების გასაგონად აღნიშნავდა, რომ ქვეყნის ტერიტორიის დაცვასა და ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად, წინა პლანზე უნდა დაგვეყენებინა, ერის სულიერების საკითხი, რადგან „ერის არსებობა, მისი წინსვლა მარტო მატერიალურ საფუძველზე დაყრდნობით არ გადაწყდებოდა.“ საჭირო იყო ერის მატერიალურად შეძლებულ პირებს მეტი ზრუნვა გამოეჩინათ ქართული მწიგნობრობის გასავითარებლად, არ უნდა დაგვიწყნოდა, რომ ოდითგანვე ჩვენში „წიგნის დაწერა ან გადაწერა სულის საოხ საქმედ იყო მიჩნეული“, დღეს კი წიგნის დაბეჭდვა და მწერლის გონებრივი მუშაობაც ვაჭრის ხელშია და იგი იმდენად ვითარდება, რამდენადაც მას მოგების სუნი უდის... ამიტომ იყო, რომ ვიღაცის ქისაზე დამოკიდებული ნიჭიერი შემოქმედის ნაწარმოებნი გზას ვერ პოულობდნენ მკითხველის გულებისაკენ.. ეს იყო მიზეზი, რომ „ჩვენი საუკეთესო მწერლების ნაწარმოებები უმეტეს წილად მივიწყებული იყო... ის, რაც გამოდიოდა, ისიც ვერ აკმაყოფილებდა მკითხველთა გაზრდილ რაოდენობას. — „სულ მიჩრდილული იყო სამეცნიერო მწერლობა. მთელი წლები ისე გადის, რომ ერთ არამც თუ მსუქან წიგნს, უბრალო ოცფურცლიან სამეცნიერო ნიგნაკსაც ვერ იპოვით.“ გამომდინარე ზემოთქმულიდან, „სამშობლო ლიტერატურა იჩაგრება. ხალხის შემოქმედება სუსტდება და იმდენადვე ძლიერდება უცხო გავლენა... ჩვენს სულს უნებლიედ იპყრობს სულ სხვა პირობებში, სხვა ფსიხიურ ნიადაგზე აღმოცენებული გონებრივი ნაწარმოებნი... ჩვენს ისტორიულ სულს, ისტორიულ თვთშეგნებას საშიშროება მოელის, ჩანთქვას გვიქადის გარეშე ძალა... ამიტომაც ჩვენი საზოგადოების მოვალეობაა არ დაავიწყდეს როგორ გვაცლიან მინას ფეხქვეშ და სულს პირიდან როგორ გვართმევენ. მატერიალურ არსებობაზე ზრუნვამ არ უნდა დაგვავიწყებინოს, ზრუნვა გონებრივი არსებობისათვის“[103].

ამავე მოსაზრებას მხარს უჭერდა მ.ა-ლი (მიხ. ადამაშვილი) ჟურნალში გამოქვეყნებული წერილით — „ქართული წიგნი“. „ტერიტორიის დაკარგვა უდიდესი ხიფათია ჩვენი ერისა“,...

---

[102] ჟ.„ერი“, №9, 1910 წლის 4 აპრილი, გვ. 12

[103] იქვე, №6, 1910 წლის 14 მარტი, გვ. 2

მაგრამ „უნიგნოდ ერს ერი არ ეთქმის. უნიგნოდ ენა არ ხარობს, უენოდ კი ერიც აღარ არსებობს...“[104].

ჟურნალ „ერს“ ჰქონდა განყოფილება „შინაური საქმეები“, სადაც რედაქცია სისტემატურად ათავსებდა კვირის მანძილზე მომხდარ ფაქტებსა და მოვლენებზე თავის მოსაზრებებს, ხშირად ახდენდა სხვა პერიოდულ გამოცემებში გაკეთებულ შეფასებათა გადმობეჭდვას, ადგილობრივი კორესპონდენტების მიერ გამოგზავნილი წერილების პუბლიკაციებს. უმეტეს შემთხვევაში ასეთი მასალები ხელმოუწერელი იყო. ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ ისინი თვით რედაქტორის მიერ არიან შერჩეულნი და მის თვალსაზრისს გამოხატავენ. მაგალითად, ასეთი: „ვინც ტფილისის ცხოვრებას დაუკვირდება, ის ნათლად შენიშნავს, რომ არსად ისე მწვავედ, ისე აშკარა არ სწარმოებს სოფლის ხალხის გაყვლეფა და შევიწროება ქალაქელთა მიერ, როგორც აქ. გაიხსენეთ თუნდ ოინები ნეტარხსენებულ მეჯღანუაშვილისა, რომლის შთამომავლობას დღეს სოლოლაკში ციხე-დარბაზები წამოუსკუპებია და ქალაქის თვითმართველობის საქმეებს განაგებს, რასაკვირველია ამავე მეჯღანუაშვილის მიმართულებით და მისნრაფებით...“ ქართველ გლეხკაცობას თავის მიერ ჭაპან-წყვეტით მოყვანილი პროდუქციის თავისუფლად გაყიდვის შესაძლებლობას უსპობდნენ და ერთ კონკრეტულ ადგილსაც არ უყოფდნენ, რომ დამდგარიყვნენ და მუშტარს დალოდებოდნენ... ქუჩა-ქუჩა ნანწალით თავგაბეზრებული პატიოსანი მიწის მუშა ბოლოს იძულებული ხდებოდა მეოთხედის ფასად დაეთმო თავისი ნაჯაფარი მეჯღანუაშვილის შთამომავალთათვის...[105].

ერთ-ერთ სარედაქციო წერილში, რომლის სათაურია „ჩვენი ბანკების გარშემო“, გამოთქმულია რედაქციის პოზიცია და დამოკიდებულება ამ დაწესებულებათა მიმართ, განსაკუთრებულად არის ყურადღება გამახვილებული თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების საქმიანობის ავ-კარგზე და ნათქვამია, რომ „ჩვენს ეკონომიკურს და საზოგადოებრივს ცხოვრებაში ორივე ამ საკრედიტო დაწესებულებამ დიდი როლი ითამაშა; რომ საქართველოს თითქმის მთელი მინა-წყალი ამ ბანკებში იყო დაგირავებული, რაც ამ ქონების უცხო კაპიტალისტების ხელში ჩავარდნის წინაპირობას ქმნიდა, ვინაიდან ჩვენი ბანკების გირავნობის ფურცლები არა-ქართველებს ეკუთვნო-

---

[104] ჟ „ერი“, №9, 1910 წლის 4 აპრილი, გვ. 13

[105] იქვე, №4, 1910 ნლის 28 თებერვალი, გვ. 5

დათ. ამან განაპირობა ის, რომ ჩვენივე ბანკების მეშვეობით ჩვენში დამყარდა ერთგვარი ეკონომიური მონობა". ჟურნალის თქმით, საქმე ის იყო, რომ ბანკებში მამულების დაგირავებით აღებული ფული მემამულეებმა მეურნეობის გაუმჯობესებისკენ კი არ წარმართეს და ქვეყნის კეთილდღეობის გაუმჯობესება-განვითარებისაკენ კი არ მიმართეს, არამედ აღებული ფულები გაფლანგეს, ვალი კი ვალად დარჩათ... ამით ბანკები ხელშემწყობად იქცნენ, რათა ქართული მიწა-წყალი სხვა ერის წარმომადგენელთა ხელში გადასულიყო. მათ ვერ შეძლეს პრაქტიკული განხორციელება იმისა, რომ „ჩვენი მამულები ჩვენი სოფლის ხალხის ხელში გადასულიყო" და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ბანკების საქმიანობას დიდი ნაკლოვანებები გააჩნდა, მათ სიკეთეც მოჰქონდა ქართული საზოგადოებისთვის, ვინაიდან ყველა კულტურული დაწესებულება, რაც კი იმ ხანებში საქართველოში არსებობდა — თეატრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, პრესა, სკოლები და სხვ., ამ ბანკების მოგებით საზრდოობდნენ...[106].

ძალზე საყურადღებო მასალებს შეიცავს მთლიანად ქართლის და განსაკუთრებით შიდა ქართლის (სამაჩაბლო, საერისთაო) ცხოვრების შესახებ სოფრომ მგალობლიშვილის „მოგონებანი". („ერი" 21, 22, 23, 24, 26...).

„ლეკთა თარეში რა მოსატანია, ან რა შესადარებელია ოსთა თარეშობასთან. ოსები XIXს-ის პირველ ნახევარში სწორედ ველურ ხალხს ჰგვანდნენ. ეს არ ვიცი, ადამიანის ხორცს სჭამდნენ თუ არა, მაგრამ სხვა ყოველივე სულ ველური ჰქონდათ. ოსები თითქმის ყველა თავად მაჩაბლებისა და ერისთავების ყმები იყვნენ, შემდეგ და შემდეგ როცა გამრავლდნენ სხვადასხვა თავადთა და აზნაურთა მამულებში გაიხიზნენ და მოედვნენ თითქმის მთელს ქართლის მთა-ტყეებსა, ბარად იშვიათად ცხოვრობდნენ.

ჩემს ხსოვნაში ოსები ჯერ კიდევ კერპთაყვანისმცემლები იყვნენ. თხა იყო იმათი ღმერთი. თხის თავი დიდის რქებით იყო სადმე დასვენებული უზარმაზარ დაბურულ ცაცხვის, ან მუხის ხეზე. აქ იყრიდნენ თავს, ლოცულობდნენ და თაყვანსა სცემდნენ თავის ღმერთსა... დიდი ჯაფა დაადგათ ქართველ მღვდლებს, რომლებიც მაშინ მისიონერობდნენ, მათ შორის ქრისტიანობა რომ გაევრცელებინათ. ქართველმა მისიონერებმა მშვენივრად იცოდნენ ოსური ენა და ძალიან მალეც გაავრცე-

---

[106] ჟ. „ერი", №17, 1910 წლის 30 მაისი, გვ. 1

ლეს ქრისტიანობა... თითქმის ყველა ოსი ქურდობა-ავაზაკობას მისდევდა. სახელი იმასა ჰქონდა გავარდნილი და ვაჟკაციც ის იყო ვინც ქურდობა-ავაზაკობაში იყო დახელოვნებული... თამამი და ვაჟკაცნი იყვნენ უიარაღო ხალხთან"[107] და ა.შ.

გ. გვაზავას წერილების სერია „ჩეხია" ჟურნალ „ერის" 1910 წლის ხუთ ნომერში გამოქვეყნდა (4, 6, 8, 9 და 10), ხოლო შემდეგ პ. სურგულაძის ინიციატივით ცალკე ბროშურის სახით მიეწოდა ქართველ მკითხველს. მისი ტირაჟი სულ 500 ცალი იყო და ისე სწრაფად გავრცელდა, რომ პოლიციამ მხოლოდ 32 ეგზემპლარის ამოღება მოასწრო. სწორედ ამ „სახელმწიფო წყობილების დამხობისაკენ (დარღვევისაკენ) მომწოდებელი თხზულების გავრცელების" ბრალდებით, გიორგი გვაზავას და პ. სურგულაძის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. 1910 წლის 18 ოქტომბერს თბილისის სასამართლო პალატამ მათ თითო წლით ციხეში ჯდომა მიუსაჯათ. პ. სურგულაძემ საზღვარგარეთ გაქცევით უშველა თავს, ხოლო გ. გვაზავამ სასჯელი მეტეხის ციხეში მოიხადა. ნაფიც მსაჯულს უმაღლეს სენატში საქმის გადატანამაც ვერ უშველა. ამასთან დაკავშირებით გაზეთ „სახალხო გაზეთში" გამოქვეყნებული ინფორმაციიდან — „პეტრე სურგულაძის და გიორგი გვაზავას საქმე" ვგებულობთ: როგორც მკითხველებმა იციან, ტფილისის სასამართლო პალატამ ერთი წლით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯა ქართულ ჟურნალ „ერის" რედაქტორს პეტრე სურგულაძეს და ნაფიც ვექილს გიორგი გვაზავას ხსენებულ ჟურნალში გ. გვაზავას წერილის „ჩეხიას" დაბეჭდვისათვის. ბრალდებულთ საქმე სენატში გადაიტანეს. როგორც ახლა პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო იუწყება სენატს საჩივარი უყურადღებოდ დაუტოვებია"[108].

რა თქმა უნდა, ჟურნალ „ერის" ფურცლებზე გამოთქმული აზრები არანაკლები იყო ვიდრე გ. გვაზავას ხსენებულ წერილში წამოჭრილი საკითხებისა, მაგრამ ხელისუფლებამ იგი საბაბად გამოიყენა, რათა საბოლოო ანგარიში გაესწორებია ქართველ ნაციონალისტებთან.

მიხ. წერეთლის თქმით: „1910 წელს სასტიკი დევნა გვიყო რუსის ჟანდარმერიამ თბილისში ქართველ ნაციონალისტებს. ჩვენი ჟურნალი „ერი" (და სხვა სახელებით) მრავალჯერ იქნა

---

[107] ჟ. „ერი", №23, 1910 წლის 11 მკათათვე, გვ. 5

[108] გაზ. „სახალხო გაზეთი", 1910 წლის 21 დეკემბერი

აკრძალული. ბოლოს გავიფანტენით. პეტრე სურგულაძე ჟენევაში წამოვიდა (მე ლონდონში მომიხდა გარდახვენა)"[109].

ჟურნალ „ერის" გარშემო გაერთიანებული ქართველი ნაციონალ-დემოკრატები, 1910 წლის ბოლოსათვის, მეფის ჟანდარმერიის სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ მოექცნენ. ამას თან მოჰყვა არაერთი მათგანის დაპატიმრების სანქციაც.

ამასთან დაკავშირებით კონკრეტული საუბარია გიორგი გვაზავას წერილში, რომელიც გაზეთ „დამოუკიდებელ საქართველოში" დაიბეჭდა.

„ჟურნალმა „ერმა" დიდი კამპანია გასწია ჩვენი ეროვნული ინტერესების დასაცავად, — წერდა გ. გვაზავა. — ჰაერში ჰტრიალებდა განთავისუფლების სუნი. აზრი ეძებდა გამოსავალს და ბუნებრივად ჰჩერდებოდა ჩეხიის მაგალითზე. გიმნასტიური საზოგადოება „სოკოლი" უხდებოდა ჩვენს ცხოვრებას და იძლეოდა ბევრს იმედებს. პარტიამ მე მომანდო ამ საკითხის შესწავლა. შედეგი ამ შესწავლისა იყო პატარა მონოგრაფია, რომელიც დაიბეჭდა „ერის" ორ-სამ ნომერში* პეტრემ ეს მონოგრაფია ცალკე წიგნაკად გამოსცა. არ გასულა ერთი თვეც, პოლიცია თავს დაგვესხა, „ერი" დახურეს და ჩვენ ჩაგვაბარეს ბრალდებითი ოქმი: ორივე მიგვცეს სისხლის სამართალში „მზადებისათვის არსებული წყობილების დასამხობლად"...[110].

არასდროს დამავიწყდება პეტრეს აღელვებული სახე და ანთებული თვალები, როცა ერთ საღამოს შემოვიდა ჩემთან და გამომიცხადა: „დასაჭერად დამსდევენ... უნდა გავიქცეთ, თორემ ეს ხალხი ჩვენ ჩაგვახშობს ციხეშიო." თუმცა ჩემს წერილებში არ იყო რა ისეთი, რომ ამისთანა შიში გვქონოდა, მაგრამ პეტრე უფრო გამჭრიახი აღმოჩნდა გარემოების შეფასებაში... სასამართლომ მას გადაუწყვიტა დაუსწრებელი განჩინებით ერთი წელიწადი ციხე... ამ დღიდან პეტრე მოწყდა სამშობლოს მიწა-წყალს და იძულებული გახდა ბრძოლა ეწარმოებინა საზღვარგარეთ, მეტად ძნელ და აუტანელ პირობებში. ასეთი სამსახური გავუწიე მე, ჩემდა უნებურად, ჩემს საწყალ მეგო-

---

[109] გაზ. „სამშობლო" (პარიზი) , 1932 წლის აპრილი; გ.შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. II, თბ., 2001, გვ. 162

* სინამდვილეში გ. გვაზავას ეს ნაშრომი ჟურნალ „ერის" 1910 წლის თებერვალ-აპრილის ხუთ ნომერშია (4, 6, 8, 9 და 10) დაბეჭდილი (ავტორი)

[110] გაზ. „დამოუკიდებელ საქართველო" (პარიზი), 1931 წლის სექტემბერი. იხ აგრეთვე გ. შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001, გვ. 332

ბარს,"[111] — დასძენს გ. გვაზავა და იმაზე არაფერს ამბობს, თვითონ როგორ გაატარა ერთი წელი მეტეხის ციხეში...

მიზანშეწონილად მიგვაჩნია დღევანდელ მკითხველს მოკლედ გავაცნოთ გ. გვაზავას ხსენებული ნაშრომის დედააზრი, რომელმაც ასე ააფორიაქა ცარისტული ხელისუფლება და საბედისწრო გახდა „ერისა" და მისი რედაქტორ-თანამშრომლებისათვის.

გ. გვაზავა თავის სტატიის შესავალშივე მიუთითებს, რომ „დაჩაგრულ ერთა შორის ჩეხებს უჭირავთ უპირველესი ადგილი იმ დაუცხრომელი თავგამოდებით, იმ რაინდული გაბედულებით და წინასწარგანსაზღვრული პოლიტიკური მისწრაფებით, რომლითაც ხასიათდება ამ უკანასკნელი სამოცი წლის ბრძოლა ამ პატარა ერისა." სწორედ ეს გამხდარა მიზეზი, რათა ავტორი ამ ქვეყნის ისტორიით დაინტერესებულიყო: „ჩვენთვის დიდად საინტერესოა და საგულისხმიერო, მით უფრო ბრძოლა და ამ ბრძოლის ხასიათი ისეთი განათლებული ერისა, როგორიც არიან ჩეხები... ზოგიერთი მომენტი მისი ცხოვრებისა გასაკვირველად გვაგონებს ჩვენსავე ცხოვრებას, ჩვენ მიერ განვლილ იმედების თუ მწუხარების ნამებს..."[112].

შემდეგ ავტორი მოკლედ ჩერდება ევროპის შუაგულში მდებარე ამ ქვეყნის ისტორიულ წარსულზე და აღნიშნავს: „საშუალო საუკუნეებში ჩეხია წარმოადგენდა დიდებულს და განვითარებულს სახელმწიფოს. ჩეხიის სამეფო ტახტი ერთი დედებული და უძლიერთაგანი იყო ევროპაში..."; რომ ჩეხეთი სამშობლო იყო დიდი მაგისტრის იან ჰუსისა, რომელმაც „აანთო თავისუფლების ნაპერწკალი ჩეხიაში და ბრძოლა გამოუცხადა რომის სარწმუნოებრივ ბატონობას და მთელს კაცობრიობას უჩვენა გზა ძვირფასი თავისუფლებისა..." მაგრამ ამ პატარა ხალხის თავგანწირულ ბრძოლას წინ აღუდგა მთელი კათოლიკური ევროპა და 1620 წელს გერმანელების ჯარმა საშინლად დაამარცხა თავისუფლებისა და ეროვნულობისათვის მებრძოლი ჩეხები. ეს მომხდარა „თეთრი გორის" მიდამოებში...

გ. გვაზავას თქმით: „ეს არის ისტორიულიი სამარე, სადაც დაიმარხა დიდება და თავისუფლება ჩეხიისა, — ეს არის მისი „კრწანისის ველი..."[113].

---

[111] გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო" 1931 წლის სექტემბერი
[112] ჟ. „ერი", №4, 1910 წლის 28 თებერვალი
[113] იქვე

„თეთრ გორასთან“ მომხდარმა ტრაგედიამ სრულებით გაანადგურა ჩეხია. განსხვავებით „კრწანისისა“, რომელმაც მხოლოდ შეასუსტა საქართველოს წინსვლა-განვითარება. ჩეხ თავადაზნაურობას ჩამოართვეს მამულები და გერმანელ აზნაურებს დაურიგეს... თავისუფლების დაკარგვამ თანდათან ჩააქრო და ჩაანელა ჩეხიის კულტურული ცხოვრება. XIV საუკუნეში დაარსებული პრაგის ცნობილი უნივერსიტეტი ჩაიშალა, სრულებით შეწყდა ლიტერატურა, თანდათან გამეფდა გერმანული ენა, მხოლოდ გლეხობაში თუ ისმოდა მშობლიური მეტყველება... „ამნაირად მოისპო უშველებელი ერის ცხოვრება, განერთხო ბნელი და წყვდიადმა მოიცვა მისი არე-მარე“[114]. ასეთმა ყოფამ ჩეხი ხალხისათვის თითქმის ორ საუკუნეს გასტანა, ვიდრე საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ იმედი არ გაუღვივა დაჩაგრულ ერებს, მათ შორის ჩეხებსაც, რასაც მოჰყვა 1848 წლის ნამდვილი ეროვნული მოძრაობა... ამ ბრძოლის შედეგი იყო, რომ ჩეხიამ ეროვნული თვითმმართველობა, ანუ ავტონომია მოიპოვა... ეს მაშინ, როცა ჩვენმა ქვეყანამ სწორედ მაშინ დაკარგა საბოლოოდ, ცოტათი მაინც ეროვნული ელფერის მქონე ერთადერთი დაწესებულება — „უმაღლესი მმართველობა საქართველოისა“[115] — მისი „ექსპედიციები“; გააუქმეს ქართული ეროვნული ფული, ჩაფუშეს თავისუფალი ავტოკეფალიური ეკლესია, მოსპეს ქართული სამეფო-სამთავროები... ეს იყო „ურჯულო მეთოდი საქართველოს ეროვნულ ცხოვრების გასანადგურებლად“, მაგრამ მსოფლიოს კანონები „კაცობრიობის მოძრაობისა უფრო ძლიერია ვიდრე პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა რუსეთის პოლიტიკოსებისა...

ჩეხიამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მეოხებით ავსტრიის იმპერიის სამ დიდ პროვინციაში – ბოჰემია, მორავია და სილეზია — შექმნა ერთმანეთისაგან ცოტათი განსხვავებული ადგილობრივი თვითმმართველობა, რომლის სათავეში ხალხის მიერ არჩეული სეიმი, ანუ ლანდტაგი დგას... სწორედ ამ თვითმმართველობის მოპოვებით შეიქმნა უძლიერესი ძალა, რომელმაც დასძრა მთელი ქვეყანა და გზა უჩვენა ეროვნული თავისუფლებისაკენ...

ჩეხეთის მიერ განვლილი პოლიტიკური ცხოვრების მცირე მიმოხილვის შემდეგ გ. გვაზავა აკეთებს დასკვნას, თუ რამ განაპირობა ამ ერის აღორძინება და დამოუკიდებლობისათვის

---

[114] ჟ. „ერი“ №4, 1910 წლის 28 თებერვალი, გვ. 2-3.
[115] იქვე №6, 1910 წლის 14 მარტი, გვ. 12-12

წარმატებული ბრძოლა... პირველ ყოვლისა, ეს იყო საყოველთაო არჩევნების უფლების მოპოვება. მართალია, ავსტრიის რეიხსტრატის არჩევნებში 6 პარტია მონაწილეობდა ჩეხეთიდან („ახალ-ჩეხები", სოციალ-ნაციონალისტები, კათოლიკე-ნაციონალისტები, პროგრესისტები, აგრარები და სოც-დემოკრატები), რის გამოც ავსტრიელები კმაყოფილნი ჩანდნენ, რადგან ფიქრობდენ, რომ მიაღწიეს ჩეხიის ეროვნული პარტიის დაქუცმაცებას", მაგრამ გ. გვაზავას მართებული შენიშვნით, ფაქტი ნამდვილად ის იყო, „თუ რაიმე ეროვნული საკითხი ატყდა რეიხსტრატში, ყოველი დეპუტატი აგრარია იგი, თუ კათოლიკე-ნაციონალისტი – სულ ერთია, იგი ივიწყებს ყოველ საპროგრამო მოთხოვნილებას და მხოლოდ ჩეხია და მოქმედებს, როგორც ეროვნული წარმომადგენელი (გარდა სოც-დემოკრატებისა, რომლებიც ეროვნულ იდეას თითქმის სულ უარს ყოფდნენ და ორგანიზაციულად „ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში" შედიოდნენ)[116].

იქვე სავსებით სამართლიანია გ. გვაზავას მოსაზრება: „რაც უფრო განვითარებულია ადამიანი, მით უფრო ნაციონალისტია იყი; რამდენადაც ადამიანი გონებით დაბლა სდგას, იმდენად წარმოადგენს უბრალო მასსას; მისი გარდაქმნა და გადაკეთებაც უფრო ადვილია"[117].

გ. გვაზავას, ჩეხეთის მაგალითიდან გამომდინარე, მიაჩნდა, რომ „გონებრივი განვითარება და ეკონომიკური წინმსვლელობა, რა თქმა უნდა, აუცილებელი პირობაა ერის აღსადგენად, მაგრამ ეს მაინც ცოტაა. ცოტაა მარტო თეორიული ბრძოლა, ცოტაა მარტო ეკონომიკური ქიშპობა... ყოველი ერისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ საბოლოოდ ხელი არ აუღია თავის ყოფაცხოვრებაზე, საჭირო და აუცილებელია საკუთარი <u>სამხედრო ძალის</u> (ხაზგასმა ავტორისაა – გ.ს.) შექმნა, მის გაძლიერებაზე სისტემური ზრუნვა.

საჭიროა ეროვნული ინტერესების დაცვა, სხვა რომ არაფერი, მისი ტერიტორიის ხელმყოფთაგან მაინც, მით უმეტეს დაჩაგრული ერისათვის, რათა დაცვა-შენარჩუნება მოახერხოს ეროვნული ღირსებისა. „ვთქვათ, მაგალითად, გაბატონებულმა ერმა დაიჭირა მინა-ნყალი დამონებული ერისა, ან სხვას გადასცა, სულ გარეშე ხალხს დაუნაწილა ეს მინა-ნყალი. აი, როგორც ჩვენში მოხდა: მაშინ, როცა საქართველოს გლეხობა სიმშილით

---

[116] უ. „ერი" №8, 1910 წლის 28 მარტი, გვ. 7-8
[117] იქვე, 9, 1910 წლის 4 აპრილი, გვ. 11

ჰკვდებოდა უმინობის და სიღარიბის გამო, საქართველოს მიწაწყალი, ქართველის სისხლით მორწყული ოცი საუკუნის განმავლობაში — გერმანელებს, ბერძნებს, რუსებს, სომხებს დაურიგეს. ერთი სიტყვით, ყველას — გარდა ქართველებისა... რა უნდა ჰქმნას ერმა ასეთ მდგომარეობაში? მარტო თეორიული დავა და უფლებრივი მოსაზრება აქ ვერას გიშველის, შეიძლება ამისთანა შემთხვევაში მთელი ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობა აალაპარაკო, მაგრამ მაინც უსამართლობა უსამართლობადვე დარჩეს და შემოსეული მტერი ყურებსაც არ გაიბერტყავს...[118]"

ჩეხებმა ეროვნული საკითხის ეს თავისებურება ძალიან კარგად შეიგნეს და შექმნეს ეროვნული სამხედრო ძალა „სოკოლი", რომლის დამაარსებლის, დოქტორ ტირშის მთავარი დევიზი იყო: „ბრძოლა — ცხოვრების კანონია".

ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს მხოლოდ ის, ვინც უფრო ძლიერი იქნება, უფრო მომზადებული, უფრო ხერხიანი და შეგნებული... მხოლოდ ის ერი დარჩება გამარჯვებული ვინც ფიზიკურად განვითარებული და ჯანმრთელი იქნება. ამიტომ დაიჭირა მის საქმიანობაში პირველი ადგილი გიმნასტიკამ.. ასე თანდათანობით ჩამოაყალიბეს და გაწვრთნეს ჩეხებმა განათლებული ქალ-ვაჟებისაგან ჩეხიის თავისუფლების დამცველი ორგანიზებული ძალა[119] და ა.შ.

გ. გვაზავას ეს ნაშრომი ხელისუფლების მოთმინების ფიალის უკანასკნელ წვეთად იქცა და მანაც პირდაპირი შეტევა მიიტანა „ერის" რედაქციაზე და საბოლოოდ შეძლო მისი დაშლა-განადგურება. 1910 წლის 19 სექტემბერს „ერის" ბოლო 25-ე ნომერი გამოვიდა... თუმცა ძველი გამოცდილების გათვალისწინებით (სახელის შეცვლა), სოფრ. მგალობლიშვილი შეეცადა ჟურნალის სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა და კვირის თავზე 26-ე ნომრად „მოამბე" მიანოდა ქართველ მკითხველ საზოგადოებას, მაგრამ მისი საბოლოო გადარჩენა ვეღარ მოხერხდა... საამისოდ უკვე აღარ იყო აღარც ინტელექტუალური ძალა და აღარც მატერიალური შესაძლებლობები...

მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, პ. სურგულაძის რედაქტორობით გამომავალმა ნაციონალისტური მიმართულების გამოცემამ, ჟურნალმა „ერმა", თავისი თვალსაჩინო კვალი დატოვა ქართული ეროვნულ-დემოკრატიული ჟურნალისტიკის ისტორიაში. მისი განსაკუთრებულობა იმითაც იყო განპირობებუ-

---

[118] ჟ. „ერი", №10, 1910 წლის 11 აპრილი, გვ. 9-11

[119] იქვე

ლი, რომ იგი ზუსტად იმ დროს და იმ ვითარებაში საქმიანობდა, როცა ყველაზე მეტად ესაჭიროებოდა ქართველ ხალხს, თავისი ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნება...

* * *

დაპატიმრებას გადარჩენილი პ. სურგულაძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1910 წლის ბოლოს საზღვარგარეთ ახერხებს გაღწევას და შვეიცარიისათვის თავის შეფარებას. აქ იგი ქართველ მამულიშვილთა ერთ ჯგუფს უკავშირდება და გარკვეული მოსამზადებელი სამუშაოს შემდეგ, „ქართველ სეპარატისტთა ჯგუფს" ქმნის. მათი მხარდაჭერით აარსებს ჟურნალ „თავისუფალ საქართველოს", რომლის ფურცლებიდან უშიშრად იწყებს სამშობლო ქვეყნის რუსეთისაგან გამოყოფის და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. გაუცნობიერებელ და საქმეში ღრმად ჩაუხედავ ადამიანს, შესაძლოა მოეჩვენოს, რომ ეს ქმედება მაინცდამაინც არც ისეთი საძნელო რამ უნდა ყოფილიყო. მაგრამ, საკმარისია, კარგად გავისიგრძეგანოთ სამშობლოდან გადახვეწილი და არსებობისათვის ყოველგვარ სახსარსმოკლებული ადამიანის მდგომარეობა და წარმოდგენა შეგვექმნება, თუ რაოდენ მძაფრი იყო მასში სამშობლოს სიყვარულის განცდა, რათა ესოდენ საპასუხისმგებლო საქმისათვის მოეკიდა ხელი. ყველაფერი ეს ნათლად ირეკლება იმ ხანებში მეგობრებისა და თანამოაზრეთათვის გაგზავნილ და იღბლად გადარჩენილ მის პირად წერილებში.

* * *

აქვე აღვნიშნავთ, რომ გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში დაცულ ამ ეპისტოლარულ მემკვიდრეობას პირველად გაეცნო და უმეტესი ნაწილი ფართოდ გამოიყენა კიდეც თავის სადოქტორო დისერტაციაში ისტორიკოსმა ოთარ ჯანელიძემ.[120] წერილების უპირველესი ადრესატი პოეტი სანდრო შანშიაშვილია, რომელიც იმჟამად უმაღლესი განათლების მისაღებად ევროპაში იმყოფებოდა.

---

[120] ოთ. ჯანელიძე. სადოქტორო დისერტაცია... თბ., 1999.

ამ წერილების სრულად გამოქვეყნებას არც ჩვენ ვაპირებთ, მაგრამ ზოგიერთი ვრცელი ამონარიდი გვსურს ისე მივაწოდოთ დღევანდელ მკითხველ საზოგადოებას, როგორადაც იგი ავტორის ხელიდან არის გამოსული. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ წერილთა უმეტესობას ავტორის მიერ დაწერის დრო არა აქვს მითითებული, მაგრამ შევეცადეთ ისინი აზრობრივად, ზოგჯერ კი ფოსტის ბეჭედზე აღნიშნული თარიღის მიხედვით დაგველაგებინა. ამგვარად შეკრულმა ქრონოლოგიურმა ჩარჩომ 1911-1913 წლები მოიცვა. ეს წერილები ნათლად წარმოაჩენენ პ. სურგულაძეს, როგორც ზნეობრივ და ღირსეულ პიროვნებას, რომელიც, მიუხედავად უკიდურესი ეკონომიკური სიდუხჭირისა, უახლოესი ნაცნობ-მეგობრებისაგანაც კი არ ითხოვს პირადი საჭიროებისათვის რაიმე დახმარებას, მისთვის წინა პლანზე უპირველესად საქვეყნო, სამამულიშვილო საქმეა წამოწეული. მას სურს, რომ იქ, ევროპაში, გაბნეულ ქართველთა ძალისხმევა ერთი მიზნისაკენ წარმართოს, რომ მათ ქართულ ენაზე მეტყველება შეინარჩუნონ; ქართველი მართლმადიდებელნი, კათოლიკენი და მუსლიმანები ერთ საწუხარზე — სამშობლოს ბედ-იღბალზე დააფიქროს და ა.შ.

პ. სურგულაძე, ერთ-ერთ პირველ წერილში, რომელსაც სანდრო შანშიაშვილს უგზავნის, მიუთითებს:

„ძმაო სანდრო!

ჟენევაში შევუდექი მუშაობას. ქართველობა აქ ბევრია. გაყოფილი დამხვდა ორ ბანაკად: ერთია, შეკავშირებული და გაერთიანებული რუსის სოციალ-დემოკრატები, რომელთა შორის უმეტესობაში ეროვნულ გაბოზებას მიუღწევია უმაღლეს წერტილამდე. მეორე ჯგუფია — მოღიღინე ხალხი, გამოურკვეველი, ბევრი ეროვნული გრძნობის მატარებელი, მაგრამ უსახო. შევკრიბე არა სოციალ-დემოკრატები და დავიწყე მეცადინეობა. ახლა ოციოდე ყმაწვილი განსაზღვრული მისწრაფებით მუშაობს... ჩვენი მიმართულების ძირითადი საფუძვლები შემდეგია: პოლიტიკური სეპარატიზმი, ე.ი. ყოველ ასპარეზზე, ყოველ სფეროში ვცდილობთ ჩვენი განვითარების გზაზე ვიყოთ და არ წარმოვადგენდეთ რუსების დანაწონს. ამავე დროს ეს არის მისწრაფება სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისადმი, რისთვისაც ვემზადებით, რომ შეგვეძლოს იარაღით დავიბრუნოთ ის, რაც ჩვენი წინაპრების უჭკუობით დავკარგეთ... ჩვენ უნდა შევქმნათ უაღრესად გლეხობის პარტია, პარტია ქართველი ერის იმ ნაწილისა, რომელიც დღეს ნაკლებ განიცდის ეროვნულ გაბოზების პროცესს და მასთან ყველაზედ ძლიერია თავისი სო-

ციალური შემოქმედებით. სოციალიზმი დღევანდელს ჩვენს პირობებში ჩვენი ერისათვის ნამდვილი შხამია, რომელიც გვასუსტებს ყოველმხრივ და უადვილებს ჩვენზე გამარჯვებას უთვალავ მტერს. ეროვნული დროშა გლეხის ხელში — აი ჩვენი მიმართულება. ის ერი, რომელიც იარაღს დაყრის, უსათუოდ უნდა მოისპოს.

შენი პეტრე. 29 მნიფობისთვე"[121].

ს. შანშიაშვილისაგან მიღებული წერილით ნასიამოვნები პეტრე უფრო ვრცლად ესაუბრება ახალგაზრდა თანამოაზრეს იმის თაობაზე, თუ რით იყო დაკავებული და რას ფიქრობდა იგი სამომავლოდ:

„ძვირფასო მამულიშვილო სანდრო!

ძალიან მესიამოვნა შენი წერილი რომ მივიღე. უნდა გამოგიტყდე საოცრად ვწუხდი, რომ ამდენ ხანს არაფერი ისმოდა შენი. ჩვენი წრე მუშაობს. ჩემი ცდა სულ იქითკენ არის მიმართული, რომ რამდენიმე კაცი მაინც ნამდვილ პოლიტიკურ კალაპოტში ჩავაგდო. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა დღევანდელ პოლიტიკურ პირობებს ჩვენი არსებობისას საკმაოდ გავარკვევთ... ყოველ შემთხვევაში, გარკვევის გზას მაინც დავადგებით და ემპირიულ ნიადაგზე დავემყარებით ჩვენს მსოფლმხედველობას. დღემდე ეროვნული იდეალის მიმდევარნი ჩვენში უფრო რომანტიკოსები იყვნენ და უიმედონი. აწმყოში წარსულის მოგონებით გულს იოხებდნენ. ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს, საჭიროა დღევანდელი სიმწარე ჩვენი ცხოვრებისა სავსებით შევიგნოთ და აქვე დავამყაროთ ჩვენი მოქმედება. ამ მიზნით წარვადგინე წრეში განსაზღვრული პროგრამა სამუშაოთ და ამ პროგრამით ვმუშაობთ," — წერს იგი და განაგრძობს: „ამ ბოლო დროს ისე დატრიალდა ჩვენი ისტორია, რომ ქართველობა სამ უმთავრეს სარწმუნოებად დაიყო: ორთოდოქსალური ქრისტიანობა, კათოლიკობა და მაჰმადიანობა. და ამ დაყოფას ის მოჰყვა, რომ სამივე სარწმუნოება ჩვენს წინააღმდეგ წავიდა... ცხადია დღევანდელი ეროვნული გმირი ვერც ერთ სარწმუნოებრივ სამოსელში ვერ გაეხვევა; ჩვენ სარწმუნოება კერძო სინდისის საქმეთ უნდა ვაღვიაროთ და ჩვენ ნამდვილ სარწმუნოებად სამშობლო და მისი სიყვარული გამოვაცხადოთ. ეს მეტად დიდი საქმეა და მისი ხელოვნების სფეროში განხორციელება მხოლოდ თქვენ, პოეტებს შეგიძლიათ. საზო-

---

[121] გ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, სანდრო შანშიაშვილის ფონდი 6575-ბ, ფურც. 1

გადო მოღვაწენი კი უნდა ცდილობდნენ ყოველი გზით სულიერ დაახლოებას სხვადასხვა სარწმუნოებრივ ჯგუფთა შორის. სამწუხაროთ, ჩვენი გაზეთები ისე დაეცნენ, რომ „კოლხიდაში“ ზედიზედ კითხულობ: ქობულეთელი თათარი ბეჟანიძე, ბათუმელი ქართველი ოსმალო ნიჟარაძე. ისე დავეცით, რომ ქართველს თათარს და ოსმალოს ვუწოდებთ...

მიხაკო ჰაიდელბერგში არის და ლურსმულ წარწერების შესახებ გამოკვლევას სწერს. გერონტის არაფერი მესმის. აქ ჩამოვიდა და მოგვემატა ორი ქართველი. ერთია იშხნელი, კაი ბიჭია. მისწერე რამე შენს ბენაშვილს, ამ ურიებში და სოც.-დემოკრატებში რას დაძვრება.

შენი პეტრე“[122].

იმავე ხანებში პ. სურგულაძეს პერიოდული ორგანოს დაარსებაზე დაუწყია ფიქრი, რის შესახებაც ს. შანშიაშვილისა და გერონტი ქიქოძისათვის შეუტყობინებია და იმაზედ დაკითხვია, თუ როგორი სახის ყოფილიყო იგი — პატარა მოცულობის ჟურნალი თუ ერთდროული გამოცემა... ამასთან ერთად თხოვდა მათ დახმარებას ამ ჩანაფიქრის განხორციელების საქმეში.

„ძვირფასო თანამემამულენო გერონტი და სანდრო!

თქვენთან ერთი დიდი სათხოვარი მაქვს. მე ერთ კაცთან მოლაპარაკება მაქვს და ვგონებ ცოტაოდენი თანხა ვიშოვო. მსურს მოვაწყო ჟენევაში ქართული ტიპოგრაფია. რასაკვირველია მაშინის ყიდვას ვერ მოვახერხებთ, მაგრამ შევიძენთ ასოებს, აწყობას ისწავლის ორი-სამი კაცი და ამგვარად საშუალება მოგვეცემა ჩვენი აზრი ბეჭდვით გავავრცელოთ. აქაური ნრე გულმოდგინეთ ეკიდება საქმეს, მაგრამ ჩვენ მაინც იმდენი ძალა არ შეგვწევს, რომ გავუძღვეთ ამდენ საქმეს“, და თხოვდა მათ „აზრსა და რჩევას, გამოეცათ პატარა მოცულობის ჟურნალი თუ ერთდროული გამოცემა...“[123].

ადრესატებს უპასუხიათ, მაგრამ მათეული მოსაზრებები პეტრესათვის მიუღებელი დარჩენილა. თუ რატომ, ამას მომდევნო წერილიდან ვგებულობთ: „ძმაო სანდრო! თქვენი წერილი მივიღე. თქვენს აზრს მე სრულად უარყოფითად ვუცქერი და აი, რატომ: რასაკვირველია, მარტო ევროპისათვის რომ მოვაწყოთ გამოცემა ფრიად მცირედი მნიშვნელობა ექნება. მაგრამ ჩვენ მარტო ევროპა არ გვაწუხებს... თუ რამეს გამოვცემთ

---

[122] გ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, სანდრო შანშიაშვილის ფონდი, 6569-ხ.

[123] იქვე, 26836-ხ

უსათუოდ ჩვენშიც გავგზავნით. მართალია, ეს ფრიად სახიფათო და საძნელო საქმეა, მარა არა დაუძლეველი. ფული ჩვენ რა დაგვეხარჯება, რაც არ გვაქვს! თუ რამეს მოვახერხებთ და ვიშოვით იმას დავხარჯავთ... ქართველი ერი პოლიტიკურად საოცრად უსუსურია. სოლომონ მეფის და სოლომონ ლეონიძის შემდეგ ჩვენ ვეღარ ვხედავთ ჩვენში ისეთ პოლიტიკურ მოღვაწეთ, რომელთაც გარკვეული პოლიტიკური იდეალი ჰქონდეთ ქართველი ერის ბედის მოწყობისათვის. დღეს ხომ დაცემის უკიდურეს ნერტილს მივაღწიეთ. ტერიტორია გვეკარგება, ენა ირყვნება, ეროვნული შეგნება არ მოგვეპოვება, სამაგიეროთ ეროვნული ბოზობის თეორია ღრმად ფესვებს იკიდებს... მთელ საქართველოში ერთადერთი გაზეთი გვაქვს, ხოლო რუსულ გაზეთებზე ათასობით ვხარჯავთ. შარშანწინ ამირეჯიბმა ერთი კვირის განმავლობაში 15 000 მანეთი შეაგროვა „ზაკავკაზიესათვის“... საჭიროა სტამბა და გამოცემა, ისეთი გამოცემა, სადაც ქართველი ერის არსებობას და მის მომავალს გავსჭვრეტთ ყოველ მხრივ. ვინ იცის ეგების ფეხზე წამოვდგეთ, ერთი თუ ნელში გავიმართეთ, თუ ის წელკავი მოვიშორეთ, რომელმაც ასე დაგვცა ზნეობრივად, მაშინ არა გვიშავს... მეცნიერი ჩვენში არ მეცნიერობს, თუ რამეს სწერენ ჩვენზე, სხვა ენაზე, თითქოს ჩვენ მათი საცდელი ბაყაყი ვიყოთ... პოლიტიკური აზრი დაეცა. თუ ამ სენს არ შევებრძოლეთ, ისე ჩვენ არაფერი გვიშველის. ამიტომაც გვესაჭიროება ჩვენ აქაური გამოცემა, კიდეც გადავიტანთ და გავავრცელებთ, ანდა შევსწირავით თავს...

პ. სურგულაძე“[124].

ბოლოს და ბოლოს, როცა პეტრეს ჟურნალის გამოცემის სურვილი რეალობად უქცევია, ახლა ეკონომიკური სიდუხჭირე წამომართვია წინ, მაგრამ ამის გამო სასოწარკვეთილებას არ ეძლევა და მეგობარს ახლა ამის თაობაზე მოახსენებს თავის აზრს:

„ძმაო სანდრო! დღეს მივიღეთ შრიფტი, ასე რომ ნამდვილი ჩვენი ჭაპანწყვეტა ეხლა იწყება. ჩვენ რომ ქართველები არ ვიყვეთ და ყოველ ჩვენ საქმეს თავიდანვე სიღატაკის ბეჭედი არ ესვას, ვიდრე გამოცემას შევუდგებოდით, ერთს კრებას გავმართავდით, რომ შევთანხმებულიყავით, საქმე საერთო ძალღონით აგვენონ-დაგვენონა, მაგრამ რას იზამ, როცა ყველანი ღატაკნი ვართ. მაინც სანამდი ძალა გაგვწვდება, არ უნდა გავ-

---

[124] გ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, სანდრო შანშიაშვილის ფონდი 6581-ხ

ჩერდეთ... გადავწყვიტეთ ჟურნალს დავარქვათ „თავისუფალი საქართველო“[125].

მეგობრისგან პასუხის დაგვიანებას შეუშფოთებია პეტრე და მოკლე ბარათით ისევ ეხმიანება მას:

„ძვირფასო ძმაო სანდრო! ერთი კვირის წინედ, ჩავედი თუ არა ჟენევაში, წერილი გამოგიგზავნე, შენი არაფერი ისმის, ავად ხომ არ ხარ? მომწერე უსათუოდ შენი ამბავი. მე უკვე მუშაობას შევუდექი. ჟურნალს ვაწყობთ, თუმცა ისე გაკოტრებული ვარ, რომ არ ვიცი, როგორ უნდა დავაღწიო თავი. მაინც სანამ შესაძლებელი იქნება ვიმუშავებ. თუ რამე შეგეძლოს დასნერო, დაგვეხმარე. მომწერე უსათუოდ ყველაფერი.

შენი პეტრე სურგულაძე“[126].

როგორც ჩანს, ს. შანშიაშვილს შეუსრულებია პეტრეს თხოვნა და საპასუხო წერილში თანადგომა გამოუხატავს. ეს ნათლად იგრძნობა პეტრეს მორიგი ბარათიდან:

„ძმაო სანდრო!

მივიღე შენი წერილი და მადლობელი ვარ ყურადღებისათვის. მე ღრმათ ვარ დარწმუნებული, რომ შენ და გიორგი მაჩაბელი დიდ დახმარებას გაგვიწევთ... მე სუსტი ვარ გრძნობით. შენ, როგორც პოეტმა, კარგად იცი, რომ ძლიერ შემოქმედებას საფუძვლად ყოველთვის ძლიერი გრძნობა უდევს. განა რუსი სოც.-დ. თარეში ჩვენში ნათლად არ გვიჩვენებს, თუ რამდენად სუსტია ჩვენი ეროვნული გრძნობა? განა ისინი იმიტო არ იმარჯვებენ, რომ ჩვენ სუსტნი ვართ?..“[127].

ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს“ პირველი ნომრის გამოცემის შემდეგ ეკონომიკურად ძალზე შეჭირვებული პეტრე კონსტანტინეპოლში ჩასვლას და იქ მცხოვრებ კათოლიკე თუ მაჰმადიან ქართველებთან კავშირების დამყარებაზე ფიქრობს... ჩანაფიქრს რეალობად აქცევს, რის შესახებაც ს. შანშიაშვილს ატყობინებს:

„ძმაო სანდრო!

მე უკვე კონსტანტინეპოლში ვარ... მსურს პატარა წრეს თავი მოვუყარო. მაჰმადიან ქართველებში ცოტა აზრი დავატრიალო, ერთი სამკითხველო გავხსნა, რათა საერთო ბინა გავიჩინოთ. არ ვიცი, შევძლებ რამე მოვახერხო თუ არა. მე მაინც

---

[125] გ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, სანდრო შანშიაშვილის ფონდი, 6570, ფურც. 1

[126] იქვე, 6568-ბ

[127] იქვე, 2689-ბ

ვცდილობ და პირად გაჭირვებას ვივიწყებ. მერე ცოტა ხანში ისევ ჟენევას დავუბრუნდები და შევუდგები „თავისუფალი საქართველოს" გამოცემას. იმედია ერთად ვიქნებით. ძალიან მოხარული ვარ, რომ შენი ნიჭი ასე ფართოდ იშლება და შენი მუშაობის უნარიც ათკეცად იზრდება. კარგად იყავი და მომწერე.

შენი პეტრე სურგულაძე"[128].

დიდი წვალებისა და გარჯის შემდეგ რამდენადმე საიმედო კონტაქტები დაუმყარებია კონსტანტინეპოლში მცხოვრებ კათოლიკე ბერებთან, იქ პატარა ქართული სტამბის დაარსების საქმეც მოუგვარებია, მაგრამ საქმის ბოლომდე გასრულებაში ავადმყოფობას შეუშლია ხელი. ისევ ს. შანშიაშვილისადმი გაგზავნილი წერილიდან ვგებულობთ ამის შესახებ.

„ძმაო სანდრო!

ავად გავხდი და კინალამ არ გავისეირნე ჯოჯოხეთისაკენ... ჩემი საქმეები კარგად ვერ მიდის. აქაც ჯერ-ჯერობით საგრძნობელი ვერ გავაწყვე. კათოლიკე ბერებს გამოვაწერიე სტამბა, ასე რომ მოკლე დროში აქ გაჩაღდეს ქართული წიგნების ბეჭდვა. ვაპირებ ერთი ბიბლიოთეკა მაინც გავხსნა... სამუშაო აქ ბევრია, მაგრამ არც ხალხია და არც ფული. რას იზამ? უნდა ნვალებით გავატაროთ ჩვენი დღენი. ამ მოკლე დროში დავბრუნდები ჟენევაში და განვაახლებ ჟურნალს. აბა შენ იცი თუ მიშველი... მე მგონია ახლო მომავალში ქართველობა ნამოდგეს. ხომ იცი, კამეჩი რომ ლაფში ჩაწვება, სცემენ, კუდს უგრეხენ, სულს უხუთავენ, გარინდულია, თითქოს სიკვდილს ამჯობინებს, მგრამ მერე უეცრად დაიძვრება და ისეთს გაიწევს, რომ ყველას გააცვიფრებს. მე მგონია, რომ ჩვენც გამოვიღვიძებთ. სიცოცხლის ძალა მაინც გზას გაიკვლევს ოღონდ ვიპოვოთ ჩვენი დაკარგული პიროვნება. ვცხოვრობ ვითარცა ეული.

შენი პეტრე"[129].

სწორედ ეს, ეულად ყოფნა და მიუსაფრად ცხოვრება ასევდიანებს პეტრეს გულს და სულიერ ტანჯვას აყენებს მას...

1912 წლის 25 იანვარს ციურიხიდან გაგზავნილ წერილში ს. შანშიაშვილს ატყობინებს:

„ძვირფასო სანდრო!

...ბოლო დროს ისეთი ღრუბელი შემოაწვა ჩემს გულს, ისეთმა სევდამ შემიპყრო, რომ ვერავის გამოველაპარაკე. საოცარ

---

[128] გ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, სანდრო შანშიაშვილის ფონდი 6580-ხ

[129] იქვე, 6579-ხ

სულიერ ტანჯვას განვიცდი, რადგან საპესიმისტო ასპარეზი ჩვენში ფრიად ფართოა... მე მთელი წელიწადი ნაცემ ინდოურივით დავჩერჩეტებ და ვერ გამოვრკვეულვარ"[130].

ასეთ ყოფაში ჩავარდნილს ისღა დარჩენია, რომ სამშობლოში დაბრუნდეს და ხელისუფლებას ჩაბარდეს. იქვე გულისტკენას გამოხატავს იმათ მიმართ, ვინც ისეთი მხარში დგომა არ აღმოუჩინეს საეროვნო საქმეების კეთებაში, როგორსაც მათგან მოელოდა...

„ჩემი საქმე ისე მოეწყო, — წერს ს. შანშიაშვილს, — რომ იძულებული ვარ უკან დავბრუნდე. მივდივარ 5-6 მარტს. თუ ამნისტია შემეხო, ხომ კარგი, თუ არა და ჩავჯდები. მინდა ზღვით წავიდე, რომ კონსტანტინეპოლში გავიარო. ვინ იცის ეგების იქ რამე გაკეთდეს. ჩვენი ჟურნალის მეორე ნომერი იბეჭდება და ამ დღეებში გამოგიგზავნი. უნდა გამოგიტყდე, ცოტას გემდური. იმედი მქონდა მოიწერებოდი ან დაწუნებას, ან მოწონებას... გერონტი ხომ არ იცი, სად არის? ჟენევაში იყო, საკმაოდ ვილაპარაკეთ. თითქო შევთანხმდით, დახმარებასაც დამპირდა. წავიდა და მერე ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გამიგია. რა ვანყენიე, არ ვიცი, დიდი პატივისცემა მაქვს მისდამი...

შენი პეტრე"[131].

პ. სურგულაძე, როგორც ჩანს, თავისი ბუნებით ძალზე კონტაქტური და სხვებზე გამუდმებით მზრუნავი პიროვნება იყო. იგი ყოველთვის ცდილობდა იმათ გვერდში დამდგარიყო და უანგარო სამსახური გაეწია, ვისაც რაიმე საეროვნო საქმეების გაკეთების სურვილს შეამჩნევდა.

ამის დასტურად გამოდგება 1912 წლის 15 ივლისს იაკობ ფანცხავასადმი გაგზავნილი ღია ბარათი:

„ძვირფასო მამულიშვილო იაკობ!

დიდძალი ქართველი ახალგაზრდობაა აქ (გულისხმობს ქ. ჟენევას — გ.ს.) და ზოგ მათგანს სურვილი აქვს ემსახუროს სამშობლოს მეცნიერული წიგნების დაწერით, თუ გადმოთარგმნით. მაგრამ მათი მეცნიერული ლექსიკონი ქართულ ენაზე მეტად ღარიბია. ფრიად საჭირო იქნება მათთვის შენი თხზულებანი, სადაც მეტად ბევრი, განსაკუთრებით, ბიოლოგიური ტერმინია. მე მაქვს, მაგრამ ტფილისში დამრჩა. ამიტომ გთხოვ, იმდენი პატივი მეცი, გამოგზანო შენი თხზულებანი.

---

[130] გ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, სანდრო შანშიაშვილის ფონდი, 6577-ხ

[131] იქვე, 6572-ხ

შენი ერთგული პეტრე სურგულაძე".

აღსანიშნავია, რომ იმავე ბარათზე არის ი. ფანცხავას მინაწერი: „წიგნები გავუგზავნე", 28/VII-1911ნ.[132].

სანდრო შანშიაშვილისადმი გაგზავნილ წერილებში პ. სურგულაძე არაერთი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის თუ მწერლის მამულიშვილური ღვაწლისა და დამსახურების შესახებაც გამოთქვამს საინტერესო მოსაზრებებს. მაგალითად, 1912 წლის 30 მარტს ქ. ჟენევიდან გაგზავნილ ღია ბარათში იგი თავის აზრს გამოთქვამს სიმონ ქვარიანის წიგნზე გიორგი სააკაძის შესახებ და აღნიშნავს: „გიგზავნი ქვარიანის წიგნს სააკაძის შესახებ, ტყუილად დროს ნუ დაკარგავ, რადგან „ბუტურა" და არა ისტორიული გამოკვლევაა... საზოგადოდ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავადგეთ იმ გზას, რომ პატივი ვცეთ და ხალხის თვალში ავამაღლოთ ყველა ის, ვინც ქართველი ერის არსებობისათვის სამაგალითოდ იბრძოდა და იბრძვის. ჩვენ გმირების შექმნა არ გვესაჭიროება. ალბათ არც ერთ ერს არ ყავს იმდენი გმირი, რამდენიც ქართველებს. ამ შეხედულებას ვინც გაიზიარებს, მაშინ ის მიხვდება, რომ სააკაძე, არ არის ქართველი პოლიტიკოსი, რადგან თავისი სამხედრო ნიჭით ხელი შეუნყო ორ უდიდეს მტერს საქართველოისას გაძლიერებულიყო, სპარსეთს და ოსმალეთს. საკმარისი არ არის ზოოლოგიურად ქართველი შთამომავლობის იყო. საჭიროა შემოქმედებით, გრძნობით ქართველობდე...[133].

ასევე ყურადსაღებია მისი მოსაზრებანი ერეკლე II-ის, როგორც პოლიტიკოსისა და მეომრის შესახებ, აგრეთვე მის მიერ გადადგმულ ნაბიჯზე რუსეთთან ხელშეკრულების დადების თაობაზე. პ. სურგულაძე გადაჭრით მიუთითებს, რომ ეს იყო პატარა კახის მიერ დაშვებული დიდი შეცდომა.

„რუსეთისაკენ ჩვენ გვწევდა ქართველი მეფეების ურთიერთი ინტრიგები და მერე უმთავრესად ქართველი თავად-აზნაურობა. სამხედრო წოდება ისე გამრავლდა ჩვენში ბოლო დროს, რომ შინაგანი ძალა მათ ვეღარ კვებავდა, საჭირო იყო სხვაგან წასვლა, ისე როგორც მიდის დღეს რაჭველი ხელზე მოსამსახურე რკინის გზაზე და სხვ. მათი წარმოდგენით რუსეთი დიდი ქვეყანა იყო, ხშირად ომობდა და რაკი მაშინ ომიანობა ცარცვა-

---

[132] გ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, სანდრო შანშიაშვილის ფონდი, 4143-ხ

[133] იქვე, 6571-ხ

გლეჯასაც ნიშნავდა და გამდიდრების ერთი უმთავრესი საშუალება იყო, იმიტომაც ისინი მძლავრად იწევდნენ რუსეთისაკენ...

ყოველი გზა, რომელსაც სიკვდილისაკენ მივყავართ, დასაგმობი და უარსაყოფელია. ერეკლე მეფე დიდი, თუ გნებავთ, გენიოსი მეომარი იყო, მაგრამ ამავე დროს მეტად უტვინო პოლიტიკოსი. განა მეფე ოცდაოთხი შვილის პატრონი უნდა იყოს? განა ამ გამრავლებით მან არ გააჩინა უკურნებელი დაყოფა საქართველოსი? განა მან არ გააძლიერა სომხები? განა აღა მაჰმად-ხანმა, ტფილისზე რომ მოდიოდა, წინადადება არ მისცა მას, მოშორდი რუსებს და არამცთუ საქართველოს არ ვახლებ ხელს, ადერბაიჯანის უფროსობასაც მოგცემო? არა, არაა საკმარისი მარტო მეომარი იყო, პოლიტიკაც გაცილებით ძვირფასია ერისათვის"[134].

ზემოთ მოტანილი ეპისტოლარული მემკვიდრეობის გაცნობის შემდეგ, ისინი ერთგვარ ოქროს გასაღებად უნდა მივიჩნიოთ პ. სურგულაძის, როგორც ზნეობრივი პიროვნების წარმოსაჩენად. ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი „ოქროს გასაღები" შეიძლება აღმოჩნდეს ჩვენთვის დღემდე უცნობ პირად ბარათებში, რომლებიც უსათუოდ მოიძებნება მომავალში მის მეგობართა თუ თანამოაზრეთა მტვერწაყრილ ფოლიანტებში, თუ ჩვენში არა, საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ოჯახებსა და ოფიციალურ არქივსაცავებში მაინც. ეს მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

* * *

1913 წლის იანვარში, პ. სურგულაძის რედაქტორობით ჟენევაში ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს" პირველი ნომერი გამოვიდა. მისი დანიშნულებისა და ამოცანების შესახებ ნათლად არის გაცხადებული სარედაქციო სტატიაში. რედაქციის აზრით, „ისტორიულმა პირობებმა ქართველი ერი ჩააყენა მეტად დიდ განსაცდელში... მოპირდაპირე ძალები ქართველ ერს დაშლას და გაქრობას უქადიან. თვით მის შემადგენლობაშიც არიან ისეთი ელემენტები, რომელნიც ამ გარედან მოტანილ იე-

[134] გ. ლეონიძის სახ. საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, სანდრო შანშიაშვილის ფონდი 6571-ბ

რიშს ხელს უწყობენ. ასეთი მდგომარეობა გვავალებს ჩავფიქრდეთ, ავწონ-დავწონოთ ჩვენი არსებობის ყოველი მხარე, ნათლად შევიგნოთ ჩვენი მდგომარეობა და გამოვძებნოთ ზომები ქართველი ერის პიროვნების დასაცველად...", — „ჩვენის აზრით, არც ერთი დიდი საკითხი ქართველი ერის არსებობისა ჯერჯერობით არ არის ეროვნული თვალსაზრისით გარკვეული და გადაჭრილი. ჩვენ ვეცდებით ყველა ამ საკითხს მივცეთ გარკვეული გადაჭრა, შევიმუშაოთ მთელი გეგმა ეროვნული თვითარსებობის დაცვისა, საქართველოს აღდგენისა, მისი განთავისუფლებისა და ამ გეგმის გარშემო თავი მოვუყაროთ მთელ შემოქმედ საქართველოს".

ჟურნალის რედაქციას კარგად ესმოდა სიძნელე იმ საქმისა, რომელსაც ისინი ხელს კიდებდნენ, მაგრამ ეს მათ არათუ არ აშინებდათ, არამედ, პირიქით, მეტ ძალას და სიმხნევეს მატებდათ. მათ სწამდათ, რომ ქართველი ერის შემოქმედების ძალა შეძლებდა წარმატებით მოეგერიებინა როგორც გარეშე, ისე შინაური მტრების შემოტევები და გზა გაეკაფა თავისუფლებისაკენ... ძვირფას სამშობლოს, დიდებულ ქართველ ერის პოლიტიკურად აღდგენის, მისი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის[135].

იქვე, ჟურნალი „თანამოაზრეთა და თანამგრძნობთა" მიმართ დასტამბულ წერილში მიუთითებდა: „...სხვადასხვა მიზეზთა გამო ქართული პოლიტიკური აზრი სუსტი და გამოურკვეველია"[136]. ამიტომ საჭირო იყო ამ მიმართულებით მუშაობის ფართო გაშლა, რაშიც თავის წვლილის შეტანას აპირებდა ახლადდაარსებული ჟურნალი. მაგრამ კარგ მთქმელს კარი გამგონე სჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, თანამოაზრე და თანამგრძნობ მკითხველთა მიმართ რედაქციის უპირველესი სათხოვარი მხოლოდ ერთი რამ იყო, ჩაკვირვებოდნენ ჟურნალის ფურცლებზე დასტამბულ აზრებს, დაფიქრებულიყვნენ მათზე, კრიტიკულად აეწონ-დაეწონათ ისინი და შემდეგ აერჩიათ ორიდან ერთი გზა: „ან უარეყოთ ქართველი ერის მომავალი და მიკედლებოდნენ მის დამრღვევ ძალებს, ან მიმხრობოდნენ რედაქციას და მათთან ერთად ემუშავათ ეროვნული შემოქმედების გზაზე"[137].

ამ მოწოდებას მოსდევდა ვრცელი საუბარი იმაზე, თუ რა მოუტანა ასი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანას ერთმორწმუნე

---

[135] ჟ. „თავისუფალი საქართველო", №1, იანვარი, 1913 , გვ. 1.
[136] იქვე, გვ. 22.
[137] იქვე

რუსეთთან დაკავშირება-შეერთებამ... „ერთმორწმუნე რუსეთი – ეს ჩვეულებრივი ფრაზაა. რუსეთის იმედი სხვადასხვა ფერით მუდამ პირზე აკერია ქართველს და ყოველ ადგილს გაიძახის. წინათ სულ ერთმორწმუნეობაზე იყო სქმე, მაგრამ როცა ამ ფანდმა არ გასჭრა და „ერთმორწმუნე" რუსეთმა ყოველ მტერზე მეტი ზიანი მოგვაყენა, ჩვენმა პოლიტიკოსებმა მაინც ჭკუა ვერ ისწავლეს, მხოლოდ ზოგიერთმა მათგანმა ცოტაოდენად ჰანგი შესცვალა, ახლა ისინი ამბობენ: ეს რუსის ბიუროკრატია იყო, რომ გვახრჩობდა, რუსის ხალხი, რუსის დემოკრატია კი ყოველ წყალობას გვწყალობდაო..." რედაქცია ამ წრეგადასული ლაქუცისა და თავის მოტყუების წინააღმდეგ გამოდიოდა და აღნიშნავდა: „ყოველი ერი თავის ბედის მჭედელი თვითონაა... ტყუილია, თითქო მხოლოდ რუსის ბიუროკრატია იყოს რუსის პოლიტიკის მატარებელი. რუსის პოლიტიკას ჰქმნის რუსი ერი თავის მთავრობის ხელმძღვანელობით და რამდენადაც ეს მთავრობა დემოკრატიული გახდება, რამდენადაც მასსა მეტ აქტიურ მონაწილეობას მიიღებს პოლიტიკაში, იმდენად რუსის პოლიტიკური მიდრეკილება უფრო ძლიერის ნაბიჯით ივლის თავისი ისტორიული გზით, ეს გზა კი არი გზა ცენტრალიზმის, სხვა ერთა დაცემისა და გათქვეფის"[138], — წერდა ჟურნალი და გამოფხიზლებისაკენ მოუხმობდა თანამემამულეებს: „თავს ნუ ატყუებთ. განა იმ მამულზე, რომელიც ქართველებს ჩამოართვეს, რუსის ბიუროკრატები დასახლდნენ? თუ იქ ცხოვრობს რუსის ხალხი, რუსის გლეხი?.. ეს რუსის დემოკრატიის მესიანიზმი მხოლოდ ერთგვარი ფილენჯის ქარია ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში. მას კვებავს მონური გრძნობა, გრძნობა მორჩილებისა, რომელიც მხოლოდ გვამცირებს და გვათახსირებს. ეს მონები უსათუოდ შემოგძახებენ: როგორ თუ თავისუფალი საქართველო?! ეს რომ რუსებმა გაიგონ, ხომ იმასაც ნაგვართმევენ, რაც გვაქვსო..." ამას ის მონები ამბობენ, რომლებიც ვერ ამჩნევენ, რომ „წასართმევი აღარაფერი დაგვრჩენია", ხოლო თუ არ ვიბრძოლებთ, მაშინ „სულსაც კი წაგვართმევენ". ამიტომ რუსის ყველა მოტრფიალე მოიშორეთ და თქვენს მიერ შედგენილ წრეებში სისტემატურად გაარკვიეთ ქართველი ერის არსებობის საკითხები... „იცოდეთ, დაბრკოლება რაც უფრო ძლიერი და უთვალავია, მით უფრო მიმზიდველია ბრძოლა, ბრძოლა მშობლიური ერის კეთილდღეობისათვის"[139]. რედაქცია

---

[138] ჟ. „თავისუფალი საქართველო" №1, 1913 წლის იანვარი, გვ. 22-24

[139] იქვე

ხაზგასმული შეგონებით მიმართავდა თავის თანამოაზრეთ და თანამგრძნობთ: „იცოდეთ – პირველი მტერი ქართველი ერისა, არის თვით ქართველი. სამშობლოს მოღალატე, სულიერად ბინძური, ჩინ-ორდენების და გამორჩენის მიმდევარი, ვითარცა წუწკი ძაღლი, მთავრობას ელაქუცება, თვალებში შესცქერის და ხშირად მის განზრახვას წინ უსწრებს... ჩვენ ღრმად გვწამს, რომ დემოკრატია შესძლებს ამ სამშობლოს მოღალატეთა ჯეროვან დასჯას... მივეკედლოთ შემოქმედ საქართველოს. ვემსახუროთ მას და შევუწყოთ ხელი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ განთავისუფლებას... ემსახურეთ სანეტარო იდეალს — თავისუფალ საქართველოს“[140].

ამ სიტყვებით მთავრდება ჟურნალის პირველ ნომერში დაბეჭდილი ეს მიმართვა.

ჟურნალ „თავისუფალ საქართველოს“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულ მასალათა შორის, ყველაზე საყურადღებო და საჭირბოროტო არის ვრცელი სტატია — „დამოუკიდებელი საქართველო და ქართველი დემოკრატია“. იგი ხელმოუწერელია, თუმცა ენობრივ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვარაუდი, რომ მისი ავტორი რედაქტორი პ. სურგულაძე იყოს. ავტორს მიაჩნია, რომ „დემოკრატიის გამოღვიძება, დემოკრატიის საპოლიტიკო ასპარეზზე გამოსვლა ეს ახალი და ძლევამოსილი მოვლენა“ იყო და, სადაც კი დემოკრატია ამოძრავდა, მან ყველგან „ეროვნული სახე მიიღო“, ხოლო „ერის ზრდა, ერის განვითარება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქმნის“ შესაძლებლობას ქმნიდა[141]. ავტორს არაერთი მაგალითი მოჰყავდა ევროპის ხალხების (შვეცია, ნორვეგია, უნგრეთი, ჩეხია, პოლონეთი, საბერძნეთი, ჩერნოგორია, სერბია, ბულგარია, ალბანეთი...) ისტორიიდან, რომლებმაც გამუდმებული ბრძოლების მეშვეობით მიაღწიეს მათთვის სასურველ შედეგებს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე; რომ დემოკრატია, ხალხი იყო „ნამდვილი ეროვნული ძალის მატარებელი“...[142].

მაგრამ რა მდგომარეობაში იყო რუსეთის ბატონობის ქვეშ მგმინავი საქართველო და ქართველი ხალხი? ეს იყო უპირველესი საზრუნავი და საფიქრალი ავტორისა, რომელიც არსებული სინამდვილით გულდამძიმებული, რეალურ სურათს ხატავ-

---

[140] ჟ. „თავისუფალი საქართველო“, №1... გვ. 24.
[141] იქვე, გვ. 2
[142] იქვე

და იმ უიმედო სიტუაციის წარმოსაჩენად, რომელშიც იმხანად ჩვენი სამშობლო იმყოფებოდა. პირველ ყოვლისა, ეს იყოს საქართველოს ტერიტორიის საკითხი, ეს ძირითადი საფუძველი ეროვნულობის შენარჩუნებისა და ერის გადაშენებისაგან დაცვისა. სწორედ იგი „დღითი-დღე იფლანგებოდა და ფეხქვეშ ეცლებოდა ქართველ ერს"[143]. მას ისაკუთრებდა რუსის მთავრობა მწყობრი სახელმწიფოებრივი ზომებით... მას ხელში იგდებდა „ჩარჩი სომეხი, ჩვენივე უგუნურობის წყალობით გამდიდრებული; მას ეპოტინებოდა უცხო კაპიტალისტი, რათა ჩვენვე მონად ვექციეთ და ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე ჩვენი ხელითვე თავის სამშობლოში გაეზიდა..." და ეს ხდებოდა იმის გამო, რომ ქართველ ერს არ ჰქონდა თავის დაცვის საშუალება, რადგან ქართველ ერს არ ჰქონდა თავისი სახელმწიფო, საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვის მექანიზმებით... ამიტომ იყო, რომ ქართველობა შეუბრალებლად იჩაგრებოდა თავის მშობლიურ ქვეყანაში – სოციალურად, პოლიტიკურად, რელიგიურად, ეროვნულად... რომ ქართული ენა გაძევებული იყო ყველა დაწესებულებიდან; რომ ყოველდღიურად თრგუნავდნენ დ ახშობდნენ ქართულ აზროვნებას, ყოველმხრივ უქმნიდნენ დაბრკოლებებს ეროვნული გადაგვარების დასაჩქარებლად... „ერთი სიტყვით, არ დარჩა არც ერთი მხარე ქართველი ერის არსებობისა, — ხაზგასმით მიუთითებდა ჟურნალი, — რომელზედაც საქართველოს მტერთ იერიში არ მიჰქონდეთ. თვით ჩვენი წარსულის დიდებულ ნაშთთაც არ ინდობენ." გამომდინარე აქედან, რჩებოდა ერთადერთი გზა, რომელიც საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაში უნდა განივთებულიყო, რაიც მას საშუალებას მისცემდა წელში გამართვისას და ხალხთა შორის თავმოყვარე ერის სახელის დამკვიდრებისას... მაგრამ ჩვენი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის გზაზე აღმართული იყო დესპოტური რუსეთი, რომლის მონობაში მყოფი საქართველო ვერასოდეს განავითარებდა ეროვნულ თვითშეგნებას და ვერ მოიპოვებდა რაიმე წარმატებას. რუსეთის ხელში შემყურენი და მის ბატონობას შეგუებულნი ვერასოდეს განვავითარებდით ეროვნულ ეკონომიკას, ვაჭრობას, მრეწველობას, სოფლის მეურნეობას, კულტურას, ხელოვნებას, განათლებას... ვინაიდან თავად რუსეთს ყველაფერი ეს განუვითარებელი და რუტინული ჰქონდა...

---

[143] ჟ. „თავისუფალი საქართველო" №1, 1913 წლის იანვარი

დააკვირდით, რაოდენ აქტუალურად ჟღერს თითქმის ასი წლის წინათ დაწერილი ეს სიტყვები: „ბარბაროსული, დესპოტური რუსეთი აბა ცუდის მეტს რას ასწავლის სხვას? აბა რა აქვს მას პოლიტიკაში გარდა დაჩაგვრისა, დაწვისა და დარბევისა. ეს მუდმივი შიმშილობის, სიბნელისა და მათრახის ქვეყანაა. მას შიშით შეჰყურებს დემოკრატიული ევროპა, არ მოგვედვას, არ წაგვლეკოსო. რა თავისუფლება უნდა გასწავლოს იმ სახელმწიფომ, რომელმაც ოდესღაც თავისუფლების მოყვარული კაზაკი გარდაქმნა ადამიანის თავისებურ ჯიშად. თუ რას წარმოადგენს ეს ჯიში ადამიანთა და რა სისასტიკით ედება ხალხს მისი ამკლები თარეში, ეს ხომ ყოველ ჩვენგანს მოეხსენება...“[144].

სტატიაში გამოთქმული იყო მანამდე ასე საქვეყნოდ არგამოთქმული აზრი დესპოტური რუსეთისგან აუცილებლად ჩამოშორებისა და დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს აშენებისა... „ვისაც რუსეთი შეუსწავლია ან და უნახავს, თუ მთლად დაცემული და გათახსირებული არ არის, უსათუოდ აღიარებს, რომ ქართველი ერი, როგორც ესეთი, გაცილებით მაღლა სდგას თავისი კულტურით, ვიდრე რუსეთის ერი. ქართველი საკუთარ მზად არის განახორციელოს ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოებრივი საქმიანობა ევროპიული აზრით...“[145]. ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაგვეწყვიტა კავშირი რუსეთის უხეშ, დესპოტურ ძალასთან. ქართველი ერი ურუსეთოდ არ დაიღუპებოდა, რადგან ქართველი ერი არაერთი დესპოტური სახელმწიფოს დანგრევას მოსწრებია და რომ კაცობრიობის განვითარება ამ ქვეყნიერების ჟანდარმის დანგრევასა და დაშლასაც მოუღებდა ბოლოს... „მაშ ქართველო ერო, მოსწყდი ამ დესპოტს, მოსწყდი აზრით, მოსწყდი ყოველი კავშირით, იბრუნე პირი შენს მდიდარ ეროვნულ კულტურისაკენ, გააპოხიერე ის მთელი კაცობრიობის საუკეთესო ნაწარმოებით და ისევ ამაღლდი, როგორც შენს საკუთარ, ისე მთელი კაცობრიობის თვალში...“[146].

ჟურნალის ამ საპროგრამო ხასიათის წერილში საუბარი იყო იმაზეც, თუ რა გზას უნდა დასდგომოდა საქართველო, რომ რუსეთისაგან საბოლოო ჩაყლაპვასა და გადაგვარებას გადარჩენილიყო. ამისათვის ქართველს ორი გზა ედო წინ: ერთი გზა დაცემისა და საბოლოო სიკვდილისა, მეორე — შემოქმედისა, სი-

---

[144] ჟ. „თავისუფალი საქართველო“, №1...

[145] იქვე, გვ. 5-6

[146] იქვე, 1913 წლის იანვარი, გვ. 6

ცოცხლისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა... ქართველმა ხალხმა მეორე გზა უნდა აირჩიოს, მან თავი უნდა დაიღწიოს სიკვდილსა და განადგურებას, ვინაიდან „ერის სიკვდილი არის საკუთარი ეროვნული პიროვნების უარყოფა"[147]. ქართველი ერი თავისი ისტორიის მანძილზე გამუდმებით იბრძოდა თავისი მეობის შესანარჩუნებლად, არც რუსის შემოსვლის შემდეგ შეუწყვეტია თავის გადარჩენისათვის ბრძოლა, რაც თავის გამოხატულებას პოულობდა ჩუმ უკმაყოფილებაში, სიტყვიერ პროტესტში, კონკრეტულ მამულიშვილთა თავდადებაში, მასობრივ შეთქმულებასა და აჯანყებაში. ყველაფერი ეს მიმართული იყო პოლიტიკური პიროვნების აღდგენისათვის... ამიტომ საჭირო იყო იმ გზის უარყოფა, რომელიც ქართველ ერს მორჩილების, დათმობის და სულიერი მონობისაკენ უბიძგებდა. საჭირო იყო „ბრძოლა ეროვნულ თვითარსებობისათვის, ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენისათვის"... ყველა ქართველისათვის ეს უნდა გამხდარიყო „საზომად როგორც ერთა შორის დამოკიდებულებაში, ისე საშინაო საქმიანობაში"[148].

სტატიაში ნათლად და გასაგებად იყო ჩამოყალიბებული ქართველთაგან განსახორციელებელი სამეზობლო პოლიტიკაც. ქართველს, როგორ ყველა ერს, ჰყავდა თავისი მეზობლები... საჭირო იყო მათთან ურთიერთობის დარეგულირება, მოწესრიგება. ეს შესაძლებელი იქნებოდა მაშინ, „თუ მეზობელ ერის და ქართველის ინტერესები ერთმანეთს ეთანხმებიან, თუ საქართველოს და ქართველი ერის აღორძინება მეზობლისათვის არამც თუ მავნე, არამედ სასარგებლო იქნებოდა, თუ ჩვენი ინტერესები პარალელურია და არა მოპირდაპირე, ასეთი ერი ჩვენი ბუნებრივი მოკავშირეა"[149], რომ კავშირი არ უნდა გვეძებნა იქ, სადაც ჩვენი მოპირდაპირეა, ხოლო ვინც ჩვენს მოსპობას ლამობს იმას უნდა შევბრძოლებოდით, ვინც-კი გვემეზობლება იმასთან ძმური კავშირი უნდა გვქონოდა[150]. ასე იყო სამომავლო სამეზობლო პოლიტიკა ჩამოყალიბებული ხსენებულ სარედაქციო სტატიაში.

ჟურნალის თქმით, იგივე პრინციპი საკმარისი იყო საშინაო ცხოვრებაშიც. „ჩვენ არა ვართ ბიოლოგიურ ქართველთა მოტ-

---

[147] ჟ. „თავისუფალი საქართველო", №1, 1913 წლის იანვარი, გვ.6-7.
[148] იქვე
[149] იქვე
[150] იქვე

რფიალენი. ჩვენ არ ვიცავთ ყოველ ქართველს, რომელმაც ქართული ენა იცის, ან ქართულ გვარს ატარებს... განა ერთი და ორია ჩვენში, რომელსაც ქართული ენა იმისთვის ამოუდგამს, რომ ქართველი ქურდოს, ლანძღოს, ამციროს?.. განა ერთი და ორი ქართველია, რომელსაც თავისი ნიჭი, თავისი გამჭრიახობა და სიცოცხლე საქართველოს მტერთათვის შეუწირავს? არა, ჩვენ არ ვეტრფით ქართველს მხოლოდ იმისთვის, რომ ის ქართველია... ქართველს სამშობლო ერის ორგულს, მის ინტერესთა წინააღმდეგ მომუშავეს, ვგმობთ, ვებრძვით, ვსდევნით და თუ საჭირო იქნება, ვსპობთ კიდეც"[151].

სტატიაში დახასიათებულია ყველა ფენა და კლასი, რომელიც იმჟამად საქარტველოში იყო და განსაზღვრულია თითოეული მათგანისადმი დამოკიდებულება... ავტორი განსაკუთრებულ დაუნდობლობას ამჟღავნებს ქართველი თავად-აზნაურობის, მემამულეების წინააღმდეგ, რომელნიც, მისი თქმით, გამხდარან „საქართველოს ეკონომიური ამკლებნი... უპარაზიტესი პარაზიტთა შორის"; რომ თავადაზნაურობა არა მარტო ეკონომიურად არის უარსაყოფი, არამედ „უარყოფითია ეროვნულადაც..."[152].

სტატიის ავტორს ულმობელი განაჩენი გამოჰქონდა ქართველ თავად-აზნაურთათვის. მისი აზრით, „საქართველოს პოლიტიკური არსებობა ემსხვერპლა ფეოდალთა გაუმაძღრობას..."; რომ „ფეოდალობამ სამათხოვრო ხელი გაუწოდა რუსის მთავრობას, გახდა მისი ყმა, წინ წამოუძღვა რუსის ჯარს და აიკლო თავისი სამშობლო, ის გახდა იარაღი ქართველი ერის პოლიტიკური დამონებისა..."; რომ „ფეოდალობა ერთგული ფინიაა რუსეის მთავრობისა... ოღონდაც თავისი ცხოვრება მოინყოს და არაფერს ერიდება: ჩაფრობს, ბოქაულობს, მაზრის უფროსობს, გუბერნატორობს, აფიცრობს, გენერლობს... კმაყოფილდება პირადად და სრესს თავის ერს"[153].

თავადაზნაურობამ, ავტორის თქმით, თავისი ერისადმი ღალატი კიდევ ერთხელ თვალნათლივ წარმოაჩინა, როცა მან ქართველი ერის რუსეთის მიერ დამონების 100 წლისთავი იდღესასწაულა, მაშინ, როცა „ყოველი ქართველი ძაძით უნდა შემოსილიყო. ქართველი თავადაზნაურობა დაგეშილი ძაღლებივით აედევნა რუსის მთავრობას და მასთან ერთად ნადიმები-ნადი-

---

[151] ე. „თავისუფალი საქართველო №1, 1913 წლის იანვარი, გვ. 8

[152] იქვე.

[153] იქვე. გვ.9.

მებზე გამართეს" და ამით საჯაროდ განაცხადა მადლობა ქართველი ერის დამოუკიდებლობის დაკარგვისა და „ბარბაროსთა ხელში მისი ჩავარდნის"[154] გამო. ამ სამარცხვინო საქციელისათვის, — ავტორის თქმით, — წლიურად მიიღო 40 ათასი მანეთი, სამაგიეროდ იკისრა ყოველწლიური მძღვენი რუსისათვის მისართმევად 50 ვაჟის სახით, რომლებიც ბავშვობიდანვე რუსების კორპუსებში მოქცეულნი სრულებით ეკარგებოდნენ სამშობლოს და რუსეთის არმიის ერთგულ ოფიცრებად იზრდებოდნენ...", გამომდინარე აქედან, ავტორს ქართველი თავადაზნაურობა მიაჩნდა „უარყოფითად ეკონომიურად, გამხრწნელად სოციალურად და მოღალატედ ეროვნულად"[155].

სტატიის ავტორი იქვე იმაზეც გულისტკივილით მიუთითებდა: „არავინ იფიქროს, თითქო ჩვენთვის სასიამოვნო იყოს ასე დახასიათება ჩვენი ფეოდალებისა. სრულებითაც არა, მაგრამ ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ გადავწყვიტეთ საჯაროდ ვაღიაროთ ყოველივე სენი ქართველი ერისა და შევებრძოლოთ მას. ოპერაცია აუცილებელია და იმის იმედიც გვაქვს, რომ ჩვენი ძვირფასი ავადმყოფი განკურნებული და გამაგრებული გამოვა ამ ბრძოლიდან..."[156]; რომ საოპერაციო დანა მიმართული იყო არა მთელი წოდების წინააღმდეგ, არამედ ამ წოდებიდან გამოსულ კონკრეტულ პირთა მიმართ, რომლებიც დიდად ირჯებოდნენ ერის საწინააღმდეგოდ.

ავტორი თანაგრძნობას იჩენდა და საკადრისს მიუზღავდა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, განათლებამიღებულნი, უმუშევრად და ულუკმაპუროდ დარჩენილნი სასოწარკვეთაში ვარდებოდნენ და ხშირად მშობელი ერის ინტერესებს უპირისპირდებოდნენ... ამის მიზეზი საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს არარსებობაში იყო. და „რამდენადაც ქართველი ერი თავის საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრებას შექმნის, იმდენად მისი ნასწავლი შვილებიც მის ეროვნულ ფარგალში ჩადგებიან... ბევრი მათგანი ვერ შორდება თავის წარმომშობ ხალხს, ზიზღით შეიარაღებულია მჩაგვრელთა მიმართ და ჩაგრულთ მხარდამხარ იბრძვის ეროვნული ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ის ჩარეულია ხალხის ეკონომიურ შემოქმედებაში და გადააქვს ხალხში ცოდნა სამეურნეო, სამრეწველო, სავაჭრო; აწყობს კოოპერაციებს, სა-

---

[154] ე. „თავისუფალი საქართველო", №1, გვ.9

[155] იქვე

[156] იქვე, გვ. 11-12

ხალხო კრედიტებს, იბრძვის ქართველი ერის პოლიტიკურ უფლებისათვის... იგი არსებითად ეროვნულია..."[157].

სტატიის ავტორის აზრით, არის კიდევ დიდი უმრავლესობა ქართველი დემოკრატიისა, რომელსაც ეწოდება წვრილი მესაკუთრე ქალაქად და სოფლად. ეს ის დამოუკიდებლად მწარმოებელი ადამიანია, რომელიც თავის თავს თვითონვე ირჩენს, არც სხვას ქირაობს და არც თვითონ მიდის საქირაოდ. ის არ ეწევა სხვისი შრომის ნაყოფის მითვისებას. ის არის ყოველ ქვეყანაში, ყოველ ერში დემოკრატიის საფუძველი. საქართველოს წვრილი მესაკუთრენი ყოველთვის დამოკიდებულნი იყვნენ ადგილობრივი ჰავის პირობებზე, რომელიც საშუალებას აძლევდა საქართველოში მცხოვრებთ შიმშილით სიკვდილის მსხვერპლნი არ გამხდარიყვნენ... ამას უკავშირდებოდა მუდამ ქართველი ერისათვის არსებობის საკითხი – ტერიტორიის დაცვა-შენახვისა... ჟურნალის აზრით, „ერთადერთი ელემენტი, რომელიც ამ ტერიტორიას მაგრად ჩასჭიდებია, არის ქართველი წვრილი მესაკუთრე და სადაც ის ზის, იქ ქართველი ერი უზრუნველყოფილია"[158].

დასასრულს, სტატიის ავტორი, აჯამებდა რა ზემოთ გამოთქმულ საპროგრამო მოსაზრებებს, დაასკვნიდა; „არცერთ ერს არ მუეძლია არც განთავისუფლება და არც თავის თავის დაცვა, თუ ის მზად არ არის იარაღით ხელში აღსდგეს როგორც მტრის უღელის მოსაშორებლად, ისე თავის პიროვნების დასაცავად. მისი ეროვნული ბრძოლა მხოლოდ თავის დაცვაა. ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა ყოფილა და იქნება მუდამ უმშვენიერესი ფურცელი კაცობრიობის ისტორიისა. ამიტომ ჩვენ ვემზადებით სამშობლოს დასაცველად. ამავე დროს ჩვენ შევიმუშავებთ მთელ სისტემას, რათა შევაკავშიროთ შემოქმედი საქართველო.

შემოქმედი საქართველო, ქართველი დემოკრატია ეროვნულ განთავისუფლების გზაზე მომუშავე, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი – აი ვის მივმართავთ ჩვენ.

დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – აი ჩვენი მიზანი"[159].

ამ ზოგადი საპროგრამო პრინციპების ჩამოყალიბების შემდეგ, ჟურნალის რედაქცია ქართველი საზოგადოების ყურად-

---

[157] ჟ. „თავისუფალი საქართველო" №1, გვ. 15.
[158] იქვე, გვ. 16
[159] იქვე

ღებას მიაქცევდა ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, როგორიც იყო ქართველი ერი და საქართველოს ტერიტორია. წერილის დასაწყისშივე ხაზგასმით იყო მითითებული იმაზე, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის ძირითადი საყრდენი მისი ტერიტორია იყო. გამოაცალეთ იგი ქართველ ერს და ის უკვე მოსპობილია, რადგან ქართველი ერი და საქართველოს ტერიტორია ურთიერთისაგან განუყრელია. ქართველი ერის საუკუნეების მანძილზე, განუწყვეტელი ბრძოლა, უპირველესად მშობლიური მიწაწყლის დაცვისაკენ იყო მიმართული. იგი აურაცხელი იერიშების მომგერიებელი იყო და წარმატებითაც, მაგრამ ჟურნალის თქმით: რაც რუსმა მასზე მიიტანა იერიში, მას შემდეგ, არასდროს არ მოსწრებია სიმშვიდეს... რუსმა ჩვენს ქვეყანაში ფეხის შემოდგმისთანავე იერიში მიიტანა ჩვენი ეროვნული არსებობის საფუძვლებზე... „ჯერ კიდევ კარგად შემოსულიც არ იყო, რომ შემოგვისია გერმანელი გადმოსახლებულნი, ჩამოართვა მამულები ქართველებს და მათ დაურიგა... ზედ მიაყოლა რუსის ახალშენები. ასე დაიწყო მოყვრულად მოსულმა მტერმა ქართველთა სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ ბრძოლა მიწაწყლის ნიადაგზე...

რუსის პოლიტიკისათვის დამახასიათებელი მეორე საშუალება ზოგადად სხვისი მიწების ხელში ჩაგდებისა, რომელიც მთელი სიმწვავით თავის ზურგზე განიცადა ქართველობამაც, იყო მშობლიური მიწებიდან ხალხების აყრა და ძალით გადასახლება და მათ ადგილას მისთვის ერთგული სხვატომელების ჩასახლება. ჟურნალის თქმით, — ასე მოექცა იგი ყირიმელ თათრებს, შვიდას ათას ჩერქეზს და ნახევარ მილიონზე მეტ მაჰმადიან ქართველობას მესხეთიდან, რომელთა ადგილზედაც თურქეთიდან ოტებული სომხობა დაასახლა...[160].

ჟურნალი ამ კონტექსტში სომხობის ხსენებაზე არ ჩერდება და მოურიდებლად, რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ქართველ მკითხველს შეახსენებს იმ „დამსახურებათა“ შესახებ, რაც „საქართველოს პოლიტიკურ დაცემაში“ სომხობამ ითამაშა... „იმ ერთა შორის, რომლებთანაც ქართველობას რაიმე დამოკიდებულება აქვს, სომეხი ყველაზე მაღლა უნდა დავაყენოთ პრაქტიკული საქმიანობის ნიჭით... სომეხი ცოტას ლაპარაკობს და ბევრს აკეთებს. დიდი ხნის ვაჭრულმა ვარჯიშობამ ის ბუნებრივ დიპლომატად აქცია, რომელსაც — ტალეირანის თქმისა არ იყოს, ენა იმისთვის აქვს, რომ აზრები დამალოს. ეკონომიუ-

---

[160] ჟ. „თავისუფალი საქართველო“ №1, გვ. 17-18

რად გაღონიერებული სომეხი საკუთარი ეროვნული სარწმუნოებით... რაც დრო მიდის იმდენად აძლიერებს თავის ეროვნულ საქმიანობას. განსაკუთრებით ის სცდილობს ქართველთა ნაპარტახევზე მოიკიდოს ფეხი და საგრძნობლად აღწევს კიდეც მიზანს... ეს არ არის უბრალო ყიდვა-გაყიდვის სფეროში. სომეხ მესაკუთრეს თან მისდევს სომეხი მუშა, სომეხი გლეხი და ამგვარად პროცესი ეროვნულ ექსპროპრიაციად იქცევა..."[161].

აქედან გამომდინარე, ჟურნალის რედაქციას მიაჩნდა, რომ ქართველ ერს უნდა ეზრუნა თავის თავის დასაცავად და თავის მიწა-ნლის შენარჩუნებისათვის, როგორც უბრძოლია მას დასაბამიდან, მან საქვეყნოდ უნდა განაცხადოს: „საქართველოს ტერიტორია ქართველ ერს ეკუთვნის"[162] (ხაზგასმა ავტორისაა – გ.ს.). „ტერიტორიას ფლობს ის ერი, ვინც სუვერენია ამ ტერიტორიაზე... მაგრამ თუ ქართველ ერს დროებით წართმეული აქვს ეს სუვერენობა, მან უნდა დაიბრუნოს წართმეული და თავის სახლში სხვას ხელი არ აფათურებინოს... დაკარგულის დაბრუნება მოითხოვს სისტემატურ ბრძოლას და რომ ეს ბრძოლა იქნება უფრო პოლიტიკური ხასიათის"[163].

წერილის დასასრულს ავტორი დაასკვნიდა: „ამნაირად ჩვენი პრინციპია – საქართველოს ტერიტორია ქართველ ერს... მას ვინც გვერდს უვლის და არ იბრძვის სამშობლოს ტერიტორიის დასაცველად, ის თავის ერის მოღალატეა. ვინც იბრძვის ამ ტერიტორიის დასაცველად, ის ხელს უწყობს ქართველი ერის არსებობის დაცვას, საქართველოს გამაგრებას, ქართული დემოკრატიის გაძლიერებას და მით ჩვენი მომავლის — დამოუკიდებელი საქართველოს შექმნას"[164].

მორიგ ნომერზე მუშაობის დაწყების წინ პ. სურგულაძეს ნოსტალგია უძლიერდება, მისი მთრთოლვარე გული ვერ ეგუება სამშობლოდან შორს ყოფნას და გადაწყვეტს საქართველოში დაბრუნებას. ამის შესახებ ის ს. შანშიაშვილსაც ატყობინებდა; ჩამოვალ და ჩავჯდები ციხეში და ის იქნებაო. 1913 წლის მარტის დამდეგს იგი მართლაც მოეშურება სამშობლოსაკენ, მაგრამ აქ ჩამოწევას ვერ ახერხებს – დონის როსტოვში აპატიმრებენ[165]. თითქმის ერთი წლით ფერხდება ჟურნალის გამოცე-

---

[161] ჟ „თავისუფალი საქართველო" №1... გვ. 18-19
[162] იქვე. გვ. 18
[163] იქვე, გვ. 19
[164] იქვე, გვ. 21
[165] ოთ. ჯანელიძე. სადოქტორო დისერტაცია... გვ. 111

მაც, რის შესახებაც „თავისუფალი საქართველოს" მკითხველებს თავადვე ესაუბრება მესამე ნომრის დაგვიანების მიზეზებზე.

1914 წლის მარტში პ. სურგულაძე თანამოაზრეებთან ერთად ახერხებს ჟურნალის მესამე ნომრის გამოცემას. სარედაქციო წერილში ახსნილია ის მიზეზები, თუ რამ გამოიწვია მისი გამოცემის დაგვიანება... „გარემოებამ გვაიძულა თითქმის ერთი წლით ჩვენი გამოცემა შეგვეჩერებია. ამ წლის განმავლობაში საქართველოს ცხოვრებაში ბევრი რამ გამოირკვა. მტერთა იერიში ქართველ ერის წინააღმდეგ გაორკეცდა, სამაგიეროდ თვით ერის ცხოვრებაშიც თავის მდგომარეობის შეგნება გაღრმავდა და გარკვეულ ეროვნულ პოლიტიკის წარმოების საჭიროება ნათლად გამოიხატა. მოახლოვდა დრო, როცა ქართველი ერი, რუსის შემოსვლიდან თითქო დარეტიანებული წელში იმართება და სიტყვას საქმედ აქცევს, განვლილმა წელმა ჩვენ კიდევ უფრო ღრმად დაგვარწმუნა, რომ ჩვენ მიმართულებას ღრმა ეროვნულ-სოციალური მნიშვნელობა აქვს და რამდენად ქართველი ერი თავის ვინაობას შეიგნებს, იმდენად ჩვენი მიმართულება გაიშლება და გაძლიერდება... მართლაც, რაა ჩვენი მისწრაფება? ვისიმე დაჩაგვრა, შენუხება, შევიწროვება?.. ბარბაროსულ მაჯლაჯუნას მთელი ჩვენი სამშობლო ერთ დიდ სატუსაღოდ უქცევია, სადაც სული გვეხუთება, გასაქანი არა გვაქვს, ჩვენი შემოქმედება იხშობა, ჩვენი ადამიანობა იქელება. რუსის ციხე, თვალუწვდენელი მისი გაყინული სამფლობელო საუკეთესო ქართველთა სისხლით ირწყვება... ჩვენ საფუძვლიანად ვიმედოვნებთ, რომ ქართველი ერის უმრავლესობა თავის ბუნებრივ შემოქმედების ძალით ჩვენსკენ იქნება..."[166].

სტატიაში — „რისთვის უნდა ქართველ ერს საკუთარი სახელმწიფო" — ჟურნალი ქართველ მკითხველ საზოგადოებას მოაგონებდა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლა საჭირო იყო, რათა გადავრჩენილიყავით სრული განადგურებისა და ინდივიდუალური სახის დაკარგვისაგან; არ შეიძლებოდა შეგუება იმასთან, თუ როგორ გვართმევდნენ საკუთარ მიწა-წყალს, ენას, ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს; გვავიწყებდნენ საკუთარ ისტორიას, ცდილობდნენ მემკვიდრეობითი კავშირი გაგვეწყვიტა წინა თაობებსა და ახალ თაობებს შორის და ა.შ. სწორედ მტრის ამ განზრახვათა წინააღმდეგ საბრძოლველად უნდა დარაზმულიყო ყველა ერის შვილი რა წარ-

---

[166] ჟ. „თავისუფალი საქართველო" №3, 1914 წლის მარტი, გვ. 1

მომავლობისაც უნდა ყოფილიყო იგი... „როგორც პიროვნება თავისუფლებას მოკლებული და სულიერად ჩაგრული არარაობა და პატივაყრილი, აგრეთვე ერი, რომელიც არ იბრძოლებს წართმეულის დასაბრუნებლად, ფეხქვეშ გათელილი კულტურისა და ღირსების დასაბრუნებლად. აქ კი სახელმწიფო არის ის ერთადერთი იარაღი, რომელსაც უპირველესი როლი აკისრია, როგორც გარეშეთაგან თავის დასაცავად, ისე შიგა ცხოვრების მოსაწესრიგებლადაც[167].

სტატიის ავტორი ერის უფლებებზე ზოგადი საუბრით როდი იფარგლება, არამედ კონკრეტულად მიმოიხილავს იმ ვითარებას, რომელშიც ქართველი ერი იმყოფებოდა იმჟამად... „ქართველი ერი, რომელსაც რუსებმა წაართვეს ას წელიწადზე მეტია საკუთარი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა, დღეს დაღუპვის გზაზეა დამდგარი, რადგან სხვა ერია თავის სახელმწიფო იარაღით დღეს ჩვენში დამკვიდრებული და ფეხ-ქვეშ სთელავს ქართველი ერის ნარსულსა და თანამედროვე სულიერ საუნჯესა“... ერის გადაშენების, მისი გადაგვარების უპირველესი საშიშროება საკუთარი მიწა-წყლის, საკუთარი ტერიტორიის დაკარგვაა. ვინაიდან მასზეა დამყარებული საზოგადოებრივი ცხოვრება ერისა. საზოგადოებრივი ცხოვრება კი – ადამიანთა საერთო ცხოვრებაა... მიწა-წყალი ისეთი ხელშეუხებელი საკუთრება უნდა იყოს ერისა, რომელზედაც იგი თავის სურვილისამებრ და ქვეყნის საუმჯობესოდ გაანაწილებს თავის წევრებს, თავის მოქალაქეებს... ამიტომ სახელმწიფო უმიწაწყლოდ შეუძლებელია. საზღვრებით უნდა იყოს შემოხაზული ყოველი ერის მიწა-წყალი და სახელმწიფო...“[168].

სტატიაში ნათქვამია ისიც, რომ იმჟამად რუსეთთან ერთად ჩვენს სამშობლოს ისევ დაუზოგავად ანადგურებდა ის ძალა, „რომელმაც ნახევარი საქართველო გაანადგურა და დღესაც სარწმუნოების ნიადაგზე უფრო მეტად აბნევდა ისედაც გზააბნეულ მუსლიმან ქართველობას“; რომ „სარწმუნოების გამოცვლის შემდეგ ოსმალები მუდამ არწმუნებდნენ ქართველობას, რათა გულიდან ამოეგლიჯათ ყოველივე ქართული – ენა, ზნე-ჩვეულება, ეროვნული გარეგნობა, სიყვარული საკუთარი სისხლისა და თურქებად გამხდარიყნენ...“ მათ ეს მოახერხეს და გამუსლიმანებულ ქართველებს შეაძულეს დანარჩენი ქრისტიანი ქართველობა, რომელთან ერთადაც საუკუნეების მანძილზე

---

[167] ე. „თავისუფალი საქართველო“, №3, 1914 წლის მარტი, გვ. 1

[168] იქვე, გვ. 8

ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ საქართველოს ისტორიას... სწორედ ამ სიძულვილმა გაუადვილათ მშობლიური მიწა-წყლის მიტოვება და ოსმალეთის შიდა ვილაეთებში გადახიზვნა გამაჰმადიანებულ ქართველობას, რასაც ხელშეწყობას არ აკლებდა რუსეთის თვითმპყრობელური ხელისუფლება... იქ, სადაც ადრე რუსთაველის ქართული მეფობდა, სხვა ტომის ხალხი დაასახლეს და ქართული მინის მოცილედ გახადეს...[169].

სტატიის ავტორი მამულიშვილური გულშემატკივრობით წერდა იმ ქართველთა ბედზე, „რომელთაც სამშობლო დაკარგეს და ოსმალეთში დასახლდნენ და უსამშობლო და სხვისი სტუმრები გახდნენ...“ მაჰმადიანმა ქართველობამ ბევრი ნიჭიერი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე მისცა ოსმალეთს და მის მადიდებელ მსახურებად იქცნენ... ისინი თანდათან კარგავდნენ მშობლიურ ენას და, აქედან გამომდინარე, ქართულ ცნობიერებას. მერე ვინ? ის ქართველობა, რომელიც ერთ დროს ნახევარ საქართველოს მიწა-წყლის პატრონი იყო... „ქართველობა ჰკარგავს თავის ღვიძლ შვილებს... ვინცა კვდება მისი სახსენებელი ქრება და არა ქართველად, არამედ თურქად იხსენიება... თვით ოსმალებს კი ამით ემატებათ, რადგანაც ნიჭიერ და ლამაზ ქართველთა გათურქებით გონება მათი მაღლდება და სისხლი მათი კეთილშობილდება...“[170]. ეს პროცესი კი მეტად სასიხარულოდ გამხდარა რუსთათვის, რადგანაც ამაში ქართველთა რიცხვის შემცირების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას ხედავენ. „ცეცხლად და რისხვად მოვლენილი რუსეთის მთავრობა“ უარეს დღეში ამყოფებდა შინ დარჩენილ ქართველობას, შეუბრალებლად ანადგურებდა საქართველოს სულიერ და ნივთიერ საუნჯეს. საქართველოს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. მოგვისპეს ქართული ენა სარწმუნოების გამოსახატავად; რუსი ექსარხოსები დაუნდობლად ბატონობენ მართლმადიდებელ ეკლესიათა ზედა... გაიტაცეს საეკლესიო ქონება, შეაგინეს წმინდათა-წმინდა, რჯული და სინდისი ქართველთა... ქართველი ახალგაზრდობა ჯარისკაცის ბეგარას რუსეთის ცივ მხარეში იხდის და უცხო ჰავას შეუჩვეველი უმეტეს წილად დაავადებული უბრუნდება მშობლიურ კერას, ასეულობით კი იქ პოულობს საუკუნო განსასვენებელს... და ა.შ.

---

[169] ე. „თავისუფალი საქართველო“ 3, 1914 წლის მარტი, გვ. 9

[170] იქვე, გვ. 7-8

აი, ასეთ კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ქართველობას ესაჭიროებოდა საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელსაც ეყოლებოდა საკუთარი, ხალხისაგან ამორჩეული მთავრობა. ჩვენი საკუთრება უნდა იყოს ჩვენი ტერიტორია. ჩვენი სამართალი, ჩვენი ეკლესია, ჩვენი საკუთარი საზოგადო დანესებულებანი, ქართულის ენითა და ქართველთა სულთან შეთანხმებული, — აი რა გვესაჭიროება ჩვენ და რა უნდა იყოს ჩვენი მიზანი, თუ არ გვინდა, რომ საუკუნოდ გაქრეს ჩვენი სახსენებელი ცივილიზებულ ერთა შორის...

წერილში სავსებით სწორად იყო ყურადღება გამახვილებული იმაზე, რომ სპარსეთისა და ოსმალეთისაგან შევიწროებულმა სამეფო-სამთავროებად დაშლილმა საქართველომ, მისი ერთ-ერთი გამორჩეული მეფისა და მხედართმთავრის სახელით, რუსეთთან მფარველობითი ტრაქტატი გააფორმა და იგი ჩვენი საზღვრების აქეთ მოინვია... ისე, რომ „საქართველოს თავის დღეში არ უარუყვია საკუთარი უფლება სახელმწიფოებრიობისა...“ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა ძალით იქნა მოსპობილი ფიცისა და საერთაშორისო ძალის მქონე ხელიშეკრულების გამტეხი რუსის მოძალადე ხელმწიფე-იმპერატორთა მიერ... მათ ძალადობას ქედდადრეკით არასდროს შეგუებია ადმინისტრაციულად დაქსაქსული, მაგრამ სულიერად და ეროვნული თვითშეგნების მქონე ამერ-იმერის ქართველობა. მთელი მეცხრამეტე საუკუნე გრძელდებოდა რუსთა ბატონობისაგან ქართველთა ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლა, მაგრამ ფუჭად ჩაიარა ამ სისხლისმღვრელმა ბრძოლებმა „ერთმორწმუნე მეგობრის“ ძალადობის წინააღმდეგ, რადგან დაღლილ-დაქანცულმა ჩვენმა მცირერიცხოვანმა ერმა ვეღარ შეძლო უზარმაზარი სახელმწიფოს დამარცხება და ჩვენი საზღვრებიდან მისი განდევნა. ამაში წერილის ავტორი პირდაპირ ბრალს დებდა ქართველ თავად-აზნაურობას, რომლის დიდი ნაწილი შემგუებელი აღმოჩნდა რუსის ხელისუფლების და არა თუ თავისი, არამედ მთელი კავკასიის დაპყრობაშიც კი შეუწყო ხელი მას...

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთმა საუკუნის განმავლობაში შეძლო ქართული ტერიტორიების წართმევა და სულიერი ცხოვრებისათვის საშინელი ზიანის მიყენება, მაინც ვერ გაანადგურა ქართულ ენაზე მეტყველი ქართველი ერი... ერის კეთილდღეობა მისი თავისუფლებაა... ამის მოპოვება კი საკუთარი სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია. სწორედ სახელმწიფო აძლევს მას უფლებას იქონიოს საკუთარი დანესებულებანი,

უზრუნველყოს თავისი ცხოვრება და ამაღლდეს სულიერად. საქართველოს სახელმწიფო მოგვცემს საშუალებას ქართველი ერის შეკავშირებისას ერთ განსაზღვრულ მიწა-წყალზე, რომელსაც საქართველო ჰქვია.

იქვე ხაზგასმითაა მითითებული დღეისათვის განსაკუთრებულად აქტუალურ ერთ საკითხზე. იგი ქართულ-აფხაზურ ურთიერთობას ეხება. წერილში ნათქვამია: „როგორი ჯოჯოხეთური მანქანებიც არ უნდა იხმარონ რუსის მოხელეებმა და მათმა მიმდევარმა ქართველებმა, რომ ეროვნულად ჩამოაშორონ აფხაზეთი საქართველოს, ეს ქვეყანა მაინც ნაწილია საქართველოსი; აფხაზები ჩვენი მონათესავენი არიან ენითა და კულტურითა; აფხაზეთი იყო არა თუ ნაწილი საქართველოს პოლიტიკური სხეულისა, არამედ ხშირად შემოქმედი საქართველოს პოლიტიკური ერთობისა. და განა წინად სამეგრელოსა და სვანეთის ჩამოშორებაც არ უნდოდათ ჩვენს მტრებსა? მაგრამ ვერ მიაღწიეს მიზანს. დღეს აფხაზების შეუგნებლობითა და დაქვეითებით სარგებლობენ და აგონებენ აფხაზებს — ქართველები თქვენი მტრები არიანო. მაგრამ აფხაზებშიც შედის შეგნება და მალე ისინიც დაინახავენ სად არის მათი სამშობლო და რომელ სახელმწიფოს შექმნას და გაძლიერებას უნდა ემსახურონ. განა ასევე მტრები საქართველოსი მაჰმადიან ქართველებსაც არ აგონებენ – თქვენ მუსლიმანები, მაშასადამე თურქები ხართო და ამით აძულებენ მათ ქართველებსა? მაგრამ დღეს მაჰმადიან ქართველთა შორის იმდენი შეგნება კიდევ არის, რომ რუსის მოხელეთ სიტყვებს, სამტროდ მიმართულს, ყურადღებას არ აქცევენ და თავიანთ უძველეს ძმებს არ ემტრობიან და არ შეიძულებენ...“[171].

საქართველოს მტერთა გასაგონად და ქართველთა გულგასამაგრებლად, რედაქცია მიუთითებდა: დღეს კიდევ არსებობს ქართული ერი და საქართველოს ტერიტორია... საქართველოს ტერიტორიაზედ ოთხმოცი პროცენტი ქართველი სახლობს და ეს საკმარისია ერისათვის, რათა თავის ისტორიულ საკუთრებასა ჰფლობდეს...“[172].

ერთი სიტყვით, თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო შესაძლებლობას მისცემდა ქართველ ერს, ისე მოენყო თავისი ცხოვრება თავის ისტორიულ მიწა-წყალზე, როგორც მას სურდა და მხარში გასწორებული წამდგარიყო ცივილიზე-

---

[171] ე. „თავისუფალი საქართველო“ №3, 1914 წლის მარტი, გვ. 11

[172] იქვე

ბული და დემოკრატიული სახელმწიფოების წინაშე, როგორც თანასწორი – თანასწორთა შორის.

ჟურნალის მესამე ნომერში მოთავსებულ წერილში — „1913 ნელი და ქართველი ერი" მოკლედ იყო მიმოხილული ის ვითარება, რომელიც ერთი წლის მანძილზე სუფევდა საქართველოში... რომ წარსული ისტორია ქართველი ხალხისა ძნელი და შავბედითი იყო მუდამ, მაგრამ იგი ყოველთვის ინარჩუნებდა „სასიცოცხლო ძალას და თავდაცვის უნარს"; ის უბედურება კი, რაც ასი წლის წინათ რუსების შემოსევით ეწია საქართველოს, შეუდარებელი იყო. რუსის საუკუნოვანმა ბატონობამ გარყვნა და გაათახსირა ქართველი ერი, განსაკუთრებით მისი ერთი ნაწილი..., რომლებიც რუსის სახელმწიფოს ბატონობის მეოხებით ამ სისტემის მაქებარ-მადიდებელთა როლში გამოდიოდნენ; რომ რუსეთში იყვნენ ტოლსტოვები, გოგოლები და ტურგენევები, მაგრამ მათ იმპერიის ხალხთა დამონების საქმეში წინ უსწრებდნენ კაზაკები და მოთარეშე და დაუნდობელი მოხელეები, რომლებიც ჩაგრულ ერების ყოველგვარ ადამიანურ უფლებას შეურაცხყოფდნენ... სტატიაში ძალზე სწორი აქცენტია გაკეთებული იმათ საპასუხოდ ვინც თვლიდა, რომ თითქოს არსებობდა ორი რუსეთი – ჰუმანისტური და დემოკრატიული და თვითმპყრობელური და რეაქციული... ჟურნალს მიაჩნდა, რომ არავითარი დაშორიშორება მათ შორის არ იყო არარუსთა მიმართ, არამედ „ეს იყო ორმაგი სისტემა ერთა აკლებისა, რომელიც დამახასიათებელი თვისება იყო რუსის სახელმწიფოებრივი შემოქმედებისა; რომ ჩვენშიც მოიპოვებოდნენ პოლიტიკურად უსუსური მოღვაწეები, რომლებიც აღიარებდნენ: მთავრობაა ჩვენ რომ გვღუპავს, თუ არა რუსის ხალხი სულ ჩვენი კეთილდღეობისა და თავისუფლების ფიქრშიაო... სტატიის ავტორს (პ. სურგულაძეს) ზედმეტად მიაჩნია ამ უსუსური აზრის თაობაზე საუბრის გაგრძელება, რადგან რუსის ხალხი წინათ თუ პასიური იყო, ამიერიდან ის თავის ხელისუფლების გვერდში იდგა და სახელმწიფო დანესებულებებს უმაგრებდა ზურგს დაჩაგრულ ერთა კიდევ უფრო მეტად დამონების საქმეში...[173] და სხვ.

ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს" მესამე ნომერში დაბეჭდილ მასალათაგან ყურადსაღებია ფაქტებისა და მოვლენების მიმოხილვა, რომელიც პ. სურგულაძის კალამს ეკუთვნის. პირველყოვლისა აქ ყურადღებას იქცევს დაუნდობელი კრიტიკა ქართველი სამღვდელოების იერარქიულ კიბეზე მაღლა

[173] ჟ „თავისუფალი საქართველო №3, 1914 წლის მარტი, გვ. 14

მდგომი ეპისკოპოს ანტონისა და იმერეთის ეპისკოპოს გიორგის საქმიანობისა. ავტორის თქმით, ისინი როგორც გულმოდგინე ფინიები ხელ-ფეხს ულოკავენ თავიანთ უფროსებს, რათა წინ წავიდნენ სამსახურებრივ გზაზე და ამისათვის არ ერიდებიან თანამემამულეთა დაბეზღებას, შურისა და სიძულვილის დათესვას, საეროვნო საქმის გაფუჭებას... „სულით უბადრუკნი, მხთალნი და სულმოკლენი – ისინი საოცარის მონური მოწიწებით ემორჩილებიან თავიანთ მთავრობას და აშკარად მოქმედებენ ჩვენ წინააღმდეგ...“. განსაკუთრებით გამოყოფს ეპისკოპოს გიორგის სილაჩრეს, რომელსაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე ხმის ამოღება აუკრძალავს მისთვის დაქვემდებარებული სამღვდელოებისათვის... „ასეთი დამცინავია ისტორია: — შენიშნავს მიმომხილველი, — რუსთაგან წამებულ, გზაში ცემით და თრევით მოკლულ ზოსიმე ქუთათელის ტახტზე უნდა იჯდეს განცხრომის გულისთვის გაეპისკოპოსებული არარაობა“[174].

იქვე უაღრესად სწორი ეროვნული პოზიციაა დაფიქსირებული ქართული უმაღლესი სასწავლებლის — უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით, ეს მაშინ, როცა დიდი დავა და ცილობა იყო ატეხილი თბილისში რუსულენოვანი პოლიტექნიკუმი დაარსებულიყო თუ ქართულენოვანი უნივერსიტეტი. პ. სურგულაძის აზრით, „ქართული საზოგადოება სრულიად შემცდარ ნიადაგზე იდგა და ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ მას აკლია ეროვნულ-პოლიტიკური შეგნება. ჯერ ერთი ქართველთათვის არაფერი სასიხარულო და სანუკვარია რუსული სასწავლებლის დაარსება, რომელიც ჩვენი გადაგვარების და ეროვნული განადგურების საუკეთესო იარაღია... ჩვენი იდეალია სწავლება ყოველ საფეხურზე ქართულად სწარმოებდეს, ყოველი ჩვენი ძალ-ღონე, ყოველი ჩვენი მუშაობა აქითკენ უნდა იყოს მიმართული... ჩვენ არ უნდა დავემსგავსოთ იმ მეორეხარისხოვან ერებს, რომლებიც იძულებულნი არიან გაბატონებული ერის მეცნიერების ნასუფრალით იკვებონ. თუ სამ მილიონიან შვეიცარიას ცხრა უმაღლესი სასწავლებელი აქვს, თუ ორ მილიონ ნახევრიან ფინლანდიას მთელ ევროპაში შესანიშნავი უნივერსიტეტი აქვს, თუ მცირედ ნორვეგიას არა ერთი საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი აქვს, საქართველოსაც როგორც წარსული, ისე აწმყო მაღალ სულიერი განვითარების წყურვილი, მისი წარსული გონებრივი ნამუშევარი, სრულ უფლებას აძ-

---

[174] ჟ „თავისუფალი საქართველო №3, 1914 წლის მარტი, გვ. 20

ლევს იბრძოლოს საკუთარი ქართული ეროვნული უმაღლესი განათლებისათვის"[175].

მიმოხილვაში მოკლედ, მაგრამ მრავლისმეტყველად არის გამოთქმული აზრი სომეხთა საკითხზე საქართველოში. ავტორის აზრით, ქართულ მწერლობაში სომეხთა საკითხი სრულიად შესწავლილი არ არის და ქართულ საზოგადოებაშიც ორგვარი აზრი ტრიალებს, ორივე მეტად უსუსური. ერთნი თავაღებით ძმობასა და თანხმობაზე ყვირიან, მეორენი სომხებს დაცინვითა და სიძულვილით იხსენიებენ. რასაკვირველია, არც ერთ აზრს პოლიტიკური სიმნიფის და წინდახედულობის ბეჭედი არ აზის. ორ ერს შორის თანხმობა და ბრძოლა დამოკიდებულია მათი არსებობის ინტერესებზე. თუ ორი ერის ინტერესი პარალელურია, მათ შორის წინააღმდეგობა კი არა, სრული თანხმობაა, მაშინ ვინ სულელი იქნება არ აღიაროს ეს ფაქტი და ბუნებრივ მოკავშირეს ხელი ჰკრას!"[176]

შემდეგ ავტორი ყურადღებას ამახვილებს სომხების მიერ განვლილ ისტორიულ გზაზე და აღნიშნავს, რომ „სომხები მეტად ძლიერი ერია. მიუხედავად იმისა, რომ ისინი უმთავრესად გაფანტულად სცხოვრობენ... ისინი არსად თავიანთ ეროვნულ სახეს არა ჰკარგავენ და შეკავშირებულნი არიან... მიუხედავად იმისა, რომ მათშიც არსებობს წოდებრივი, კლასობრივი და სარწმუნოებრივი საკითხები, საერთო ეროვნული პრობლემების დროს მთელი სომხობა გამოდის, როგორც ერთი მთლიანი ეროვნული პიროვნება. სომხები ერთად ერთი ერია, რომლის დიდი უმრავლესობა ერთი პოლიტიკური პარტიის – დაშნაკცუტუნის დროშის ქვეშ იყრის თავს"[177].

მიმომხილველი ობიექტურად წარმოაჩენს სომხებისადმი რუსების დამოკიდებულების საკითხსაც... მისი აზრით, სომხებს ჯერ კიდევ ეკატერინე მეორემ აჩუქა ვეებერთელა ადგილ-მამული და იქ სპარსეთიდან გადმოასახლა ისინი და ქ. დონის ნახჭევანის დაარსების შესაძლებლობა მისცათ... ეს მაშინ, როდესაც ქართველებს ყველაფერი წაგვართვეს, სომხებს შერჩათ სრული სარწმუნოებრივი ავტონომია, საკუთარი სკოლა—დაწყებითიდან აკადემიამდე და ა.შ.; რომ ჩვენში ორ მესამედზე მეტი სომხობა რუსობის დროს შემოვიდა და რუსის მთავრობის შემწეობით მკვიდრულადაც დაფუძნდა... რუსული რეჟიმი სომ-

---

[175] ‘თავისუფალი საქართველო №3, 1914 წლის მარტი, გვ. 20-21

[176] იქვე

[177] იქვე, გვ. 23-24.

ხებისათვის მეტად ხელსაყრელი იყო ეკონომიურადაც... სომეხთა იმჟამინდელი სიმდიდრე უმთავრესად ჩარჩობით იყო მოპოვებული...; რომ ყოველგვარ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას მორგებული ხალხი იდეალური ფორმაა ჩარჩისათვის; რომ სომეხთა მიერ დაგროვილი დიდძალი სიმდიდრე არა მარტო ვაჭრული უნარის, არამედ მათთვის განსაკუთრებული ხელშეწყობით რუსული სახელმწიფოებრივი რეჟიმისა ნაყოფი იყო..."[178] და სხვ.

ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს" ბოლო, მეოთხე ნომერი, 1914 წლის აპრილში დაიბეჭდა. იგი თავისი ფორმატით, მოცულობით, მიმართულებით, პრობლემატურობით და პათოსით წინა ნომრების ანალოგიურია. ნომერში დასტამბული წერილებიც ხელმოუწერელია. თუმცა, სხვათაგან განსხვავებით, აქ დასტამბულ მასალებში ხაზგასმითაა საუბარი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, როგორც ერის არსებობის უპირველესი ფაქტორის, შენარჩუნების საკითხზე. პირველსავე სტატიაში — „ქართველი ერის სულიერი შემოქმედება და ბრძოლა მისი წარსულისათვის" მითითებულია: „ქართველ ერს აუტანელ პოლიტიკური პირობების წყალობით ტერიტორიას ართმევენ, მას ერეკებიან ათასი წლობით დასახლებულ მიწა-წყლიდან, და არა-თუ ანმყოში სჩაგრავენ, არამედ მომავლის იმედის მოსპობასაც ცდილობენ... ჭეშმარიტად დიდ განსაცდელში ვართ, ამიტომ საჭიროა ქართველი ერის მტერნი და ორგულნი საბოლოოდ არ გავაცინოთ... ჩვენმა ერმა ღრმად უნდა შეიგნოს თავისი სამწუხარო მდგომარეობა, შესაძლოა ბევრი მსხვერპლიც დასჭირდეს თავისი ვინაობის დასაცველად, მაგრამ უკან არ უნდა დაიხიოს და გმირულად გაიაროს თავისუფლებისა და კეთილდღეობისაკენ მიმავალი ეკლიანი გზა"[179].

სტატია „რეალური ტერიტორია" განსაკუთრებული სიმძაფრითა და შეუვალი პოლემიკური ტონით იქცევს ყურადღებას... ავტორი მოუწოდებს ქართველ საზოგადოებას ყველაზე მთავარი მიზნის — საკუთარი სამშობლოს, საკუთარი ქვეყნის ტერიტორიების დაცვისაკენ; რომ „ერთად ერთი იარაღი ქვეყნის ერთობისა" მთელი ერის ერთიანობა იყო და რომ „ერმა იცოცხლოს და მომავალი თავისი ცხოვრება აშენოს, საჭიროა თავის ავლა-დიდება, თავის ყველაზე დიდი სიმდიდრე — მიწა-წყალი დღეს არ გაატანოს მტერს. სამშობლოს დაცვაში მუშამ, გლეხ-

---

[178] ჟ. „თავისუფალი საქართველო", №3... გვ. 24

[179] იქვე, №4, 1914 წლის აპრილი, გვ. 1

მა, ინტელიგენტობამ, — ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა... თორემ თუ სამშობლო დაიღუპა, მაშინ მთელი ერი დაიღუპება..."[180].

„თავისუფალი საქართველოს" მეოთხე ნომერში დაბეჭდილია ერთი მეტად საყურადღებო წერილი, სათაურით: „რეალური ტერიტორია"(?!). მასში გამოთქმული მოსაზრებები დღეისათვისაც ინარჩუნებენ აქტუალურობას და ამდენად, შევეცდებით უფრო ფართოდ მიმოვიხილოთ იგი. წერილი პოლემიკური ხასიათისაა და მიმართულია იმ პოლიტიკურ თუ საზოგადო მოღვაწეთა მიმართ, რომლებიც დასაშვებად მიიჩნევდნენ ფორმულას: ვისაც რეალურად უკავია ტერიტორია, მისი მეპატრონეც ის არისო. წერილის ავტორის ვინაობა, მართალია, უცნობია, მაგრამ მასში განვითარებული მოსაზრებების და მასალის ლიტერატურულ-სტილისტური ანალიზის მეშვეობით, შეიძლება იგი მიხ. წერეთლის კალამს მივაკუთვნოთ. ავტორი დასაწყისშივე პირდაპირ მიუთითებს, რომ „ქართველი მოაზრე საზოგადოების ნაწილმა ერთი მართლაც არაჩვეულებრივი პრინციპი წამოაყენა და გაჰხადა იგი სახელმძღვანელოდ ჩვენი მინაწყლის, ჩვენი სამშობლოს ბედისა და საფუძვლის დაცვის საქმეში..." (ავტორი გულისხმობს ქართველ სოც.-ფედერალისტებს — გ.ს.). ამ უცნაურის მიმართულების წარმომადგენელნი ჩვენ სრულიად არ მიგვაჩნია მოღალატეებად და სამშობლოს მტრებად, მაგრამ ის კი ცხადია ჩვენთვის, რომ მთელ ამ მიმართულებას აზის ფრიად უსიამოვნო ბეჭედი პოლიტიკურის უსუსურობისა, დაუფიქრებლობისა და ბავშვური აზროვნებისა..."; რომ მათი მოსაზრებები გამომდინარეობდნენ არა „ქართველი ერის მომავალ სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და თავისუფალი განვითარების" სურვილიდან, არამედ უცხო თეორიების უკრიტიკოდ მიღებისგან. ისეთი თეორიებისა, რომელთაც არავითარი მსგავსება არა აქვთ საქართველოს ნიადაგთან... „რეალური ტერიტორიისა" და „რეალური მოსახლეობის" პრინციპის აღიარება სოც.-დემოკრატებისაგან მოულოდნელობა არ იქნებოდა, რომელთაც ყალბად გაგებული ინტერნაციონალობის პრინციპის საფუძველზე, საერთოდ არ სწამდათ საქართველოს ტერიტორია; ხოლო ტერიტორიაზე უფლების უარყოფა, სწორედ რომ ინტერნაციონალობის უარყოფა იყო. ამიტომ „ჩვენი დასელები ნამდვილი რუსის იმპერიალისტები არიან, ვინაიდან ისინი უარყოფდნენ საქართველოს დათრგუნვილი ეკლესიის ავტოკე-

---

[180] ჟ. „თავისუფალი საქართველო" , №4, გვ.17-18

ფალიის აღდგენას, აქაო და ეკლესის ავტოკეფალია კლერიკალიზმიაო; რომ დასელები ხელს უწყობდნენ „გადმოსახლებასა და გარუსების პოლიტიკას“ ჯერ კიდევ 1903 წლიდან, როდესაც მათ პირდაპირ სთქვეს — ჩვენ გადმოსახლების წინააღმდეგ პრინციპიალურად არაფერი გვაქვსო; რომ ისინი ხმას არ იღებდნენ და არ იბრძოდნენ რუსის საგლეხო ბანკებისა და სომხის ბურჟუაზიის წინააღმდეგ საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად; რომ საერთაშორისო ძმობა და ერთობა შეუძლებელია იქ, სადაც ერთი მამაპაპეულ სამშობლოს, არსებობის წყაროს ძალითა და ფულით ართმევს მეორეს...[181] და სხვ.

ავტორის თქმით, თუ ყოველივე ეს რამდენადმე გასაგები იყო დასელების, ანუ ქართველი სოც.-დემოკრატების მხრიდან, საკვირველი და უსუსურობა იყო სოც.-ფედერალისტებისაგან, რომლებიც ერთის მხრივ ავტონომიას, ე.ი. ამა თუ იმ სახით საქართველოს პოლიტიკური თვითარსებობის აღდგენას მოითხოვდნენ განსაზღვრულ ტერიტორიაზე და, მეორე მხრივ, ამ ტერიტორიის მთელი მაზრების სხვისთვის დათმობას, რადგან იქ უცხოელები სჭარბობენ ქართველობასო. „პოლიტიკური სიბრმავე, პოლიტიკური სიბავშვე ამაზედ შორს ვერ წავაო“, — აღშფოთებული წერს ავტორი და განაგრძობს: „არა გვგონია სადმე ვისმეს ასეთი უცნაური რამ გამოეთქვას, თუ კი მართლა ჰქონია სერიოზული პოლიტიკური პროგრამა და სერიოზულად ყოფილა მსურველი ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზმის შექმნისა ან აღდგენისა“[182]. რომ „რეალური მოსახლეობა“ და „რეალური ტერიტორია“ პირდაპირ უარჰყოფს ერის პიროვნებას და მის უფლებას ჰქონდეს ეროვნული, საზოგადო საკუთრება მიწისა, სადაც უნდა არსებობდეს მისი სახელმწიფო, ავტონომიის სახით იქნება იგი თუ სრული სუვერენიტეტის სახით“[183].

ეს იყო მზაკვრული ჩანაფიქრი საქართველოს მიმართ და სურდათ ჯავახეთი, საბარათიანო და სამცხე ჩამოეჭრათ საქართველოსთვის, ვინაიდან იქ, იმჟამად „უცხონი სჭარბობდნენ“, მომავალში ამ გზით დამონებულ და უფლებაახდილ ერს სხვა მაზრების მიწებსაც ჩამოაჭრიდნენ და რომელიმე კუთხეში ახალ მაზრას გამოუყოფდნენ „რეალურ მოსახლეობას“ და ამ პროცესს ზღვარს მაშინ დაუდებდნენ, როდესაც „მთლად გამოგვაცლიან ხელიდან სამშობლოს რამდენიმე მჭიდროდ დასახ-

---

[181] ე. „თავისუფალი საქართველო“, №4, გვ. 11
[182] იქვე, გვ. 12
[183] იქვე

ლებული მაზრის გარდა. მაშინ, რეალისტებს ხმის ამოღებაც არ შეეძლებათ, რადგანაც თავიანთი იარაღით იქნებიან დამარცხებულნი", — სამართლიანად აღნიშნავს წერილის ავტორი და გასაგებად და ნათლად მიუთითებს სამომავლო უიმედო პერსპექტივაზე...

„ჯავახეთი და სამცხე სომხებით რუსის მთავრობამ აავსო. ბათუმის ოლქში და სოხუმის ოლქში ამგვარსავე პოლიტიკას ეწევა. ეგრეთწოდებულ „სამუხაჯირო ადგილებზედ" ძლიერი კოლონიზაცია რომ ვერ მოახერხა რუსებისა, მთავრობა კერძო პირებზედ ჰყიდის მიწებს და აქაც უცხოელები ესახლებიან. კახეთში კოლონიებს აწყობს და ხელოვნურად ჰქმნის ერთიან ტერიტორიალურ ზოლს, სადაც, რასაკვირველია, კოლონისტები მეტი არიან ქართველებზედ. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ადმინისტრაციული მოსაზრებით მთავრობამ გამოჰყო ეს ადგილები ცალკე მაზრებად, რადგანაც ერთობ „დიდად" მოეჩვენა თელავის, ან სიღნაღის, ან რომელიმე სხვა მაზრა. ამ ახალ მაზრაში, რასაკვირველია, უცხოელები მეტი იქნებიან ქართველებზედ და „რეალისტები" იტყვიან: ვწუხვართ, ცრემლს ვაფრქვევთ, რომ დავკარგეთ მამაპაპეული ადგილები, მაგრამ რას ვიზამთ, „რეალურად" იქ დღეს ქართველობა აღარ სცხოვრობს, დღეს ის მხარე უცხოს ეკუთვნის და მათ „უბედურებაზედ ხომ ვერ დავამყარებთ ჩვენს „ბედნიერებასო"!

ჟურნალში იმაზეც სწორადაა აქცენტი გაკეთებული, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მომავალში იმჟამად აუთვისებელ, თითქოსდა უვარგის მიწებს... რუსეთს, თუ დღეს ვერ ახერხებს ამ ადგილების ძლიერ კოლონიზაციას ჰავის უვარგისობისა და კოლონიზაციის საქმის მოუწყობლობის გამო, ხვალ შეუძლია მთელი ეს მამულები რუსებისათვის გამოსადეგ სამოსახლოებად გადააქციოს... ხეირიანად მონყობილი საკოლონიზაციო უნყება ჭაობების ამოშრობასაც მოახერხებს და მოკლე ხანში იმ „უვარგის" ადგილთაგან მთელ მაზრებს შექმნის, სადაც ერთი ქართველიც კი არ იქნება... ასე შეუძლიანთ მთელი მაზრები შექმნან, შემოფარგლონ და თავიანთ საკუთრებად გამოაცხადონ".. და თუ ამის უფლება ყველას მივეცით საქართველოს განაპირა თუ შუა ადგილებში, ჩვენი ტერიტორიიდან მართლაც „რეალური არარაობა" დარჩება!"

სტატიის ავტორის თქმით, საჭირო იყო კარგად გააზრება იმისა, თუ რა იგულისხმებოდა ტერმინში „რეალური ტერიტორია". მისი მართებული განმარტებით: „რეალური ტერიტორია — კერძო საკუთრების პრინციპია...", ჰოდა, თუ ეს ასეა, მაშინ

„ვინ გაანაწილა საქართველო კერძო საკუთრებად? როგორ შეიძლება პოლიტიკურმა მოაზრემ, სახელმწიფო ადამიანმა კერძო საკუთრებისა და კერძო მფლობელობის პრინციპები გაიხადოს სახელმძღვანელოდ სახელმწიფოს შექმნისა, ან აღდგენის დროს? რაც ჩვენ გვაქვს საქართველოში, სადაც ჩვენ უმეტესობა ვართ, ის ჩვენია, მაგრამ რაც ჩვენ არა გვაქვს კერძო საკუთრების უფლებით — ის ვიღასია...? რაზეც უცხოელები ასახლიან და ჰფლობენ სამცხეში და ჯავახეთში, აგრეთვე საბარათიანოში, ის მათია და არავინ არაფერს ედავება, მაგრამ რასაც არ ჰფლობენ, ის ვიღასია? ისიც მათია? თუ რუსის სახელმწიფოსია უმეტესი ნაწილი იმ ადგილთა? და რადგან რუსის სახელმწიფო უკანონოდ არის გაბატონებული საქართველოში, — ხვალ, როდესაც ჩვენის პოლიტიკურის პროგრამებით, სხვა სახელმწიფო უნდა დაეპატრონოს ამ ადგილებს, რომელი იქნება ეს სახელმწიფო? სომხის ავტონომია? რა უფლებით უნდა მივართვათ სომხის ავტონომიას მთელი სამცხე, საბარათიანო და ჯავახეთი, რომლის უმეტესი ნაწილი დღეს დაუსახლებელია და, სადაც ათი ამდენი მოსახლეობა დაეტევა გაუმჯობესებული მიწათმოქმედების საშუალებით ისე, რომ ერთი სომეხიც არ აიყაროს დასახლებულ ადგილებიდან და ერთი ადლი მიწაც არ ჩამოერთვათ მათ იმ მამულიდან, რომელსაც ჰფლობენ? ვინ დაუმტკიცა კოლონისტებს მთელი მაზრები, უდიდესი ნაწილი სამხრეთ-საქართველოს ტერიტორიისა? ისინი არიან იქ მხოლოდ როგორც კოლონისტები, კერძო მესაკუთრედ და არა როგორც პოლიტიკური მფლობელნი ტერიტორიისა. და დღეს თუ რუსის სახელმწიფო ჰფლობს სახელმწიფოებრივად, პოლიტიკურად ამ ტერიტორიას, ხვალ მისი მემკვიდრე უნდა იყოს საქართველო და არა სომხეთი, ან სათათრეთი. ამას გვეუბნება პოლიტიკური იდეა, სახელმწიფოებრივი მოსაზრება... მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ჩვენში არავითარი პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი იდეა არ არის და ზოგჯერ პუბლიცისტებსაც ვერ გაურჩევიათ ორი სრულიად სხვადასხვა ცნება — საკუთრება ეროვნულ-პოლიტიკური და საკუთრება კერძო. ვერ შეუგნიათ, რომ შესაძლებელია უცხოს კერძო საკუთრებას არ შეეხო, მაგრამ პოლიტიკური საკუთრების გაცემა არავის არ შეუძლია მთელი ერის უფლების შეულახავად... ერის საკუთრება სამართლიანობის თვალსაზრისით ის კი არ არის, სადაც მას ოდესმე დაპყრობის პოლიტიკა უწარმოებია, არამედ ის, სადაც მას საუკუნოებით უცხოვრია, დაუტოვებია აუარებელი კულტურული ნაშთი, სადაც დღესაც არის მისი სული დარჩენილი მკვდარ ნაშთებში

მაინც, სადაც კიდევ არიან დაცულნი საფლავნი მისი მამა-პაპათა, სადაც ოდნავ კიდევ მაინც გაისმის მისი ენა, სადაც კიდევ არ გამქრალა სრულიად მეხსიერება დიდებულის წარსულისა, სადაც კიდევ არის გაბმული სულიერი კავშირი საფლავში მდებარეთა და მათ შთამომავალთა შორის... ამიტომ ტყვილად გვითითებენ საქართველოს იმპერიაზედ, რომელიც ერთ დროს გადაჭიმული იყო შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე... არც ერთ ქართველ ნაციონალისტს აზრად არ აქვს საქართველოს მთელი კავკასია დაუბრუნოს, მას რომ ეჭირა ერთ დროს, არამედ მისთვის ისტორიული საქართველო ის არის, სადაც განვითარდა საქართველოს კულტურა, სადაც ქართველობა ისტორიულად დამკვიდრებული იყო, სადაც დღესაც არის ქართველობის უმეტესობა, ან უმცირესობა, ან ცოცხალი კვალი მისი სიძლიერისა და კულტურისა, სრულიად ახლო წარსულში დაცემულისა მუდმივ შემოსევათა წყალობით. და ეს ისეთი ადგილებია, სადაც სულ მოკლე ხანში ისევ აღორძინდება ქართველობა ცოტაოდენი პოლიტიკური თავისუფლების დროსაც კი..."[184].

ეკამათება რა ოპონენტებს, თითქოსდა ქართველებში „აგრესიული ნაციონალიზმის" არსებობის შესახებ, ავტორი მიუთითებს, რომ ასეთი რამ ყოველგვარ ნიადაგს იყო მოკლებული. აგრესიული ნაციონალიზმი დამახასიათებელი იყო და არის დიდი სახელმწიფოებისათვის, რომლებიც ცდილობენ ძალის გამოყენებით დამოუკიდებლობა წაართვან მეზობელ სუსტ ერებს, ანდა კიდევ უფრო მეტად შეავიწროვონ მათ საზღვრებში მოქცეული ერები... ჩვენში მას არავითარი აზრი არა აქვს. პირიქით, ჩვენ თვითონ ვართ მსხვერპლნი ამ „აგრესიული ნაციონალიზმისა" საუკუნეთა განმავლობაში და განსაკუთრებით უკანასკნელ დროს. რუსის მთავრობას რომ თავი დავანებოთ, მარტო სომხების გაძლიერება რა დღეს აყენებს დღეს დაბეჩავებულ საქართველოს. მართალია, სომხებსაც არ ჰქონდათ დამოუკიდებელი სახელმწიფო და პირდაპირ არ შეეძლოთ ომის გამოცხადება საქართველოსთვის, მაგრამ მათი გაძლიერება ჩვენში რუსების მფარველობით მაინც დიდი უბედურება იყო საქართველოსათვის... რადგან „ისინი ჩვენში იმაგრებდნენ ფეხს, ჩვენში შეეძლოთ თავიანთი პოლიტიკური იდეალის განხორციელება და თუ ოდესმე მიაღწევდნენ ოდნავ მაინც ეროვნულ-პოლიტიკურ უფლებას, ისინი დაუყოვნებლივ გამოიყენებდნენ მას ქარ-

---

[184] ე. „თავისუფალი საქართველო" №4, გვ. 16

თველთა წინააღმდეგ... დღეს ჩვენ თვითონ ვართ მსხვერპლნი რუსეთის იმპერიალიზმისა, აგრესიული ნაციონალიზმისა, აგრეთვე სომხის ფულისა და ჩარჩობისა და მათი მომავალი აგრესიული ნაციონალიზმისა, როდესაც ისინი სხვის სახლში გაბატონდებიან... ამიტომ, როდესაც ჩვენ ვაცხადებთ, რომ მხოლოდ და მარტო ქართველ ერს აქვს უფლება საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივი უფლებისა ქართულ ტერიტორიაზედ, ჩვენ მართალ სამართალსა ვთხოულობთ..."[185]. მაგრამ ამ სამართლიანი მოთხოვნის აღსრულება შეიძლებოდა მხოლოდ ერთიანობით, ერთი მიზნისკენ სწრაფვით. ამას კი ხელს უშლიდა დანაწევრება და ეროვნული ენერგიის ერთი მიზნისაკენ მიუმართაობა... „არა-და ყველას ჰგონია ჭეშმარიტების მატარებლად მხოლოდ თავის თავი და ცოდვად მიაჩნია თავიოსი „რწმენის" „შეცვლა", თუ გინდ ათასჯერ დაუმტკიცოთ, რომ მისი რწმენა არაფერზედ არ არის დამყარებული", — მიუთითებს ავტორი და განაგრძობს: „აქედან წარმოსდგება ქართული ყოვლად უსიამოვნო პარტიობა, რომელსაც საშინელი ბეჭედი აზის ჯიუტობისა, გაზვიადებული თავმოყვარეობისა"...

„არადა, კარზე მომდგარ მტერს ვერც ჩვენი კაპიტალით, რომელიც არა გვაქვს, ვერც ჩვენი ბანკებით, ვერც საგლეხო კომისიებით ვერ გავუმკლავდებით, ჩვენ ღარინბი ვართ, რომ რუსის მთავრობის მოწყობილ ეკონომიურ პოლიტიკას და სომხის საზოგადოების მიერ ჩვენ წინააღმდეგ მიმართულ სომხის კაპიტალს გავუწიოთ წინააღმდეგობა იმავე კაპიტალებითა...", მაშ, რა დაგვრჩენია? რას სთავაზობს ქართველობას ერის ბედიღბალზე დაფიქრებული მამულიშვილი? „ერთად ერთი ჩვენი იარაღია დღეს ჩვენი ერთობა, ერთობა იდეური მთელი ერისა, ერის საუკეთესო ნაწილისა, რომელსაც სწამს, რომ ერმა უნდა იცოცხლოს და მომავალი თავისუფალი ცხოვრებისათვის საჭიროა ავლა-დიდება სამშობლოისა, — მისი მინა-წყალი და ერთობ მისი სიმდიდრე — დღეს არ გაატანოს მტერს... სამშობლოს დაცვაში მუშამ, გლეხმა, ინტელიგენტობამ, — ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, ყველა უნდა შეერთდეს ერთის ძლიერის იდეით, რომ თუ საერთო სამშობლო დაიღუპა, მაშინ მთელი ერი იღუპება და, მაშასადამე, ჰქრება ყოველი პრობლემა, რომელიც მას შეეხება: სოციალიზმი, კლასთა ბრძოლა, ინტერნაციონალიზმი, ფედერალიზმი... ყოველივე ჰქრება ერის სიკვდილის შემდეგ... არასოდეს არ მომხდარა ისეთი სასწაული, რომ ერთ

---

[185] ე. „თავისუფალი საქართველო" №4, გვ. 17

კლასს ერი დაეხსნას სიკვდილისაგან... ერის სიკვდილისაგან ხსნა თვით ერს შეუძლია. შევიგნოთ ეს მარტივი ჭეშმარიტება ქართველებმა... იაზროვნონ ჩვენმა პარტიებმა თავიანთი აზრით, თავიანთი ჭკუით, უცხო პროგრამების გარეშეც გადახედონ საქართველოს, მის მდგომარეობას, მოიშორონ თავიდან რწმენა შეუცდომლობისა, განიმსჭვალონ ერთად-ერთის აზრით, რომ სამშობლოს ყოფნა-არყოფნის საკითხია დაყენებული და მას გადაწყვეტა უნდა..."

წერილის დასასრულს ავტორი, მოწოდების სახით, აყალიბებდა არა მარტო თავის, არამედ ჟურნალის პოზიციას და აღნიშნავდა: „მოგმართავთ ქართველებს, განურჩევლად წოდებისა, სარწმუნოებისა, პარტიულობისა! სამშობლო განსაცდელშია! ერი განსაცდელშია! თუ იგი აღარ იქნება, არც ჩვენ, არც ჩვენი იდეები, ჩვენი რწმენანი, ჩვენი პროგრამანი – აღარაფერი აღარ იქნება და სიკვდილი ყოველივეს შთანთქავს, მაშ შევერთდეთ ამ საერთო დიდ საქმეში! ვიხსნათ ერი სიკვდილისაგან, რადგანაც მის სიცოცხლეში ყველანი ერთნაირად ვართ დაინტერესებულნი! ან სიკვდილი ან გამარჯვება და თავისუფალი, დამოუკიდებული ცხოვრება ერისა, რომლის განვითარებულ ნიაღთა შინა დღეს ჩვენგან წამოყენებული პრობლემანი, დღევანდელი ჩვენი ცალკე იდეალები უფრო განცხოველებულნი აღიმართებიან ქართველი ერის წინაშე და ძლიერი ერი მათ ღირსეულად განახორციელებს!"[186]

ჟურნალი პრინციპულად თვლიდა საკითხს ეროვნული იდეოლოგიის შემუშავების აუცილებლობის თაობაზე. ამ საქმეში უპირველესი სიტყვა ქართველ ინტელიგენციას უნდა ეთქვა. სწორედ ინტელიგენციას აკისრებდა თავის დროზე არჩ. ჯორჯაძე ამ მოვალეობის აღსრულებას, როცა წერდა: „ჩვენ გვესაჭიროება ფილოსოფიური ფორმულა.... ჩვენი ფსიხიკის, ინდივიდუალურ-ინტიმურ და სულიერი ვინაობის ნათელსაყოფადო". ამ თეზას ეყრდნობოდა „თავისუფალი საქართველოს" ავტორი, როცა თავის სტატიაში „ქართველი ერი და მოაზროვნე ქართველობა" აღნიშნავდა: „ჩვენს დროში იდეოლოგიის მნიშვნელობა გაორკეცებულია. იდეოლოგია ახლა უმთავრესი საშუალებაა სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებებისათვის და უტყუარი სარკეა საზოგადოებრივ-ეროვნული ძალ-ღონიერებისა"-ო[187].

---

[186] ჟ. „თავისუფალი საქართველო" №4, 1914 წლის აპრილი, გვ. 18
[187] იქვე, გვ. 5

საჭირო იყო დიდი ქართველი მამულიშვილების — ილიას, აკაკის, დავით გურამიშვილის, ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავის შემოქმედების სწორი გააზრება, აგრეთვე ხალხური ზეპირსიტყვიერების ღრმად ცოდნა, რათა სწორად, ეროვნული სულისკვეთებით შემუშავებულიყო სამომავლოდ გასაკეთებელი საეროვნო საქმეები; უამისოდ კი, „ჩვენი სულიერი განვითარების წინსვლა დიდ განსაცდელში აღმოჩნდებოდა...“[188].

ჟურნალს მიაჩნდა, რომ „ერის სიციცხლე გამოიხატება მის ისტორიულ განვითარებაში. ისტორიული განვითარება კი არის განვითარება ენისა, ლიტერატურისა, ხელოვნებისა, მეცნიერებისა, სამართლისა, ნარმოებისა და სხვ. ერთი სიტყვით, მისი კულტურული აღზრდისა, ეკონომიურად რუსს დაქვემდებარებული ქართველი ნიშნავს ქართველი ერის მოსპობას. ამ მოსპობისაგან თავის დაღწევა, თავისუფალი სახელმწიფოს მოპოვებაა“[189], — დაასკვნიდა ავტორი.

ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს“ ბოლო, მეოთხე ნომრის „მიმოხილვაში“, რომელიც მის რედაქტორს პ. სურგულაძეს ეკუთვნის, ნათქვამია: „ქართველი ერი რუსის სახელმწიფოებრივ ფარგალში მოყოლებული განიცდის სასტიკ დევნას, რომელიც მას გადაგვარებას, დაშლას უქადის, თუ ის არ გასწევს თავგანწირულ ბრძოლას. ქართველი ერის წარსულში არ დარჩა არც ერთი ცოტაოდნად გამოჩენილი პიროვნება, რომელსაც არ შეხებოდა ეს უტიფარი სურვილი ქართველთა სახელის დამცირებისა და შელახვისა... განსაკუთრებით შეუჩერებლად ჩუმი და ცხადი მუშაობა ილია ჭავჭავაძის სახელის დასამცირებლად სწარმოებს... ილია ჭავჭავაძის მკვლელობა ღრმა ჭრილობაა ქართველი ერის ზნეობრივ სხეულზე, ჭრილობა, რომელსაც დროთა მსვლელობაც კი ვერ გაამრთელებს, ვიდრე ქართველი ერი არსებობს... ჩვენში არავითარი პოლიტიკური პირობები არ მოითხოვდა ჭავჭავაძის მკვლელობას და თუ მაინც მოხდა, ეს უნდა ავხსნათ ქართველი ერის ზნეობრივი დაძაბუნებით. მაგრამ იმდენად არ დავცემულვართ, რომ ჩადენილ დანაშაულის სიმწარე არ ვიგრძნოთ. ვინ იცის, ეგების უმანკოდ დაღვრილმა სისხლმა გადარეცხოს ჩვენი ზნეობრივი დალაჩრება, ქართველ ერს თვალი აუხილოს და აღორძინების გზა უჩვენოს... ჭავჭავაძის სხეული მოკვდა, ჭავჭავაძე — სულიერი პიროვნება ამით კიდევ უფრო ამაღლდა. ამიტომაც არაა საკმარისი მარტო ფი-

---

[188] ჟ. „თავისუფალი საქართველო“ №4, 1914 წლის აპრილი, გვ. 4

[189] იქვე, გვ. 8-9

ზიკური სიკვდილი, საჭიროა ზნეობრივი, სულიერი სიკვდილი, რათა შეირყეს ეს ერთი უდიდესი ბურჯთაგანი ქართველი ერის ეროვნული აღდგენისა..."[190].

ჟურნალის ამავე ნომერში დაბეჭდილი ინფორმაციიდან საცნაური ხდება, რომ 1914 წლის 12 მაისს პარიზში შეკრებილან ქართველი ერის წარმომადგენლები და პროტესტი გამოუთქვამთ შუაგულ ქართლში -- ტირიფონის ველზე განსახლებული 30-ზე მეტი სოფლის აყრისა და იქ სამხედრო პოლიგონის მოწყობის წინააღმდეგ და თხოვნით მიუმართავთ ევროპის ქვეყნებისათვის რუსეთის ძალადობისაგან მხარდასაჭერად...[191].

ამავე საკითხს ეხმაურებოდა იმ ხანებში პარიზში გამომავალ გაზეთ „ჰუმანიტეში" დასტამბული ე. რუბინოვიჩის წერილიც — „საქართველო დევნილი რუსის სამეფო ძალის მიერ", რომლის ავტორის აზრით, ეს იყო შურისძიება იმის პასუხად, რაც ქართველებმა 1905-1906 წლების რევოლუციის დროს ჩაიდინესო[192] და სხვ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ჟურნალი „თავისუფალი საქართველო" მართალი სიტყვის მძლავრი ტრიბუნა იყო, რომელსაც კარგად იყენებდნენ პ. სურგულაძე და მისი თანამოაზრენი ქართველთა ეროვნული გამოფხიზლებისათვის ბრძოლაში. იგი გადაჭრით აყენებდა საკითხს „ქართველი ერის რუსეთისაგან სრული ჩამოშორების, პოლიტიკური თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის"[193].

* * *

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ რუსეთის კოლონიური უღლისაგან განთავისუფლების იმედი ჩაუსახა ერის მომავალზე მოფიქრალ ქართველ მამულიშვილებს. მათ შორის იყო პეტრე სურგულაძეც. ჟანდარმერიისგან დაჭერას გადარჩენილი და საზღვარგარეთ იძულებით გახიზნული, იგი ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ხდება შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში შექმნილი „საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფისა", რომ-

---

[190] ჟ. „თავისუფალი საქართველო" №4, 1914 წლის აპრილი გვ. 23-24
[191] იქვე, გვ. 14
[192] იქვე, გვ. 20
[193] ოთ. ჯანელიძე. სადოქტორო დისერტაცია... გვ. 115

ლის პირველი წევრები იყვნენ ქართველი ნაციონალისტები – ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები და ნესტორ მაღალაშვილი.

მიხ. წერეთელი მოგვიანებით, გენერალ ლეო კერესელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დაწერილ სტატიაში აღნიშნავდა: „როდესაც განსვენებული პეტრე სურგულაძე ჟენევაში გადასახლდა საქართველოთგან, იქ დააარსეს მან, ლეომ, მისმა ძმამ გიორგიმ და მათმა მეგობარმა „სეპარატისტთა ჯგუფი" ქართველთა, რომლის ორგანო იყო „თავისუფალი საქართველო". ამ ჯგუფმა და მისმა ორგანომ მოამზადეს ქართული აზრი მომავალ დიდ საქმეთა გასაგებად და დიდ ომში სამოქმედოთ... „სეპარატისტული ჯგუფის" სახელით დაიჭირა ლეომ გერმანელებთან საქმე 1914 წელში ომის გამოცხადებისთანავე: ჯერ ბერლინში გერმანელებთან და მერე სტამბოლში თურქებთან მან დასვა პირობანი, რომელთა ძალითაც ქართველებს ჯარი უნდა შეედგინათ ოსმალეთის ტერიტორიაზედ და ებრძოლათ თურქებთან და გერმანელებთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო თუ გამარჯვება რუსეთის მტრებს დარჩებოდათ, საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა ყოფილიყო ცნობილი გამარჯვებულთაგან იმ საზღვრებში, რომლებშიც სამაჰმადიანო საქართველოც შედიოდა. მალე განსვენებული გიორგი მაჩაბელიც და მეც, რომელთაც აგრეთვე საქმე გვქონდა დაწყებული იქ გერმანელებთან, შევუერთდით სტამბოლში პ. სურგულაძეს, ლეოს, მის ძმას გიორგის, ნ. მაღალაშვილს და სხვებს"[194].

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" ბერლინში გამოჩენამ, გერმანიის სამთავრობო წრეებს საშუალება მისცა კონკრეტული გეგმების შემუშავებაზე ეზრუნათ, რადგან ისინიც თავის მხრივ მოწადინებულნი იყვნენ მოენახათ რომელიმე პოლიტიკური პარტია ან საზოგადოებრივი ფენის წარმომადგენლები, რომელთა საშუალებითაც გაეღვივებინათ რუსეთისაგან საქართველოს ჩამოშორების იდეა გერმანიის პროტექტორატით[195]. გერმანელთა მხრიდან საქართველოს „დამკომის" მხარდამჭერებად გამოდიოდნენ: გერმანიის გენერალური შტა-

---

[194] კ.სალია. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი I მსოფლიო ომის დროს. ჟ. „ბედი ქართლისა" (პარიზი), №39-40, 1962, გვ. 16-30; აგრეთვე გ.შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ VII, თბ., 2005, გვ. 43–44 და სხვ.

[195] რ. დაუშვილის წერილი გაზ. „ჩვენს მწერლობაში", 2005 წლის 20 ივლისი

ბის პოლიტიკური სექციის უფროსი მრჩეველი რუდოლფ ნადოლნი, „ლეგაციის სეკრეტარი“ ოტო გიუნტერ ფონ ვეზენდოკი, ფელდმარშალი ფონ დერ გოლცი, გრაფი შულენბურგი, გენერალი კრესს ფონ კრესსენშტეინი, გენერალი ფონ კრესი და სხვები. სწორედ მათი რჩევით ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში გიორგი მაჩაბელი და მიხ. წერეთელი და შეხვდნენ „საქართველოს დამკომის“ წევრებს – პ. სურგულაძეს, ძმებ კერესელიძეებს და ნ. მაღალაშვილს... ამ შეხვედრის შემდეგ გაფორმდა „დამკომის“ შემადგენლობა და ძველ შემადგენლობას მიემატნენ – მელიტონ ქარცივაძე, ზია-ბეგ აბაშიძე, შალვა ვარდიძე და სხვ. მათ განიხილეს და მიიღეს გერმანელების მიერ „დამკომისათვის“ მინიჭებული უფლება: შეეკრიბათ ის ქართველები, რომლებიც ომის დაწყების გამო გერმანიაში იყვნენ ჩარჩენილნი და ეუწყებინათ მათთვის, რომ გერმანელები გაანთავისუფლებდნენ ყველა ქართველს, ვინც განაცხადებდა, რომ ის დგას საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე და სურს მისთვის მუშაობა. ასეთი წინადადება უყოყმანოდ მიიღეს: კონს. გამსახურდიამ, რაფიელ ნიჟარაძემ, ალექსი ჯაფარიძემ და სხვებმა, ხოლო ლადო დარჩიაშვილს, რომელიც იმხანად ლაიპციგში იმყოფებოდა, „დამკომისათვის“ შეურაცხმყოფელი და გერმანიისადმი ზიზღით აღსავსე წერილი გაუგზავნია და მკაცრად მოუთხოვია მასთან არანაირი კავშირი არ დაეჭირათ...[196]

„დამკომმა“, მიხ. წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ: „საქართველოს განთავისუფლების საქმეში თავისი როლი აღასრულა...“

აქ ორიოდე ფაქტის გახსენება უფრო საჩინოს გახდის მის დამსახურებას.

1915-1916 წლებში „დამკომმა“ შეძლო ტრაპიზონში მყოფ ტყვე ქართველთაგან და თურქეთში მცხოვრებ კავკასიელთაგან ქართული ლეგიონის შექმნა, რომელსაც გერმანია აფინანსებდა, საერთო ხელმძღვანელობას ლეო კერესელიძე და გრაფი შულენბურგი უწევდნენ, ხოლო მეთაურობდა გენერალი კრესსენშტეინი. ქართველ ტყვეთა შორის ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდას წარმატებით ახორციელებდნენ ჟურნალი „თავისუფალი საქართველო“ და „ქართული გაზეთი“.

1916-1917 წლებში „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ უაღრესად რთული და სარისკო ოპერაციები განა-

---

[196] გ.შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2001, გვ. №73-74; აგრეთვე ჟ. „ბედი ქართლისა“, 39-40, 1962, გვ. 26-30

ხორციელა, როდესაც დაქირავებული წყალქვეშა ნავებით ტანსაცმელი, იარაღი და ფული შემოიტანა საქართველოში მომავალი განმათავისუფლებელი ბრძოლების საწარმოებლად. ამ ოპერაციების განხორციელებას საერთო ხელმძღვანელობას გიორგი მაჩაბელი უწევდა, ხოლო აქტიური მონაწილეები იყვნენ: მიხ. წერეთელი, შალვა ქარუმიძე, მელიტონ ქარცივაძე, პეტრე სურგულაძე, შალვა ვარდიძე და სხვები, გერმანელთგან კი – კაპიტან-ლეიტენანტები – ჰანსენი, ვალენტინერი; კაპიტან-ობერლეიტენანტები – ერნსტ ულრიხი, კურტ შვარცი და სხვები.[197]

გენერალი ლეო კერესელიძე, ეხებოდა რა პ. სურგულაძის ღვაწლს და დამსახურებას „დამოუკიდებლობის კომიტეტის დაარსების საქმეში", აღნიშნავდა: „დიდი ომის დროს (გულისხმობდა პირველ მსოფლიო ომს — გ.ს.) დაარსდა დამოუკიდებლობის კომიტეტი" „სეპარატისტული კომიტეტის" თაოსნობით და მის თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა პეტრე.

ძნელია აღწერა ყოველივე იმ ღვაწლისა, შრომისა და ტანჯვისა, რომელიც „დამოუკიდებლობის კომიტეტმა" გასწია დიდი ომის დროს. ძნალია, აგრეთვე, აღნუსხვა იმ სარგებლობისა, რომელიც მან მოუტანა საქართველოს. აქ საკმარისია აღინიშნოს, რომ „დამოუკიდებლობის კომიტეტმა" მსოფლიოდ დასვა საკითხი და ალექსანდრე ბატონიშვილის შემდეგ პირველმა მან ააფრიალა თავისუფლების დროშა და სამშობლოსათვის საჭურველით ხელში იბრძოლა. პეტრე იყო ხელმძღვანელი ამ ბრძოლისა"[198].

* * *

რუსეთის ცარისტული რეჟიმის დამხობის შემდეგ პ. სურგულაძე სამშობლოში ბრუნდება და მისთვის ჩვეული შემართებით ებმება ეროვნულ საქმიანობაში. იგი ხვდება საქართველოს ქალაქებისა და სოფლის მოსახლეობის ნარმომადგენლებს, თავის თვალით და ყურით ხედავს და ისმენს მათ მოსაზრებებს, აზრთა სხვადასხვაობას. ემზადება საქართველოს ეროვნულ-დემოკრა-

---

[197] რ. დაუშვილი. ვის ეთათბირებოდა კვაჭი კვაჭანტირაძე სტოკპოლმში? გაზ. „ჩვენი მნერლობა", 2001 ნლის 20 ივლისი

[198] გაზ. „თეთრი გიორგი" (პარიზი-ბერლინი) №44, 1931; გ. შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. I, თბ., 2001, გვ. 564

ტიული პარტიის ყრილობაში მონაწილეობის მისაღებად, განსაკუთრებით უსმენს და ეფერება გამაჰმადინებულ ქართველობას, იცის მათი გულისნადები, არა მარტო ბათუმში, არამედ სტამბოლში მცხოვრები თანამოძმეებისა. მას უსმენენ და სჯერათ, რადგან გულწრფელი და გულმართალია მისი ყოველი მოქმედება — ჭირსა თუ ლხინში თანამემამულეთა გვერდში დგას. მაგალითად, 1917 წლის აპრილში იგი ბათუმშია. იმ დღეებში თბილისიდან მშობლიურ აჭარაში ჩამოასვენეს პოლკოვნიკ ყადირ შარვაშიძის ცხედარი. მას ათასობით მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველი დახვდა ბათუმის აზიზიეს მოედანზე, საიდანაც მიცვალებული თავის მამულში, ქედაში წაასვენეს. მას ბევრი ცნობილი ქართველი მიაცილებდა. მათ შორის იყვნენ სოც.-დემოკრატების ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელი ისიდორე რამიშვილი, რომელსაც წინა დღით პეტერბურგიდან მისი მეგობრის, პეტერბურგის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის კარლო ჩხეიძის 17 წლის შვილის ცხედარი ჩამოესვენებინა და ქართველ ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების პოპულარული მოღვაწე პეტრე სურგულაძე. მათ მიცვალებული ყ. შარვაშიძე სოფ. ქედამდე გააცილეს და სასაფლაოზე სიტყვები წარმოთქვეს. ილოცა ხიმშიაშვილმაო", — დასძენს ი. რამიშვილი თავის მოგონებაში[199].

1917 წლის ივნისში გამართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის I ყრილობა პ. სურგულაძეს მთავარ კომიტეტში, ხოლო ცოტა მოგვიანებით შემდგარი საქართველოს ეროვნული ყრილობა თავისი ხელმძღვანელი ორგანოს – ეროვნული საბჭოს წევრად ირჩევს. ამით მისი სამოქმედო ასპარეზი კიდევ უფრო ფართო და საპასუხისმგებლო ხდება; ამიერიდან იგი არა მარტო თავის პიროვნულ, არამედ თავისი პარტიის ნამოქმედარზეც აგებს პასუხს. იგი ეროვნული საბჭოს სხდომების დღის წესრიგში დაყენებული ყოველი საკითხის განხილვაში იღებს აქტიურ მონაწილეობას.

პ. სურგულაძე, როგორც ერთ-ერთი ლიდერი და დამფუძნებელი, მუდმივ კავშირშია „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან", რეალურ შესაძლებლობად მიაჩნია საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება. სწორედ „დამკომის" ინიციატივით და დავალებით მომზადდა პ. სურგულაძის ბროშურები — „საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო" და „დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშ-

---

[199] ის. რამიშვილის მოგონებები (ხელნაწერი), გვ. 135

ვნელობა“, რომლებიც 1918 წელს „ქართველთა ეროვნული კომიტეტის“ მხარდაჭერით დაიბეჭდა სტამბოლში. მათში დასაბუთებულია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის კანონიერი უფლების საფუძვლიანობა და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მიზანშეწონილობა. ავტორის აზრით, იმჟამად ეროვნული საკითხის წინა პლანზე წამოწევა და ხალხთა ეროვნული თავისუფლების პრინციპის დაყენება მიმდინარე მსოფლიო ომით იყო გამოწვეული. აქედან გამომდინარე, პ. სურგულაძე დამაჯერებლად ასაბუთებდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობას და მის მნიშვნელობას ერის სასიცოცხლო ინტერესების განვითარებაში. კერძოდ, „ქართველ ერს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა ყოველმხრივ სარგებლობას მოუტანდა, გააძლიერებდა ზნეობრივად, ააყვავებდა ეკონომიკურად, აამაღლებდა გონებრივად და საპატიო ადგილს მიუჩენდა სხვა ერთა შორის...[200].

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ბროშურები 1918 წლის 26 მაისამდე გამოქვეყნდა და მათში გამოთქმულმა მოსაზრებებმა თავისი ასახვა ჰპოვეს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის“ შემუშავებასა და დასაბუთებაში. პ. სურგულაძე იმ 101 ქართველს შორის იყო, რომლებსაც წილად ხვდათ ბედნიერება ის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი მიეღოთ... საქართველოს ეროვნული საბჭოს საქართველოს პარლამენტად გარდაქმნის შემდეგ, პ. სურგულაძე, რა თქმა უნდა, ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის შემადგენლობაშია და ძალ-ღონის დაუშურავებლად ეწევა პარლამენტარის პასუხსაგებ მოღვაწეობას, რაც ახალდამოუკიდებლობა მოპოვებულ ქვეყნის კანონშემოქმედებაში პოულობდა ასახვას. იგი არა მხოლოდ პარლამენტის ფრაქციაში ეწეოდა ინტენსიურ საქმიანობას, არამედ როგორც კალმის კაცი, გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებიდანაც საქმის კურსში აყენებდა სრულიად საქართველოს მკითხველ საზოგადოებას. მაგალითად, პარლამენტარ პ. სურგულაძეს მიაჩნდა, რომ ფინანსური პოლიტიკის სწორ გატარებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა; რომ „შემცდარი ნაბიჯის გადადგმა ამ სფეროში მძლავრი და მდიდარი სახელმწიფოს შეფერხებასაც კი გამოიწვევდა“, მით უმეტეს ახლადდარსებული ქვეყნისას... ამიტომ, მისი აზრით, „საჭირო იყო საოცრად ფრთხილი გონივრული და შორსმჭვრეტელური პოლიტიკის გატარება...“ და ა.შ.

---

200 პ. სურგულაძე. საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. სტამბული, 1918, გვ.23-24

იმავე გამოსვლაში იგი პარლამენტართა ყურადღებას მიაქცევდა ერთ საკითხზე: „როგორც ჩვენი მთავრობა, ისე ყველა პოლიტიკური პარტიები, მუშაობენ საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის. ამ საქმეში უძვირფასეს დახმარებას და მფარველობას გვიწევს გერმანიის მთავრობა... გერმანიისა და საქართველოს მთავრობებს შორის უკვე პრინციპიალურად გამორკვეულია ის ეკონომიური ურთიერთობა, რომელსაც ეს ორი სახელმწიფო ერთმანეთს შორის ხელშეკრულების საფუძველზე ამყარებენ"[201] და სხვ.

ამიტომ, — პ. სურგულაძის აზრით, — საჭირო იყო გერმანულ-ქართული ბანკის და არა ზოგადად კავკასიის რესპუბლიკების საერთო ბანკის დაარსება..., ვინაიდან ასეთი ნაბიჯი მომავალში შემაფერხებელი არ გამხდარიყო ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთდამოკიდებულების განვითარების საქმეში.

პ. სურგულაძე თავის წერილში „საქართველოს მთავრობა და საგარეო პოლიტიკა" იწონებდა დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს და მისი წარმატების საქმეში ხაზგასმით გამოყოფდა გერმანიის მხარდაჭერას და ამაგს: „ერთი დიდი კულტუროსანი ევროპის სახელმწიფო – გერმანია პირველი იყო, რომელმაც არა თუ ჰსცნო ჩვენი თავისუფლება, მხნე დარაჯადაც დაუდგა მას და გადაგვარჩინა საოცარ განსაცდელს, რომელსაც გვიმზადებდა სულმოკლე მეზობელი. ქართველი ერი ვიდრე ცოცხალია და ღირსია თავისი არსებობისა, ამ დახმარებას ვერ დაივიწყებს"[202].

იგი იქვე ერთ მეტად საყურადღებო მოსაზრებასაც გამოთქვამდა. კერძოდ, საგარეო პოლიტიკაში წარმატების მოპოვების უპირველესი რამ ერის ერთიანობა იყო — „მხოლოდ ქართველ ერს ერთი რამ მუდამ უნდა ახსოვდეს – საგარეო პოლიტიკაში ჩვენ უნდა გვავიწყდებოდეს ყოველივე პარტიული უთანხმოება და ვიყვეთ როგორც ერთი პიროვნება..."[203]

როგორც ცნობილია, 1918 წლის 11 მაისს ბათუმის საზავო კონფერენცია გაიხსნა, რომელსაც თურქეთის მხრიდან ესწრებოდნენ: ხალილ ბეი (იუსტიციისა და საგარეო საქმეთა მინისტრი), ვეჰიბ ფაშა (თურქეთის ჯარების კავკასიის ფრონტის სარდალი) და ჯემალ ფაშა; გერმანიის წარმომადგენლები – გე-

---

[201] გაზ. „საქართველო", 1918 წლის 1 ოქტომბერი
[202] იქვე, , 1918 წლის 30 ოქტომბერი
[203] იქვე

ნერალ-მაიორი ფონ ლოსოვი (უმაღლესი წარმომადგენელი გერმანიისა თურქეთის მთავრობაში), გრაფი შულენბურგი (ომამდე გერმანიის გენერალური კონსული თბილისში) და ფონ ვეზენდოკი; აზერბაიჯანიდან – რასულ ზადე და გაჯინსკი; სომხეთიდან – კაჩაზნუნი და ხატისიანი; საქართველოდან – აკაკი ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები.

აქ კონფერენციის მსვლელობისას მომხდარ ყველა დეტალზე არ შევჩერდებით, გავიხსენებთ მხოლოდ 20 მაისს ბათუმიდან სრულიად საიდუმლოდ გამოგზავნილ წერილს საქართველოს ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი პრეზიდიუმის სახელზე, რომელშიც საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი აკ. ჩხენკელი ამიერ- კავკასიის სეიმის დაუყოვნებლივ დაშლას და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვდა... ამ ფაქტთან დაკავშირებით ზურაბ ავალიშვილი თავის ცნობილ წიგნში მიუთითებს: მოხდა გადამწყვეტი სხდომა ვიწრო წრეში, რომელსაც უკვე მზად ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პროექტი. სხდომას დასწრებიან – აკ. ჩხენკელი, ნიკო ნიკოლაძე, ზ. ავალიშვილი და პეტრე სურგულაძე. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პროექტის მონახაზი, გერმანიის დელეგაციასთან გულახდილი საუბრის შემდეგ „მხოლოდ რამდენიმე კაცს ჰქონდა საიდუმლოდ განდობილიო," — დასძენს ზ. ავალიშვილი. სწორედ ეს არის ჩვენთვის საინტერესო და ანგარიშში ჩასაგდები – ხუთ პასუხისმგებელ მოღვაწეს შორის დასახელებულია პეტრე სურგულაძე[204].

1918 წლის 26 მაისს გამოქვეყნდა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი. 28 მაისს ქ. ფოთში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება საქართველო-გერმანიას შორის. გერმანიამ „დე-ფაქტო" აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის ნიადაგი შემზადებული იყო ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს ევროპაში პ. სურგულაძის თავმჯდომარეობით შექმნილი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" მიერ.[205]

---

[204] ზ. ავალიშვილი. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბ., 1990

[205] ლელა სარალიძე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წლებში. საკანდიდატო დისერტაცია. (ხელნაწერის უფლებით), თბ., 1994, გვ. 72

ნიკო ნიკოლაძე თავის მოგონებებში, ეხება რა ბათუმის საზავო კონფერენციის პერიპეტიებს და მოლაპარაკებების შედეგების მნიშვნელობას, მშვენიერ დახასიათებას აძლევს პეტრე სურგულაძის პიროვნებას და მის როლს ამ მოლაპარაკებებში... იგი წერს: „დღეს დილას (ანუ 24 აპრილს – გ.ს.) ჩხენკელის ოთახში ვნახე პეტრე სურგულაძე, ჟურნალ „განათლების" დამაარსებელი, ოდესმე მყოფი მასწავლებლად და გამგე ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიისა, როცა ეს გიმნაზია ჯერ კიდევ ოთხ-კლასიანი იყო. მერე ბევრი დევნა და ვაი-ვაგლახი აუტანია, საზღვარ-გარეთ გადახვეწილა და იქ ბევრი უშრომია იმ ჯგუფში, რომელსაც უცხოეთელი და გერმანიელი მიდრეკილება ჰქონდა. ჟენევაში მას ჟურნალი „თავისუფალი საქართველო" დაუარსებია, ქართული სტამბა გაუმართავს, რომელიც შემდეგ ბერლინში გადაუტანია, ამ უკანასკნელ ქალაქში მას მიხაკო წერეთელთან და გიორგი მაჩაბელთან ერთად დიდ-ძალი შრომა გაუწევია გერმანიის ყურადღების მისაქცევად საქართველოს და კავკასიის მდგომარეობაზე. 1914 წელს, ომის დაწყებისთანავე სათათრეთში მას მონაწილეობა მიუღია „ქართული ლეგიონის" გამართვაში... პირადად ის სიმპატიური ადამიანია, ბლომათ ნაკითხი, საკუთარი შეხედულებების მქონე ქვეყნიერებაზე, დაკვირვებული და გონიერი, გამოცდილი და მოაზრე. იცნობს ქვეყანას, ორიგინალური აზრი აქვს შედგენილი ყველაზე და ყველაფერზე. სტამბოლში იცნობს მთელს მმართველ წრეს, იცის მათი ურთიერთ დამოკიდებულება და თითოეულის განკერძოებული ხასიათი და სურვილი. არა თუ იქ და სამზღვარგარეთ, ბათომშიაც ყველას იცნობს: როცა ჩხენკელის ოთახიდან ჩვენ მასთან და სპ. კედიასთან ერთად ყავახანისაკენ გავემგზავრეთ სასაუზმეთ, მას ვინ არ გინდა, ვინც შეხვდებოდა, მხიარულათ თავს უკრავდა და ემუსაიფებოდა, როგორც ძველ ნაცნობს და მეგობარს; დიდი და პატარა, მედუქნე, მუშა, გურული, თათარი, აფიცერი, ინტელიგენტი, ქალი, კაცი. მან ჩხენკელს გააცნო, თუ რას ამბობდნენ და შვრებოდნენ თურქული და გერმანიელი დელეგაციების წევრები და მხლებლები გემზე, სტამბოლიდან ბათომამდი მოგზაურობის დროს (ის თვითონ ამ გემითვე მოვიდა, ამ დელეგაციებს მოჰყვა, მათ მეგობრათ ითვლება და კავშირს შეადგენს ჩვენს და მათ შუა). მისი სიტყვით, გერმანიელი დელეგაცია ნამოვიდა მისი და მისი ჯგუფის მეცადინეობით, ამ დელეგაციის ნამოსვლა ოსმალოს დელეგაციას არაფრით ეჭაშნიკება და დიდათაც სწყინს. გერმანიელი დელეგაციის წევრები მოდიან უინსტრუქციოთ ბერლინიდამ, მაგრამ

ამ სამ-ოთხ დღეში ელიან ამ ინსტრუქციას, რომელსაც მათ მოუტანენ... რომლის როლი სუხომლინოვის პროცესში და დუმბაძის ბედზე ყველამ იცის. ჩვენ უნდა ვიმეცადინოთ, სურგულაძის რჩევით, ჩამოვითრიოთ გერმანელები კონფერენციაში, „დავაინტერესოთ“ საქართველოს ბედში და მათი დახმარებით ვიხსნათ თავი თურქების მადისა და გაუმაძღრობისაგან. სურგულაძემ თითოეულათ დაგვიხასიათა თითოეული წევრი გერმანიელი დელეგაციისა და ოსმალოს დელეგაციის უმთავრესი მხლებლები, აგრეთვე როგორც ორივე მინისტრი ჰალილ ბეი და ჯემალ-ფაშა.

სრულიად (მთლიანად – გ.ს.) დამაჯერებელი არაა, ჩემი აზრით, სურგულაძის მოთხრობა იმაზე, თუ როგორ წამოვიდა ბათომს გერმანიელი დელეგაცია. აი, ეს ამბავი. თურქებს არამც და არამც არ უნდოდათ გერმანელების მოწვევა და წამოყვანა კონფერენციაზე: სურდათ ჩვენთან მარტო აეგოთ წესი ჩვენზე. მაშინ გერმანელებმა წინადადება მისცეს მათ მეგობარს და კრეატიურას საზღვაო მინისტრს ჯემალ-ფაშას წასულიყო სათავალიერებლათ ახალ-შეძენილი მხარისა და თან ისინიც დაეპატიჟა, ვითომ და მარტო სამხედრო ნაწილის სარეკოგნისტიროვკოთ. ბერლინის მთავრობას რადგან სახეში არ ჰქონდა ამ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება, არავითარი გეგმა და ინსტრუქცია არ დაუმზადებია... დელეგაციას სათავეში უდგია გენერალი ფონ-ლოსსოვი, სამხედრო ელჩი გერმანიისა ოსმალეთში; მას თანაშემწეებათ ჰყავს გრაფი შედენბერგი (თუ შულენბურგი? – გ.ს.), გენერალური შტაბის აფიცერი, რომელიც ომის წინ კონსულათ იყო გერმანიისა ტფილისს და იქ ყველას იცნობს, ომის პირველ ხანებში კი წინაუძღოდა ოსმალოს ჯარს სარაკამიშისაკენ, იმ გზებით, როცა კონსულობაში ვითომ ნადირობით თავს იქცევდა, ამ გრაფს დავლილი აქვს მთელი მცირე აზია და მგონი სპარსეთიც... და სხვებიც.

...ჯერჯერობით ლოსსოვმა თვითონაც არ იცის, თუ რისთვის მოდის და რა უნდა იმეცადინოს: ეს თვითონ უთხრა გუშინ საღამოს ჩხენკელს, აგრეთვე როგორც ის ელის ამ დღეებში ვრცელ ინსტრუქციას ბერლინიდამ. ამ ნაწილში სურგულაძის ნაამბობი ჭეშმარიტებაა. მეორეში კი – შემცდარი უნდა იყოს, რადგანაც იმავე ლოსსოვმა უთხრა ჩხენკელს, რომ მოვედი დელეგაციის მოთავეთ და გერმანია მონაწილეობას ღებულობს კონფერენციაში თავიდანვეო...“

ნ. ნიკოლაძის თქმით, პ. სურგულაძეს იმის შესახებაც მიუწოდებია ინფორმაცია ქართველთა დელეგაციის წევრებისათ-

ვის, თუ ვინ შედიოდნენ „ოსმალოს დელეგაციაში" და რა თანამდებობები ეკავათ მათ თავიანთი ქვეყნის ხელმძღვანელ ელიტაში... „მის სათავეში სდგას ჰალილ-ბეი, ოსმალეთის სამართლის მინისტრი, რომელსაც დროებით აბარია ხოლმე გარეშე საქმეების სამინისტროც. მასთან ერთად დელეგაციის წევრებად ითვლება ოსმალოს ჯარის მთავარმართებელი კავკასიის ფრონტზე ფერიკი (ესე იგი გენერალ-ლეიტენანტი) ვეჰიბ-მეჰმედ ფაშა. დელეგაციაში შედიან: იურიდიული მრჩეველი ნუსრედ-ბეი, ორხან-ბეი, მყოფი პირველი სეკრეტარი ოსმალოს საელჩოში ჯერ პეტროგრადს, მერე ბერლინს და ნისსამ-ელდინ-ბეი, მოხელე მეშიფრე"[206].

„ჩხენკელთან სურგულაძის მოხსენებას ყურს უგდებდნენ აგრეთვე: გიორგი ჟურული, თ. ზურაბ ავალიშვილი და სპირიდონ კედია, ჩვენი დელეგაციის პირველი ორი მრჩევლები, ერთი სამრენველო-საეკონომიო დარგისა, მეორე საიურიდიოსი, მესამე კი – მდივანი. ერთი სიტყვით, ვიყავით მთელი ქართული დელეგაცია, გარდა გენერალი ილია ზურაბის ძე ოდიშელიძისა, რომელიც სათავეში უდგია სამხედრო მისსიას ამიერკავკასიის დელეგაციისა, და რომელიც, არ ვიცი, რა მიზეზით ისე ხშირად არ ესწრება ჩვენს რჩევებს და სჯას, როგორც სხვა წევრები ქართული სექციისა..."[207].

შემდეგ ქართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრს ბათუმიდან, მგალობლიშვილს ,ქართული დელეგაცია სასაუზმეთ წაუყვანია რესტორანში, სადაც ძლიერ საამოთ გაგრძელებულა მათ შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლა... ნ. ნიკოლაძის მონმობით, „საუბრის მეთაური და თითქმის „სოლისტი" გახდა, რასაკვირველია, სურგულაძე, რომელიც თანდათან უფრო და უფრო მეტ სიმპატიას იძენს ჩვენსას საზოგადოთ, და ჩემსას განსაკუთრებით..."[208]

1918 წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში სომხეთის თავდასხმამ ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ტერიტორიებზე დააჩქარა საკითხი საზღვრების საბოლოო გამიჯვნის შესახებ. მიიღეს რა საკადრისი საპასუხო დარტყმები, სომხეთის აგრესიული კურსის მიმდევრებმა, დარწმუნდნენ რა, რომ ტერიტორიების გასაფართოებლად წამოწყებული ავანტიურა სიკეთეს არ მოუტანდათ, სადავო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრაზე გა-

---

[206] დალი ჩიკვილაძე. დროსგასნრებული მამულიშვილი. თბ., 2003, გვ. 131
[207] იქვე, გვ. 129-131
[208] იქვე

ნაცხადეს თანხმობა. ამ მიზნით საქართველოს მთავრობამ გადადგა პირველი ნაბიჯი და 10 ნოემბრისათვის თბილისში კავკასიის სახელმწიფოთა და ხალხების კონფერენციის მოწვევა გადაწყვიტა.

ამ საკითხს ეძღვნება პ. სურგულაძის წერილი — „ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია", რომელშიც მოწონებულია მთავრობის მიერ გადადგმული გონივრული ნაბიჯი, რაც საკითხის მშვიდობიანი გზით გადაჭრას ითვალისწინებდა; ამასთან გამოთქვამს ზოგიერთ მოსაზრებას, საიდანაც კარგად სჩანს, თუ რაოდენ სწორად ერკვეოდა იგი ასეთ საკითხებში. „სასურველია ჩვენთვის ჩვენ მეზობლებთან ყველა სადაო საკითხის შესახებ შევთანხმდეთ და ამით საერთო მოქმედების გზა გავიადვილოთ."

აქედან გამომდინარე, მას თავის მოვალეობად მიაჩნდა, რათა მომავალ კონფერენციაზე მთავრობას ემოქმედა „მეტად წინდახედულად და გარკვეული პროგრამით". ეს სიფრთხილე აუცილებელი იყო იმის გამოც, რომ იმდროისათვის ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იყო გამორკვეული ჩვენი მეზობლების პოლიტიკური პოზიცია: თუ აზერბაიჯანი ოსმალეთთან მჭიდრო კავშირისაკენ მიილტვოდა, სომხეთი შესაძლოა მოხარულიც კი ყოფილიყო ახალ დამოუკიდებელ რესპუბლიკებთან ერთად თვითონაც დამარხულიყო, ოღონდაც კი ხელახლა ენახა ჩვენს ზურგზე მოპარპაშე რუსეთი." პუბლიცისტის აზრით, ამის გაცხადების უფლებას აძლევდა ის გარემოება, რომ საქართველოს მმართველ პარტიაში (ე.ი. სოც.-დემოკრატიაში – გ.ს.), საკმაოდ იყვნენ ისეთი წევრები, რომელთაც ყალბგაგებული ინტერნაციონალიზმის სახელით ისევ სურდათ ქართველი ხალხი ძველი მონობის უღელში შეებათ... ვინაიდან საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით გარკვევით იყო ნათქვამი მუდმივი ნეიტრალიტეტის შესახებ, იგი ბოლომდე უნდა შეგვენარჩუნებინა. „ნეიტრალობა და დამოუკიდებლობა ეს უნდა იყოს წინანდებურად ორი ბჭე ჩვენი სახელმწიფოებრივ შემოქმედებისა," — წერდა პ. სურგულაძე. ამიტომ „ყოველი შეთანხმება, იქნება ეს პოლიტიკური თუ ეკონომიური ხასიათისა, ამ ორ პრინციპს უნდა ეგუებოდეს, მათ ამაგრებდეს და ამკვიდრებდეს"[209].

წერილში — „სომეხთა იერიში საქართველოს წინააღმდეგ" — პ. სურგულაძე ნიღაბს ხდიდა იმ ქმედებებს, რომლებსაც ჩვენს ტერიტორიაზე შემოხიზნულ, შემოკედლებული სომხობა,

---

[209] გაზ. „საქართველო", 1918 წლის 1 ნოემბერი, გვ. 1

განსაკუთრებით პარტია „დაშნაკცუტიუნის“ წარმომადგენლები, თუ სხვა ვაი-მოღვაწენი იჩენდნენ საქართველოს და ქართველი ხალხის მიმართ...

„ბოლო დროს, განსაკუთრებით სომხობა ამხედრდა საქართველოს წინააღმდეგ. ბრძოლა მრავალი საშუალებით სწარმოებს: ზოგი პირდაპირ, ზოგიც ნიღაბჩამოფარებული, ბოლშევიზმის თუ სხვა სახით. ჟურნალ-გაზეთობა ხომ საოცრად გამოიყენეს ჩვენმა მეზობლებმა“[210], — წერს პ. სურგულაძე და მაგალითად მოჰყავს იმ ხანებში რუსულენოვან გაზეთ „კავკაზსკოე სლოვოს“ 232-ე ნომერში დაბეჭდილი ვინმე ხატისოვის წერილი სათაურით: „ენის პრობლემა ამიერ-კავკასიაში“.

პუბლიცისტის თქმით, ავტორს თავისი მშობლიური – სომხური ენის ბედი კი არ აწუხებდა პირველყოვლისა, არამედ რუსულისა და ამ ფონზე ქართული ენის დამცირებას ცდილობდა... რომ ხატისოვს სულ სხვა დარდი ჰქონდა: მას არ სურდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს არსებობა, რომ მას ელანდებოდა ამიერ-კავკასიის მთავრობა, რომელიც ხიდი იქნებოდა რუსეთთან ხელახლა შესაერთებლად და ა.შ.

ამავე წერილის გაგრძელებაში, პ. სურგულაძე მოკლედ მიმოიხილავდა იმ პროცესებს, რომლებმაც საქართველოში სხვა ერთა (რუსების, სომხების და ა.შ.) მომრავლება განაპირობა. მისი აზრით, ეს იყო რუსეთის იმპერიული, კოლონიური პოლიტიკის სისასტიკე, განსაკუთრებით ძირითადი მოსახლეობის, ქართველების მიმართ...

„დღეს თბილისში ბლომად არიან რუსები და სომხები... მათ უნდა იცოდნენ, რომ ქართველი ერი პატივისცემით მოეპყრობა მათ უფლებებს, მაგრამ არასდროს არ დასთმობს ერთ ნამცეცს თავისუფლებისას. ქართველი ერის ძირითადი უფლება მის ტერიტორიაზე სუვერენობა, უზენაესი ხელმწიფებაა... ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი მთავრობისაგან მტკიცე მოქმედებებს ჩვენი სახელმწიფოებრიობის დამკვიდრებაში“... ამასთან „ყოველი ჩვენგანი მოვალეა ფხიზლად და შეგნებულად ასრულებდეს თავის მოვალეობას სამშობლოს წინაშე...“, რომ „ქართველი ერი ერთი წამითაც არ ფიქრობს შეავიწროვოს ჩვენში შემოხიზნულ ერთა უფლებანი, მხოლოდ ამ ერებმაც კარგად უნდა იცოდნენ ჩვენი კანონებისა და სახელმწიფოებრიობის პატივისცემა...“[211].

---

[210] გაზ. „საქართველო“ , 1918 წლის 7 ნოემბერი, გვ. 2
[211] იქვე, 1918 წლის 9 ნომბერი

პ. სურგულაძეს ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე კარგად მოეხსენებოდა იმის შესახებ, თუ რა როლის შესრულება შეეძლებოდა ქვეყნის უპირველეს დამცველ ძალას — ჯარს, ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საქმეში. მისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ „ერის" ფურცლებზე დასტამბულ გ. გვაზავას წერილების სერიაში – ჩეხეთის შესახებ, განა ხაზგასმით არ იყო მითითებული „სოკოლის", როგორც ორგანიზებულ და დისციპლინირებულ ძალაზე, რომელიც მომავალში სამშობლოს დამცველად უნდა ქცეულიყო?! ჩეხების მსგავსად, ქართველებსაც უნდა ეზრუნათ ანალოგიური ორგანიზაციის შესაქმნელად... როგორც ცნობილია, სწორედ ეს სტატია გახდა მიზეზი ჟურნალის დახურვის, ხოლო რედაქტორის და თანამშრომლის სამართალში მიცემის... ევროპაში გახიზნული პ. სურგულაძე იქ, სხვა ქართველ პატრიოტებთან (ლ. კერესელიძე, გ. მაჩაბელი, შ. ქარუმიძე, გ. წერეთელი და სხვ.) ერთად, ქმნის ქართულ საჯარისო შენაერთს, რათა ხელსაყრელი პირობების დადგომისთანავე ერისა და ქვეყნის დამცველად გამოეყენებინათ იგი... გასახსენებელია ის აქტიური ძალისხმევა, რომელიც პ. სურგულაძემ პირველი მსოფლიო ომის დროს გამოიჩინა საზღვარგარეთ იარაღის შეძენისა და სიცოცხლის რისკის ფასად დაქირავებული წყალქვეშა ნავებით საქართველოში შემოზიდვის დროს...

1917 წლის ნოემბერში გამართულ პირველ ეროვნულ ყრილობაზე პ. სურგულაძეს ირჩევენ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრად და შეჰყავთ იგი სამხედრო სექციის შემადგენლობაში, სადაც სხვა პროფესიონალ და პატრიოტ მამულიშვილებთან (გენ. კ. აფხაზი და სხვები) ერთად ძალ-ღონეს არ იშურებს მიზნის პრაქტიკული განხორციელებისათვის. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ეროვნული საბჭოს პარლამენტად გადაკეთების შემდეგ დეპუტატი პ. სურგულაძე უფრო აქტიურად მონაწილეობს ქართული ჯარის მშენებლობისათვის საკანონმდებლო ბაზის შემუშავებისა და შექმნის საქმეში. დროდადრო იგი ღიად ესაუბრება ქართველ საზოგადოებას პრესის ფურცლებიდან და ქვეყნისათვის პრიორიტეტულ მიმართულებად მიიჩნევს ეროვნული ჯარის მშენებლობას და გაუმართლებლად და არასწორად მიიჩნევს სახალხო გვარდიის, როგორც პარტიული პრინციპით შექმნილ სამხედრო ძალის არსებობას. გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე გამოქვეყნებულ პ. სურგულაძის წერილებში — „ჯარი და მოსწავლე ახალგაზრდობა", „საქართველოს ჯარი", „მშობ-

ლიური ენის დამკვიდრება ქართულ ჯარში“ და სხვ., სწორედ ამ საკითხებზეა საუბარი.

წერილში „ჯარი და მოსწავლე ახალგაზრდობა“ პ. სურგულაძე გადაჭრით აყენებდა საკითხს: რადგან საქართველოს არსებობა ისევ განსაცდელშია, ამიტომ ნამდვილი ჯარის მშენებლობის საკითხი ყველაფერზე წინ უნდა დაეყენებინათ... „თუ ამ მოკლე დროში ქართველმა ერმა ვერ შექმნა ნამდვილი ჯარი, მისი თავისუფლება და შეიძლება ფიზიკური არსებობაც კი ისტორიას ჩაჰბარდეს. ჯარში სამსახური კი უპირველესი მოვალეობათაგანია სამშობლოს წინაშე... მოვალეობის შეგნება იმისა, რომ ყოველი მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე, არის ერთი უდიდესი საფუძველი დემოკრატიული სახელმწიფოს ამშენებლობისათვის... ამიტომ ყველა ახალგაზრდას, უპირველესად კი მის განათლებულ და შეგნებულ ნაწილს, სტუდენტ და მოსწავლე ახალგაზრდობას, აუცილებლად უნდა გაევლოთ სამხედრო სამსახური, რადგან მისთვის თავის არიდება სამშობლოს ღალატის ტოლფასი იქნებოდა“[212].

უაღრესად საფუძვლიანი და მამულიშვილური გულშემატკივრობის გრძნობით არის გაჟღენთილი პ. სურგულაძის სტატია — „საქართველოს ჯარი“. მისი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო ეროვნული ჯარის მშენებლობა. ის აქსიომად მიიჩნევდა, რომ ჯარის მშენებლობა სახელმწიფოს გადასაწყვეტი უპირველესი ამოცანა უნდა გამხდარიყო. ამასთან, ჯარი უნდა ყოფილიყო პარტიების გარეშე. „ოფიცერს თუ ჯარისკაცს უნდა მოეთხოვოს პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა სახელმწიფოს, სამშობლოს წინაშე“... არ შეიძლება პარტიული პოლიტიკის წარმოება ჯარში, რასაც, სამწუხაროდ, მისი თქმით, ადგილი ჰქონდა ქართულ სინამდვილეში. არ ხერხდებოდა კეთილგანწყობილების დამყარება ამხანაგთა შორის, ურომლისოდაც „ჯარის მთლიანობა არ განხორციელდებოდა“.

პ. სურგულაძე აღშფოთებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ „ჩვენს ჯარში ბლომად დარჩნენ უცხოელები, განსაკუთრებით რუსები... ისინი კი ოცნებობდნენ ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვაზე, აგიტაციას ეწეოდნენ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ... თუ არა ჩვენი მთავრობის სიბეცე, როგორ შეიძლებოდა ქვეყნის დაცვა მინდობოდა ისეთ პირებს, რომელნიც მის დაცვაში კი არ იყვნენ დაინტერესებულნი, არამედ მის დანგრევაში“. მისი აზრით, დაუყოვნებლივ უნდა დათხოვნილი ყოფილიყვნენ ჯარი-

---

[212] გაზ. „საქართველო“, 1918 წლის 4 ოქტომბერი

დან საქართველოს არა ქვეშევრდომნი, ხოლო ვინც მოისურვებდა ჩვენს ქვეშევრდომობას, იმათ დაუყოვნებლივ უნდა მიეღოთ ფიცი ერთგულებისა..."[213].

ამასთან ერთად, პ. სურგულაძე ხელისუფლებისაგან მოითხოვდა ჯარში წესრიგისა და დისციპლინის მკაცრ დამკვიდრებას, ჯარიკაცთა და ოფიცერთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, შესაფერისი ფორმის ტანსაცმლით მათ მომარაგებას, ერთიანი ეროვნული ფორმის, ეროვნული კოკარდისა და სამხრეების შემოღებას და ა.შ. იქვე უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართულ ჯარში თანდათან ხდებოდა ქართული ენის უკანა პლანზე გადაწევა და სხვა ენის, კერძოდ, რუსულის დამკვიდრება... „რაა მიზეზი? ქართული ენის სიღარიბე?" — სვამდა ამ კითხვებს ავტორი და თვითონვე პასუხობდა: „არა! ქართული ენა ბევრ სხვა ენას აჭარბებს თავისი სიმდიდრით და ლიტერატურული განძით. აქ ერთადერთი მიზეზი ზნეობრივი დაგლახავებაა იმათი, ვისაც ბედმა ჩვენი სახელმწიფოს აღმშენებლობა არგუნა..."[214].

ამიტომ, — მისი აზრით, — უნდა მოეთხოვათ იმ ოფიცრებისათვის, რომ „ახალმოსულ ჯარიკაცებს შუა ბაზარში ნაბიჯი „რას-დვას" მაგივრად ქართულად ათვლევინონ". ჩვენ გვეგონა თავისუფლება მოგვანიჭებდა სამშობლო ენის სრულ უფლებიანობას, მაგრამ დღემდის სულ საწინააღმდეგოს ვხედავთ. ახლად ჩამოსულ სოფლელ ბიჭებს რუსულად წვრთნიან... რაც ზოგიერთი ქართველი ოფიცრის მხრიდან ერთგვარი ცინიზმი და თავის აგდება იყო, თორემ სხვანაირად ვერ წარმომიდეგნიაო, — აცხადებდა პ. სურგულაძე და ერთგვარ შედარებას აკეთებდა ოსმალეთში ჩამოყალიბებულ ქართულ ლეგიონთან, სადაც საოცრად მძიმე პირობებში ხუთიოდე გადახვენილმა ქართველმა შეძლო შეექმნა ქართული ჯარი და არათუ კამანდა, არამედ მთელი საქმის წარმოება, თვით სამართალიც კი ქართულად ეწარმოებია..."[215].

პ. სურგულაძის აზრით, ეროვნული ჯარის შექმნის საქმეს საძნელოდ ხდიდა სახალხო გვარდიის არსებობა; გვარდიელი ისეთი განსაკუთრებული უპირატესობით სარგებლობდა, რომ ნამდვილ ჯარისკაცებში შურს იწვევდა. ამიტომ სამხედრო მი-

---

[213] გაზ. „საქართველო", 1918 წლის 18 ოქტომბერი
[214] იქვე
[215] იქვე, 1918 წლის 5 ოქტომბერი

ნისტრს უნდა გაეტარებინა დაუყოვნებლივი ღონისძიებები ერთიანი ეროვნული ჯარის მშენებლობისათვის.[216]

ერთ-ერთ ნერილში, რომელიც ქართველთა შორის ნერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების ორმოცი ნლისთავს ეძღვნება, პ. სურგულაძე ობიექტურად აფასებს იმ ნაღვაწ-ნამოქმედარს, რომელიც ამ დაწესებულებას მიუძღოდა ქართული ცნობიერების ამაღლებისა და კულტურის განვითარების საქმეში; დაწესებულებისას, რომელიც ყოველთვის „ცდილობდა თავისი ეროვნული პიროვნება დაეცვა"[217].

პუბლიცისტის აზრით, სნორედ ქ.შ.ნ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება იყო, რომელიც „ღღიდან დაარსებისა ქართველ ერში აღვიძებდა საკაცობრიო გრძნობებს, ავრცელებდა ცოდნას და შეგნებას და ამით აღონიერებდა განსაცდელში ჩავარდნილ ქართველ ერს." ამის დასტური იყო ის „მრავლად გამოცემული სახელმძღვანელოები და სახალხო წიგნები, მრავალი სკოლები, რომლებიც საოცარის თავგანწირვით ებრძოდნენ უცხოთა ბატონობას; ის აურაცხელნი სიძველენი – წიგნების თუ ნივთების სახით, შეგროვილნი ისეთ პირობებში, როცა ჩვენი დამპყრობელნი გვიძარცვავდნენ ეკლესიებს და სხვა დაწესებულებებს და ხშირად გვინადგურებდნენ ისეთ საბუთებს, რომელნიც მათთვის ხელსაყრელი არ იყო"[218].

პ. სურგულაძის თქმით, ეს დაწესებულება ზნეობრივად ამხნევებდა იმ მცირერიცხოვან ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც იმედითა და სიყვარულით ეწეოდნენ თავიანთ მძიმე საქმიანობას... ამიტომ საჭირო იყო ასეთი დაწესებულების გაზრდა-გაფართოება, მუშაობის მეტად გაცხოველება, თანაც არა მთავრობისაგან ყველაფრის მოთხოვნა, არამედ თვითშემოქმედების მეშვეობითაც... პუბლიცისტი იქვე მადლიერების სიტყვებით მოიხსენიებდა ამ ორგანიზაციის პირველ დამფუძნებლებს: იაკობ გოგოებაშვილს, ილია ჭავჭავაძეს და მათ თანამოაზრეებს, რომელთა „თავდაუზოგავი და უანგარო შრომა აცოცხლებდა ამ საზოგადოებას", განსაკუთრებული პატივისცემით აღნიშნავდა საზოგადოების ბოლო 15 ნლის მანძილზე მისი უცვლელი თავმჯდომარის გენერალ გიორგი ყაზბეგის ღვაწლის შესახებ, რომელსაც მისი ჩამოყალიბებისა და საძირკვლის ჩაყრაშიც ედო ნილი, ხოლო რეაქციის მნვავე ნლებში მან იკისრა ამ ეროვნული

---

[216] გაზ. „საქართველო", 1918 ნლის 18 ოქტომბერი
[217] იქვე, 1918 ნლის 13 ნოემბერი.
[218] იქვე

მიმართულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერის თავმჯდომარეობა...[219].

* * *

1919 წლის იანვარში დაიწყო საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების დამფუძნებელ კრებაში ასარჩევ კანდიდატთა სიების გამოქვეყნება. ქართველ საზოგადოებას თავისი 96-კაციანი სია წარუდგინა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამაც. სიის პირველ ოცეულში შედიოდნენ: ნიკოლაძე ნიკოლოზ იაკობის ძე — პარლამენტის წევრი, საქართველოს დელეგატი საზღვარგარეთ; კედია სპირიდონ მალხაზის ძე – ედპ-ს მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე; ქიქოძე გერონტი დიმიტრის ძე – გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი; გვაზავა გიორგი ბეჟანის ძე – საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე; თაყაიშვილი ექვთიმე სიმონის ძე – პარლამენტის თავმჯდომარის ამხანაგი, თსუ-ს პროფესორი; მაჭავარიანი იოსებ კონსტანტინეს ძე – პარლამენტის წევრი, ნაფიცი ვექილი; ასათიანი ალექსანდრე სამსონის ძე – პარლამენტის წევრი, ნაფიცი ვექილის თანაშემწე; სურგულაძე პეტრე როსტომის ძე – პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი; ამირეჯიბი შალვა გრიგოლის ძე – პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი; ივანიცკი რაფიელ (ინგილო) ალექსის ძე – პარლამენტის წევრი, იურისტი; ლორთქიფანიძე იასონ მერაბის ძე – პარლამენტის წევრი, ა/კავკასიის ბანკის თავმჯდომარე; გოთუა პართენ ალექსანდრეს ძე – სამეურნეო ბანკის დირექტორი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი; მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე, ფილოსოფიის დოქტორი, მთავარი საერობო ინსტრუქტორი; თორაძე ალექსანდრე დავითის ძე – ედპ-ს საგუბერნიო კომიტეტის თავმჯდომარე, ქუთაისის ხმოსანი; ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე – ნაფიცი ვექილი, საქართველოს დელეგაციის მრჩეველი; წერეთელი ვასილ გიორგის ძე – პარლამენტის წევრი, ჟურნალისტი, ექიმი; შევარდნაძე მიხეილ ირაკლის ძე – სამართლის დოქტორი; ჩიქოვანი ილია მანუჩარის ძე – ფინანსთა სამინისტროს საგანგებო რევიზორი; ჯა-

[219]გაზ. „საქართველოს" 1918 ნლის 13 ნოემბერი

ყელი ნიკოლოზ იოსების ძე – ნავთის მრეწველი; კეკელიძე კორ-ნელი სამსონის ძე – დეკანოზი, თსუ-ს პროფესორი...[220].

მარტში გამართული არჩევნების შემდეგ კი მათგან რვა გახდა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს წევრი. ის მერვე წევრი კი პ. სურგულაძე გახლდათ.აქვე შეიძლება აღინიშნოს, რომ მოგვიანებით დამფუძნებელი კრების წევრობაზე, თავისი სურვილით, უარი განაცხადა ნიკო ნიკოლაძემ, რომლის ადგილი სიაში მეცხრე ნომრად შეყვანილმა შალვა ამირეჯიბმა დაიკავა. როგორც ცნობილია, საპარლამენტო არჩევნებში დიდი უმრავლესობით სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს და ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეებიც მათ აიღეს ხელში. მართალია, ეროვნულ-დემოკრატების სულ რვა წარმომადგენელი მოხვდა საკანონმდებლო ორგანოში, მაგრამ ისინი ქართული საზოგადოებისათვის დიდად ცნობილი და ავტორიტეტული მოღვაწეები იყვნენ. რა თქმა უნდა, მათ შორის პ სურგულაძის არჩევაც სავსებით დამსახურებული იყო. ამიერიდან კიდევ უფრო საპასუხისმგებლო გახდა მისი ყოველი სიტყვა და პრაქტიკული მოქმედება. პეტრეს გამოსვლები დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან, თუ პრესის ფურცლებიდან, ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ საით იყო მიმართული მისი თვალსანიერი, ახლადდაარსებული დამოუკიდებელი ქვეყნის განმტკიცების საქმეში... იგი აქტიურ საქმიანობას ეწეოდა არა მარტო თავისი საპარლამენტო ფრაქციის შიგნით, არამედ, როგორც ობიექტურ და პრინციპულ პიროვნებას, სახელმწიფო დონის დელეგაციებისა და კომისიების შემადგენლობაშიც ირჩევდნენ. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 14 მარტის სხდომის მიერ სხვა დეპუტატებთან — გიზო/გიორგი/ანჯაფარიძის, ჰუსეინ გული მამედ ოღლის, სამსონ ფირცხალავასთან ერთად საგანგებო კომისიის შემადგენლობაში არჩევა[221].

კომისიას კი ფრიად საპასუხისმგებლო დავალება — ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში სერვერ-ბეგის ხელმძღვანელობით მომხდარი აჯანყების მიზეზები და შედეგები უნდა შეესწავლა.

მიზანშეწონილად მიმაჩნია მოკლედ გავიხსენოთ ის ტრაგიკული ფაქტი, თუ როდის, რატომ და ვის მიერ იქნა პროვოცირებული მესხეთში მომხდარი აჯანყება, რომელმაც უმძიმესი დარ-

---

[220] საქართველოს ცსსა, ფონდი 1834, აღწ. 2, საქ. 80, ფურც. 3
[221] საქ. დამფ. კრების სტენოგრ, ანგარიში სესია 1, სხდომა 2

ტყმები მიაყენა ცარისტული რეჟიმისაგან ის-ის იყო განთავისუფლებულ ქართველ ხალხსა და ქართულ მიწა-წყალს...

1918 წლის 26 მაისს ა/კავკასიის სეიმის გაუქმებამ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებელი რეს-პუბლიკების შექმნის შესაძლებლობა შექმნა. საქართველოს ეროვნული კრების მიერ შემუშავებული აქტით საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების ძალით თურქეთმა თავისი ჯარები საქართველოს წინააღმდეგ დაძრა და მთელი მესხეთი ბორჯომის მისადგომებამდე დაიკავა. ამ მხარის მაჰმადიანი მოსახლეობის საგანგებო კრებაზე მიიღეს დადგენილება მესხეთის თურქებისათვის მიერთების შესახებ. და ამ „დოკუმენტით" შეიარაღებული 40-კაციანი დელეგაცია წარგზავნეს ჯერ ბრესტ-ლიტოვსკსა და ტრაპიზონში, ხოლო შემდეგ ბათუმის კონფერენციაზე. დელეგაციას დავალებული ჰქონდა მესხეთში მცხოვრებ თურქთა გადაწყვეტილების პრაქტიკული ხორცშესხმა[222].

ოსმალთა მიერ წაქეზებულმა მაჰმადიანმა მოსახლეობამ მესხეთში აჯანყება მოაწყო, რომელსაც მსხვილი მემამულე სერვერ-ბეგ ათაბაგ ქობლიანელ-ჯაყელი ხელმძღვანელობდა. იგი დაუნდობლად ანადგურებდა ქრისტიან მოსახლეობას და მიწასთან ასწორებდა მათ სახლ-კარს... 1918 წლის დეკემბერში მსოფლიო ომის ფრონტებზე შექმნილი სიტუაციის შესაბამისად, თურქეთი იძულებული იყო მის მიერ დაკავებული ტერიტორიები დაეცალა, მათ შორის მესხეთ-ჯავახეთიც. ახლადშექმნილი ადმინისტრაციული ერთეულის მესხეთ-ჯავახეთის გენერალ-გუბერნატორად საქართველოს მთავრობის მიერ ნაცადი გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი დაინიშნა. მისი წინამძღოლობით ქართული ჯარები ახალციხესა და ახალქალაქში შევიდნენ...*

1920 წლის 20 იანვარს ფართომასშტაბიანი ამბოხება მოხდა ახალციხის მაზრაში სერვერ-ბეგის ხელმძღვანელობით. მან შექმნა „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის" ბუფერული ტერიტორია, რომლის შემადგენლობაში მოიაზრებოდა ყარსის, ბათუმის

---

[222] ვიქტორ ნოზაძე. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბ., 1989.

* უფრო ვრცლად დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იხილოს ჩემი ნაშრომი – გენერალი ბალო მაყაშვილი და მესხეთ-ჯავახეთის საკითხი ქართული დიპლომატია. წელინლეული, 6. თბ., 1999, გვ. 306-324 (ავტორი).

და არტაანის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. შეადგინა დროებითი კომისარიატი (მთავრობა), რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: სერვერ-ბეგ ქობლიანელი (თავმჯდომარე); ტომაშევიჩი – შინაგან საქმეთა კომისარი; მურთაზ-ბეგ ფალავანდოვი – მთავარი მოსამართლე, კარტალოვი – სურსათის კომისარი; რიუმინი – ჯანმრთელობის კომისარი; ახმეტიევი – ქ. ახალციხის კომენდანტი; არუთინოვი – ქ. ახალციხის დაცვის უფროსი და პოლკოვნიკი დოლინინი – კონსულტანტი ჯარის შექმნის დარგში[223].

უნდა ითქვას, რომ აჯანყებულებმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს. ისინი მთელი სისასტიკით უსნორდებოდნენ დამოუკიდებელი საქართველოსადმი ლოიალურად განწყობილ ყველა ადამიანს, რაშიც მათ მხარს უჭერდნენ ადგილობრივი სომხები, რომლებმაც „დიდი წილი დაიდეს ქ. ახალციხისა და სხვა ქართული ქრისტიანული სოფლების მოსახლეობის განადგურებაში, სოფლების მიწასთან გასწორებაში, ძარცვა-გლეჯაში, ადამიანების წამებაში, მათ გატაცება-დახოცვაში და ა.შ."[224].

მიუხედავად ძალთა უთანასწორობისა, ქართული ჯარი გენერალ ბ. მაყაშვილის მეთაურობით მედგარ წინააღმდეგობას უწევდა აჯანყებულებს და ზოგიერთ ადგილებში თვალსაჩინო წარმატებასაც აღწევდა. სერვერ-ბეგმა შეძლო მაჰმადიანი ქართველი მოსახლეობის თავის მხარეზე გადაბირება. ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას მოკლებული ქართული ჯარის ნაწილები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. აჯანყებულებს კი ზურგს უმაგრებდა ოსმალეთის ხელისუფლება და ბათუმში მყოფი ინგლისელი გენერალი უოკერი... ძალამ აღმართი დახნა და ველარც მამაცი გენერლის ბ. მაყაშვილის დახმარებას მოკლებულმა მცირერიცხოვანმა ნაწილებმა გაუძლეს მტრის შემოტევებს. საქართველოს მთავრობამ, როგორც იტყვიან, ჯოხი ახალციხე-ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორზე გადატეხა და იგი თანამდებობიდან გადააყენა. მის ნაცვლად გენერალი გიორგი მაზნიაშვილი იქნა დანიშნული. მიუხედავად მტკიცე ღონისძიებების გატარებისა, ვერც გენერალმა გ. მაზნიაშვილმა გაუძლო აჯანყებულთა შემოტევებს და ახალციხის დატოვება გადაწყვიტა, ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ სიძულვილით აღვსილმა მაჰმადიანთა რაზმებმა ქრისტიან მოსახლეობას შორის პანიკისა და შიშის დანერგვა შეძლეს. ქართულმა ჯარ-

---

[223] საქ. ცსსა, ფონდი 1833, აღწ.1, საქმე 4, ფურც. 14-15

[224] იქვე, ფურც. 19

მაც ვეღარ ივაჟკაცა და უწესრიგო და უთავბოლო გაქცევით იწყო იქაურობის მიტოვება ისე, რომ თვით გენერალმა მაზნიაშვილმაც ვეღარ შეძლო მისი შეჩერება. ჟორდანიას მთავრობამ გ. მაზნიაშვილიც ჩამოაშორა ხელმძღვანელობას და მის ნაცვლად გენერალი გიორგი კვინიტაძე დანიშნა.

საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მისი სარდლობით შეძლო „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის" მთავრობის დამხობა, მდგომარეობის რამდენადმე დასტაბილურება და ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება...

სწორედ ამის შემდეგ მოხდა ის, რომ შეიქმნა აჯანყების მიზეზების და შედეგების გამოსაკვლევი საგანგებო კომისია – ზემოთ მითითებულ პირთა, საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატების შემადგენლობით. 18 მარტს კომისია უკვე ახალციხეში იყო...[225].

საგანგებო კომისიას დამფუძნებელი კრების მიერ ფართო უფლებები ჰქონდა მიცემული – მას შეეძლო იქ მცხოვრებთა შორის, განურჩევლად ეროვნებისა თუ სარწმუნოებისა, ეწარმოებინა დაკითხვები, მოესმინა სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა მოსაზრებები და მიზეზები მომხდარი შეიარაღებული გამოსვლების თაობაზე, საჭიროებისამებრ განკარგულება გაეცა კონკრეტულ ბოროტმოქმედთა და მოღალატეთა დასატუსაღებლად და სამართალში მისაცემად, განურჩევლად მდგომარეობისა და დაკავებული თანამდებობისა. დამფუძნებელი კრების დადგენილებაში აღნიშნული იყო ისიც, რომ გიზო ანჯაფარიძის საგანგებო კომისიას მჭიდრო კავშირში უნდა ემოქმედა მხარის გენერალ-გუბერნატორ, გენერალ გიორგი კვინიტაძესთან და ადმინისტრაციის ინსპექტორ შალვა მაღლაკელიძესთან ერთად.

კომისიის წევრებთან ერთად განსაკუთრებით აქტიურობს პ. სურგულაძე, როგორც სარწმუნოებანართმეული ქართველების ფსიქოლოგიის საუკეთესო მცოდნე და ამასთან მათი ცხოვრების წესის და თურქული ენის სათანადო დონეზე მცოდნე...

სხვათა შორის, ბევრ საინტერესო ფაქტებს შეიცავს კომისიის მიერ მოსახლეობის დაკითხვები... მაგალითისათვის მოვიტანთ ერთ-ერთს (1919 წლის 18 მარტი): მილიციის პრაპორშჩიკი – 71 წლის ახმედ ბეგ ავალოვი, კითხვაზე თუ როგორ უყურებდა ხალხი სერვერ-ბეგს? – პასუხობდა: სერვერ-ბეგი ძალიან

---

[225] საქ. ცსსა, ფონდი 1833, აღწ.1, საქმე 4, ფურც. 2

მართალი და კეთილი კაცია, პატიოსანი. არა მგონია, რომ ამან ვინმე ააღელვა. ძალიან ნასწავლია, სამი ფაკულტეტი გაათავა.

მორიგ კითხვაზე: ხალხი უკმაყოფილოა თუ არა საქართველოს მთავრობის? პასუხი ასეთია: ხალხი ირევა ერთი მეორეში. რაღაცას ლაპარაკობენ. თქვენ რომ ერთ ადგილს მტკიცედ გაჩერებულიყავით, ყველა თქვენი ერთგული იქნებოდა. ერთი მთავრობა წავიდა, მეორე მოვიდა. მერე მესამე მოვიდა... ხალხს კი ეს არ მოსწონს, ხალხის აზრი აირია და ვერ გაიგეს მთავარი ვინ არის[226].

შეიძლება ითქვას, რომ სიმართლე გამოსჭვივის ახმედ ბეგ ავალოვის სიტყვებში. მოკლე ხნის მანძილზე საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლების, გენერალ-გუბერნატორების, მამაცი გენერლების ბ. მაყაშვილის, გ. მაზნიაშვილის და გ. კვინიტაძის თანმიყოლებით დანიშვნა-განთავისუფლება, მართლაც რომ, გაურკვევლობას უწყობდა ხელს...

1919 წლის 27 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა მოისმინა „საგანგებო კომისიის" თავმჯდომარის გ. ანჯაფარიძის მოხსენება მესხეთში, კერძოდ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, მომხდარი ამბოხების შესახებ. დასკვნაში ობიექტურად იყო შეფასებული მისი გამომწვევი მიზეზები, განსაკუთრებული შეფასება ეძლეოდა გენერალ გ. კვინიტაძის მიერ გამოჩენილ სიმამაცეს და დამსახურებას, მის პიროვნულ თვისებებს... „შეგვიძლია გადაჭრით ვსთქვათ, რომ მან პირნათლად აასრულა თავისი მოვალეობა. როგორია ამ გენერლის პოლიტიკური მრწამსი, ეს ჩვენ არ ვიცით. ის თავის საქმის ზედმიწევნით მცოდნეა. მას აქვს გარკვეული კურსი, შეურყეველი ლოღიკა, რის წყალობითაც მან საოცარი წესიერება და დისციპლინა დაამყარა, როგორც შტაბში, ისე მთელს ჯარშიც... ჩვენი ჯარის გამარჯვება უეჭველად გენერალ კვინიტაძის პიროვნებას უნდა მიეწეროს. ცხადია, რომ ეს გენერალი მტკიცედ ადგას საქართველოს ორიენტაციას..."[227].

კომისიის დასკვნაში მითითებული იყო, ადგილზე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, რიგი გადაუდებელი ღონისძიებების გატარების აუცილებლობა: მათ შორის ქართული ადმინისტრაციის დაუყოვნებლივ მოწყობა; ადმინისტრაციის აპარატის გენერალ-გუბერნატორისათვის დაქვემდებარე-

---

[226] გ. ივანიძე, მ. ივანიძე. ბრძოლა მესხეთისათვის 1917-1921. თბ., 2002, გვ. 76
[227] საქ. ცსსა, ფონდი 1833, საქმე 4, აღწ. 1, ფურც 16-17

ბა; საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული მცხოვრებლებისათვის დროული დახმარება და ა.შ.[228].

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმმა მაღალი შეფასება მისცა კომისიის დასკვნას და დაამტკიცა იგი. რა თქმა უნდა, ეს მაღალი შეფასება კომისიის სხვა წევრებთან ერთად პ. სუგულაძესაც ეკუთვნოდა.

გაზეთ „საქართველოს" 1919 წლის 2 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში პ. სურგულაძე ეხება ბათუმის მხარეში, ანუ აჭარაში იმხანად შექმნილ ვითარებას, რაც დაკავშირებულია ინგლისელების მიერ ამ კუთხის დროებით დაჭერასთან. მისი აზრით, ამ ფაქტს ქართველი საზოგადოება გულმშვიდად შეხვედრია, რადგან დარწმუნებული იყო, რომ „ინგლისი ამ მხარეში თან მოიტანდა მიუდგომლობას და სამართლიანობას"[229]. სამწუხაროდ, ასე არ მომხდარა და შედეგი საწინააღმდეგო გამომდგარა. პირველ ყოვლისა, ეს გამოწვეული ყოფილა იმით, რომ ინგლისელ გუბერნატორს მმართველობაში „რუსეთის შავი რეაქციული ძალები მოუყვანია", რომლებიც თურმე „დაუცხრომლად და აღვირახსნილად" ეწეოდნენ ქართველების შევიწროებასა და შეწუხებას..., რასაც მცხოვრებთა შორის, ინგლისელების მიმართ იმედგაცრუება მოჰყოლია... „ბათუმის მხარე — წერს პ. სურგულაძე, — გადაიქცა შავრაზმელ რუსთა აღთქმულ ქვეყანად. ყოველი მხრიდან, როგორც ყორნები ლეშისაკენ, ისე მოეშურებიან ბათუმისაკენ და ადგილობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგ ჩვენს თვალწინ შეთქმულობას აწყობენ... ჩვენთვის აუტანელია ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, როცა სიძულვილით აღსავსე მტრული ძალები ჩვენსავე დასაკლავ დანას ლესავენ"- ო, ამიტომ საჭირო იყო, ქართველობას, მუსლიმან თამამოძმეებთან ერთად, ხმა აემაღლებინათ ამ შავ-ბნელი ძალების თავხედური ძალადობის წინააღმდეგ და მეტი აქტიურობა გამოეჩინათ „თავიანთი კერის დასაცველად"[230].

წერილის დასასრულს პ. სურგულაძე დაასკვნიდა: „დღეს, მონღოლების, ოსმალების თუ რუსეთის დესპოტიას გადარჩენილი ქართველები და საქართველო, თავისუფალი და დამოუკიდებელი ჩვენი ქვეყანა, როცა შეგნება და სწავლა-განათლება ყველასათვის ხელმისაწვდომია, მიუხედავად სარწმუნოებრივი სხვადასხვაობისა თავის ნრეში, გამოდის როგორც ერთი პი-

---

[228] იქვე, ფურც. 13

[229] გაზ. „საქართველო" , 1919 წლის 2 აპრილი

[230] იქვე

როვნება, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიჭერს საერთაშორისო ოჯახში და არავის უფლებას არ მისცემს შელახოს მისი სამართლიანი უფლებანი"[231].

1919 წლის აპრილში, გაზეთ „საქართველოში" დასტამბულ წერილში „დამფუძნებელი კრება და ჩვენი საგარეო პოლიტიკა", პ. სურგულაძე აღნიშნავდა: „საქართველო დღეს განიცდის უძნელეს და ურთულეს წუთებს თავისი არსებობისა. შინ ხდება რთული საზოგადოებრივი გარდაქმნა, მაგრამ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან განვლილმა დრომ დაგვანახა, რომ ჩვენ საკმაო მომზადება და შემოქმედებითი ძალა შეგვწევს შინაურ საქმეებს გავუძღვეთ და მოვანესრიგოთ...", მაგრამ, მისი აზრით, ჯერ კიდევ გამოურკვეველი იყო ქვეყნის საგარეო ურთიერთობის საკითხები. ამის მიზეზი კი „საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაში და იმ ბურუსში იყო, რომელიც მის გარშემო ისევ არსებობდა...". „ვერ ვიტყვით, რომ საქართველო ორჭოფულ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდეს, — განაგრძობდა პ. სურგულაძე, — პირიქით, პირველივე დღიდანვე ჩვენი განცხადება იყო ნათელი და მასთან ერთად ყოველგვარ ეგოიზმს მოკლებული. ყველასთან და, განსაკუთრებით, მეზობლებთან მეგობრული განწყობილება და ნეიტრალიტეტი — აი რა დაედვა საფუძვლად ჩვენს პოლიტიკას...". მაგრამ რეალობა სხვა აღმოჩნდა, რასაც სამწუხარო ფაქტად მიიჩნევდა იგი. „ჩვენ ვერ ვიპოვეთ მეზობელთა შორის იგივე გულღია მოქმედება და ზრახვანი. პირიქით ჩვენს გარშემო გაიბა რთული ინტრიგების ქსელი, რომელთა ავტორები ხშირად სიბნელეში იმალებიან. დღემდის, ცუდად თუ კარგად შევძელით ამ იერიშების მოგერიებაც...". თუმცა ეს დამშვიდების საშუალებას არ იძლეოდა. ანუ, მისი თქმით: „ის ტორტმანი და გაურკვეველი ღელვა, რომელიც ჩვენ გარშემო არ წყნარდება, დაწყნარების უფლებას არ გვაძლევს და გვკარნახობს ვიყვნეთ ფხიზლად და წინდახედულად. განსაკუთრებით დღეს, როცა აშკარა ირკვევა, რომ საქართველო ვერ დარჩება დიდი საერთაშორისო პოლიტიკის გარეშე..."[232].

ამ რთული სიტუაციიდან გამოსავლად პ. სურგულაძეს მთელი ერის შეკავშირება და ერთიან პოზიციაზე დგომა მიაჩნდა. „ასეთ დროს, როცა მთელი ერი და მისი დიდი ტანჯვით მოპოვებული თავისუფლება ერთი შემცდარი ნაბიჯით შეიძლება გან-

---

[231] გაზ. „საქართველო" , 1919 წლის 2 აპრილ
[232] იქვე, 1919 წლის 4 აპრილი

საცდელში ჩავარდეს, ჩვენი უმთავრესი მოვალეობა არის საგარეო საქმეებში ვიყვეთ, როგორც ერთი პიროვნება, შეთანხმებული და შეერთებული"[233].

პ. სურგულაძე ასეთ შეთანხმებაში გულისხმობდა იმას, რომ მთავრობის პასუხისმგებელი პირები, ვიდრე რაიმე მნიშვნელოვან დიპლომატიურ ნაბიჯს გადადგამდნენ, უნდა დაკითხვოდნენ როგორც თავისი უმრავლესობის, ისე სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლებსაც და მათთან შეთანხმებით ემოქმედათ. ვინაიდან, ასეთი მოქმედება აუცილებელი იყო პრაქტიკულადაც და ზნეობრივადაც. ეს საკითხი მას დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდანაც დაუყენებია და საგარეო საქმეთა კომისიის არჩევა მოუთხოვია საკანონმდებლო ორგანოს შიგნით. „მაგრამ მოვსტყუვდით, — მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით აღნიშნავს იგი, — ყოველგვარი კომისია ავირჩიეთ, ხოლო როცა უმრავლესობას მოვაგონეთ, საჭიროა საგარეო საქმეთა კომისიაც ავირჩიოთო, უარი მივიღეთ..." ეს მაშინ, როცა საგარეო საქმეთა სამინისტროში ყველაფერი მოწესრიგებული არ იყო. იგი „მოგაგონებთ გაზაფხულზე აფუსფუსებულ სკას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქაური ფუტკრები სკისკენ კი არ ეზიდებიან საგზალს, პირიქით იქიდან ცდილობენ გამოიტანონ..."[234]. სტატიის დასასრულს პ. სურგულაძე იმედს გამოთქვამდა, რომ საპარლამენტო უმრავლესობა წინდახედულებას გამოიჩენდა და დამფუძნებელი კრების უახლოეს სხდომაზე შექმნიდა ასეთ კომისიას, რომელიც საშუალებას მისცემდა სხვადასხვა ფრაქციის წარმომადგენელ დეპუტატებს, თვალყური მიედევნებინათ საგარეო სფეროში შექმნილი ვითარებისათვის და შეძლებისდაგვარად დახმარება და თანადგომა აღმოეჩინათ ჩვენი რესპუბლიკის პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის..."[235].

* * *

1920 წლის მაისში პ. სურგულაძეს დიდი უბედურება დაატყდა თავს: ახალციხე-აჭარის გზაზე ვერაგულად მოკლეს მისი ერთადერთი ძმა, სამხედრო ექიმი და საზოგადო მოღვაწე ირაკ-

---

[233] გაზ. „საქართველოს" 1919 წლის 4 აპრილი
[234] იქვე
[235] იქვე

ლი სურგულაძე. ექვსი-შვიდი წლით უმცროსი ძმის აღზრდაში და, როგორც იტყვიან, გზაზე დაყენებაში, განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდა პეტრეს; ეს განსაკუთრებულობა კი იმაში გამოიხატებოდა, რომ ხელმოკლე მშობლებს იმდენი საშუალება ნამდვილად არ ჰქონდათ, რომ უმცროსი ვაჟისათვის საშუალო სკოლა დედაქალაქში დაემთავრებინათ, ხოლო შემდეგ საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად რუსეთში გაეგზავნათ... ირაკლის მოკლე ბიოგრაფიის გაცნობის შემდეგ მკითხველისათვის ბევრი რამ საჩინო გახდება. იგი დაბადებული იყო 1883 წელს. თბილისის მეორე ვაჟთა გიმნაზიაში საშუალო განათლების მიღების შემდეგ რუსეთში მიემგზავრება და 1904 წელს ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე შედის. 1910 წელს ამთავრებს მას და ხერსონის გუბერნიაში იწყებს მუშაობას ერობის ექიმად. უნივერსიტეტში სწავლის დროს ირ. სურგულაძე ყურადღებას იქცევდა სწავლისადმი მუყაითი დამოკიდებულებით და ყოველი გაჭირვებული თანამოძმისადმი ნუგეშის ცემით, მათი ჭირვარამის გაზიარებით, მატერიალური დახმარებითაც კი, რაც მას თვითონაც მუდამ აკლდა. თუმცა, ხელმოკლე, მაგრამ გულით მდიდარი, ყოველ დაბრკოლებას ადვილად იტანდა, მკაცრი ცხოვრების წინაშე ქედს არ იხრიდა და დაბრკოლებების დაძლევას ახერხებდა. სამშობლოში დაბრუნების მონატრულს პირველმა მსოფლიო ომმა მოუსწრო და როგორც სამხედრო ექიმი, ბრძოლების წინა ხაზზე იქნა გაწვეული... სანგრებში მისი გამოჩენა და მებრძოლთა მიმართ გულითადი და სიყვარულიანი დამოკიდებულება დიდი იმედის მიმცემი იყო ყველასათვის... მისი დანახვით გულმოცემული მებრძოლებისაგან ხშირად ისმოდა თურმე: ტყვიაც რომ მოგვხვდეს სასიკვდილო მაინც არა გვიშავს რა, რადგან ჩვენი ირაკლი აქვე არისო... ომის დამთავრებამდე იგი არ მოსცილებია ფრონტის წინა ხაზს – ავსტრიისა და გერმანიის ტერიტორიაზე... 1917 წელს მიეცა შესაძლებლობა ირ. სურგულაძეს თავისუფალ სამშობლოში დაბრუნების და მაშინვე ხალხის სამსახურში ჩადგა -— კახეთის სოფლის მოსახლეობის საყვარელ მკურნალად იქცა: ჯერ თბილისის, ხოლო შემდეგ სიღნაღის მაზრების ერობათა ექიმის ჭაპანს პირნათლად ენეოდა... როცა დამოუკიდებელ სამშობლოს დასჭირდა, მან ისევ სამხედრო ექიმის ფორმა მოირგო და ქართული ჯარის მესამე ბრიგადის მე-10 ქვეითი ათასეულის უფროს ექიმად დაინიშნა და მებრძოლებთან ერთად აჭარისაკენ გაემგზავრა... იქ კი დიდხანს სამსახური აღარ დასცალდა: 1920 წლის 3 მაისს, ზემო აჭარაში, სოფელ უთხის უბანთან, ავაზაკთა

მიერ გასროლილმა ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა ექიმი ირ. სურგულაძე და მისი თანმხლები ნაცვალი ჩქარეული. ამ ტრაღიკულ ამბავს ფართოდ გამოეხმაურა იმდროინდელი ქართველი საზოგადოება. სამგლოვიარო განცხადებები და გამოსათხოვარი წერილები დაიბეჭდა ქართულ გაზეთებში — „სახალხო საქმეში", „ერთობაში", „სამუსლიმანო საქართველოში", „საქართველოს რესპუბლიკაში"... საზოგადოებაში კიდევ უფრო დიდ გულისტკივილს ინვევდა ის ფაქტი, რომ 37 წლის ახალგაზრდა კაცს დამტირებლად და ერთადერთ ჭირისუფლად უფროსი ძმის მეტი არავინ ჰყავდა. ეს კარგად ჩანს იმ სამგლოვიარო განცხადებიდან, რომელიც გაზეთ „სახალხო საქმეშია" დასტამბული: „პეტრე როსტომის ძე სურგულაძე გულითადის მწუხარებით აცნობებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ აჭარა-ახალციხის გზაზე ვერაგულად იქნა მოკლული მისი ძმა, სამხედრო ექიმი ირაკლი როსტომის ძე სურგულაძე. გამოსვენება ახალციხიდან, შაბათს, ლანჩხუთში, ბორჯომ-ხაშურის გზით სოფელ ჩიბათში. დაკრძალვა სოფ. ჩიბათში, კვირას, 9 მაისს"[236].

მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო, ვერ მოხერხდა მშობლიური სოფლის ჩიბათის მიწაში, მშობლების გვერდით მისი დასაფლავება. საბოლოოდ ირ. სურგულაძის ცხედარი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში პანაშვიდის გადახდის შემდეგ წაასვენეს და ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში დაკრძალეს.

ამ ფაქტისადმი მიძღვნილი მოკლე წერილიდან, რომელიც გაზეთ „სახალხო საქმეშია" მოთავსებული, ვგებულობთ, რომ ამ კეთილი და იშვიათი პიროვნების, თავისი საქმისა და სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანის დასაფლავებას მრავალი ხალხი დასწრებია. მათ შორის ყოფილან – რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის წევრები: სიმონ მდივანი და ექვთიმე თაყაიშვილი, ფრაქციის თავმჯდომარეები აკაკი ჩხენკელი (სოც-დემოკრატი) და გიორგი ლასხიშვილი (სოც.-ფედერალისტი), სხვა დეპუტატები, მინისტრები, საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები... ისმოდა სამგლოვიარო მუსიკა და იდგა საპატიო ყარაული. „სასაფლაოზე მოკლე სიტყვა წარმოსთქვა ილია ნაკაშიძემ, რომელმაც დაახასიათა განსვენებულის პიროვნება... მეორე სიტყვა წარმოსთქვა დეპუტატმა ვლასა მგელაძემ, რომელსაც ქვითინი აუვარდა და ხალხიც ააქვითინა... მან აღნიშნა ის სიყვარული, რომელიც, როგორც ექიმს დაუმსახურებია აჭარაში მდგომ ჯარში, ანუგეშა განსვენებუ-

---

[236] გაზ. „სახალხო საქმე", 1920 წლის 8 მაისი

ლის ძმა პეტრე სურგულაძე და აღნიშნა, რომ განსვენებულის მოქმედება სამაგალითოდ დარჩება ჩვენში და მისი ხსოვნა ჩვენს მეხსიერებაში არ წაიშლებაო"[237].

ბათუმში, მემედ აბაშიძის რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო", ირ. სურგულაძის გარდაცვალების გამო მიძღვნილ სარედაქციო წერილში გულისტკივილით აღნიშნავდა: „4 ამ თვეს, აჭარის გზაზე ყაჩაღებმა სიცოცხლეს გამოასალმეს სამუსლიმანო საქართველოს დიდი მეგობარი და მოსიყვარულე ექიმი ირაკლი სურგულაძე. მოკლეს ის ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი არსებით უყვარდა ქართველი მუსლიმანები, მოკლეს სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენი კუთხისათვის.

და მერე ვინ მოკლა? როგორ სჩანს ის მოუკლავთ აჭარლების ნრიდან გამოსულებს. მოუკლავთ იმ ხალხის შვილებს, რომლის ინტერესებისათვის ირაკლი მზად იყო თავი გაეწირა.

ირაკლი ერთადერთი ძმა იყო სამუსლიმანო საქართველოში კარგად ცნობილ საზოგადო მოღვაწის პეტრე სურგულაძისა. პეტრემ ქართველ მუსლიმანთა დახმარების საქმეში დიდი უბედურება გამოიარა. სამუსლიმანო საქართველოდან გადახვენილ ძმებს პეტრე თავს ევლებოდა და უვლიდა მათ, როგორც ძმებს და მეგობრებს. პეტრეს მეოხებით ბევრი ქართველი მუსლიმანი გადაურჩა სიმშილით სიკვდილს.

და მას შემდეგ არ ყოფილა არც ერთი წუთი, როდესაც პეტრეს თავის კერძო საქმეზე ეზრუნოს. ის ყოველთვის სამუსლიმანო საქართველოს სიკეთეზე ფიქრობს და ზრუნავს.

ასეთი იყო მისი ძმაც. და ასეთი ადამიანი მოაშორეს წუთისოფელს. გამოგლიჯეს ის თავის სამშობლოს და თავის მოსიყვარულე ძმას.

რა საშინელი ირონიაა ბედისა. კაცი, რომელიც თავს ევლებოდა ქართველ მუსლიმანებს, ქართველი მუსლიმანის ხელით გამოესალმა სიცოცხლეს. ძმა, რომელიც თავს ევლებოდა ქართველ მუსლიმანებს, რომელსაც თავის სიცოცხლის საგნად ქართველი მუსლიმანებისათვის სამსახური დაუსახავს მიზნათ, რჩება კერძო ცხოვრებაში სრულიად ობლათ, ერთადერთ საყვარელ ძმისგან გამოთიშულად.

და უბედურება ის არის, რომ პეტრეს ტანჯავს ორგვარი ნაღველი: ერთი ის, რომ მან დაკარგა საყვარელი ერთადერთი

---

[237] გაზ. „სახალხო საქმე", 1920 წლის 13 მაისი

ძმა და მეორე ის, რომ დაკარგა ვისი ხელით? ხელით იმ ხალხის შვილისა, რომლის კეთილდღეობისათვის იღწვოდა და იღწვის ამ ჟამად ტანჯული პეტრე

საუკუნოდ იქნება ხსენება სამუსლიმანო საქართველოს დიდი მეგობრის ირაკლი სურგულაძისა.

მის ძმას, ჩვენ დიდ მეგობარ პეტრეს არ ვიცით, თუ რა ნუგეში ვუთხრათ. ვსტირით ჩვენც მასთან ერთად დაუვიწყარ ირაკლის დაკარგვას.

ჩვენმა ცრემლმა მისცეს მას მცირედად მაინც მისი ტანჯვის შემსუბუქება. ვუსურვებთ მას, რომ ვაჟკაცურად გადაეტანოს ეს დიდი უბედურება და კვლავ მალე დაუბრუნდეს თავის საყვარელ საქმეს: სამუსლიმანო საქართველოს თავდავიწყებით სამსახურს"[238].

* * *

პეტრე სურგულაძე ბოლშევიკური რუსეთის ჯარების მიერ ოკუპაციის დროს დედაქალაქში იმყოფება, მხოლოდ მარტში მიდის ემიგრაციაში და თურქეთში რჩება. აქ იგი საქართველოდან ემიგრირებული მთავრობის პოლიტიკურ კომისიაში მოღვაწეობს[239].

1921-1922 წლებში იგი სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების ქართველ ემიგრანტებთან ერთად პარიზში, ხელნაწერის უფლებით გამომავალ ჟურნალ „თავისუფალ საქართველოში" თანამშრომლობს... ჟურნალს სარედაქციო კოლეგია უძღვებოდა. მასში თავიანთ სტატიებს ათავსებდნენ: ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, აკაკი ჩხენკელი, ექვთიმე თაყაიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, რეზო გაბაშვილი და სხვები. მათ შორის არის პეტრე სურგულაძეც...[240].

ჟურნალის სულ 29 ნომერი გამოვიდა: 14 — 1921 წელს, ხოლო 15 — 1922 წელს.

იგი ვერ ეგუება ჩვენში დამყარებულ კომუნისტურ რეჟიმს და ემიგრაციაში მიდის და ახლებური ვითარების შესაბამისად

---

[238] გაზ. „სამუსლიმანო საქართველო" , 1920 წლის 11 მაისი

[239] ოთ. ჯანელიძე. სადოქტორო დისერტაცია.

[240] გ. შარაძე. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. 1, თბ., 2001, გვ. 167.

საქართველოს განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განაგრძობს ბრძოლას.

გ. გვაზავას თქმით, პ. სურგულაძემ, თავისი სიცოცხლის „უკანასკნელი ათი წელიწადი სტამბოლში გაატარა, ვინ იცის რამდენჯერ მდგარა საწყალი პეტრე ბოსფორის პირად, რამდენჯერ მნუხარე თვალებით გაუცილებია შავ ზღვაზე მიმავალი გემები... იქ, შორს, იყო მისი საყვარელი საქართველო, რომელსაც მან შესწირა თავისი ახალგაზრდობა და, რომლის ცის ქვეშ ეხლა, სიბერეში, მას არ მიეცა თავშესაფარი. იქ დათარეშობენ შემოსეული მტრები... აქ კი... „ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა."[241]

პეტრე სურგულაძე უეცრად გარდაიცვალა სტამბოლში, 1931 წლის 6 სექტემბერს. მისი ნეშტი იქვე იქნა დასაფლავებული. გაზეთ „სამშობლოს" (პარიზი) ცნობით, განსვენებულს დარჩა ერთადერთი 12 წლის ვაჟი.

პეტრეს გარდაცვალებას ფართოდ გამოეხმაურა ქართული ემიგრაცია და მისი სხვადასხვა მიმართულების ჟურნალ-გაზეთები.

მისი ხსოვნა და ნაღვაწ-ნამოქმედარის შეფასება მოცემულია მისი თანამოაზრეებისა და მეგობრების: გიორგი გვაზავას, ლეო კერესელიძის, მიხაკო წერეთლის, კალ. სალიას და სხვათა დიდი გულისტკივილითა და ობიექტურობით დაწერილ წერილებში; ჟურნალ-გაზეთების სარედაქციო სტატიებში (გაზეთები „სამშობლო" (პარიზი), 11, 1932 წლის აპრილი, გვ. 57-58, „ბრძოლის ხმა" 17, 1931 წლის ოქტომბერი, გვ. 3; „დამოუკიდებელი საქართველო" (პარიზი), 69, 1931 წლის სექტემბერი და ა.შ.)

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთის ცენტრალური ბიუროს მიერ, 1931 წლის 20 სექტემბერს, პარიზში გადახდილ იქნა გარდაცვლილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, რომელიც შეასრულა ქართული ეკლესიის მღვდელ-მონაზონმა გრიგოლ ფერაძემ. მისი მგრძნობიარე სიტყვის შემდეგ, განსვენებული დაუხასიათებიათ – ალ. ასათიანს, რომელსაც დიდი შეფასება მიუცია მისი საეროვნო მოღვაწეობისათვის და ზნეობრივი პიროვნებისათვის, გ. გვაზავას, რომელსაც გან-

---

[241] გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო" (პარიზი), 1931 წლის სექტემბერი; გ. ბარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. II, თბ., 2001, გვ. 332

სვენებულის საქართველოში წარმოებული საქმიანობა გაუხსენებია.

პანაშვიდს დასწრებია ემიგრაციაში მყოფი მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და დიდძალი საზოგადოება[242].

პეტრე სურგულაძის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის შემდეგ ძალადაუტანებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი სამშობლოს უდიდესი პატრიოტი იყო, თანაც ისეთი, რომელთა შესახებაც დიდი იაკობ გოგებაშვილი ამბობდა: „პატრიოტია ის, ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად მშობელი ქვეყნის ბედნიერება გაუხდია... ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი ნამი, რომელიც მამულის ზრუნვისათვის არ მოუხმარებია, ვინც ბედნიერია ერის ბედნიერებით, უბედურია სამშობლოს უბედურებით და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე"[243].

---

242 გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო", 1931 წლის სექტემბერი

243 გაზ. „ივერია", 1901 წლის 2 ივნისი; ი. გოგებაშვილი. თხზ. ტ. 3, თბ., 1954, გვ. 247

— ა —

აბაშიძე ზია-ბეგ — 68
აბაშიძე კიტა — 6, 12
აბაშიძე მემედ-ბეგ — 83
აბდუშელიშვილი ზუბიკო — 32'
აგლაძე ი. — 15
ავალიშვილი ზურაბ -- 71, 72
ავალიანი სიმ. — 24
ალხაზიშვილი ილ. — 7
ამილახვარი გიორგი -- 32
ამირეჯიბი შ. — 12, 18, 77
ანჯაფარიძე გიზო (გიორგი) — 77, 79
ანტონ კათალიკოსი — 38
არაგვისპირელი (დედაბრიშვილი) შიო -- 7
არლუთინსკი — 28
არუთინოვი — 78
ასათიანი ალექს. — 77, 79
აფხაზი კოტე — 74
ახმეტიევი — 78

— ბ —

ბალარჯიშვილი ალ. — 7
ბაჩანა (რაზიკაშვილი ნიკო) — 12, 24
ბატონიშვილი ალექსანდრე — 119
ბატონიშვილი ვახუშტი — 38
ბატონიშვილი დავით — 38
ბახტაძე ილ. — 18
ბეკი რიხარდ — 9
ბეჟანიძე — 46
ბერიზაშვილი გ. — 1
ბორკჰარდტი — 28
ბოცვაძე ლუარსაბ — 7
ბუქურაული ივ. — 1, 12

— გ —

გაბაშვილი ეკ. — 7
გაბაშვილი რეზო — 12, 24, 84
გაბუნია ნატო — 18

გამსახურდია კონსტ. — 68
გარიყული (თათიკაშვილი) მარ. — 12
გეგეჭკორი ევგენი — 84
გელეიშვილი (ყარიბი) პ. — 2
გვაზავა გ. — 1, 11, 17, 24, 38, 40, 41, 42, 43, 44, 74, 77, 84
გოგებაშვილი იაკობ — 1,2,7,9,11,13,20,85
გოგიჩაიშვილი ფილ. — 4, 11, 24, 30, 31
გოთუა პართენ — 77
გოლცი ფონ დერ — 68
გომართელი ივ. — 7, 22
გორგიჯანიძე ფარსადან — 26
გრიშაშვილი ი. — 14, 15
გულისაშვილი ს. — 7
გუნია ვალ. — 11
გურამიშვილი დავით — 66

— დ —

დადიანი ს. — 7
დარჩიაშვილი ლადო — 68
დაუშვილი რუს. — 67, 68
დოლინინი — 78
დოლუხანოვი — 28

— ე —

ედილი (ედილაშვილი) ზ. — 12, 20
ევდოშვილი (ხოსიტაშვილი) ირ. — 3
ეკალაძე ია (ცინცაძე იაკობ) — 12, 15
ელეფთერიძე ილ. (ზურაბიშვილი ივ.) — 14, 15, 16
ეირანოვი — 28
ერეკლე მეორე — 49
ერისთავი-ხოშტარია ან. — 7
ერისთავი დავ. — 15
ერისთავი რაფ. — 66
ეფრემ მცირე — 25

— ვ —

ვალენტინერი — 68
ვაჟა-ფშაველა (რაზიკაშვილი ლუკა) — 7, 11, 13, 14, 15, 16, 66
ვარდიძე შალვა — 68

ვართაგავა იპ. — 12, 24
ვახვახიშვილი სვ. — 20
ვეზენდოკი ოტო გიუნტერ ფონ — 68, 70
ვეშაპელი გრიგოლ — 84
ვეჰიბ მეჰმედ ფაშა — 70, 72
ვირხოვი — 9
ვოლსკი (უმწიფარიძე) გრ. — 18, 19
ვორონცოვი მ.ს. — 19

— ზ —

ზურაბიშვილი ივანე ივანეს ძე — 77

— თ —

თაყაიშვილი ექვთიმე — 77, 83, 84
თომაშვილი (ოყრეშიძე) დომენტი — 18, 19
თორაძე ალექს. — 77
თუმანიშვილი პავლე — 16

— ი —

იაშვილი სეით — 7
ივანიძე გიორგი — 79
ივანიცკი (ინგილო) რეფიელ — 77
ისკანდერ მუნში — 26

— კ —

კარგარეთელი ია — 12, 37
კარტალოვი — 78
კაუცკი კარლ — 9
კედია სპ. — 1, 71, 72, 76
კეკელიძე კორნელი — 77
კერესელიძე გიორგი — 67
კვინიტაძე გიორგი — 79, 89
კლიმიაშვილი ტ. — 1
კოტელნიკოვი — 28
კრეს ფონ კრესსენშტეინი — 68
კრესი ფონ — 68

კუდრიავცევი დ. — 5

— ლ —

ლაბრიოლა ანტ. — 9
ლასხიშვილი გიორგი — 83
ლევიცკი — 2
ლეონიძე გიორგი — 44,45,46,47,48,49,50
ლეონიძე სოლომონ — 46
ლორთქიფანიძე ნიკო — 6,7,12,14,16
ლოსოვი ფონ — 70, 72

— მ —

მაზნიაშვილი გიორგი — 78
მარგველაშვილი ტიტე — 77
მარქსი კარლ — 26, 27
მაღალაშვილი ნესტორ — 67, 68
მაღლაკელიძე შალვა — 79
მაყაშვილი აბელ (ბალო) — 78
მაყაშვილი კოტე — 20
მაჭავარიანი იოსებ — 77
მაჩაბელი გიორგი — 67, 68, 71, 74
მაჩაბელი მიხ. — 33
მგალობლიშვილი სოფრომ — 7, 12, 24
მგელაძე ვლასა — 83
მდივანი ალ — 7
მდივანი სიმონ — 83
მეგრელი დუტუ — 7
მეტრეველი ლევან — 12, 20
მილიუკოვი — 9
მიქაბერიძე ალექს. — 7
მთაწმინდელი გიორგი — 25
მოსეშვილი იას. — 7
მჭედლიშვილი იოსებ — 15

— ნ —

ნადოლნი რუდოლფ — 68
ნათაძე გიგო — 7
ნაკაშიძე ილია — 83
ნაკაშიძე ნინო — 7, 20
ნიკოლაძე ნიკო — 1, 71, 72, 73, 76
ნიჟარაძე რ. — 46, 68

ნისსამ-ელდინ ბეი — 72
ნოზაძე ვიქტორ - - 78
ნუსრედ ბეი — 72

— ო —

ოდიშელიძე ილია — 72
ორბელიანი ნინო — 20
ორბელიანი პაპუნა — 26
ორხან ბეი — 72

— ჟ —

ჟორდანია გ. — 7
ჟორდანია ნოე — 3, 84
ჟურული გიორგი — 72

— რ —

რაზიკაშვილი თედო — 20
რამიშვილი ის. — 3, 69
რამიშვილი ნ. — 84
რაჭველი (მებუზლა) იასე — 20, 21
რობაქიძე გრ. — 12, 24, 33, 34
რიუმინი — 78
როზენშტეინი ალ. — 9
რუბაკინი ნ. — 5
რუბინოვიჩი ე. — 67

— ს —

სალია კალ. — 1, 2, 11, 84
საითიძე გელა — 135
სარალიძე ლელა — 71
სერვერ ბეგი ათაბაგ ქობლიანსკი ჯაყელი — 77, 78, 79
სოლომონ მეფე — 46
სუმბათაშვილი ალ. — 24, 33
სურგულაძე ირაკლი — 81, 82, 83

სურგულაძე პ. — 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 23, 24, 28, 32, 38, 39, 40, 41, 44, 45, 47, 48, 49, 50, 51, 56, 60, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77, 79, 80, 81, 82, 83, 84
სუხომლინსოვი — 72

— ტ —

ტაბიძე გალაკ. — 20
ტალეირანი — 56
ტიმოფეევი — 28
ტირში — 44
ტომაშევიჩი — 78
ტოტომიანცი — 28

— უ —

ურლიხი ერნსტ — 68

— ფ —

ფალავანდოვი მურთაზ-ბეგ — 78
ფანცხავა იაკობ — 49
ფერაძე გრიგოლ — 84
ფირალოვი — 28
ფირცხალავა სამსონ — 77
ფრონელი (ყიფშიძე) ალ. — 12, 18, 19

— ქ —

ქალანთარი — 28
ქართველიშვილი გ. — 4
ქარუმიძე შალვა — 68, 74
ქარცივაძე მელიტონ — 68
ქიქოძე გერონტი — 46, 76

— ღ —

ღამბაშიძე ვახ. — 7, 12, 20

— ყ —

ყიფიანი სვ. — 11, 13, 20, 21
ყიფშიძე გრ. — 4, 7, 18

— შ —

შალიკაშვილი ვალ. — 12
შამილი — 19, 20
შანშიაშვილი ს. — 2, 3, 12, 24, 45, 46, 47, 48, 49, 50, 56
შარაძე გ. — 3, 41, 67, 68, 69, 84
შარვაშიძე ყადირ — 69
შევარდნაძე მიხეილ — 77
შერეფ-ედდინ-იეზადი — 26
შიუკაშვილი ნიკო — 12
შვარცი კურტ — 68
შულენბურგი გრაფი — 68, 70

— ჩ —

ჩიკვილაძე დალი — 1, 72
ჩიქოვანი ილია — 77,
ჩერქეზიშვილი ვასილ — 18
ჩხენკელი აკ. — 71, 72, 83, 84
ჩხეიძე კარლო — 69, 84
ჩხეიძე სეხნია — 26

— ც —

ციციშვილი ივ. — 20
ცომაია ს. — 7
ცხვედაძე ნ. — 4

— წ —

წერეთელი აკაკი — 12, 23, 28, 30, 66
წერეთელი გიორგი — 3
წერეთელი ვასილ — 18, 77

ნერეთელი მიხეილ („Baton", არიმათიელი) — 1, 7, 11, 13, 14, 15, 16, 18, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 41, 62, 68, 71, 84

— ჭ —

ჭავჭავაძე ილია — 1, 4, 7, 8, 11, 66, 76
ჭარია პეტრე — 3
ჭეიშვილი ი. — 1

— ხ —

ხალილ ბეი — 70
ხატისოვი ალ. — 28
ხახანაშვილი ალ. — 7
ხიზანიშვილი ნიკო — 18
ხიმშიაშვილი — 69

— ჯ —

ჯავახიშვილი ივანე — 6, 7, 12, 14, 15, 18, 25
ჯავახიშვილი (ადამაშვილი) მიხეილ — 11, 18, 28, 39
ჯანელიძე ოთარ — 12, 13, 14, 44, 56, 67, 84
ჯაფარიძე ალ. — 68
ჯაყელი ნიკოლოზ — 77
ჯემალ ფაშა — 70
ჯორჯაძე არჩილ — 27, 66
ჯულელი ანთიმოზ — 1

— ჰ —

ჰალილ ბეი — 72
ჰახსენი — 68
ჰუსეინ გიული მამედ-ოღლი — 77

გამოყენებული წყაროები
და ლიტერატურა

1.საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (საქ. ცსსა): ფონდი 1833, აღწ. 1, საქმე 4, ფურც. 12, 13, 16, 17.

იქვე 1833, აღწ. 1, საქ. 842, 843.

ფონდი 1834, აღწ. 2, საქ. 17, 71, 72, 73, 75, 76, 77, 78, 79, 80, 81, 82, 85, 86, 87, 90.

ფონდი 1836, აღწ. 1, საქ.5, 12, 43, 44, 77, 107, 108, 109, 123.

2.საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი:
462, 224, 600, 540.

3.საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი (სლმ), სანდრო შანშიაშვილის ფონდი: 6568, 6569, 6570, 6571, 6572, 6575, 6577, 6579, 6580, 6586, 2689, 4143, 6836.

4.საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიში. სესია I, სხდომა 2, თბ., 1919.

5.ავალიშვილი ზურაბ
საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში. თბ., 1990.

6.ასათიანი ალ.
ძველი და ახალი მემკვიდრეობა. წიგნი I, პარიზი, 1928წ.

7.ბენდიანიშვილი ალექსანდრე
ეროვნული საკითხი საქართველოში (1801-1917წწ). თბ., 1980.

8.ბენდიანიშვილი ალ.
ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები. თბ., 2006.

9.გვაზავა გიორგი
„ჩეხია“ (სოციოლოგიური მიმოხილვა). თბ., 1910.

10. გვაზავა გიორგი
საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. პარიზი, 1928.

11. გოგებაშვილი იაკობ
თხზ., ტ. III, თბ., 1954.

12. გრძელიძე რევაზ
საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი (1914-1918 წწ). თსუ-ს გამომც., თბ., 1995.

13. დაუშვილი რუსუდან
ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში. თბ., 2007.

14. ვაჟა-ფშაველა
თხზ. სრ. კრებული ათ ტომად, თბ., 1964.

15. ივანიძე გ. ივანიძე მ.
ბრძოლა მესხეთისათვის 1917-1921 წ. თსუ-ს გამომც., თბ., 2002.

16. კობახიძე გივი (შაორისპირელი გივი)
I მსოფლიო ომის დროს მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" მოკლე ისტორია. გაზ. „საქართველო" (ბერლინი).

17. მაღლაკელიძე შალვა
მოგონებანი. ჟ. „განთიადი", 1991.

18. ნოზაძე ვიქტორ
საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბ., 1989.

19. რამიშვილი ისიდორე
მოგონებები (ხელნაწერი).

20. საითიძე გელა
გენერალი აბელ (ბალო) მაყაშვილი და მესხეთ-ჯავახეთის საკითხი.

ქართული დიპლომატიის წელიწდეული. 6. თბ., 1999.

21. სალია კალისტრატე
საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს (მასალები ისტორიისათვის), ჟ. „ბედი ქართლისა" (პარიზი), 39-40, 1962, გვ. 26-30.

22. სარალიძე ლელა
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წლებში. საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1994. (ხელნაწერის უფლებით)

23. სვანიძე მიხეილ
1914 წელს „ოსმალეთსა" და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება. „ქართული დიპლომატია", ტ. II, თბ., 1995.

24. სვანიძე მიხ.
ქართული ლეგიონი ოსმალეთში I მსოფლიო ომის დროს. გაზ. „სამშობლო", 7-10, თბ., 1992.

25. სურგულაძე აბელ, სიორიძე მალხაზ
პორტო-ფრანკო ბათუმში. ბათუმი, 1996.

26. სურგულაძე აბელ, სურგულაძე კახა
ქართული ლეგიონი თურქეთში. ბათუმი, 1994.

27. სურგულაძე პაატა
ქართული პარლამენტის სათავეებთან. თბ., 1991.

28. სურგულაძე პეტრე
ეროვნული ენა. ტფ., 1905.

29. სურგულაძე პეტრე
დაწყებითი განათლება. ტფ., 1906.

30. სურგულაძე პეტრე

საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. სტამბოლი, 1918.

31. სურგულაძე პეტრე
დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა. სტამბოლი, 1918.

32. ტულუში მარკოზ
გიორგი დეკანოზიშვილი (წერილი), ჟურნ. „კავკასიონი" (პარიზი), 10, 1965, გვ. 144-145.

33. ფრონელი ალექსანდრე (ყიფშიძე)
დიდებული მესხეთი. ქ. გორი, 1914.

34. შარაძე გიორგი
ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დასავლურ-ევროპული ცენტრი ჟენევაში და პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ევროპაში. „მეცნიერება", თბ., 2006.

35. შარაძე გურამ, შარაძე გიორგი
ისტორიული რელიკვიების დაბრუნება (1918-1921), თბ., 2001.

36. შარაძე გურამ
უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი I, თბ., 1991.

37. შარაძე გურამ
უცხოეთის ცის ქვეშ. წიგნი III, თბ., 1993.

38. შარაძე გურამ
ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. VI, თბ., 2005, გვ. 228.

39. შარაძე გურამ
ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. V, თბ., 2004, გვ. 339-340.

40. შარაძე გურამ

ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. II, თბ., 2004, გვ. 65, 85.

41. შარაძე გურამ
ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბ., 2001, გვ. 68-69; 563-564.

42. შარაძე გურამ
ქართული ემიგრატული ჟურნალისტიკის ისტორია. ტ. VII. თბ., 2006 წ.

43. ჩიკვილაძე დალი
დროსგასწრებული მამულიშვილი (ნიკო ნიკოლაძე), თბ., 2003.

44. წერეთელი მიხეილ
უკანასკნელი ქართული ეპოპეა. გაზეთი „ქართველი ერი", ნიუ-იორკი, 1955-1956, 1.

45. წერეთელი მიხეილ
ერი და კაცობრიობა. თბ., 1990.

46. ჭავჭავაძე ილია
რჩეული ნაწერები ხუთთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987.

47. ჭანტურია ნონა
ეროვნული საბჭო და მისი ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის. თბ., 2006.

48. ჯავახიშვილი ივ., სურგულაძე პ., პროფ. ლისტი
ისტორიული რარიტეტები (აკ. ბაქრაძის რედაქციით), თბ., 1989.

49. ჯანელიძე ოთარ
ჟურნალ „ერის" ისტორიისათვის. სამეცნიერო შრომების კრებული. II, თბ., 1999.

50. ჯანელიძე ოთარ
საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია 1917-1923ნნ. (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 1999. (ხელნაწერის უფლებით).

51. ჯანელიძე ოთარ
ქართული ემიგრანტული პრესის ისტორიიდან (ჟურნ. „თავისუფალი საქართველო“). საისტორიო შტუდიები. I. თბ., 2000.

ჟურნალები:

52. „განათლება“, 1, 1908 წლის თებერვალი. გვ. 2
53. „განათლება“, 1, 1908 წლის თებერვალი. გვ. 125
54. იქვე, გვ. 128-129
55. იქვე, გვ. 132
56. იქვე, გვ. 136
57. „განათლება“, 3-4, 1908 წლის მარტი, გვ. 128
58. „განათლება“, 5-6, 1908 წლის ივნისი, გვ. 127-128
59. „ბედი ქართლისა“ (პარიზი), 39-40, 1962, გვ. 73
60. „ერი“, 1, 1909 წლის 13 სექტემბერი
61. „ერი“, 2, 1909 წლის 20 სექტემბერი
62. „ერი“, 1-25, 1910 წლის თებერვალ-სექტემბერი
63. „თავისუფალი საქართველო“ (ჟენევა), 1913-1914 წლები, 1,2,3,4. (კომპლექტი)
64. „საქართველო კალენდარი“, 1904 წ. გვ. 534-562

ალმანახები:

65. „ქართული უნივერსიტეტი“, 1, თბ., 2000.
66. „ჩვენი ერი“, 1, 1909 წლის 27 სექტემბერი
67. „ჩვენი ერი“, 2, 1909 წლის 28 სექტემბერი
68. „ქართველი ერი“, 1, 1909 წლის 11 ოქტომბერი
69. „საქართველოს მოამბე“, 1909-1910; ნოემბერი-დეკემბერი-იანვარი

გაზეთები:

70. „ივერია“, 124, 1894 წლის 14 ივნისი

71. „ივერია“, 11, 1897 წლის 29 იანვარი
72. „ივერია“, 163, 1897 წლის 10 აგვისტო
73. „ივერია“, 164, 1897 წლის 17 აგვისტო
74. „ივერია“, 82, 1900 წლის 18 აპრილი
75. „ივერია“, 103, 1900 წლის 14 მაისი
76. „ივერია“, 120, 1900 წლის 7 ივნისი
77. „ივერია“, 173, 1900 წლის 10 აგვისტო
78. „ივერია“, 117, 1901 წლის 2 ივნისი
79. „ივერია“, 236, 1901 წლის 30 ოქტომბერი
80. „ივერია“, 109, 1902 წლის 28 მაისი
81. „ივერია“, 106, 1902 წლის 22 მაისი
82. „ივერია“, 107, 1902 წლის 23 მაისი
83. „ივერია“, 37, 1905 წლის 25 მარტი
84. „ივერია“, 178, 179, 182, 205, 206, 211 და ა.შ. 1905 წლის ოქტომბერ-ნოემბერი
85. „ივერია“, 116, 1905 წლის 13 ივლისი
86. „ივერია“, 39, 1909 წლის 28 სექტემბერი
87. „ცნობის ფურცელი“, 2382, 1904 წ. გვ. 2-3
88. „კვალი“, 12, 1897 წლის 16 მარტი
89. „კვალი“, 16, 1897 წლის 13 აპრილი
90. „კვალი“, 43, 1897 წლის 12 ოქტომბერი
91. „კვალი“, 27, 1897 წლის 29 ივნისი
92. „კვალი“, 33, 1897 წლის 10 აგვისტო
93. „კვალი“, 5, 1904 წლის 1 თებერვალი
94. „დროება“, 204, 1909 წლის 16 სექტემბერი
95. „სახალხო გაზეთი“, 111, 1910 წლის 19 სექტემბერი
96. „სახალხო გაზეთი“, 181, 1910 წლის 21 დეკემბერი
97. „სახალხო გაზეთი“, 99, 1910 წლის 3 ნოემბერი
98. „სახალხო საქმე“, 820, 1920 წლის 8 მაისი
99. „სახალხო საქმე“, 824, 1920 წლის 13 მაისი
100. „სახალხო საქმე“, 822, 1920 წლის 11 მაისი
101. „სახალხო საქმე“, 848, 1920 წლის 12 ივნისი
102. „საქართველო“, 182, 1918 წლის 1 ოქტომბერი
103. „საქართველო“, 206, 1918 წლის 30 ოქტომბერი
104. „საქართველო“, 208, 1918 წლის 1 ნოემბერი
105. „საქართველო“, 211, 1918 წლის 7 ნოემბერი
106. „საქართველო“, 213, 1918 წლის 9 ნოემბერი
107. „საქართველო“, 185, 1918 წლის 4 ოქტომბერი
108. „საქართველო“, 196, 1918 წლის 18 ოქტომბერი
109. „საქართველო“, 186, 1918 წლის 5 ოქტომბერი

110. „საქართველო", 216, 1918 წლის 13 ნოემბერი
111. „საქართველო", 73, 1919 წლის 2 აპრილი
112. „საქართველო", 75, 1919 წლის 4 აპრილი
113. „ სამუსლიმანო საქართველო", 356, 1920 წლის 11 მაისი
114. „საქართველოს რესპუბლიკა", 104, 1920 წლის 12 მაისი
115. „ერთობა", 102, 1920 წლის 8 მაისი
116. „ბრძოლის ხმა" (პარიზი), 17, 1931 წლის ოქტომბერი
117. „სამშობლო" (პარიზი), 11, 1932 წლის აპრილი, გვ. 57-58
118. „დამოუკიდებელი საქართველო" (პარიზი), 69, 1931 წლის სექტემბერი
119. „დრონი", 21, 1992 წლის 30 მაისი
120. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ. 3, თბ., 1978, გვ. 196
121. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тб., 1990

Gela /Giorgi/ Saitidze
Doktor historischer Wissenschaften, Professor

Petre Surguladses gesellschaftlich-politische und publizistische Taetigkeit

(Resuemee)

Petre Surguladse (1877-1931) ist der heutigen breiten Oeffentlichkeit wenig bekannt. Der Grund dazu war die Grausamket des sowjetischen Regimes-die Erwaehnung dieses fuer nationale Idee kaempfenden Patrioten wurde auf jede Weise vermieden.

Als Publizist war Petre Surguladse von seinen Zeitgenossen sehr geschaetzt. Er arbeitete in den Zeitungen "Kwali" und "Iweria," sowie in der Zeitschrift "Ganattleba" mit. Spaeter hatte er selbst national gesinnte Zeitschriften "Eri" (1909-1910) und "Das freie Georgien" (1913-1914) gegruendet, auf deren Seiten er unerschrocken die Unabhaengigkeit Georgiens forderte. Er war Mitbegruender und Vorsitzender des "Komitees der Unabhangigkeit Georgiens".

Wegen der Verfolgungen durch russische Macht war er gezwungen, ins Exil zu gehen. Nach dem Sturz des Zarizmus kehrte er wieder in die Heimat zurueck und gruendete die national-demokratische Partei mit (Juli 1917), wurde zum Mitglied des Hauptkomitees dieser Partei, sowie des Nationales Rates von Geogien, zum Abgeordneten der Konstituierenden Versammlung.

Nach der Okkupation Georgiens durch Sowjetrussland musste er wieder emigrieren. Er starb 1931 in Stambul.

Gela /Giorgi/ Saitidze

Petre Surguladses gesellschaftlich-nolitische und publizistische Taetigkeit

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge